

## პიროვნება

მამუკა გონგაძე  
Mamuka Gongadze



აფხაზეთის სიმბოლიკისათვის  
The Symbols of Abkhazia

3

ალექსანდრე ბოშიშვილი  
Alexander Boshishvili




ჯოვანი ორლანდის ნახატი „სიმონი  
პრინცი საქართველოდან“  
One of the Earliest Portraits of Simeon I with  
the Earliest Known Coats of Arms of Georgia

18

## ვესილოვების

თორნიკე ასათიანი  
Tornike Asatiani



საქართველოს სახელმწიფო დროშის  
ისტორიის საკითხებისათვის  
Issue of the State Flag of Georgia

23

## სურაბისტინი

თემო ჯოჯუა  
Temo Jojua



უძველესი ქართული სამეფო ჩეზის  
გამოსახულება  
Oldest Georgian Royal Seal

30

## აქტები



საარტივო მასალები საქართველოს  
დემოკრატიული რესუბლიკის  
სახელმწიფო, სამხედრო და საბაზო  
დროშების შესახებ (1918 -1921)  
Archive Materials about State, Military and  
Custom Flags of Georgia (1918-1921)

37

## ჩიგალივები

ი. ბიჭიკაშვილი, ნ. ბერუხაშვილი  
I.Bichikashvili, N. Beruchashvili



იმერეთის მაფეთა გვირგვინი  
Crown of Kings of Imereti

42

ზაქარია კიკნაძე  
Zachary Kiknadze



გვირგვინი  
Crown

54

## პორტოლანი



ანჯელინო დულჩერის 1339 წლის  
პორტოლანი  
The Portolan of 1339 by Angelino Dulcert

65

## პერიოდი

მთავარი რედაქტორი: მამუკა გონგაძე / აღმასრულებელი რედაქტორი: მირიან კიქნაძე / რედაქტორები: თორნიკე ასათიანი,  
ზაქარია კიკნაძე, დავით ბრაგვაძე / გამომცემელი: საქართველოს პარლამენტითან არსებული ჰერალდიკის საბჭო  
/ [www.heraldika.ge](http://www.heraldika.ge) E-mail: [heroldi@heraldika.ge](mailto:heroldi@heraldika.ge)

სააგენტოს უფლებები დაცულია. სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის სიუჟეტებზე პასუხისმგებელია ავტორი.  
შურალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

## ჰითონის

ანდრეი გრეჩილო  
Andriy Greczylo



უკრაინის რეგიონების ახალი  
სიმბოლიკა  
New Symbols of the regions of Ukraine

68

## სიმბოლის

მირიან კიკნაძე  
Marian Kiknadze



იაპონური ჰერალდიკის მოკლე  
მიმოხილვა  
Short summary of Japanese Mon system

78

## ცენტრალური სიმბოლის


გიორგი გურჯიძე  
Giorgi Gurjidze



ჩიხეთა ეროვნული დროშის  
ისტორია  
History of Circassian National flag

86

ნაიმა ნეფლიაშვილი  
Naima Nefliashova



როგორ ხდებოდნენ ადგილობრივი შაფლულების დროშას 1926 წელს  
How Adyghe was celebrating the return of Shapsugh flag in 1926

89

მარიამ ბეზითაშვილი  
Mariam Bezhitashvili



ინგუშეთის ჰერალდიკური  
ანგრიჭული  
The Heraldic Attributes of Ingushetia

91

## ერიშოლების სიმბოლის

მიხეილ ბარნოვი  
Mikheil Barnovi



კახეთის მუნიციპალიტეტების  
სიმბოლიკა  
Symbols of Kakheti Region Municipalities

97

## ცენტრალური სიმბოლის



აშერიას კონფედერაციული  
შტატების სახელმწიფო დროშა  
National Flags of the Confederate States of America

101

## ბონისტის

ნიკო ჯავახიშვილი  
Niko Javakhishvili



საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკის პირები  
Notes of the Democratic Republic of Georgia

108

## ლოგო

დავით ბრაგვაძე  
Davit Bragvadze



მსოფლიო ჰერენების ლოგოების  
ევოლუცია  
World Known Logos Evolution

112


## სამონი

ჩიხისებები ინგლისები ცნაზ  
Summersies in English

საქართველოს ორგანული კანონი  
საქართველოს სახელმწიფო  
დროშის შესახებ

115

117



სოხუმი (ბერძოლი) XIX საუკუნე. დიუპუბა დე მონაერი

## აფხაზეთის სიმბოლიკური და სამართლებრივი მინისტრი

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლო პროექტი

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, საქართველოს სახელმწიფოსთვისაც სიმბოლიკისა და ემბლემატიკის საკითხი საკმაოდ აქტუალურ და მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს. ამ მხრივ საინტერესოა არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკა: გერბი, დროშა და ჰიმნი, არამედ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული, უწყებრივი, სამხედრო თუ სხვა სახის სიმბოლოები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სიმბოლიკა, თუ როგორი უნდა იყოს იგი და რა სიმბოლოებითაა წარმოდგენილი ეს ტერიტორიები დღეს. საქართველოში ამ საკითხის განხილვა საკმაოდ მტკიცნეულია, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ დავარღვიოთ დუმილი და ლიად ვისაუბროთ საკითხზე, რომელსაც საქართველოს ძირძღველი კუთხის - აფხაზეთის სიმბოლიკა ჰქვია. ჩვენ მიერ განხილული იქნება როგორც დე ფაქტო მთავრობის მიერ აღიარებული სიმბოლოები, ასევე სიმბოლიკის ის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰქონის სახელმწიფო საბჭოს მიერ არის შემუშავებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გარანტორი არის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში წერია: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ**“.

ასევე საინტერესოა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-7 მუხლი - „**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოები დადგენილია კანონით**

საკითხის შესწავლისას გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე მოქმედი სიმბოლიკა ყოველთვის ასახავს იმ დროისათვის არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ მდგომარეობას. ნებისმიერი ამ კომპონენტის ცვლილება ინვევს სიმბოლიკის ცვლილებას. ამის მრავალი პრეცედენტი არსებობს და წინამდებარე სტატიაშიც მრავალად იქნება მაგალითები მოყვანილი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია მოიცავს საკუთრივ ისტორიული აფხაზეთისა და სამეგრელოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს. ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორია სრულადაა ოკუპირებული რუსეთის ფედერაციის მიერ. ომის დასრულებიდან მცირე ხანში რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთი და ე.წ. „სამხერთ ისეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთავარი ქედი, სამხრეთიდან კი შავი ზღვა ესაზღვრება. დასავლეთით ის მიდის მდინარე ფსოუმდე, რომელიც რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარია, აღმოსავლეთით კი - მდინარე ენგურამდე, სადაც გადის დღევანდველი ადმინისტრაციული საზღვარი აფხაზეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს შორის. მისი ტერიტორია 8 660 კვადრატული კილომეტრია. ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი სოხუმია.

სხვადასხვა ეპოქაში ეს საზღვრები იცვლებოდა და აფხაზეთის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილი მოიხსენიებოდა, როგორც: აბაზეთი, აფშილეთი, ჯიქეთი, ოდიში, სამეგრელო, საბედიანო. აფხაზეთის ტერიტორია მუდმივად საინტერესო იყო მოგზაურებისა და ვაჭრებისათვის, რამაც თავისი კვალი დაატყო მის ისტორიას.

ძგ. VI-IV საუკუნეებში, მაშინ როდესაც ბერძნებმა აქტიურად დაიწყეს შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია, აფხაზეთის სანაპირო ზოლზე სამი მნიშვნელოვანი ბერძნული ახალშენი დაარსდა: პიტიუნტი (ბიჭვინთა), დიოსკურია (სოხუმი) და გიერნისი (ოჩამჩირე). შემდგომ საუკუნეებში კი აქ გენუის სავაჭრო ფაქტორიები და კოლონიები წარმოიქმნა.

ჩვენი სტატიის მიზანი არ არის აფხაზეთის ისტორიის სადაც საკითხების განხილვა. ამოცანა გაცილებით მოკრძალებულია: გვსურს შევიმუშავოთ აფხაზეთის (ავტონომიური რესპუბლიკის) ტერიტორიისათვის სიმბოლოების პროექტი, რომელიც, ჰერალდიკის პრინციპებიდან გამომდინარე, მხოლოდ ისტორიული მემკვიდრეობის გათვალისწინებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, მოგვიწევს შეხება ისტორიასთან, რისთვისაც გამოვიყენებთ და განვიხილავთ სხვადასხვა წყაროს, ისტორიულ ფაქტებათუ მოვლენას.

აქვე შევნიშნავთ, რომ დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებს სიმბოლიკა, რომელიც ნაწილობრივ დაფუძნებულია ისტორიულ მემკვიდრეობასა და წყაროებზე, რაც მისასალმებელია, როგორც ერთიანი სახელმწიფო ბრივი ისტორიის პატივისცემის ნიშანი და რასაც შემდეგში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

დავით უახლოესი ისტორიიდან. 1917 წლის რევოლუციამდე რუსეთის იმპერიაში არსებობდა ჰერალდიკის საკმაოდ მდიდარი ტრადიცია, რომელიც გარკვეულნილად განსხვავდებოდა ევროპულის-გან, მაგრამ ძირითადი არსით ის იყო კლასიკური, ევროპული ჰერალდიკის ნაწილი. ასეთივე, მაგრამ გაცილებთ მცირე ტრადიციები, რა თქმა უნდა, არსებობდა საქართველოშიც. თუმცა რევოლუციის შემდეგ რუსეთში და 1921 წლის ოქტომბრის შემდეგ საქართველოშიც დამკვიდრება დაიწყო ე.ნ. საბჭოთა

ჰერალდიკურმა ტრადიციამ. ბოლშევიკებმა მთლიანად შეცვალეს მანამდე არსებული მიდგომა და საკუთარი ჰერალდიკური იერარქია შექმნეს. არსებობდა ე.წ. მთავარი, „მუშურ-გლეხური“ სიმბოლოები: ხუთქიმიანი ვარსკვლავი, გადაჯვარედინებული ოქროს ნამგალი და ურო და ალისფერი ველი (წითელი, როგორც მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ფერი), რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა სუბიექტის (მათ შორის საქართველოს სსრ) სიმბოლიკის აუცილებელ დეტალს წარმოადგენდა.

მოკავშირე რესპუბლიკების სიმბოლიკა სრულ  
შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საერთო საკავშირო  
სიმბოლოებთან. ავტონომიური რესპუბლიკების  
სიმბოლოები კი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო  
იმ მოკავშირე რესპუბლიკების სიმბოლიკასთან, რომ-  
ლის შემადგენლობაშიც შედიოდა. როგორც წესი, ავ-  
ტონომიების გერბსა და დორშაზე გვხდებოდა ად-  
გილობრივ ენებზე შესრულებული წარწერები და  
ავტონომიური რესპუბლიკების სახელწოდება. ავ-  
ტონომიურ ლქებს სიმბოლიკა არ ჰქონდათ. ასეთი  
სისტემა სიმბოლიკაში საბჭოთა ეროვნული (ეროვ-  
ნებათა) პოლიტიკის იერარქიულობისა და სუბორ-  
დინა(ჯის) გამოხატულება იყო.

ტერიტორიული სიმბოლიკის ასეთი მკაცრი იერარქია ენინააღმდეგებოდა ევროპულ მიდგომას, სადაც ყველა ქალაქს და მუნიციპალიტეტს, ზოგი-ერთ შემთხვევაში კი თემს და სოფელსაც კი, აქვს საკუთარი გერბი და დროშა. საქართველოშიც არ-სებობდა ანალოგიური ტრადიციები. არსებობდა სადროშოები, სამთავრო სათავადოები, რომელ-თაც ჰქონდათ თავისი სიმბოლიკა. ამაზე მეტყვე-ლებს ვახუშტი ბატონიშვილის ატლასზე გამოსახუ-ლი სიმბოლოები. თანამედროვე საქართველოში ეს პროცესი განვითარების სტადიაშია და ნელ-ნელა იხვეწება ჩვენი ტერიტორიული სიმბოლიკა.

თუმცა საქმე სხვაგვარად იყო 90-იანი წლე-



ର୍ବାଣ୍ଡାର ଡରମା




ର୍ବସ୍ତିଶର ଧୀରଜୀ



დაცვასტნის ასარ დროშა



ଭାରତୀୟ ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା



## ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ფრონტი



ჩრდილოეთ ოსათის  
ასარ გერძი



კარელის ასსრ დროშა  
1978 წ.



ପାଠ୍ୟକ୍ଷେତ୍ର

ბის დასაწყისში, როდესაც საბჭოური იერარქიული სიმბოლიკა სუბინდინაციასა და პრივილეგიას გამოხატავდა. ასეთმა დამოკიდებულებამ და სახელმწიფო ორგანიზაციების ხანგრძლივამ წყვეტამ დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან სამწუხარო რეალობის წინაშე დაგვაყენა. სახელმწიფო ორგანიზაციების არარსებობის პირველი შენწყდა სიმბოლიკის განვითარების ბუნებრივი პროცესი და საზოგადოებრივ აზროვნებაში საბჭოთა მიდგომამ გაიდგა ფესვი. დამოუკიდებლობის პირველი წლები აფხაზური ეროვნული მოძრაობა “აიდგილარას” მიერ აფრიალებული დროშა ქართული საზოგადოების მიერ თავიდანვე მტრულად იქნა მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის დროს თბილისში საბჭოთა სიმბოლიკის საპირისპიროდ უკვე მრავლად ფრიალებდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის, ხუთჯვრიანი თუ სხვა დროშები, ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა რეგიონალური განსხვავებული სიმბოლიკა. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ არავის მოსვლია აზრად ინფორმაცია მოეპოვებინა ე.წ. “აფხაზურ დროშაზე”, გამოეკვლია მისი წარმომავლობა და საყოველთაოდ ცნობილი გაეხადა. დღეს კი თუ ჩავულომავდებით ისტორიის ზოგიერთ საყურადღებო დეტალს, აღმოვაჩინთ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმის მიერ აღიარებული დროშა საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილია და ჩვენ, გამოუცდელობითა თუ უყურადღებობით, არა მხოლოდ უარი ვთქვით მასზე, არამედ სრულიად ნეგატიური დატვირთვა შევძინეთ. დღესაც, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის “არგუმენტები” მწვანე ფერით ისლამის გამოხატვის და აფხაზეთის მოქმედი დროშის ისლამისტური (რაც დიდი შეცდომა) ხასიათის შესახებ, წარმოადგენს “დადასტურებულ ფაქტს” და მისი რევიზია, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდ ძალისხმევასთან იქნება დაკავშირებული. ჩვენი აზრით, ამის საფუძველია შესაბამისი ცოდნისა და ინფორმაციის ნაკლებობა, რაც კიდევ უფრო აუცილებელს ხდის კონკრეტული საკითხის შესწავლის საჭიროებას.

დროშის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზეთის ტერიტორიაზე 1992-93 წლებში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებ-


მა. დროშა სეპარატისტული ძალების გამარჯვების სიმბოლოდ იქცა. საბოლოოდ კი აფხაზეთმა 1999 წლის 12 ოქტომბერს მიიღო სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც რეტროაქტიული ძალა ჰქონდა და ცნობდა დამოუკიდებლობის პერიოდს ომის დასრულებიდან მოყოლებული. რამდენიმე წელიწადში, 2008 წლის 26 აგვისტოს, აფხაზეთმა პირველი საერთაშორისო აღიარება მიიღო რუსეთის ფედერაციისგან, რასაც მოჰყვა კიდევ რამდენიმე ქვეყნის მიერ მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა. ამან შექმნა “იურიდიული” საფუძველი, სეპარატისტული რეჟიმის დროშა ამ ქვეყნებში ღიად ყოფილყო გამოყენებული. 2008 წლის შემდეგ არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც კრემლში ოფიციალურ მიღებებზე აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის დროშა რუსული დროშის გვერდით გამოიყინა.

ეს ფაქტი ქართული საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მიუღებელს ხდის აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ სიმბოლიკას. ფართოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, მიგვაჩინა, რომ აუცილებელია ეს სიმბოლიკა შევისწავლოთ, გავაანალიზოთ და გავიაზროთ მისი მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოსთვის. ვთიქრობთ, საკითხის ღრმა შესწავლის შემდეგ შესაძლებელი იქნება დღეს არაკანონიერად მოქმედი სიმბოლიკის გარკვეული დეტალები გახდეს ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის ნაწილი, როგორც ეს ხდება მუნიციპალური, საქალაქო თუ ავტონომიური წარმონაქმნების სიმბოლიკათა შემთხვევაში.

ისტორიული წყაროებისა და მასალების გაცნობამდე საჭიროა განვიხილოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე არალეგიტიმურად მოქმედი სიმბოლიკისა და ატრიბუტიკის შექმნისა და მოქმედების საფუძვლები, კანონმდებლობა, მათი შინაარსი და აღნერილობები, რათა შევძლოთ სათანადო დასკვნების გაკეთება და ჩვენი პროექტისთვის შესაბამისი საფუძველის მომზადება.

სანამ უშუალოდ გადავალთ აფხაზეთის ჰერალდიკური და ვექსილოლოგიური მემკვიდრეობის განხილვაზე, საინტერესოა მიმოვიხილოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სიმბოლიკის შექმნისა და ფართო საზოგადოების წინაშე გამოჩენის ისტორია.

### „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის აღნერა“



დროშის ზომები: სიგრძისა და სიგანის თანაფარდობა 2:1. სიგრძეზე მონაცემებით განლაგებულია შვიდი, სიგანით თანაბარი, მწვანე და თეთრი სარტყელი. მათგან ოთხი მწვანეა, სამი თეთრი. სარტყელი ინტენსიური ზედა კიდიდან - პირველი მწვანეა.

ზედამარცხნაკუთხებში(დროშის ტარისკენ) მოთავსებულია დროშის სიგრძის 0.38 და სიგანით სამი სარტყელის ტოლი წითელი ფერის მართკუთხები. მართკუთხების ცენტრში ვერტიკალურად მოთავსებულია ხელის თეთრი მტევანი, რომლის ზემოთ გამოსახულია შვიდი თეთრი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

„აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის აღნერა“



გერბი წარმოადგენს თეთრი და მწვანე ფერებით ვერტიკალურად თანაბრად გაყოფილ ფარს. გერბის კონტური და სიუჟეტური კომპოზიცია ოქროსფერია. გერბის ქვედა ნაწილში მოთავსებულია რვაქიმიანი ვარსკვლავი. გერბის ზედა ნაწილში თეთრ და მწვანე ფონზე სიმეტრიულად განლაგებულია ორი ოქროსფერი, რვაქიმიანი ვარსკვლავი.

გერბის ცენტრში მოთავსებულია მხედრის ფიგურა ჯადოსნურ მფრინავ რაშზე (არამა), რომელიც ისარს ვარსკვლავებს სტყორცნის. გერბის სიუჟეტი უკავშირდება ნართების ეპოსს. გერბის მწვანე ფერი აღნიშნავს სიცოცხლესა და ახალგაზრდობას, თეთრი – სულიერებას. დიდი, რვაქიმიანი, ოქროსფერი ვარსკვლავი – მზის, სოლარული ნიშანია. პატარა, რვაქიმიანი ვარსკვლავები აღნიშნავენ ორი კულტურული სამყაროს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთობლიობას.

გერბისა და დროშის ავტორად მხატვარი ვალერი გამგია ითვლება. (1998 წელს აფხაზურმა ფოსტამ გამოსცა მარკა გერბის გამოსახულებით). გამგიამ საკმაოდ მნიშვნელოვნი სამუშაო გასწია. უნდა ითქვას, რომ მის მიერ შემუშავებული დროშის მოდელი გარკვეულწილად შეესაბამება აფხაზეთის ტერიტორიის ისტორიულ მემკვიდრეობას და კონკრეტული წყაროები უდევს საფუძვლად, რომელთაც ქვემოთ გავაჩნობთ.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სიმბოლიკის საუკეთესო ნიმუში სოხუმის გერბია. ჰერალდიკის კანონების თვალსაზრისით, გერბი კარგად არის შესრულებული, თუმცა მეტყვიდრეობითობის პრინციპი ერთ-ერთ ნაწილში დარღვეულია (შემოტანილ უცხო სიმბოლოებს შევეხებით აფხაზეთში მოქმედი გერბის განხილვისას).



ପାଇଁବାର କରିବାରିରେ ଅନ୍ତର୍ଗତ ଦିନ

ასევე სწორ პრინციპებზეა აგებული აფხაზე-  
თის „საპრეზიდენტო“ შტანდარტიც. ის წარმოად-  
გენს დროშაზე განთავსებული გერბის გამოსახუ-  
ლებას. ასეთი მიდგომა შტანდარტის შედგენისას  
ტრადიციულია.



„აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შტანდარტი”

აფხაზეთში დღეისთვის არსებობს სამხედრო დროშაც. ის წარმოადგენს წითელი ფერის ქს-ვილს, რომელზეც გერბია გამოსახული. დროშას აფხაზურ და რუსულ ენებზე აქვს წარწერა “ჩვენი მამულისათვის”. აფხაზეთის ე.ნ. დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამხედრო დროშაზე რუსული წარწერის გაკეთება, ერთი მხრივ, რუსეთზე მკაფიო და-მოკიდებულებას მიანიშნებს, მეორე მხრივ, დე ფაქ-ტო რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის გაერთიანების სურვილით შეიძლება იყოს გამოწვე-ული. კიდევ ერთხელ უნდა დავსძინოთ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში სამართლებრივი მხარე სრულიად მიუღებელია ქართული სახელწმი-თოსთვის.



„აფხაზეთის  
სამხედრო  
დოკუმენტი”

იმისათვის, რომ სწორად შევძლოთ მოცემული ტერიტორიის სიმბოლიკის შემუშავება, საჭიროა განვიხილოთ ის ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც არსებობდა კონკრეტულად ამ ტერიტორიისათვის.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ **აფხაზეთის ჰერალდიკური მემკვიდრეობა** მეტად მცირეა და მხოლოდ ორიოდე ისტორიული წყაროთი შემოიფარგლება.

მნიშვნელოვანი წყაროა ბატონიშვილ ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წელს შედგენილი კავკასიის ატლასი და მასზე გამოსახული საქართველოს და კავკასიის მხარეთა გერბების კრებული. ერთ-ერთი მათგანია აფხაზეთის გერბი:



აფხაზეთის გერბი. ვახუშტი ბატონიშვილი

მწვანე (ზურმუხტოვან) ველზე გამოსახულია თეთრი (ვერცხლის) ვაცი, მის ზევით კი სამი ნახევარმთვარის ცვითელი (ოქროს) ნიშანი.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დანატოვარ ჰერალდიკურ მემკვიდრეობამდე არ მოგვეპოვება ჩვენთვის ცნობილი არცერთი ჰერალდიკური ნიშანი, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიას გამოსახავდეს. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დატოვებულ აფხაზეთის გერბზე კი მთავარ ფიგურად ვაცი ფიქ-სირდება. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ცენტრი წყარო აფხაზეთის ახალი გერბის შექმნისას საერთოდ არ გამოუყენებიათ. როგორც ჩანს, იგი მისი ქართული წარმომავლობის გამო იქნა იგნორებული.



ოვსეთის გერბი. ვახუშტი ბატონიშვილი

უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავებულად მოიქცნენ ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიას წარმომადგენლები. ვახუშტის მიერ ოვსეთის გერბად მოხსენიებული გამოსახულება იქცა ძირითად წყაროდ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისთვის. მოგვიანებით, “სამხრეთ ოსეთის” სეპარატისტული რესპუბლიკის გერბიც მის მიხედვით იქნა შეცვლილი, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომაა და მიუღებელია. ვახუშტის ცენტრულ გეოგრაფიაში რუკაზე მითითებული “ოვსეთი” ჩრდილოეთკავკასიაშია.

რა თქმა უნდა, გერბიც და მთავარი საგერბე - ფიგურაც - მთის ჯიქიც მათ ეკუთვნოდა. ეს საკითხი ცალკე განხილვის თემაა და მომავალ სტატიებში აუცილებლად დავუბრუნდებით.




ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის გერბი

საინტერესოა, რომ ხუნძების (დაღესტანი) ნაციონალური სიმბოლოც ვახუშტის ცენტრულ მემკვიდრეობაზეა დაფუძნებული.



დაღესტნის გერბი. ვახუშტი ბატონიშვილი



ხუნძების ეროვნული სიმბოლო

უმნიშვნელოვანეს სიმბოლოს აფხაზეთის ტერი-  
ტორიისათვის წარმოადგენს დიოსკურების სიმბო-  
ლო, რაც დაკავშირებულია ტერიტორიის ცენტრის  
სახელთან - დიოსკურიასთან.

ქალაქი დიოსკურია შავი ზღვის სანაპიროზე  
დიდი ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში (ძვ.წ.  
VI-IV სს.), დაარსდა. 1 საუკუნის ბერძენი გეოგრაფი  
სტრაპონი მასზე საუბრისას ხაზს უსვამს, რომ ქა-  
ლაქი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო, სადაც  
70-ზე მეტი ეროვნების ადამიანი იყრიდა თავს. რამ  
გამოიწვია ქალაქის მნიშვნელობის დაკინიხება ცნო-  
ბილი არ არის, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ იმა-  
ვე ადგილზე ქალაქი ცხუმი (შემდგომში სოხუმი)  
აღმოცენდა. ეს ადგილი ყოველთვის წარმოადგენ-  
და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის პოლი-  
ტიკურ, კულტურულ და სავაჭრო ცენტრს, მიუხე-  
დავად იმისა, რა სახელს ატარებდა ქალაქი და იმ-  
დენად დიდი იყო მისი პოლიტიკური გავლენა, რომ  
ვინც ფლობდა ამ გეოგრაფიულ პუნქტს, ის ფლობ-  
და მთელ აფხაზეთსაც.

ქალაქის თავდაპირველი სახელი ლეგენდარულ  
ტყუპ ძმებს - დიოსკურებს უკავშირდება. ჰესიო-  
დე მოგვითხრობს, რომ ზევსი გედის სახით გამო-  
ეცხადა ევროტში მოპანავე ეტოლის მეფის ასულ  
ლედას. ზევსთან კავშირის შემდეგ ლედამ კვერცხი  
დადო, საიდანაც ბუმბერაზი ტყუპი ძმები კასტორი  
და პოლიდევკე იშვინენ. კასტორსა და პოლიდევკეს  
დიდიმებად და ტინდარიდებადაც მოიხსენებენ, ვი-  
ნაიდან ჰომეროსი მათ ტინდარევსის შვილებად მი-  
იჩნევს.

სხვადასხვა მითებით ცნობილია, რომ ძმებმა რამდენიმე გმირობა ჩაიდინეს. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ორივე მათგანი არგოს ექ-სპედიციის წევრი იყო. შესაძლოა სწორედ ამიტომ უნდა მავიზღვისპირეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კოლონიას მათი სახელი.

დიოსკურების პირველი სიმბოლური გამოსახულება გვხვდება ძ.წ. II საუკუნის ბოლოს მოჭრილ სპილენის მონეტაზე. მონეტის ავერსზე გამოსახულია ორი ქუდი, ექვს და რვაქიმიანი ვარსკვლავებით. რევერსზე გამოსახულია კვერთხი და ბერძნული წარწერა “დიოსკურიადოს”.



სოსუმი აღმოჩენილი მოხდა. ავერსზე გამოსახულია  
დიონსურები

დიოსკურების ემბლემა, ლაფვარდის ველზე ორი ოქროს ბეჭნული პილოსი (თექის ქუდი), დაგვირგვიგვინებული ოქროს რვაქიმიანი ვარსკვლავებით, გამოსახული იყო შერვაშიძეთა (ჩაჩბა) გერბზე (აფხაზეთის მთავრები). გერბი ოფიციალურად დამტკიცდა 1895 წლის 25 ოქტომბერს. შერვაშიძეთა დინასტია აფხაზეთს XI საუკუნიდან 1863 წლამდე განაგებდა. 1863 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა უკანასკნელი ქართული პოლიტიკური ერთეული - აფხაზეთის სამთავრო.



## შერვაპირატა საგვარეულო გერბი

საევე ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ დღე-ვანდელი აფხაზეთის ტერიტორია მოიცავს ისტო-რიული ოდიშის ნაწილს. ოდიში ანუ სამეგრელო ძევ-ლი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც გააჩნია მსოფლიო მასშტაბით ცნობილი და მნიშვნელოვანი სიმბოლო - ოქროს საწმისი. შე-საძლებლად მიგვაჩნია, რომ თანამედროვე აფხაზე-თის გერბზე გარკვეული ფორმით აისახოს ოქროს საწმისი. ოქროს საწმისის სიმბოლოს განმარტებასა და მის მნიშვნელობაზე საუბარს არ გავაგრძელებთ. მიგვაჩნია, რომ ის საყოველთაოდაა (კობილი).



დადიანების საგვარეულო გერბი

საინტერესოა რუსეთის იმპერიის ყუბანის მხარეში შემავალი პორტის, სოხუმ-კალესთვის შემუშავებული გერბის პროექტიც, რომელიც არ დაუმტკიცებიათ.



სოხუმის პორტის გერბი

აუცილებელია განვიხილოთ საბჭოთა ჰერალდიკური მემკვიდრეობა, პერიოდი, როდესაც ამ ტერიტორიაზე 1921 წლის ბოლშევიკური ანექსიის შედეგად საოცუპაციო ხელისუფლებისა და ბოლშევიკური რუსეთის მიერ შეიქმნა ფსევდო სახელმწიფოებრივი ნარმონაქმნი - "აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", რომელმაც გააფორმა სამოკავშირო ხელშეკრულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან და მასთან ერთად შევიდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. ეს პოლიტიკური ცვლილება მაშინვე აისახა სიმბოლიკაზე.



1921 წელი

1925 წელს საერთო აფხაზურმა ყრილობამ მიღო აფხაზეთის კონსტიტუცია, რომლის 115-ე მუხლში განსაზღვრულია რესპუბლიკის გერბის აღწერილობა.



1925 წელი

ასე გაგრძელდა 1931 წლამდე ანუ იქამდე, სანამ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შევიდოდა ავტონომიის სახით. 1931 წლიდან, არსებული წესის გათვალისწინებით, ავტონომიის გერბი გახდა მოკავშირე რესპუბლიკის გერბი აფხაზური ნარჩერით.

პარალელურად მიმდინარეობდა საყურადღებო კულტურული ცვლილებები. რამდენჯერმე შეიცვალა აფხაზური დამწერლობა. პირველი იყო რუსული კირილიცა, შემდეგ - ლათინური, ქართული მხედრული და ბოლოს კვლავ კირილიცა. ასევე იცვლებოდა გერბზე აფხაზური ნარჩერები და ეს ყოველთვის ფორმდებოდა სამართლებრივად.

1931 წლის 11 თებერვალს აფხაზეთის სსრ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება. შეიცვალა ტერიტორიის სტატუსი და გახდა ავტონომიური სსრ საქართველოს სსრ შემადგენლობაში.



1931 წელი

1937 წლის კონსტიტუციით აფხაზეთის ასსრ გერბი გახდა საქართველოს სსრ-ის გერბი და დაემატა დევიზი აფხაზურ ენაზე. 1938 წელს აფხაზური დამწერლობა ლათინურიდან ქართულ შრიფტზე გადავიდა. შესაბამისად, განხორციელდა ცვლილება გერბშიც.



1938 წელი

1954 წელს გერბმა კიდევ ერთი ცვლილება განიცადა, რისი მიზეზიც აფხაზური ანბანის კირილიცაზე გადასვლა იყო.



1954 წელი

1978 წელს, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, აფხაზეთის ასსრ გერბზე გაჩნდა წარწერა ქართულ და აფხაზურ ენებზე - “აფხაზეთის ასსრ”.



1978 ၄၁ၪၦ

ნარმოდგენილი ნიმუშების განხილვა და შედარება ისტორიულ მასალებთან საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ ანალიზი აფხაზეთში უკანონოდ მოქმედი გერბის შესახებ. ვინაიდან არცერთ ისტორიულ წყაროში არ გვხვდება მხედრის ფიგურა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავტორებმა სიმბოლოდ აიღეს რუსეთის იმპერიის დიდ გერბზე დაფიქსირებული ივერიის სამეფოს გერბის ფარის ის ნაწილი, რომელზეც მხედრის ფიგურაა გამოსახული და, რომელიც შემდენაირად არის აღნერილი: “ოქროს დაბოლოებაში — ჩერქეზ და მთიელ თავადთა გერბი: გაჭენებულ სევადის ცხენზე ჩერქეზი, ვერცხლის აღჭურვილობით, მენამულ ტანსაცმელში და ბერვის სევადის მოსასხამით; მხედარს მარჯვენა მხარზე სევადის შუბი აქვს გადებული”. (თ. ასათიანი; ქართული გერბთმცოდნეობა). როგორც აღნერილობიდან ჩანს, მხედარი ნარმოადგენს მთიელ ხალხთა სიმბოლოს ანუ მოიცავს ჩრდილო კავკასიის გარკვეულ ნაწილს, ამიტომ არ შეესაბამება არც აფხაზეთის და არც სოხუმის გერბს (სოხუმის გერბის ფარის მესამე ნაწილში მენამულ ველზე ოქრო მხედარია გამოსახული).

ვფიქრობთ, ეს არის სწორედ იმ პოლიტიკური  
და სოციალური ქვების რეალური ასახვის მცდე-  
ლობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე მოხდა ბოლო  
3-4 საუკუნის განმავლობაში: ეთნიკური ცვლილე-  
ბები, ქართული ფერდალური და სოციალური სის-  
ტემის გამოდევნა და სამეურნეო-ეკონომიკური  
ცვლილებები.


გერბი ჰერალდიკის თვალსაზრისითაც გაუმართავია. მთავარი შეცდომა ისაა, რომ ხდება მთავარი წესის, ოქროს და ვერცხლის გამოყენების დარღვევა; (ვერცხლის ველზე ოქროს ფიგურებია გამოსახული, რაც დაუმტკიცებულია).

ყუველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ტერიტორიისათვის, ისტორიულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, შესაძლებელია შეირჩეს შემდეგი სიმბოლოები: დიოსკურების ორი ოქროს ქუდი - დაგვირგვინებული ორი ოქროს რვაჯიმიანი ვარსკვლავით, ვერცხლის ვაცი - სამი ოქროს ნახევარმთვარით, ლაჟვარდოვან ველზე - ოქროს საწმისი. თუ გავიხსენებთ, რომ ჰერალდიკაში შესაძლებელია გერქისლოლოგიური ტრადიციის გამო-

ყენებაც, მაშინ ეს შეიძლება იყოს მონაცვლეობითი ზურმუხტის (მწვანე) და ვერცხლის (თეთრი) სარტყელი. ზურმუხტის ველი ამ შემთხვევაში ვახუშტისეულ ტრადიციას გადმოსცემს. რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხულია ბოლშევიკურ ტრადიციებზე დაყრდნობა.

აფხაზეთის ვექსილოლოგიური მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს შუასაუკუნეების ევროპული სავაჭრო-საზღვაო რუკები (პორტოლანები), რომლებზეც ხშირად გვხვდება სოხუმის ნავსადგური, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. დღევნადელი სოხუმი ევროპულ პორტოლანებზე სხვადასხვა სახელით გვხდება: შებასტოპოლის, შავასტოპოლი, შაუსტოპოლი. კარტოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით შევიძლია დავადგინოთ, როგორი სიმბოლიკა მოქმედებდა ტერიტორიაზე და როგორ იცვლებოდა ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.


პირველი ვექსილოლოგიური ნიმუში ჩნდება XIV საუკუნეში, პეტრო ვისკონტეს ატლასში – პორტოლანზე. დროშას აქვს სამი მართვულთხა კუნუბი. მასზე გამოსახულია ნითელი ჯვარი თეთრ ფონზე, რომელიც კვეთს კიდეებს. დროშაზე გვხვდება ოთხი ნითელი წრე. კომპოზიცია წააგავს ხუთჯვრიან დროშას და სიმბოლურად იმავეს გამოხატავს.




პირველი ვისკონტის 1321 წლის პორტოლანი

სამი საუკუნის განმავლობაში ინტენსიურად იქმნებოდა პორტოლანები, რომლებზეც დატანილი იყო საზღვაო გზები და ძირითადი პორტები მთელი ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზში.

ნარმოდგენილი ნიმუშები შეგვიძლია დავაჯგუ-  
ფოთ ტიპოლოგიურად და თარიღების მიხედვით. თი-  
თოველის განხილვა (კალვი კვლევის თემაა.



1329-1350 წ. ანჯელინო დულჩირის პორტოლანი დიდი  
ბრიტანეთის სამეცნ პიგლიოთება




1339 წ. ანჯელინო დულჩირის პორტოლანი  
750X1020 მმ.



ფრანჩესკო და ფონდენო პიგლიოთების პორტოლანი.  
აპრელის პიგლიოთება აპლატინა 87X128 სმ.



1385 გულევ სოლერის პორტოლანი (გავი ზღვა).  
აპრილის ნაციონალური პიგლიოთება 1020X650 მმ.



1439 წ. გაპრივ დე ვალსეკას პორტოლანი



1559 წ. დიეგო პომარის პორტოლანი (გავი ზღვა)  
აპრილის ნაციონალური პიგლიოთება. 101,5X147. სმ.  
კატალოგის ეროვნული პიგლიოთებაში.

მოძიებული მასალები საოცარი სიზუსტით ემ-  
თხვევა იმდროინდელ საქართველოსა და კავკასიაში  
განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს. აღნიშნუ-  
ლი ნიმუშები საფუძვლად უდევს აფხაზეთში მოქმედ  
დროშას და ასევე პირდაპირი წყაროა ჩევნი პროექ-

ციაა, მეორე - თეთრ-მწვანე ირიბი ზოლები. ასეთი ტიპის შედგენილი დროშები, როგორც წესი, დამოკიდებულ ტერიტორიებს გამოსახავს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადგილი აქვს (კენტრალური (სუვერენის) და ადგილობრივი ფე-

<p>ტფილის Tiflis</p>	 	<p>1339      1367</p>	
<p>ცენტრ (სოცენტრ) Seuastopoli</p>		<p>1321 1327      1330      1339 1350      1340      1385</p>	
		<p>1428</p>	

ନିର୍ମାଣିତ ପାଇଁ ଏହା କାମକାଳୀ ବିଶ୍ଵାସିତ କାମକାଳୀ କାମକାଳୀ କାମକାଳୀ କାମକାଳୀ କାମକାଳୀ

ପ୍ରକାଶକାଳୀନ

შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე პირობითი ჯგუფი: 1. ხუთჯვრიანი კომპოზიცია; 2. მწვანე და ოეთრი მონაცემები ირჩიბი ზოლები (სარტყელი); 3. განსხვავებული სიმბოლოები.

სანამ თითოეული ჯგუფის განხილვაზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ სტატიაში შეუძლებელია წარმოდგენილი მასალის დეტალური ანალიზი. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის მოცემულობას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონობ მოქმედი ოროშა და გარბი.


პორტოლანების მრავალრიცხოვანი მასალიდან ზემოთ წარმოგიდგინეთ რამდენიმე ნიმუში, რომელიც მოპოვებული იქნა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ.

განსაკუთრებული ინტერესს იწვევს XIV საუკუნის პორტოლანები. ესაა გიორგი V-ის (ბრწყინვალე) მეფობის ხანა - პერიოდი, როდესაც საქართველო განთავისუფლდა მონღოლთა ბატონობისაგან და გაერთიანდა. დასავლეთ საქართველოს შემოერთების შედეგად, ქვეყანამ მოიპოვა ზღვაზე გასასვლელი, რის შემდეგაც ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში მყოფი პორტები დასავლეთ ევროპილი კარტოგრაფიბის რუკის ზეა.

ანჯელინო დულჩერის 1339 წლის პორტოლანზე თბილისის თავზე ხუთჯვრიანი დროშაა გამოსახული. სოხუმის (შებასტოპოლის) თავზე გვხვდება დროშა, რომელიც ორი ნანილისგან შედგება. მისი პირველი ნანილი წითელი ხუთჯვრიანი კომპოზი-

ოდალის სიმბოლოთა გაერთიანებას, სადაც პრიო-  
რიტეტული მდგომარეობა თბილისის თავზე აფრი-  
ალებულ ხუთჯვრიან დროშას ენიჭება. ზოგადად,  
ხუთჯვრიანი სიმბოლო ჰერალდიკაში მაცხოვრისა  
და ოთხი მახარობლის გამომხატველია.

რა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ რუკებზე ადგილობრივი სიმბოლიკაა გამოსახული? სხვადასხვა ავტორის პორტოლანებზე გვხვდება ისეთი სიმბოლოები, რომლებიც კონკრეტულ ტერიტორიებზე რუკების შექმნის მომენტში გამოიყენებოდა. ამის მაგალითია ტრაპიზონის იმპერია, ბიზანტიის იმპერია, გენუის რესპუბლიკა, ფლანდრია, უნგრეთი და სხვა ევროპული ტერიტორიები. გარკვეულ შემთხვევებში ეს სიმბოლიკა დღესაც მოქმედიას. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუკის




### ტრანზისტორის ღმერთის დროშა

ନୀତିବାନ୍ତିରେ, ଉଦ୍‌ଘାରେ, ଫର୍ମରେ

1321 ტ. პიეტრო ვისკონტეს პორტოლანი. დიდი  
ბრიტანეთის სახელმ გაზღიურება

ავტორები სწორედ ტერიტორიებთან ასოცირებულ სიმბოლოებს გამოხატავდნენ.



1329-50 წ. ანჯელიონ დულჩერის პორტოლანი. დიჭი პრინციპის სახით განვითარება

ნიშანდობლივია, რომ ხუთჯვრიანი სიმბოლო საკმაოდ გავრცელებული იყო შუა საუკუნეების საქართველოში. ის გამოსახულია თამარ მეფის მონეტაზე, ასევე გვხვდება ხუროთმოძღვრებაში დეკორის სახით, ეთნოგრაფიულ ყოფაში და ა.შ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ არსებობს რუკები, რომლებზეც ცხუმის თავზე მხოლოდ ერთჯვრიანი დროშებია გამოსახული.



ჩხერის ეკლესიის  
ხარების ფაზე  
საუკუნე




თამარის მონეტა  
XII-XIII საუკუნე




სკრიპტოგრამა  
შატილი, ხევსურეთი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოა წითელ ველზე გამოსახული ვერცხლის ხელის მტევანი. ხელი სამეფო ძალაუფლებისა და ერთგულების სიმბოლოა. 1340 წლით დათარიღებულ ფრანცისკანელი ბერის ატლასში დაფიქსირებულია დროშა ხელის გამოსახულებით, რომელსაც მიწერილი აქვს “საუასკო” (მაუასკო), რაც აღქმული იყო, როგორც სებასტიონილისი.



აფხაზეთის აღმნიშვნელი  
სიმბოლო ფრანცისკანელი  
ბერის ატლასიდან 1340 წ.

მეცნიერთა ნაწილი ამ მოსაზრებას სკეპტიკულად უყურებს და ამტკიცებს, რომ გამოსახულება ანალოგიური სახელის მქონე სხვა ქალაქის აღმნიშვნელია. ამის საპირისპიროდ შეგვიძლია მოვიყვანოთ გაბრიელ ვალსეკას 1385 წლის პორტოლანი, რომელზეც ამ სიმბოლოთი ცხუმია აღნიშნული. ასევე გვაქვს პირველადი ინფორმაცია და ვანარმოებთ იბრაჟიმ ჰაკის 1336 წლის კრებულის ძიებას სტამბოლის სამხედრო არქივში. კრებულში მოყვანილია დროშის ესკიზი განმარტებით - ”წითელ ფონზე მოსეს ხელი” და მინიშნებულია, რომ იგი არის საქართველოს (ურცუსტან) აღმნიშვნელი. რა თქმა უნდა, ეს მასალა ჯერ დამატებით კვლევას საჭიროებს.



საქართველოს დროშა  
იბრაჟიმ ჰაკის  
მიხედვით; სტამბოლი

ხელის სიმბოლიკა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ის ძალიან ხშირად გვხვდება საქართველოს მთიანეთში - სვანეთსა და ხევსურეთში.



ხესაურის მაცხოვრის  
ეკლესია, X საუკუნე,  
ზემო სვანეთი



სკრიპტოგრამა  
შატილი, ხევსურეთი




ციცერის მაცხოვრის  
ეკლესია XI-XII ს. სვანეთი

Սայարտակական օսկորովով պարագաների պահպանը և օպերատորների պահպանը կազմությունների համար առաջարկություն է հանդիսանում:



Հայատական օպերատոր

Մայնական առաջարկությունը պահպանը կազմությունների համար առաջարկություն է հանդիսանում:



Մայնական առաջարկությունը պահպանը կազմությունների համար



Առաջարկությունը (Բարեկարգության համար) պահպանը կազմությունների համար

Առաջարկությունը պահպանը կազմությունների համար առաջարկություն է հանդիսանում:

Առաջարկությունը պահպանը կազմությունների համար առաջարկություն է հանդիսանում:

1989 թվականին Հայաստանու Հանրապետության կազմությունների համար առաջարկությունը պահպանը կազմությունների համար առաջարկություն է հանդիսանում:



Կազմական առաջարկությունը պահպանը կազմությունների համար

XV սայսպես առաջարկությունը պահպանը կազմությունների համար առաջարկություն է հանդիսանում:

XVI սայսպես առաջարկությունը պահպանը կազմությունների համար առաջարկություն է հանդիսանում:

Կազմական առաջարկությունը պահպանը կազմությունների համար առաջարկություն է հանդիսանում:

Հայաստանի Հանրապետության պահպանը կազմությունների համար առաջարկություն է հանդիսանում:

ვება არნაირი ინფორმაცია იმ პერიოდში დროშების არსებობის შესახებ. სავარაუდოა, რომ XIX საუკუნის ბოლოს აქ მხოლოდ რუსეთის იმპერიის დროშა ფრიალებდა.

საბჭოთა ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ნარმოქმნილი აფხაზეთის სსრ და შემდგომში აფხაზეთის ასსრ დროშები იცვლება ისეთივე ქრონოლოგით, როგორც ეს ხდებოდა გერბების შემთხვევაში. ამის გამო, მხოლოდ დროშათა წარმოდგენით შემოვიყარგლებით, რომლებიც არც მხატვრული და არც სხვა ღირებულებით არ გამოირჩევა და მხო-

შეარჩიეს და ე.ნ. "მზიური" აფხაზეთის დროშა შექმნეს.

ვექსილოლოგიური ისტორიული წყაროების მიმოხილვიდან გამომდინარე და ჰერალდიკაში უმნიშვნელოვანეს მემკვიდრეობის პრინციპზე დაყრდნობით, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომლის საფუძველზე უნდა შეირჩეს ის სიმბოლოები, რომლებსაც დაეფუძნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მომავალი სიმბოლიკა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს სიმბოლოები შეიძლება იყოს:

### აფხაზეთის დროშები საბჭოთა პერიოდი




1925



1937



1937



1956



1978



1989

ლოდ ისტორიული, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ასახვის თვალსაზრისითაა საინტერესო.

1989 წლის დროშა განსაკუთრებით საინტერესოა. იმ დროს აფხაზეთის ხელისუფლებას ახალი კონიუნქტურა მიანიშნებდა, რომ კომუნისტური იდეოლოგია და მისი სიმბოლიკა (ნამგალი და ურო) უკვე აღარ იყო აქტუალური, მაგრამ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაც ვერ მიიღეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩატარებულ რეფერენდუმში საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას დაუჭირეს მხარი. ამიტომ, დროშის ფერი კვლავ წითელი, ალისფერი

1. ხუთი წითელი ჯვარი, როგორც ერთიანი საკართველოს სიმბოლო. შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ ერთი ჯვარიც.

2. მონაცვლეობით მწვანე და თეთრი სარტყელი, როგორც რეგიონალური სიმბოლო (აფხაზეთი/ოდიში).

3. წითელ ველზე ვერცხლის ხელი. ეს სიმბოლო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება და, როგორც ჩანს, არ წარმოადგენს დომინანტურს ამ ტერიტორიისათვის. ვფიქრობთ, რომ აფხაზეთის შიდა ტერიტორიულ სიმბოლიკაში მისი გამოყენება მისა-


ლები იქნება (ვთქვათ ქ. სოხუმის გერბში).

რა თქმა უნდა, იდეოლოგიზმირებული საპჭო-  
თა სიმბოლიკის გამოყენება ამ შემთხვევაშიც და-  
უშვებლად მიგვაჩინია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლიკის პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2000 წელს ჰერალდიკის ასოციაციაში დაიწყო (ავტორი მ. გონგაძე). ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული პროექტი შეესაბამება აფხაზეთის, როგორც ისტორიულ ნარსულს, ასევე თანამედროვე ვითარებას. ამავე დროს, ვფიქრობდით, რომ მისაღები იქნებოდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისათვის. 2000 წლის შემდეგ მოვიპოვეთ მრავალი წყარო, რომელ-თაც კიდევ უფრო დაგვარწმუნებს ჩვენი არჩევანის სისწორეში.

სანამ წარმოგიდგენთ პროექტებს, გვინდა ალვ-ნიშნოთ, რომ საქართველოში უკვე არსებობს ავ-ტონომიური რესპუბლიკის სიმბოლიკის შემუშა-ვების გამოცდილება. 2004 წლის 6 მაისს აჭარაში ხელისუფლების ცვლილების შემდევ დღის წესრიგ-ში დადგა მისი სიმბოლიკის ცვლილების საკითხი. ძველი, ადგილობრივი პარტიული სულისკვეთებით შედგენილი სიმბოლიკა მიუღებელი იყო როგორც ჰერალდიკური, ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზ-რისით. აჭარის სიმბოლიკაზე (ავტორი მ. გონგაძე)

## აზარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმართლეში



ପ୍ରକାଶକ



၁၃

მუშაობისას გასათვალისწინებელი იყო არაერთი დეტალი, რომლებზეც ვრცლად არ შევჩერდებით. საბოლოოდ არჩევანი დღეისთვის არსებულ დროშა-სა და გერბზე შეჩერდა, რომელიც, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს ტერიტორიის ისტორიულ კუთვნილებას და, ამავე დროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლიკის პროექტან ერთად ქმნის ერთიანი სახელმწიფოს ჰერალდიკურ ტრადიციას და ავტონომიური რეგიონების ინდივიდუალურობის გამოძხაურებას.

აჭარის გერბზე გამოსახულია საქართველოს გერბის მთავარი ფიგურა წმ. გიორგი. ეს გადაწყვეტილება მომდინარეობს აჭარის კონსტიტუციიდან. თუმცა, ჩვენ მივიჩნევდით, რომ ეს არ იყო აუცილებელი პირობა. ვფიქრობთ, რომ აჭარის დროშის ეს ვერსია, რომელიც იქნა შერჩეული, თავისი მხატვრული და ისტორიული ღირებულებით ჩამოუვარდება ჩვენ მიერვე შეთავაზებული ძეგლი ვერსიის.

ჩვენი პროექტის წარმოდგენამდე გვსურს ორი-ოდე სიტყვით შევეხოთ ოკუპარებულ ტერიტორია-ზე მოქმედ „სახელმწიფო დროშას“.


როგორც აღვნიშნეთ, დროშა, გარკვეულწილად, აგებულია ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. თუმცა, დროშა ასეთი სახით ისტორიის არცერთ ეტაპზე არ ყოფილა ფიქსირებული და წარმოადგენს რამდენიმე წყაროს კომპოზიტს. ასევე სრულიად გაუკებარია, საიდან გაჩნდა შვიდი თეთრი (ვერცხლის), ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც თთქმისადა გამოხატავს აფხაზეთის შვიდ თემს (კუთხეს).

ჩვენ მიერ შემუშავებული დროშის პროექტი ასეთი სახით (მცირე სხვაობით) მთელი სამი საუკუნის განმავლობაში ფიქსირდება აფხაზეთის ტერიტორიის აღსანიშნავად. ჩვენი დროშის პროექტის პროპორციები ეფუძნება საქართველოს სახელმწიფო დროშის და მუნიციპალური დროშების პროპორციებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის 27 იანვარს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოეწყო ლონისძიება, მრავალმხრივი აქცია, სახელმძღვანელოთ - “История флага - путь страны”. ეს გამოფენა და აფხაზეთის მცხოვრებთა დამოკიდებულება ამ სიმბოლიკისადმი იმედს გვისახვს, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული პროექტები არამარტო დევნილობა-ში მყოფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლიკის სტატუსს შეიძენს, არამედ კუთვნილ ადგილს დაიკავებენ აფხაზეთის ტერიტორიაზეც.


შესაძლოა ჩვენი შემოთავაზება დისკუსიისა და მოლაპარაკების საგნად იქცეს. არ გამოვრიცხავთ, გაჩნდეს უამრავი განხვავებული მოსაზრება, თუმცა სიმბოლიკის შემუშავება ცოცხალი პროცესია და მზად ვართ ყველა გონივრული წინადაღების განსახილველად. ჩვენი საბოლოო მიზანია შეიქმნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლიკა, რომელიც ენგურის ორივე მხარეს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, იწნება მისაღები.

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის პროექტი




**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა**  
წარმოადგენს ქსოვილს პროპორციით 2/3, რომელიც  
გაყოფილია ორ ნაწილად: პირველ ნაწილში ვერტიკალურად  
გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა. დროშის  
მეორე ნაწილს გაჰქვეთს შვიდი ჰორიზონტალური ზოლი,  
სისქით დროშის ქსოვილის სიმაღლის 1/7; იწყება ზევიდან  
1-3-5-7 ზოლი ზურმუხტის ფერია (მწვანე-თავისუფლება,  
იმედი, ზემი, სიხარული, ლხინი), 2-4-6 ზოლი კი ვერცხლია  
(თეთრი-კეთილშობილება, უბინება, სიწმინდე, სიბრძნე).

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის პროექტები



ვარიანტი I



ვარიანტი II



ვარიანტი III

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი I

წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს. ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად: პირველ ნაწილში მენამულ ველზე (წითელი - სიმამაცე, გამბედაობა, ვაჟკაცოვანება, სამართლიანობა, სიყვარული) ვერცხლის მხედარია (წმ გიორგი, საქართველოს სახელმწიფო გერბის დეტალი - მთავარი ფიგურა); მეორე და მესამე ნაწილზე, ზურმუხტოვან ველზე, ჰორიზონტალურად სამი ვერცხლის სარტყელია გამოსახული. ლაჟვარდოვან მეოთხე ლურჯ ნაწილზე (ლურჯი - ერთგულება, დიდება, პატიოსნება, ღირსება, გულახდოლობა, სიუხვე - ზღვა) გამოსახულია ორი ოქროს თექის ქუდი, რომელთაგან ორივე თითო რვაქიმიანი ვარსკვლავით არის დაგვირგვინებული.

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი II

პირველ ნაწილში მენამულ ველზე ვერცხლის ხელი.

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი III

პირველ ნაწილში ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ოქროს საწმისი.

მამუკა გონგაძე  
**Mamuka Gongadze**

ჯოვანი მრლაძეის ნახატი „სიმონი პრინცი საქართველოდან“

სპორტის I-ის უცნობი აღმოჩენების გამოსახულებისა და საქართველოს შესახებ ძლიერებული ცენტრის გენერაციული მოწოდების სამიზნები

ჯოვანი ორლანდის მიერ შესრულებული სურა-  
თი, სახელწოდებით, „სიმონი პრინცი საქართველო-  
დან“ ან „სიმონი ქართველი პრინცი“ (Simeon prenci-  
pe de Giorgiani), დაცულია ვატიკანის ბიბლიოთეკის  
(Biblioteca Apostolica Vaticana) ფონდებში. ამ რამდე-  
ნიმე ხნის წინ იგი განთავსდა ბიბლიოთეკის ელექტ-  
რონულ კატალოგში, სადაც იგი ნებისმიერ დაინტე-  
რისებულ პირს შეუძლია იხილოს [1].

სურათზე გამოსახული ადამიანის პორტრეტი მაღალ დონეზეა შესრულებული. ყურადღებას იქ-ცევს სამოსი, თავსაბურავი, კვერთხი, რომელიც სვიმონს ხელში უჰყრია და პორტრეტის მარჯვნივ გამოსახული ციხიანი სპილო. სურათს ლათინური წარწერა აქვს: "Simeon prencipe de Giorgiani", "Joan Orlandi Forma in Roma". (სურ. 1)

როგორც სურათზე გაკეთებული ნარჩერიდან ირკვევა, იგი შესრულებულია 1590-1640 წლებს შორის. მისი ავტორი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არის ჯოვანი ორლანდი, რომელიც იტალიაში XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. იგი თავისი დროის ერთ-ერთი ცნობილი გამომცემელი და გრავიორი იყო [2]. შესრულებული აქვს მრავალი პორტრეტული გამოსახულება [3]. ორლანდი კარტოგრაფითაც ყოფილა გატაცებული, შემორჩენილია მის მიერ მაღალ დონეზე შესრულებული რუკები [4].

დღემდე მეფე სვიმონის პორტრეტული გამოსახულება ცნობილი იყო მხოლოდ დომინიკუს კუსტოსის [5] (ცნობილი ალბომიდან (*Atrium heroicum Caesarum*) (სურ. 2, 3).

დღმინიკუს კუსტონი, ფლამანდრიელი მხატვარი და გრავიორი, ჯოვანი ორლანდის თანამედროვე იყო. კუსტონი საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის, რუდოლფ II-ის (1576-1612 წწ.) კარზე მოლვანეობდა.

აღნიშვნული აღდომი კუსტომსა 1602-1604 წლებში აუგსბურგში (ბავარია) ოთხ ნაწილად გამოაქვეყნა. კრებული შედგეპა 171 პორტრეტისაგან, მცირე განმარტებებით.

მასში შესულია დასავლეთ ევროპის და აღმო-სავლეთის ქვეყნების სახელმწიფოთა მმართველები, დიდებულები, წარჩინებულთა ცნობილი სახე-ები, სამხედრო ხელმძღვანელები და XVI საუკუნის გავლენიანი ვაჭრები. ალბომი იმ დროისთვის წარ-მოადგენდა თანამედროვე „ვინ ვინ არის“ მსგავს კრებულს [6].

აქვე შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რომელია პირველი და რომელი გადახატული?



1. ՀՐԱՅԻՆ ՊՐՈՎԵՆԴՈ - ՏՈԹՄԻՆ ԿՐՈՅՑՈ ՏԱԿԱՐՄՈՅԼՈՒՐ

გასათვალისწინებელია, რომ კუსტონის წიგნი დაბეჭდილია 1602-1604 წლებში. სურათი, რა თქმა უნდა, უფრო ადრე იქნებოდა შექმნილი.



## 2. კუსტომს დომინიკუსის ალბომის გარეპანი

### 3. სიმონ გევარა პორტრეტი

თვითონ კუსტოსი 1612 წელს გარდაიცვალა. ჯოვანი ორლანდის „სიმონი პრინცი საქართველოდან“ შესრულებული უნდა იყოს კუსტოსის ალბომში დაცული პორტრეტის მიხედვით, ალბომის გამოსვლის შემდეგ, სურათზე გაკეთებული წარწერის თანახმად, 1640 წლამდე.

სვიმონის პოპულარობა დასავლურ კათოლიკურ სამყაროში აღმატებით მის მიერ ირანის და, განსაკუთრებით კი, ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებმა გამოიწვია. ცნობილია, რომ ოსმალებისგან საფრთხეს დასავლეთში ყველა გრძნობდა, ამიტომ ყურადღებით აკვირდებოდნენ მათ წინააღმდეგ ყოველგვარ მოქმედებას. სვიმონი განსაკუთრებული აქტიურობით გამოიჩინდა. ამავე დროს, მისი, როგორც ქრისტიანი მეფის, ბრძოლა მუსლიმების წინააღმდეგ დამატებითი პოპულარობის მომტანი იყო კათოლიკურ სამყაროში.

საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი რუდოლფ II (1576-1612 წწ.) 1590-იანი წლებიდან ოსმალებს დაუპირისპირდა. ევროპაში თითქოს ანტიოსმალური კოალიციის შეკრებაც დაიწყეს. იმ დროს ოსმალების წინააღმდეგ უკვე იბრძოდა სვიმონი. სწორედ ამიტომ, რუდოლფს აუცილებლად დასჭირდებოდა აღმოსავლეთში ცნობილი, ოსმალების წინააღმდეგ მეპრძოლი, ქრისტიანი მეფის შესახებ ინფორმაცია. აღმატებით ამის გამოც, მისი ხელშეწყობით შექმნილ კუსტოსის ალბომში მოხვდა სვიმონის პორტრეტი.

ამ პერიოდში, 1588 წელს სვიმონი ოსმალებს დაუზიავდა და ქართლმა ხარკიც კი იკისრა. სანაცვლოდ ოსმალეთმა სვიმონ I ქრისტიან მეფედ ცნო. 1590 წელს, ირან-ოსმალეთის ზავის საფუძველზე, მთელ საქართველოში ოსმალეთის გავლენა დამყარდა [7: 142-149].

დასავლეთ ევროპაში კოალიციის შექმნის იდეა ჩაიშალა, თუმცა მალე ქართლში სვიმონმა ოსმალების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა დაიწყო. 1595 წელს ირანმა, ქართლმა და კახეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შეკრება სცადეს [8: 147-148]. სვიმონმა დახმარებისათვის ესპანეთის მეფეს ფილიპე II-ს (1554-1598 წწ.) და რომის პაპს კლიმენტი VIII-საც (1592-1605 წწ.) მიმართა, თუმცა მათგან მხოლოდ სიტყვიერი დაპირებები მიიღო [9: 269-272].

1598 წელს სვიმონ I-მა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა და ალყა შემოარტყა გორის ციხეს. ამავე დროს, ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო სამცხე-საათაბაგოში.

1599 წელს სვიმონმა აიღო გორის ციხე. სულთანმა მრავალრიცხვანი ჯარი გამოგზავნა საქართველოში ჯაფარ-ფაშას მეთაურობით. ნახიდურთან ბრძოლაში ქართველები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. 1599 წელს სოფელ ფარცხისთან ბრძოლაში სვიმონ I ტყვედ ჩავარდა. იგი სტამბოლში გაგზავნეს და იედიყულეს ციხეში გამოამწყვდიეს, სადაც რამდენიმე წელიწადში ტყვეობაში გარდაიცვალა [8: 148-149].

სვიმონის განსაკუთრებული როლი თვითონ ოსმალებმაც იცოდნენ, ამიტომაც, მისი შეპყრობის შემდეგ სტამბოლში სამდლიანი ზეიმი გაიმართა. იმ დროს ღვთისმშობელ-პამაკარისტოსის ტაძარში მჯდომი კონსტანტინოპოლის პატრიარქი, სვიმონის მიზეზით და გამარჯვების აღსანიშნავად ტაძრიდან გამოაძევეს სულთნის ბრძანებით [10].

დავუბრუნდეთ ჯოვანი ორლანდის სურათს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სვიმონის პორტრეტზე ყურადღებას იქცევს სპილოს გამოსახულება, ზედ საომარი კოშკით, რომელიც ეჭვგარეშეა, რომ გერბი უნდა იყოს, რადგან ჯოვანი ორლანდი ცნობილი მონარქების თუ პოლიტიკური მოღვაწეების პორტრეტების ხატვისას იქვე მათ საგვარეულო ან სახელმწიფო გერბებს ხატავდა.

მაგალითისთვის მოვიძიეთ ჯოვანი ორლანდის მიერ შესრულებული რამდენიმე პორტრეტული გამოსახულება, მათ შორის:

#### რომის პაპი კლიმენტი VIII (1592-1605 წწ.)

(ერისკაცობაში იპოლიტო ალდობრანდინი; დაბადა 1536 წელს. განათლებით იურისტი იპოლიტო 1585 წელს კარდინალად დაინიშნა და პოლონეთში პაპის ლეგატი გახდა. იგი ცნობილია ნათესავების დაწინაურებით. პაპად არჩევიდან სულ მალე მან კარდინალის წოდება მიანიჭა თავის ოთხ უახლოეს ნათესავს. სწორედ მისი პაპობის პერიოდში, 1600 წელს, კოცონზე დაწვეს ცნობილი იტალიელი ფილოსოფოსი ჯორდანო ბრუნო) (სურ. 4);



4. რომის პაპი კლიმენტი VIII



## 5. რომის პაპი კლიმენტი VIII-ის გერბი (რომი)



## 6. የጠዥበት ታደቦ ስራው ነው

რომის პაპი პავლე V (1605 – 1621 წე.) (ერის-  
კაცობაში კამილო ბორგეზე დაიბადა 1552 წელს  
რომში. როგორც მღვდელი, პაპის სამსახურში იყო.  
პაპმა კლიმენტი VIII-მ იგი დიპლომატიური მისით  
ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ის სამეფო კარზე გააგ-  
ზავნა. როდესაც ესპანეთიდან დაბრუნდა, კარდინა-  
ლის წოდება მიიღო და კლიმენტის გარდაცვალების  
შემდეგ პაპიც გახდა) (სურ. 7);



## 7. የጠዥበት ምኬታ ተተዥሸች ቤት



8. ስጠቅዥ የፌዴራል የፌዴራል  
V-0 የፌዴራል, ዓዲ. የፌዴራል  
ጥቅምት (ሸጠቅዥ)

ვენეციის დოჟი მარინო გრიმანი (1595-1605 წწ.) (სურ. 9);




9. ვენეციის დოზი მარინო გრი-  
განი  
(The Trustees of the British Museum)



## 10. ՅԵՐԵՎԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ

**ენტონი შირლი (1565-1636 წ.) XVI საუკუნეში**  
მოღვაწე ინგლისელი აგანტიურისტი და დიპლო-  
მატი (იგი შირლების ცნობილი საგვარეულოდანაა).  
წლების განმავლობაში სპარსეთის წარმომადგენე-  
ლი იყო ევროპის ქვეყნებში, მოღვაწეობდა შაჰ-აბა-  
სის კარზეც) (სურ. 11);



## 11. ၁၆ဖြူ၏ အတောက်



## 12. ଶୀର୍ଷକାଳି ସାହଚା- ରୋଲିଂ ଗେରପଦ

ესპანეთის და პორტუგალიის მეფე ფილიპე II (1554-1598 წწ.) (სურ. 13) და სხვები.



ყველა მათგანის პორტრეტთან შესრულებული გერბის ნამდვილობა შეიძლება დავადასტუროთ მათი მოღვაწეობის დროს შესრულებული გერბებით (იხ. სურ. 5, 6, 8, 10, 12, 14).



14. ფილიპ II, ალონსო სანხის კოელის ნახატი, 1580 წ.

სიმონის პორტრეტთან კი საომარციხიანი სპილოს გამოსახულებაა დატანილი (სურ. 1), რაც, ორლანდის მიერ დახატული სხვა პიროვნებების პორტრეტების ანალოგიებს თუ გავითვალისწინებთ, ნამდვილად გერბად არის ჩაფიქრებული.

სავარაუდოდ, სპილო საომარი ციხით სვიმონ მეფის მუსლიმურ აღმოსავლეთთან ურთიერთობას უნდა უკავშირდებოდეს. სპილო დასავლეთ ევროპაში ცნობილი იყო ალექსანდრე მაკედონელიდან თუ რომაელებიდან მოყოლებული. მაგრამ უშუალოდ, მუსლიმურ აღმოსავლეთთან კავშირში პირველად ფრანკთა მეფე შარლემანის (768-814 წწ.) დროს გამოჩნდა, როდესაც არაბთა აბასინმა ხალიფამ, ჰარუნ არ-რაშიდმა (766-809 წწ.) შარლემანს (768-814 წწ.) 802 წელს (სხვა ცნობით 798 წ.) სხვა საჩუქრებთან ერთად გაუგზავნა სპილოც, სახელად აბულაბასი.

აბულ-აბასის შემდეგ სპილოს გამოსახულებამ ევროპაში თანდათან ლეგენდარული, ჰეროიკული



15. ჯოვანი ორლანდი - სიმონი პრინცი საქართველოდან (ფრაგმენტი)

ხასიათი მიიღო, გაჩნდა მრავალი ჩანახატი და სიმბოლო სპილოს გამოსახულებით, გამოჩნდა ჰერალდიკშიც.

სპილო დასავლეთ ევროპელთა თვალში იყო სიბრძნის, სამართლიანობის, სიკეთის და სხვა კეთილშობილური თვისებების მატარებელი სიმბოლო. სპილო საბრძოლო ციხით (სურ. 15) ძლიერების, მახვილგონიერების და ამბიციის სიმბოლოდ მიიჩნეოდა [11].

როგორც ჩანს, ეს ნამდვილად გერბია, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქართულ ჰერალდიკურ სიმბოლიკასთან ჰქონდეს რაიმე საერთო. სავარაუდოდ, უფრო დასავლეთ ევროპელი მხატვრის და გრავიორის თვითშემოქმედების შედეგი უნდა იყოს და ისევ აღმოსავლეთში, ანუ ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნის მონარქის მოღვაწეობაზე მიუთითებს, რომელიც ჭკვიანი, გამბედავი და ძლიერია. ალბათ მეფე სვიმონმა ამ გერბის შესახებ არც კი იცოდა.

იცოდა თუ არა სიმონმა და რამდენად რეალური ქართულ ჰერალდიკურ სიმბოლიკაში სპილო საბრძოლო ციხით, მეორე საკითხია, მაგრამ პორტრეტზე იგი დატანილია, როგორც გერბი და გამოდის, რომ საქართველოს შესახებ არსებულ გერბებს შორის იგი ყველაზე ძველია, რადგან დღემდე ცნობილ საქართველოს უძველეს გერბს გველებაბის განმგმორავი წმინდა გიორგის ფიგურა განასახიერებდა.

დღემდე ეს გერბი ჩვენს ხელთ არსებული მონა-



16. საქართველოს გიორგი, ალექსი მიხაილოვიჩის 1672 წლის „ტიტულიარნიკიდან“

ცემების მიხედვით ქართული კლასიკური ჰერალდიკის უპირველეს ნიმუშს წარმოადგენდა.

საქართველოს სახელმწიფო გერბი, გველებაბის განმგმირავი წმინდა გიორგის გამოსახულებით, ორ წყაროშია დაფიქსირებული: პირველი ეს არის რუსეთის მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის (1645-1676 წწ.) 1672 წლის „ტიტულიარნიკი“ (ფაქტობრივად უძველესი რუსული საგერბე) (სურ. 16), რომელ-



17. საქართველოს გერბი, რუსეთის სამეფოს გერბში.  
ავსტრიული ელჩის კორპის დღიურიდან

შიც ჩამოთვლილია რუსეთის მეფის მფლობელობაში მყოფი მინები სიმბოლოებითურთ. მათ შორისაა ქართლის გერბიც (“Карталинских, Грузинских царей”): გერბის ფარი სტილიზებულია (ფაქტობრივად არც არის). მასში გამოსახულია მარცხენა არაპერალდიკურ მხარეს შებრუნებული, ცხენზე ამხედრებული, შეაბჯრული წმ. გიორგი მკერდზე თეთრი ჯვრით, რომელიც შუბით გმირავს გველე-შაპს. გერბის მეორე ვარიანტი დაცულია ალექსეი მიხაილოვიჩის კარზე გაგზავნილი საღვთო რომის იმპერიის ელჩის, ავსტრიელი დიპლომატის, კორბის 1698-1699 წლებით დათარიღებულ დღიურში, სა-დაც ქართლის გერბად ასევე წმ. გიორგია წარმოდგენილი (სურ. 17) [12: 16-17].

რადგან ჯოვანი ორლანდის სვიმონის პორტ-რეტი რამდენიმე ათეული წლით უსწრებს რუსული “ტიტულიარნიკის” გამოშვების თარიღს და მის პორტრეტზე ნამდვილად გერბია გამოსახული, ამიტომ საქართველოს შესახებ უძველეს გერბად შეიძლება სწორედ იგი მიკიჩინოთ.

საბილონოდ, საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა კითხვები უფრო მეტი გაჩნდა, ვიდრე პასუხები, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ვატიკანის ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე დადებული პორტრეტი ნამდვილად ქართლის მეფე სვიმონ I-ს ეკუთვნის და იგი მანამდე ცნობილი, კუსტოსის მიერ შესრულებული პორტრეტის მიხედვით, იტალიელი გამომცემლის, მხატვრის, გრავიორის და კარტოგრაფის, ჯოვანი ორლანდის მიერ არის დახატული. სვიმონის ორლანდისეულ პორტრეტზე გამოსახული სპილო საბრძოლო ციხით, მხატვრის ჩანაფიქრით, გერბი უნდა იყოს და დღემდე ცნობილ საქართველოს გერბებს შორის ყველაზე ადრინდელია.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. [http://www.vatlib.it/bavt/edition/liens/SeeDoc.asp?SetID=BOOKLINE\\_IMAGE&Elt=BOOKLINE\\_IMAGE17052005095332921;](http://www.vatlib.it/bavt/edition/liens/SeeDoc.asp?SetID=BOOKLINE_IMAGE&Elt=BOOKLINE_IMAGE17052005095332921;)
  2. <http://www.npg.org.uk/collections/search/person/mp93282/giovanni-orlandi?role=art;>
  3. [http://www.britishmuseum.org/research/search\\_the\\_collection\\_database/search\\_results.aspx?queryAll=People%2f!%2fOR%2f!!%2f118938%2f!%2f118938-2-70%2f!%2fPublished+by+Giovanni+Orlandi%2f!%2f%2f!%2f%2f!!!%2f&objectId=3025090&partId=1&numPages=10&orig=%2fresearch%2fsearch\\_the\\_collection\\_database%2fmuseum\\_number\\_search.aspx&currentPage=1;](http://www.britishmuseum.org/research/search_the_collection_database/search_results.aspx?queryAll=People%2f!%2fOR%2f!!%2f118938%2f!%2f118938-2-70%2f!%2fPublished+by+Giovanni+Orlandi%2f!%2f%2f!%2f%2f!!!%2f&objectId=3025090&partId=1&numPages=10&orig=%2fresearch%2fsearch_the_collection_database%2fmuseum_number_search.aspx&currentPage=1;)
  4. [http://www.themaphouse.com/search\\_getamap.aspx?id=4073 &ref=IT1371;](http://www.themaphouse.com/search_getamap.aspx?id=4073&ref=IT1371;) [http://www.raremaps.com/gallery/detail/30264/Totius\\_Terre\\_Promissionis\\_A\\_Dan\\_usque\\_Bersabee\\_Verissima\\_Et\\_Amplissima/Duchetti-Orlandi.html;](http://www.raremaps.com/gallery/detail/30264/Totius_Terre_Promissionis_A_Dan_usque_Bersabee_Verissima_Et_Amplissima/Duchetti-Orlandi.html)
  5. [http://en.wikipedia.org/wiki/Dominicus\\_Custos;](http://en.wikipedia.org/wiki/Dominicus_Custos)
  6. იბ. წიგნის ელექტრონული ვერსია - <http://www.uni-mannheim.de/mateo/desbillons/eico/seite81.html>;
  7. მ. სვანიძე, „1588 წელს ქართლის მეფე სიმონ I-ისა და ოსმალეთის სარდალ ფერპად ფაშას შორის დადებული საზავო ხელშეკრულება“, ქართული დიპლომატია (წელიწდებული), 10, (2004), 142-149;
  8. ვ. გურუა, „სიმონ I-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის. კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან. სიმონ I-ის მეფობის უკანასკნელი წლები“, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV (თბილისი, 1979), 147-148;
  9. ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), რედ. როინ მეტრეველი, (თბილისი 2004), 269-272;
  10. თედო დუნდუა, ნინო სილაგაძე, სიმონ მეფე და ლვისმამბეჭელ-პამაკარისისტოსის ტაძარი კონსტანტინოპოლში (თბილისი, 2004);
  11. George C. Druce, “The Elephant in Medieval Legend and Art”, Journal of the Royal Archaeological Institute, Volume 76, (London 1919);
  12. თ. ასათიანი, ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა) (თბილისი, 2010), 16-17;

ალექსანდრე ბოშიშვილი  
**Alexander Boshishvili**

## საქართველოს სახელმწიფო დროშის ისტორიის საკითხისათვის

### ნინაპირობა

ნინამდებარე სტატიის ერთგვარი შესავლის-თვის სახელად “ნინაპირობა” იმიტომ შევარჩიეთ, რომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია, მოცემულ საკითხზე მომუშავე მეცნიერები და საზოგადოების დაინტერესებული წევრები შეთანხმდნენ გარკვეულ პირობებზე, თუ რა სახით, რა ჩარჩოებში უნდა ვისაუბროთ საქართველოს სახელმწიფო დროშის ისტორიის შესახებ.

საკითხი მეტად კომპლექსურია და მხოლოდ ისტორიოგრაფიული არეალით არ შემოიფარგლება. იგი პირდაპირ უკავშირდება თანამედროვე ქართულ სახელმწიფო სიმბოლიკას, რითიც მეტად დელიკატური ხდება პოლიტიკურ, რელიგიათშორის, საკანონმდებლო და სხვა ასპექტებში.

მიუხედავად ამისა, ან იქნებ სწორედ ამის გამოც, აუცილებელია გაიმიჯნის ყველა გარეშე, არასაისტორიო მომენტი და ამ თემაზე საუბრისას მოვიშველიოთ მხოლოდ მეცნიერულ დონეზე დადასტურებული ფაქტები, რომლებიც მოპოვებულია ავტორიტეტული საისტორიო წყაროებიდან.

მაგალითად, მიუღებელია (განსაკუთრებით პროფესიონალ ისტორიკოსთა მხრიდან), მოცემულ თემაზე საუბრისას ამა თუ იმ ვერსიისადმი პირადი სიმპათიის გამოვლენა, არაობიერტური მსჯელობა ან რაიმე ინფორმაციის მიჩქმალვა, ხოლო საპირისპირო აზრის - ხელოვნურად გაზვიადება.

პრობლემა არ არის ანალიტიკური ტიპის, იგი ეხება ემპირიულ ისტორიოგრაფიას ანუ “შიშველ” ფაქტებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ ფაქტებზე და არა ვარაუდებზე დაყრდნობით და მხოლოდ დადასტურებული, ურთიერთგადამომნებებადი მასალის შეჯერებით თუ მოხდება ჭეშმარიტების მიკვლევა.

სწორედ ეს არის ის ძირითადი ნინაპირობა, რომლითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ მოცემული პრობლემის განხილვისას.

ვეცდებით საისტორიო წყაროებიდან მოვიყვანოთ ჩვენ ხელთ არსებული ყველა დადასტურებული მონაცემი საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ. ამის შემდეგ, ვფიქრობთ, თავისთავად ჩამოყალიბდება დასკვნა, თუ როგორი იყო ისტორიული ქართული სახელმწიფო დროშა, როგორი შეიძლება ის იყოს დღეს, ან როგორი არ უნდა იყოს. რა-საკვირველია, მის შერჩევაში პრიორიტეტად უნდა მივიღოთ ისტორიზმის პრინციპი და არა რაიმე სხვა მოტივაცია.

**ისტორიული ფაქტები საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ სხვადასხვა წყაროებში**

დღემდე შემონახულია რამდენიმე პირდაპირი

თუ ირიბი საისტორიო ცნობა საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ. მათ შორის არის როგორც წერილობითი, ასევე კარტოგრაფიული (ვიზუალური) და მატერიალური წყაროები. ვეცდებით შეძლებისდაგვარად განვიხილოთ თითოეული მათგანი, რაც მოგვცემს საერთო შეხედულების ჩამოყალიბების საშუალებას და სავარაუდო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

აქვე ალვინიშნავთ, რომ დასაშვებია არსებობდეს რაიმე წყარო ან წყაროები, რომლებამდეც ჩვენ ხელი არ მიგვინვდება და რომელთა გამოჩენასა და სრულყოფილად შესწავლას ყოველმხრივ მივესალმებით, მანამდე კი ვეცდებით თანმიმდევრულად განვიხილოთ დღემდე ჩვენ ხელთ არსებული ცნობები.

ერთ-ერთი უძველესი წყარო, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოსა და დროშაზე შეიძლება მიუთითებდეს არის ქვემოთ მოყვანილი ციტატა ქართლის ცხოვრებიდან: “დროშა სვიანად მოხმარებული, ბაგრატიონური და უფროსლა გორგასლიანური... სინდელს შესვლითგან მოსპეციალიდა” /”ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხებიშვილის მიერ, ტ II, თბ. 1959 წ. გვ. 71/. მოყვანილი ამონარიდი თავად მიუთითებს, რომ საუბარია თეთრი ფერის (ან მთლიანად ან ფონით მაინც უთუოდ) დროშაზე. საერთოდ, როგორც საბოლოოდ ვიხილავთ, წყაროების დიდი უმრავლესობა მიუთითებს, რომ საქართველოს ისტორიული სახელმწიფო დროშის ფონი თეთრი იყო, ხოლო მასზე დატანილი გამოსახულება - ნითელი. შესაძლოა გარკვეული კამათი, თუ რა იყო გამოსახული დროშაზე, მაგრამ დროშის ფერები, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს — საქართველოს დროშის ფონი იყო თეთრი, მასზე აღქეფდილი ნითელი გამოსახულებით.

დავით ალმაშენებლის მემატიანის მიხედვით კი: “წმიდაი მონამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილებულად წინა უძლოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრუიდა ზედა-მოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოლმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისა” /”ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი”, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები”, ტ IX, თბ. 1992 წ. გვ. 191/. ზოგჯერ ეს მონაკვეთი, დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან, გაგებულია ისე, თითქოს ალეგორიულად საუბარია წმინდა გიორგის გამოსახულებიან დროშაზე, რომელიც სიმბოლურად მიუძლოდა წინ ქართველთა ლაშქარს, მაგრამ, ვფიქრობთ, სიტყვა “განცხადებულად” ინტერპრეტაციების ადგილს აღარ გვიტოვებს და მიუხედავად იმისა, რომ საუბარია სასწაულზე, მაინც ხაზი ესმევა, რომ

თვით წმ. გიორგი, და არა მისი ხატება ან რაიმე ალე-გორია, მიუძღვდა ქართველების იერიშს. აյ ალპათ უფრო წმინდანის რაიმე სახით გამოცხადება უნდა იგულისხმებოდეს.

ასევე ცნობილია სიტყვები XIII საუკუნის სომეხი მემატიანის სტეფანოზ ორბელიანის „სივნიეთის ისტორიიდან“, რომ საქართველოს მეფის დროშას წარმოადგენდა თეთრი „ნაჭერი“ (ანუ ალამი) წითელი ნიშნით, ხოლო ამირსპასალარისა (მთავარსარდლის) — წითელი ალამი თეთრი ნიშნით /ს. ბარნაველი, „ქართული დროშები“, თბ. 1953 წ. გვ. 16/. აյ გასათვალისწინებელია, რომ სიტყვა ნიშანი („ნშანი“) სომხურად აღნიშნავს ნიშანსაც და ჯვარსაც. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სტეფანოზ ორბელიანი ან რაიმე სიმბოლოს იხსენიებს „ნიშანად“ ან ჯვარს გულისხმობს და მაშინ იმ ხანის საქართველოს დროშად უნდა წარმოვიდგინოთ თეთრი ალამი წითელი ჯვრით, რაც თავისთავად წმ. გიორგის სიმბოლოა.

ჟამთააღმწერელი კი მონღლოლთაგან ლაშა-გიორგის ძლევასთან დაკავშირებით გვამცნობს: „და იქმნა უკუქცევა სუუსვიანისა ბედისა, მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა, რამეთუ, რადგან მიეცა ღმერთსა დიდსუესა და დიდბედისა დავითისდა გამარჯუება, აქა ჟამამდი სვიანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი, ხოლო აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამამდე ჩუენთა“ ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“, „საქართველოს ისტორიის წყარები“, 48, თბ. „მეცნიერება“, 1987 წ. გვ. 51/.

ამავე მატიანის მიხედვით — ჯალალ-ედდინის შემოსევისას რუსუდანმა „... მოუწოდა ყრმათა იმერთა და ამერთა, მოიღო დროშა სეფე და მოუწოდა ივანე ათაბაგსა...“ // ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ II, თბ. 1959 წ. გვ. 169/.

ჟამთააღმწერლის მიერ სამეფო დროშის ესოდენ ხშირად ხსენება მიგვანიშნებს მის დიდ როლზე იმჟამინდელ საქართველოში. ამავე დროს, ის, რომ მემატიანე ხშირად იხსენიებს დროშას და არ აღნერს მას, ვფიქრობთ, იმაზე მიანიშნებს, რომ გორგასლიან-დავითიანი დროშა იმდენად ნაცნობი იყო ყველასთვის, რომ მისი აღნერის აუცილებლობა აზრად არც კი მოსდიოდათ ისტორიკოსებს. თითქოს ამ აზრს ადასტურებდეს ის ფაქტიც, რომ თამარის კარის პოეტი შავთელიც იხსენიებს დავითიან-გორგასლიან დროშას, ძაგრამ არც იყი აღნერს მას.

შუასაუკუნების პერიოდს უკავშირდება დ. მუსხელიშვილის მიერ წარმოდგენილი 1299 წლის ცნობა, რომლის თანახმადაც, ილხანთა ყაზან ყაენს, ეგვიპტის მამელუქებზე ლაშქრობისას, „თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიის ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშით“ (დ. მუსხელიშვილი. „ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა

შუა საუკუნეებში“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1998, 13-20 მარტი; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ფლავიანის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“, თბ., 1995, გვ. 30).

თუ რამდენად უფრთხოილდებოდნენ საქართველოში გორგასლიან დროშას, კარგად ჩანს ჟამთააღმწერლის შემდეგი სიტყვებიდანაც, როდესაც იგი საუბრობს მონღლოლთა წინააღმდეგ რუსუდანის მიერ ლაშქრის წარგზავნაზე, მაგრამ ამავე დროს სეფე დროშის გადანახვაზე, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელთ: „ხოლო თვით დროშა სეფე არა წარგზავნა საქმისათვის ივანე ათაბაგისა“ /ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“, „საქართველოს ისტორიის წყარები“, 48, თბ. „მეცნიერება“, 1987 წ. გვ. 67/.

საინტერესოა, რომ ჟამთააღმწერელი მონღლოლთა დროშის ფერს გადმოგვცემს, საქართველოს დროშაზე კი არავითარ აღნერილობით მასალას არ გვიტოვებს: „... ხოლო დროშათა მათთა სიმენამულე მოასწავებდა სისხლისა დამოღურილობასა მტერთასა“ /ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“, „საქართველოს ისტორიის წყარები“, 48, თბ. „მეცნიერება“, 1987 წ. გვ. 77/.

საქართველოს სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებული შედარებით მოგვიანო წყაროა თეიმურაზ ბატონიშვილის XVIII საუკუნის ცნობა: „მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდანისა... გიორგისასა“. ამ შემთხვევაში თითქოს პირდაპირ არის მითითებული, თუ რა სიმბოლიკა იყო გავრცელებული ქართულ



1. გვ. გიორგის გამოსახულება ასომთავრული ცარცერით შუალის პირზე

ლაშქარში. ბუნებრივი იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ქართველ მეომრებს შორის ესოდენ გავრცელებული სწორედ სახელმწიფო სიმბოლო ანუ სეფე დროშის ცენტრალური სიმბოლო იქნებოდა. ასეთი რამ ბევრგან იყო მიღებული, როცა მოღაშქრენი მათი სახელმწიფოს სიმბოლიკას ატარებდნენ აღჭურვილობასა და იარაღზე (სურ. 1).

ამ შემთხვევაშიც ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია, რომ ნმ. გიორგის გამოსახულება შესაძლოა ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფო დროშაზე. ამასთანვე ისმის კითხვა – იყო ეს ხატოვანი გამოსახულება ანუ ხატება, თუ სიმბოლური გამოსახულება ნმ. გიორგის სწორკუთხა ჯვრის სახით.


შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაური კოტვიჩი, რომელსაც ქართული დროშები იერუსალიმს უნახავს ქართველ პილიგრიმებთან ერთად, საქართველოს დროშად თეთრ აღამზე გამოსახულ წმინდა გიორგის ხატებას აღნერს /ს. გამსახურდია, ნ. შოშიაშვილი, ზ. ხიდურელი, “საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები”, თბ. “მერანი”. 1990 წ. გვ. 7/.

რაც შეეხება მატერიალურ მემკვიდრეობას, მიურიეს ჩანახატის მიხედვით ცნობილია სოლომონ I-ის დროშა (სურ. 2) შუბოსანი და ფარიანი ქვეითი მეომრით, რომელიც შესაძლოა ამოვიცნოთ როგორც მთავარანგელოზი მიქაელი (თუმცა იგი უფრო ხშირად ქვეითად, მაგრამ ხმლით გამოისახებოდა) ან ნმ. გიორგი (რომელიც უფრო ხშირად სხვა სახით – ცხენზე ამხედრებულად გამოიხატებოდა).



2. სოლომონ I-ის დროშა

თამარ მეფის მამიდის – რუსუდან დედოფლის დროშის ვერცხლის ბუნიკზე (სურ. 3) მარიამ ღვთისმშობელია გამოსახული, რომლის სიმბოლიკა ქართულ სამეფო დროშებთან დაკავშირებულ სხვა წყაროებში არ გვხვდება და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად დასაშვებია, მივიჩნიოთ ისტორიული სახელმწიფო დროშის იდენტურად.




3. რუსუდან დედოფლის დროშის ვერცხლის პუნქტი

ასევე საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს კონსტანტინე მუხრანბატონის XVIII საუკუნის დროშის ბუნიკი (სურ. 4) მასზე წმინდა გიორგის გამოსახულებით.



4. კონსტანტინე მუხრანბატონის დროშის პუნქტი


ვახტანგ VI-ის დროშაზეც ასევე ხატოვან გამოსახულებებს ვხვდებით და არა სიმბოლურ ფიგურებს (სურ. 5).




5. ვახტანგ VI-ის დროშა

ახლა კი უნდა შევეხოთ ალბათ მაინც ყველაზე მნიშვნელოვან წყაროებს — ევროპულ რუკებსა და სანაოსნო პორტოლანებს.

XIV-XV საუკუნის რამდენიმე ევროპულ რუკაზე, საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება თეთრ ფონზე წითელი ხუთჯვრიანი დროშა, თბილისის ან დასავლეთ საქართველოს (ძირითადად სამეგრელოსა და აფხაზეთის) თავზე. ზოგ შემთხვევაში დროშა გაყოფილია და მხოლოდ ერთ, მთავარ (ტარის მიმდებარე) ნანილმა ხუთჯვრიანი გამოსახულება. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აქ მთავარია, რომ, როგორც ჩანს, იმ ხანად, ევროპელთათვის საქართველოს ტერიტორიების გამოსახატავად ხუთჯვრიანი სიმბოლიკა პრიველიებდა (სურ. 6,7). გვხვდება ასევე თეთრ ფონზე სწორკუთხა წითელი ჯვარი სამეგრელოს დროშად და ოქროსფერ ფონზე ლურჯი მალტური ჯვრის მსგავსი ჯვარი იმერეთის ტერიტორიის თავზე, რომელიც ვფიქრობთ ბოლნური ჯვარი



6. პირველი ვისტონის 1321 ნუსმი აორთოლანი დიდი ბრიტანიასთან სამეფო გაბლიოთისა



7. გაბრიელ ვალესეპას 1439 ნუსმი რუსი. დროშა „სუთჯვრიანი“ ელევანტითი გამოსახულია სოსუმისა და წინა აზიის ქალაქ-აორთის, სმირნას (ჰერაკლიონი) ერთსოფანული ფორმასთი წინა აზიაში, თანამედროვე იზმირი თავზე


უნდა იყოს, ოღონდ ევროპელების მიერ სტილიზებული, მათთვის უფრო ჩვეული მალტური ჯვრის ფორმით. ასევე იმერეთის თავზე გვხვდება მწვანე ფონზე შავი და ოქროსფერი ნახევარმთვარებიანი დროშაც, მაგრამ სავარაუდოდ ეს ფაქტი XVI საუკუნის ბოლოს (რუსა შედგენილია 1559 წელს) ამ რეგიონზე მუსულმანური ანუ ოსმალური გავლენის ასახვას უნდა ემსახურებოდეს (სურ. 8).

ევროპული რუკების მიხედვით სუთჯვრიანი დროშის საქართველოს სახელმწიფო დროშად მიჩნდა დიდი ბრიტანიასთან სამეფო გაბლიოთისა




8. ფილიმონ მავრის 1559 ნუსმი რუსა

ნევის კონტრ-არგუმენტად ხშირად მოჰყავთ ის გარემობა, რომ ამ რუკებზე, კონკრეტულად კი მაგალითად, დუღერის 1339 წლის რუკებზე (სურ. 9, 10), სუთჯვრიანი დროშა თბილისისა და სოხუმის (აქ იგი დროშის მხოლოდ ნახევარს იკავებს) გარდა გამოსახულია წინა აზიის ერთ-ერთი ქალაქის თავზეც, რომლის სახელწოდების ზუსტად დადგენა გვიჭირს. ასეთივე, ოღონდ განსხვავებული ფორმის და შავი ფერის ჯვრებიანი გამოსახულებაა აღბეჭდილი კვიპროსის თავზე გამოხატული დროშის ნახევარშიც. კვიპროსის შემთხვევაში სუთჯვრიანი დროშის გამოყენება იმით აიხსნება, რომ ეს კუნძული დაკავე-



9. 1339 წ. ანჯელინი დუღერის აორთოლანი



10. 1329-1350 წ. ანჯელინი დუღერის აორთოლანი დიდი ბრიტანიასთან სამეფო გაბლიოთისა

ბული ჰქონდათ წმინდა მიწიდან მუსულმანების მიერ გამოდევნილ ჯვაროსნებს, აქედან გამომდინარე იერუსალიმის ხუთჯვრიანი სიმბოლიკა კვიპროსის ჯვაროსან ლუზინიანთა დინასტიის სამეფოს დროშის ნაწილად იქცა. რაც შეეხება ხსენებულ დაუზუსტებელ ქალაქზე აღბეჭდილ საქართველოს დროშის იდენტურ, თეთრ ფონზე სწორკუთხა წითელჯვრებიან დროშას, რთული ამოსაცნობია რითი აიხსნება მისი განთავსება სწორედ ამ კონკრეტულ დასახლებაზე, მითუმეტეს, რომ ქალაქის მაშინდელი სახელის

დადგენა და რომელიმე დღევანდელ ქალაქთან გაიგივება ჭირს.

არსებობს ვარაუდი, რომ ხუთჯვრიან დროშებს ევროპელები გამოსახავდნენ იმ ქალაქების თავზე, სადაც ფუნქციონირებდა კათოლიკური მისიები, მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი მისიები გაცილებით მეტ ქალაქში იყო, ვიდრე თბილისი, სოხუმი და ზემოხსენბული უცნობი ქალაქია, მაგრამ ყველა კათოლიკური მისიის მქონე ქალაქზე ნამდვილად არ გვხვდება ამგვარი დროშები;

მეორეც - დასავლეთ ევროპელი ისტორიკოსები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ ამგვარ რუკებსა და ე. წ. სანაოსნო პორტოლანებზე გამოსახულია სწორედ სამფლობელოთა სახელმწიფო, ოფიციალური დროშები და არა რაიმე სხვა კუთვნილების აღმნიშვნელი აღმები (სურ. 11).



11. ფრანგეთ და ფორენიზო აიფიგანების პორტოლანი. აარაი გამოითვა აალატინა

პორტოლანების ცნობილი რუსი მკვლევარი ი. კ. ფომენკო მიიჩნევს, რომ როგორც სქართველოს ტერიტორიებზე, ისევე სხვა ქვეყნებზეც, საქმე გვაქს მოცუმული მინების სუვერენულ სიმბოლოებთან და არა რაიმე სხვაგვარ ემბლემატიკასთან /И. К. Фоменко «Образ мира на страницах старинных портolanах», Москва, 2007 г./.

ხუთჯვრიანი სიმბოლიკის ტრადიციას, რომელიც, როგორც ითქვა მეტად ხშირად გვხვდება საქართველოს იმუამინდელ ქრისტიანულ სამეზობლოში და ამავე დროს ყოველთვის გაიგივებული იყო იერუსალიმის ანუ წმინდა მინის სიმბოლიკასთან, ერთგვარად ამჟარებს საქართველოში დავით III კურაპალატის X საუკუნის მონეტაა (სურ. 12) რომელზეც კვარცხლბეკებზე აღმართულ ჯვარს ოთხი მხრიდან ესაზღვრება ასომთავრული ასოები. ამ ტრადიციას აგრძელებს თამარის მონეტა ამგვარივე სიმბოლოებით. ასეთივე ან მიმსგავსებული

მოტივები მეტად ხშირად გვხვდება ქართულ ბარელიეფზეც (სურ. 13).

ყველაზე ცნობილ ამგვარ სიმბოლოდ, გასაგები მიზეზების გამო, იერუსალიმის დროშა და გერბი იქცა, განსაკუთრებით კი ჯვაროსნული ლაშქრობების შემდგომ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა გამოითქვას ფრთხილი ვარაუდი იმის თაობაზედ, რომ ხუთჯვრიანი სიმბოლიკა ევროპელთა თვალში ქართვე-




12. დავით კურაპალატის მონეტა




13. ხუთჯვრიანი კომაზის ტრადიციის ნახ. გიორგის ეკლესიიდან. X საუკუნე

ლებთან გაიგივდა მას შემდეგ, რაც XIV საუკუნეში, გიორგი ბრწყინვალის ხანში მხოლოდ ქართველ პილიგრიმებს ეძლეოდათ ნებართვა იერუსალიმში გაშლილი დროშებითა და ცხენებზე ამხედრებული შესულიყვნენ. ამგვარი პრივილეგია აღბათ ფრიად თვალშისაცემი სხვაობა იქნებოდა იმ პერიოდში, შედარებით ახლად დაკარგული ჯვაროსნული ტერიტორიებიდან განდევნილი ევროპელების წმინდა მინაზე მეტად დამცრობილ სტატუსთან შედარებით.

საზოგადოდ, სიმბოლიკა შუაში ჯვრით და ჯვრის გარშემო დროშის თუ გერბის თავისუფალ ნანილებში რაიმე სიმბოლოების მოთავსებით მომდინარეობს ბიზანტიის იმპერიიდან და საკმაოდ გავრცელებული იყო ქრისტიანულ აღმოსავლეთში. (სურ. 14, 15).



14. პიზანების იმპერატორობა არგიროსების დინასტიის სიმბოლიკა



15. ბალეოლოგების პიზანტიური საიმარიო  
დინასტიის დროშა XIV ს-ში

ცხადია ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ გვიანი შუასაუკუნეების ეპროპული კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო დროშას წარმოადგენდა თეთრ ფონზე გამოსახული ხუთი წითელი სწორკუთხა ჯვარი.

რუსეთში მოღვაწე მკვლევარი ო. ტარნოვსკი პირად წერილში მიხეილ ვადბოლსკისადმი 1980 წელს წერდა, რომ ფრანგული პერიოდული გამოცემა “Vexilologia”-ს მიხედვით, საქართველოს ისტორიულ სახელმწიფო დროშად ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდიდან მოყოლებული მიჩნევა სწორკუდ ე. წ. ხუთჯვრიანი დროშა /”მიხეილ ვადბოლსკი და ქართული ჰერალდიკა”, თბ. 2010 წ. გვ. 165/.

მიზეზები, რის გამოც მაინც ჭირს ხელალებით მივიჩნიოთ ხუთჯვრიანი დროშა საქართველოს ისტორიულ სახელმწიფო დროშად, ისაა, რომ, ჯერ ერთი, ისტორიოგრაფიაში მხოლოდ ერთი ტიპის, მითუმეტეს უცხოურ წყაროზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის ფაქტად აღიარება მიუღებელია და მეორეც, როგორც ზემოთ ვიხილეთ, არსებობს სხვა წყაროები, სადაც მოგვეპოვება განსხვავებული ცნობები საქართველოს დროშის შესახებ.

### დასკვნა

სანამ დასკვნების გამოტანას შევუდგებოდეთ, უნდა შევნიშნო, რომ არ გახლავართ ვექსილოლოგი და არც გამარინია ამის პრეტენზია, ხოლო საკუთარ აზრს წარმოგიდგენთ, როგორც ზოგადად სპეციალობით ისტორიკოსი და დროშათმცოდნეობის მომიჯნავე, საისტორიო დისციპლინის — ჰერალდიკის მკვლევარი.

წინამდებარე დასკვნაც უმჯობესია მივიჩნიოთ მაღალი ალბათობის ვარაუდად და არა საბოლოო დადასტურებულ ვერდიქტად, რადგან სადღეისოდ არ არსებობს ისტორიული წყარო, სადაც გამოყენებული იქნებოდა ტერმინი: “საქართველოს სახელმწიფო დროშა”, “საქართველოს სამეფო დროშა”, “ბაგრატიონთა დროშა”, “გორგასლიან-დავითიანი დროშა”, “საქართველოს ეროვნული დროშა” და იმავე დროს ამ ტერმინოლოგიას დართული ექნებოდა დროშის გამოსახულება ან დეტალური აღნერილობა.


ამით იმის თქმა გვსურს, რომ, რასაკვირველია, სხვადასხვა წყაროებში არის საუბარი საქართველოს დროშაზე ზემოთ მოხსენიებულ კონტექსტში, მაგრამ არსად ამას არ მოსდევს დროშის ზედმინევნითი აღნერილობა, ყველა წყარო იფარგლება ზოგადი დახასიათებით.

როგორც ვაჩვენეთ, არსებობს რუკები, სადაც საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია მეტნილად ერთი ტიპისა და მოყვანილობის დროშები, მაგრამ ასეთივე დროშები გეხვდება სხვა იმდროინდელი სამფლობელოების მიწებზეც, რაც წანილობრივ სავარაუდოს ხდის, იყო ეს დროშები საკუთრივ საქართველოსი, თუ წარმოადგენდა ევროპელებისთვის აღმოსავლეთში ზოგადად ქრისტიანული სახელმწიფოების მონიშვნის საშუალებას.


დასაშვებია, რომ დროთა განმავლობაში სახელმწიფო დროშა იცვლებოდა. შესაძლოა ხუთჯვრიანი დროშა არც იყო დავითიან-გორგასლიანი, მაგრამ დროის რაღაც კონკრეტულ მონაკვეთში, მაგალითად, ევროპული რუკების მიხედვით, XIV-XV საუკუნეებში, არ არის გამორიცხული საქართველოს დროშად ხუთჯვრიანი ალამი ყოფილიყო.

კიდევ ერთი რამ აღძრავს ეჭვს ხუთჯვრიანი დროშის უძველს გორგასლიან-დავითიანად მიჩნევასთან დაკავშირებით. საზოგადოდ, აღმოსავლეთში და მათ შორის საქართველოშიც, უფრო გავრცელებული იყო ხატოვანი გამოსახულებები. ამის საპირისპიროდ, დასვლეთ ევროპის ქვეყნებში სიმბოლური ემბლემატიკა იყო პრიორიტეტული, რასაც შუა საუკუნეებში კიდევ უფრო შეუწყო ხელი ჰერალდიკის განვითარებაში.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე და გავრცელებული ტრადიციების მიხედვით, შესაძლებელია გორგასლიან დროშაზეც სწორედ ხატება (სავარაუდოდ წმ. გიორგი) იყო გამოხატული და არა სიმბოლური გმოსახულება (რომელიმე ფორმის ჯვარი). მითუმეტეს, რომ დღემდე ფიზიკურად შემორჩენილ პრაქტიკულად ყველა ქართულ დროშასა და ალამზე




16. ქართლის სახელმწიფო დროშის განვითარების აღნერილობის გამოსახულება XVIII საუკუნის ბაზონიშვილის ამონაში



17. სამცხე საათაბაგოს დროშა ვახუშტი ბატონიშვილის ატლასიდან XVIII საუკუნე

(გავიხსენოთ ზემოთ აღნიშვნით, ვახუშტი ბატონიშვილის ატლასებზე დატანილი დროშები ან მოგვიანო ხანის ქალაქურ ამქართა ბაირალები, თუნდაც სვანური დროშა-შტანდარტი “ლემ” ხართვანი გამოსახულებებია და არა ემბლემატიკური) (სურ. 16,17,18).



18. სვანური დროშა-შტანდარტი “ლემ”

წმინდა ისტორიული თვალსაზრისით, ჩვენ პირადად ვიხრებით იმ მოსაზრებისკენ, რომ საქართველოს სახელმწიფო ე. წ. “დავითიან-გორგასლიან” დროშაზე გამოსახული იყო წმინდა გიორგის ხატება ანუ პირდაპირი ნახატი წმინდანისა ან მისი გამომხატველი სიმბოლო – ე. წ. წმინდა გიორგის სწორკუთხა ჯვრის რომელიმე მოდიფიკაცია.

ამავე დროს ხაზგასმით ვიტყოდით, რომ არსებობს ძალიან მყარი ისტორიულად დადასტურებული არგუმენტაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელია და სრულიად მისაღებია, როგორც საისტორიო, ისე წებისმიერი სხვა თვალსაზრისით, ე. წ. ხუთჯვრიანი დროშა იყოს დღევანდელი საქართველოს რესპუბლიკის, როგორც უძველესი ქართული სა-

ხელმწიფოს მემკვიდრის სახელმწიფო დროშა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს მეტად რთულია ამა თუ იმ ვერსიისკენ გადახრა დამატებითი მასალების გარეშე, მაგრამ ამასთანავე სრულიად უეჭველია, რომ საქართველოს გააჩნია, ყველანაირი და მათ შორის ისტორიული საფუძველი რათა მისი სახელმწიფო დროშა იყოს თეთრ ფონზე აღეჭვდილი წითელი ე. წ. ხუთჯვრიანი სიმბოლო.

საბოლოოდ კი აღვნიშნავთ, რომ, რა თქმა უნდა, საკითხი არ არის დახურული. გადამჭრელი პასუხები საჭიროებს დამატებითი საკვლევი მასალის მოძიებას. მომავალი ძიების მიამრთულება კი აღბათ ჩვენი მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით თურქეთისა და ირანის დღემდე დახურული სამუზეუმო საცავები უნდა იყოს, სადაც უთუოდ ინახება არაერთი ქართული დროშა, ისევე როგორც ჩვენი საისტორიო მუზეუმის საცავებში არის დაცული რამდენიმე ნაალაფარი დროშა საქართველოსთან მებრძოლი მუსულმანური სამფლობელოებისა.

კვლევის ეს მიმართულება მითუმეტეს აქტუალურია, რადგან არსებობს ბაგრატ და დავით ბატონიშვილების ცნობა, რომლის მიხედვითაც: “წარულეს ოსმალთა იმერთა დროშა წმიდისა დავითისა მეფისა აღმაშენებლისა”.

თორნიკე ასათიანი  
Tornike Asatiani

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. “მიხეილ ვადბოლსკი და ქართული ჰერალდიკა”. თბ. 2010
2. ს. გამსახურდია, ნ. შოშიაშვილი, ზ. ხიდურელი, “საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები”, თბ. “მერანი”. 1990 წ.
3. ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“, “საქართველოს ისტორიის წყაროები”, 48, თბ. “მეცნიერება”, 1987 წ.
4. “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხებიშვილის მიერ, ტ II, თბ. 1959 წ.
5. ს. ბარნაველი, “ქართული დროშები”, თბ. 1953 წ.
6. ”ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი”, “ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები”, ტ IX, თბ. 1992 წ.
7. И. К. Фоменко «Образ мира на страницах старинных портоланах», Москва, 2007 г.

## ავსტრიის ეროვნულ პიაზიოთებაში დაცულ ჩარჩოება ხელნაწერები არსებული უკველესი ქართული სამეფო ბეჭდის გამოსახულება

ქართულ სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებაში არ წყდება კამათი იმის თაობაზე, თუ როდის დამკვიდრდა ხუთჯვრიანი გამოსახულება ქართულ სინამდვილეში. მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ ხუთჯვრიანი გამოსახულება ქართულ დროშაზე შეუძლია საუკუნეებში უკვე იყო. ნაწილი ამ აზრს არ იზიარებს. ამ საკითხში მეტი სიცხადის შესატანად ყველა სიახლე მნიშვნელოვანია. ამ მხრივ საინტერესო კვლევას აწარმოებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის დოქტორი თემო ჯოჯუა, რომელმაც საზღვარგარეთ დაცულ ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერზე დასმულ სამეფო ბეჭდის გამოსახულებას მიაქცია ყურადღება და ამ საკითხის თაობაზე ვრცელ ნაშრომს ამზადებს.

### ნ. თემო, სად აღმოჩნდა ხელნაწერი, რომელ- ზეც ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებაა?

ხელნაწერი დაცულია ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში, რომელიც სულ 5 წიგნს მოიცავს. ჩვენი ინტერესის საგანია ხელნაწერი # 4. ეს არის 1160 წელს გარეჯში გადაწერილი კრებული. ამ ხელნაწერს აქვს საკუთარი სახელიც. გადამწერელი მას „სანატრელს“ ეძახის.

### როგორ მოხვდა ხელნაწერი ავსტრიის დედა- ქალაქში?

1845 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული ხელნაწერები დაათვალიერა სიძველეთმცოდნე ნიკო ჩუბინაშვილმა. მათ შორის იყო გარეჯული ხელნაწერიც. ამ დროისთვის მონასტრი უკვე ბერძნებს ეკუთვნოდათ. 1883 წელს იმავე ქართული ხელნაწერების უკეთ შესასწავლად წმინდა მიწაზე ჩავიდა ალექსანდრე ცაგარელი. მან იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გარეჯული კრებული ველა ნახა. 1845-1883 წლებს შორის შუალედში ეს ხელნაწერი მონასტრიდან დაიკარგა. 1930 წელს ხელნაწერი გამოჩნდა კაიროში, ანტიკარიატითმოვაჭრეანონიმპირთან, რომელმაც ხელნაწერი გასაყიდად გამოიტანა. გრიგოლ ფერაძე ფიქრობდა, რომ ბერძნებმა ეს ხელნაწერი, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ჯვრის მონასტრიდან გაიტანეს და გაყიდეს, რითიც მონასტერში ქართული კვალის წამლას ცდილობდნენ. 1930 წელს გარეჯული კრებული კაიროში შეიძინა პროფესიონალმა ტურკერმა, რომელიც წარმოადგენდა ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკას. შეძენის შემდეგ ნივთი ვენაში გადაგზავნა. საინტერესოა, რომ გარეჯული კრებულის გარდა, ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექციის 5 წიგნიდან კიდევ 2 ტურკერმა სწორედ იმ კაიროელიანტიკვარიატითმოვაჭრისგან შეიძინა. ეს იმას მოწმობს, რომ ბერძნებს ბევრი ქართული ხელნაწერი ჰქონდათ გასაყიდად გამოტანილი. აქედან სამი ვენაში მოხვდა, მრავალი ხელნაწერის ბედი კი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

### რა ადგილას გვხდება ხელნაწერში ანაბეჭდი?

ხელნაწერის ფურცლებზე სულ 5 ანაბეჭდია, ერთი და იგივე ბეჭდით შესრულებული. ისინი გვხვდება ორ ფურცლებზე. 56 ფურცლის რექტოზე, მარჯვენა არშიაზე ბეჭედი დასმულია ორ ადგილას.



სურ. 1

1160 წლის გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 55v-56r

105 ფურცლის რექტოზე იგივე ბეჭედი მარჯვენა არშიაზე დასმულია სამჯერ.



სურ. 2

1160 წლის გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 104v-105r

## როდის დაინტერესდნენ ქართველი მკვლევ- რები ამ ბეჭდით?

პირველი მკვლევარი, რომელმაც ამ ბეჭდზე უურადღება გაამახვილა გრიგოლ ფერაძე იყო. მან 1940 წელს გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღნერილობები.

აღნერილობისას გრიგოლ ფერაძე რამდენიმე წინადადებით შეეხო ბეჭდსაც. მან თქვა, რომ ხელნაწერში გვხვდება რამდენიმე გრაფიკული ჩანახატი და ბეჭდის ანაბეჭდები. გრიგოლ ფერაძე ფიქრობდა, რომ ბეჭდი ჯვრის მონასტრის იყო.

გრიგოლ ფერაძის მერე ამ ბეჭდეს არცერთი ქართველი მკვლევარი აღარ შეხებია, არც ფილოლოგი და არც ისტორიკოსი. ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. ხელნაწერი, რომელიც ვენაში ინახება ხელმიუწვდომელი იყო ქართველი მეცნიერებისთვის. ის მკვლევრები, ვინც ხელნაწერი ნახა, ფილოლოგები იყვნენ. ისინი არ იყვნენ დაინტერესებული ანდერძ-მინაწერების კვლევით და ხელნაწერის ფილოლოგიური მხარე აინტერესებდათ. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია, რომელიც ისტორიული თვალსაზრისით საინტერესოა, ყურადღების მიღმა დარჩა.

## თქვენ როდის დაინტერესდით ამ ხელნაწერით და მასზე გამოსახული ანაბეჭდით?

2002-2003 წლებში ინტასის სტიპენდიის ფარგლებში სამ-სამი თვის განმავლობაში მქონდა საშუალება მემუშავა ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ჩემი მიზანი გარეჯული ხელნაწერის ანდერძ-მინაწერების შესწავლა იყო. ამ ხელნაწერის მინაწერები იყო ჩემი სადისერტაციო თემა.

სწორედ მაშინ ვნახე ეს ანაბეჭდი, რომელზე არსებული წარწერის ამოკითხვაც მაშინვე მოვახერხე.

თბილისში ჩამოსვლისთანავე გრიგოლ ფერაძის აღნერილობა ვთარგმნეთ ქართულ ენაზე. თარგმანის რედაქტორი პროფესორი დიმიტრი თუმანიშვილი იყო, კომენტარები მე დავურთო.

2004 წლს გამოვცით ხელნაწერის ფერაძისეული აღნერილობა. ვთვლიდი, რომ უმჯობესი იქნებოდა სამეცნიერო საზოგადოებას ხელნაწერის შესახებ პირველად გაეგო არა ჩემგან, არამედ გრიგოლ ფერაძისგან, რადგან სწორედ ის იყო პირველი ქართველი ვინც ეს ხელნაწერი შეისწავლა.

სწორედ ფერაძისპეტლიკაციის კომენატარებში დავწერე პირველად, რომ ბეჭდი, რომელიც მას მიაჩნდა ჯვრის მონასტრის კუთვნილებად, სინამდვილეში მეფეთ-მეფე გიორგის ეკუთვნოდა. ასომთავრულად შესრულებული ლეგენდა, რომელიც გარშემო შემოუყვება ბეჭდს, შემდეგნაირად იკითხება:

„მონაი ღმრთისაი მეფეთა-მეფე გიორგი“. 2004 წლის შემდეგ, დისერტაციაზე მუშაობის გამო, ბეჭდის შესწავლას მხოლოდ ახლახანს მივუბრუნდი.

## რით არის ბეჭდი მნიშვნელოვანი და საინტერესო?


ბეჭდი საინტერესოა არა მხოლოდ ქართული სფრაგისტიკის ისტორიისთვის, არამედ შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესწავლისთვისაც. ვინაიდან საკითხი დღეისთვის ძალიან აქტუალურია, გადავწყვიტე საგანგებოდ გამომეკვლია ეს ანაბეჭდები და დავლოდებოდი იმ შედეგებს, რასაც ეს კვლევა მოგვცემდა. მიღებული შედეგი ან გასცემდა პასუხს საზოგადოებაში არსებულ კითხვებს, ან ვერა.

## რა შედეგები აჩვენა კვლევამ?

კვლევამ აჩვენა შემდეგი სურათი:

ბეჭდი არის მრგვალი ფორმის, რომელსაც შემოყვება ორი რკალი. ერთი უმუალოდ მიყვება კიდეს, მეორე კი დაცილებულია მისგან.

ორ რკალს შორის არის წრიულად შემოყოლებული ასომთავრული ტექსტი, რომელიც ხუთიდან ორ ანაბეჭდში გარკვევით ჩანს. სამი ანაბეჭდი შეიძლება ერთი-ორი გრაფემის დასაზუსტებლად გამომდგარიყო. 56-ე რექტოზე არსებული 2 ანაბეჭდიდან მხოლოდ ერთი გამოდგა სამუშაოდ.



სურ. 3


I ანაბეჭდი, 1160 წლის გარეჯული კრებული (Ven.4), ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, I, 56r

ასევე ერთი იძლეოდა მუშაობის საშუალებას 105-ეგვერდის რექტოზე არსებულიანაბეჭდებიდან.



სურ. 4

III ანაბეჭდი, 1160 წლის გარეჯული კრებული (Ven.4),  
ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3,  
I, 105r



სურ. 5

IV ანაბეჭდი, 1160 წლის გარეჯული კრებული (Ven.4),  
ფოტოპირი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3,  
I, 105r

წრიული ბეჭდის დიამეტრი არის 3,6 სანტიმეტრი. ეს ბეჭდის სივრცის საკმაოდ დიდი ზომაა. ტიპოლოგიურად ის შეიძლება მივაკუთვნოთ დიდი ბეჭდების რიგს. ბეჭდი მაღალი ოსტატობითაა შესრულებული. წარწერა კარგი ხელით არის

ნაკვეთი. ის არ გავს გვიანი შუა საუკუნეების ნიმუშებს, რომლებზეც ასოები გაუმართავი სახით არის წარმოდგენილი. ასომთავრული ტექსტის გრაფემათა მოხაზულობა მიანიშნებს, რომ ბეჭდი განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდისაა.

ტექსტი სრულად იყითხება და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთია: “მონაი ღმრთისაი მეფეთა მეფე გიორგი”.

საინტერესო აღმოჩნდა ის კომპოზიციაც, რომელიც ტექსტის შუაში იყო წარმოდგენილი. ბეჭდზე არსებულ წარწერას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მისი მეშვეობით ირკვევა ვინ არის ამ ბეჭდის მფლობელი. ჩვენს შემთხვევაში ეს იყო ვინმე მეფეთა-მეფე გიორგი. აქედან გამომდინარე, ბეჭდი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული სამეფო ბეჭდების ერთ-ერთ ნიმუშს.

**რომელი სამეფო ბეჭდებია ჩვენამდე მოღვეული?**

ამის შესახებ ჩვენ გვაქვს სამი ტიპის ინფორმაცია. პირველი ესაა წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, როგორი იყო სამეფო ბეჭდები და მათი შენახვის წესი. ეს ცნობები არის საკმაოდ მნირი და სრული სურათის წარმოქმნის საშუალებას არ იძლევა. მათ შორის ყველაზე ძველია ხელმწიფის კარის გარიგებაში დაცული ცნობა, რომელშიც მოიხსენიება დიდი სახელმწიფო ბეჭდი. იქ წარმოდგენილია, თუ როგორ ინახებოდა ეს ნივთი და ვის ებარა სამეფო კარის მოხელეებიდან მასზე ზედამხვედველობა. ასევე გვაქვს XVII-XVIII საუკუნეების ცნობები, რომლებიც წარმოადგენ წესწავლის შესწავლილი.

გარდა ამისა, ჩვენამდე მოაღწია კიდევ ორი ტიპის მასალამ: წერილობითმა და ნივთიერმა. ფაქტობრივი მასალა არის სულ ორი ბეჭდი. ორივე მათგანი ეკუთვნიდა ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ს. ორივე ევროპული ბეჭდების წაბაძვით გაკეთებული ხელოსნური ნიმუშია. ამიტომ შუა საუკუნეების ქართული სფრაგისტიკის შესასწავლად ეს ბეჭდები არ გამოგვადგება.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომაა ბეჭდები მოღვეული ასეთი მცირე რაოდენობით.

საქმე ისაა, რომ, შუა საუკუნეების ტრადიციის თანახმად, მფლობელის გარდაცვალებასთან ერთად ბეჭდი უნდა განადგურებულიყო, რათა შემდეგ მისი გამოყენებით არ მომზდარიყო საბუთების გაყალბება.

არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ბეჭდებს საფლავში ატანდნენ მის მფლობელს. კიდევ უფრო იშვიათად, როგორც ძვირფას ნივთს, ეკლესია-მონასტრებს სწირავდნენ. როგორც ჩანს, ქართველი მეფეების შემთხვევაში ეს ბეჭდები ნადგურდებოდა.

გამოდის, რომ ჩვენ გვაქვს მნირი წერილობითი ცნობებიდაერთიმეფისორიბეჭდები. ერთიშედვით

ეს არის ის პაზა, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ვილაპარაკოთ, როგორი იყო სამეფო ბეჭდები შუა საუკუნეების საქართველოში. საბედნიეროდ ამ ორი ტიპის მასალის გარდა ჩვენამდე მოაღწია ქართული სამეფო ბეჭდების ანაბეჭდებმა, რომლებიც დასმულია ხელნაწერ დოკუმენტებზე.

ქართულ სამეფო ბეჭდებს რამდენიმე ავტორი იკვლევდა: ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სარა ბარნაველი და ბოლოს ანა ბაქრაძე, რომელმაც გამოსცა სფრაგისტიკული ნიმუშების კატალოგი. მან თავი მოუყარა ქართულ ხელნაწერ საბუთებზე დასმულ ბეჭდებს, რომლებიც ფოტოებითა და ტექნიკური აღწერილობებით ერთ წიგნად გამოსცა. ამ კვლევის მიხედვით, XV-XVIII საუკუნეების განმავლობაში გვაქვს 28 ქართველი მეფის 57 სამეფო ბეჭდი. იყო შემთხვევები, როდესაც ერთ მეფეს რამდენიმე ბეჭდი ჰქონდა. ეს დაკავშირებული იყო ტიტულატურის ცვლილებასთან, რომელიც აჩნდა ახალი ბეჭდის დამზადების აუცილებლობას, თუმცა ამ შემთხვევაში ძელი ბეჭდი არ ნადგურდებოდა. მაგალითისთვის ერეკლე II სიცოცხლის ბოლომდე ხმარობს ბეჭდეს, რომელიც მისი ბატონიშვილობის პერიოდისაა, მაგრამ იყენებს არა იურიდიული დოკუმენტების, არამედ პირადი ხასიათის წერილების დასაბეჭდად.

ამ ნიმუშებიდან ყველაზე ადრეული არის ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ის ბეჭდი, რომელსაც მოსდევს მეფე ალექსანდრეს ბეჭდი, რომელზეც ფიქრობენ, რომ შეიძლება იყოს კახთა მეფე ალექსანდრე I ან კახთა მეფე ალექსანდრე II. ამ ორი ბეჭდით შემოიფარგლება XV-XVI საუკუნეების პერიოდი. ყველა სხვა ნიმუში XVII-XVIII საუკუნეებისაა.

**რა საერთო აქვს გარეჯულ ხელნაწერზე დასმულ ბეჭდეს თქვენს მიერ აღნერილ სხვა ბეჭდებთან?**

ცხადია, მთელი ამ ინფორმაციის თავმოყრა იმიტომაა საინტერესო, რომ დავადგინოთ რა საერთო აქვს გარეჯული ხელნაწერის არშიაზე დასმულ ბეჭდეს შემდგომი პერიოდის ბეჭდებთან. როგორც ვთქვი, ყველაზე ძეველია XV საუკუნის მეორე ნახევრის ბეჭდი, რომელიც ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ს ეკუთვნის. შემდეგ უკვე მოდიოდა ქართლის, იმერეთისა და კახეთის მეფეების ბეჭდები. არცერთი ბეჭდი მეფეთა-მეფე გიორგის ბეჭდებთან არანაირ პარალელს არ ავლენს. გარეჯულ ხელნაწერზე დასმული ბეჭდი აბსოლუტურად განსხვავებული სფრაგისტიკული ნიმუშია. ერთადერთი, რომელიც მას წააგავს, ესაა ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზის მრგვალი ბეჭდი. თუმცა მათ შორისაც არის განსხვავება. თუ მეფეთა-მეფე გიორგის ბეჭდზე გამოსახულია ტოლბელავა ჯვარი, თეიმურაზის

ბეჭედზე გოლგოთას ჯვარია გამოსახული, რომლის მელავები არათანაბარი სიგრძისაა და დამყარებულია სამკუთხა სეგმენტზე, რომელიც გოლგოთას მთას განასახიერებს. მასზე ასევე გამოსახულია თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები. თეიმურაზის ბეჭედზე გამოსახული ჯვრის ქვედა მკლავი გრძელია. განსხვავება მკლავის ფორმებშიც. თეიმურაზის ბეჭედზე გამოსახული ჯვრის მკლავები ბოლოებში არ ფართოვდება, განსხვავებით მეფეთა-მეფე გიორგის ბეჭედზე გამოსახული ჯვრისაგან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თეიმურაზის ბეჭდს გარშემო ლეგენდა მხედრულად შემოუყვება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთადერთი ბეჭედი, რომელიც ჩვენს ხელთ არსებული ნიმუშებიდან მსგავსებას ავლენს მეფეთა-მეფე გიორგის ბეჭედთან არის თეიმურაზ I-ის ბეჭედი, მაგრამ ეს მსგავსებაც კომპოზიციური ხასიათისაა. ორივე ბეჭდის შუაგულში გამოსახულია ჯვარი, რომლის მკლავებს შორისაც ტექსტია მოთავსებული და ორივე მათგანს გარშემო ლეგენდა შემოუყვება, მაგრამ ჯვარიც, ტექსტიც და ლეგენდაც განსხვავებულია.

**თქვენი აზრით, რომელი ქართველი მეფის საკუთრება იყო გარეჯულ ხელნაწერზე დასმული ბეჭდი?**

იმის შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მეფეთა-მეფე გიორგის ბეჭდს ანალოგი ქართულ სფრაგისტიკულ ნიმუშებს შორის არ მოეძებნება, დავწიყე ფიქრი, ვისი საკუთრება უნდა ყოფილიყო ბეჭდი. მნიშვნელოვანია ისიც, როგორ მოხვდა მისი ანაბეჭდი ხელნაწერი წიგნის არშიაზე. აქ ძირითადი ინფორმაცია მომცა თვითონ გარეჯული ხელნაწერის ისტორიაზე დაკვირვებამ. ხელნაწერი გადაწერილია 1160 წელს. შესაბამისად, მის არშიაზე დასმული ბეჭდი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ იმ მეფე გიორგის საკუთრება, რომელიც 1160 წლის შემდეგ მოღვაწეობდა. პირველი მეფე, რომელსაც შეიძლებოდა ეს ბეჭდი საკუთრებაში ჰქონდა, არის გიორგი III. რაც შეეხება ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, ამის განსაზღვრაშიც დიდი დახმარება გამინია თავად ხელნაწერის ისტორიამ. ხელნაწერს აქვს 100-ზე მეტი ანდერძინანერი. პირველი ანდერძ-მინაწერი თარიღდება 1160 წლით, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1160 წელს გარეჯში, ნმინდა დავითის ლავრის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ მოხასტერში, ვინმე ნიკოლოზ ხეკრაის მიერ. აქედან მოყოლებული მინაწერები დაახლოებით 200 წლის განმავლობაშიარგვებული შემდეგებუკვე 1363 წელს ჩნდება თარიღიანი მინაწერი, რომელიც ეკუთვნის მოქველ ეპისკოპოს ლუკა მდრელს. ის ნმინდა მინაზე იყო ჩასული სინმინდეების მოსალოცად და ხელნაწერის არშიაზე შეასრულა 5 მინაწერი. აქედან მოყოლებული, XV-XVIII საუკუნეებში გვხდება



100-ზე მეტი მინაწერი, რომელიც ეკუთვნით ან წმინდა მინაზე მყოფ ქართველ მოღვაწეებს, ან საქართველოდან იქ მოსალოცად ჩასულ პირებს. მათი უმრავლესობა ცნობილი ისტორიული პირია. მათი მოღვაწეობა და წმინდა მინასთან ურთიერთობა ჩვენთვის ცნობილია. ამ მინაწერების დიდი ნაწილი დათარიღებულია.

მასალის ანალიზით ირკვევა, რომ 1363 წლისთვის ხელნაწერი უკვე წარმოადგენს წმინდა მინაზე არსებული ერთ-ერთი ქართული მონასტრის საკუთრებას და იმ დროისთვის იერუსალიმშია გადატანილი. ის ფაქტი, რომ ხელნაწერი წმინდა მინაზე იყო, იცოდა გრიგოლ ფერაძემაც, თუმცა ის ფიქრობდა, რომ მისი გადატანა მოხდა XVI საუკუნის 70-იან წლებში. სხვა მინაწერების შესწავლამ აჩვენა, რომ არა XVI საუკუნის 70-იან, არამედ XIV საუკუნის 60-იან წლებში ხელნაწერი უკვე იერუსალიმში ინახებოდა.

### რას გვაძლევს იმის ცოდნა, როდის გადაიტანეს ხელნაწერი იერუსალიმში?

ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ 1363 წელი არის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი, რომლის შემდეგაც მეფეთ-მეფე გიორგი ხელნაწერზე თავისი ბეჭდის დასმას ვეღარ შეძლებდა. 1363 წლიდან ხელნაწერი უკვე წარმოადგენდა იერუსალიმის ერთ-ერთი ქართული მონასტრის საკუთრებას. შესაბამისად, ამის შემდეგ ხელნაწერზე სამეფო ბეჭედი ვერანაირად ვერ მოხვდებოდა. ხელნაწერის ისტორიის შესწავლამ განსაზღვრა 203 წლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეიძლებოდა სამეფო ბეჭედი მასზე დასმულიყო.

### რამდენი მეფე გიორგი მოღვაწეობდა ამ დროის მონაკვეთში?

1160-1363 წლებში ჩვენ გვიავს სულ ოთხი მეფე გიორგი. ესენი არიან გაერთიანებული საქართველოს მეფეები: გიორგი III, გიორგი IV ლაშა და გიორგი V ბრნენვალე. ასევე გიორგი VI მცირე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იყო XIV საუკუნის დასაწყისში. იგი გიორგი ბრნენვალის ორ გამეფებას შორის მოღვაწეობდა და სწორედ ამიტომ საქართველოს ისტორიაში გიორგი VI-ის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს გიორგი V-ის მოღვაწეობის ძირითად პერიოდს. ეს ბეჭედი უნდა იყოს ამ ოთხი მეფე გიორგიდან ერთ-ერთის საკუთრება. სამწუხაროდ ხელნაწერის არშიაზე არსებული ანდერძ-მინაწერები არ იძლევა საშუალებას კიდევ უფრო დაგაზუსტოთ ბეჭდის მფლობელის ვინაობა. პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს ბეჭედი იყო გიორგი V ბრნენვალეს საკუთრება, მაგრამ ვინაიდან რაიმე მყარი არგუმენტი ამის სამტკიცებლად არ გამაჩნია, ამ ეტაპზე ოთხი მეფიდან მფლობელის კიდევ უფრო დაზუსტებაზე

თავს ვიკავებ. გიორგი V-ის მოღვაწეობის წლების გათვალისწინებით შეგვიძლია ბეჭდის ხელნაწერზე დასმის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი კიდევ უფრო შევამციროთ და განვსაზღვროთ 1346 წლით, ვინაიდან ამ წელს გიორგი ბრნენვალე გარდაიცვალა და 1363 წლამდე, ანუ იმ დრომდე, როდესაც ხელნაწერი უკვე იერუსალიმში გადაიტანეს, საქართველოს სხვა მეფე გიორგი აღარ ჰყოლია.

### რას გვაძლევს ბეჭდის დათარიღება 1160-1346 წლებს შორის ქრონოლოგიური პერიოდით?

ეს ცნობა ქართული სფრაგისტიკისათვის უძვირფასესია, რადგან, როგორც უკვე გითხარით, ჩვენამდე ანაბეჭდის სახით მოღვეული უძველესი ნიმუში თარიღდება XV საუკუნის მეორე ნახევრით, ბეჭედი კი ქრონოლოგიურად ბევრად ადრინდელია და აჩვენებს, რომ ის წარმოადგენს ჩვენამდე მოღვეული ქართული სამეფო ბეჭდების უძველეს ნიმუშს. გარდა ამისა, ის იძლევა მსჯელობის საშუალებას იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სამეფო ბეჭდები შუა საუკუნეების საქართველოში.

ბეჭედი ასევე სვამს ქართული სფრაგისტიკის ისტორიაში საკითხს, რომელიც აქამდე არ დასმულა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენამდე მოღვეული ანაბეჭდები დასმულია იურიდიულ დოკუმენტებზე. გარეჯული ხელნაწერი არაა ისტორიული დოკუმენტი. იბადება კითხვა, რატომ უნდა ყოფილყო დასმული ბეჭედი, რომელიც წარმოადგენდა იურიდიული ძალაუფლების სიმბოლოს, ამ შემთხვევაში სამეფო ძალაუფლების ნიშანს, არა დოკუმენტზე, არამედ ხელნაწერ წიგნზე. სამწუხაროდ, ქართულ სფრაგისტიკაში ეს პრობლემა განხილული არ ყოფილა. გარდაცვალებამდე მევესაუბრეანაბაქრაძეს, ბოლო პერიოდის ყველაზედიდ ქართველ სფრაგისტიკოსს, რომელმაც მითხა, რომ ამ მიმართულებით ქართულ სფრაგისტიკაში არავის უმუშავია. აღმოჩნდა მთელი მიმართულება, რომელზეც არის სამუშაო. ამ მხრივ, მეფეთა-მეფე გიორგის ბეჭდის შემთხვევა უნიკალური არაა. ახლა საჭიროა ყველა ასეთი შემთხვევა მოგროვდეს და გაანალიზდეს, თუ რატომ ხვდებოდა სამეფო ბეჭდები ხელნაწერ წიგნებზე, რომლებიც იურიდიულ დოკუმენტებს არ წარმოადგენენ.

### მაინც რა მიზნით შეიძლება მოხვედრილიყო სამეფო ბეჭდები ხელნაწერი წიგნების არშიებზე?

სამწუხაროდ, არ შემეძლო დავლოდებოდი საქართველოში ამ მიმართულების ძირეულ შესწავლას, ამიტომ გარეჯული სამუშაოები წინასწარ შევასრულე. იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს ბეჭედი გარეჯული ხელნაწერის



არშიაზე შეიძლება დასმულიყო მხოლოდ ორი მნიშვნელობით. ერთი ეს შეიძლება ყოფილიყო იურიდიული დანიშნულებით, ამ შემთხვევაში საკუთრების უფლების აღსანიშნავად, რაც იმას ნიშნავს, რომ ბეჭდის დასმით მისი მფლობელი პირი აცხადებდა იურიდიულ უფლებას ამ ნივთზე. შუა საუკუნეებში ბეჭდებს მხოლოდ საბუთებზე არ სვამდნენ. ამ ბეჭდებით ამტკიცებდნენ არა მხოლოდ ხელშეუხებლობას, არამედ უფლებას რაიმე ნივთზე. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ XVII საუკუნის შუა ხანებში იმერეთის მეფე ალექსანრე III თავისი სამეფო ბეჭდით ბეჭდავდა ქუთაისის ციხის ერთერთ კოშკს, რომლიდანაც გამოჰქონდათ გვარჯილა. ეს იყო რამდენიმე ათეული სათლი გვარჯილა, რომლისგანაც მერე ამზადებდნენ თოფის წამალს. ქუთაისის ციხის მისადგომებში, სადაც იყო გვარჯილის გამოსადინარი, მეფებს კოშკი ჰქონდათ აგებული. იმისათვის, რომ გვარჯილა არ მოეპარათ, მეფე კოშკს საგანგებოდ კეტავდა და დაკეტილ კარებს ბეჭდავდა სამეფო ბეჭდით. წელიწადში ერთხელ მეფე კარს ხსნიდა, მისივე ხელმძღვანელობით სპეციალისტები იღებდნენ გვარჯილას და კარი კვლავ ილუქებოდა სამეფო ბეჭდით. ბეჭდით ასევე შეიძლება დაბეჭდილიყო ოთახი, ტომარა, კარადა, ქისა და ა.შ. ერთი მხრივ, ეს იყო მფლობელობის დამადასტურებელი, მეორე მხრივ კი - ხელშეუხებლობის გარანტია. ჩვენ შემთხვევაში ხელნაწერზე დასმული ბეჭედი შეიძლება დასმულიყო მფლობელობის უფლების დასადასტურებლად. ამის მაგალითები საკმაოდ ბევრია XIX საუკუნეშიც კი. მაგალითად, როცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყიდულობდა ძველ ხელნაწერებს, არშიაზე უსვამდა ორგანიზაციის ბეჭედს ნიშნად იმისა, რომ ეს ნივთი მის საკუთრებას წარმოადგენდა. მე ვფიქრობ, რომ მეფეთა-მეფე გიორგის ბეჭედი გარეჯული ხელნაწერის არშიაზე შესაძლოა სწორედ ამ მიზნით დასმულიყო.

თეორიულად არ გამოირიცხება ის ვარიანტიც, რომ ბეჭედი დასმული ყოფილიყო არა იურიდიული დანიშნულებით, არამედ არასამართლებრივი მიზნით. მაგალითად, ამ ბეჭდის მოხმარებაზე ხელის განაცვის ან ანაბეჭდის ტონალობის შერჩევისათვის. თუ დავაკვირდებით, 105-ე ფურცლის არშიაზე ბეჭედი დასმულია სამ ადგილას და სამივე ანაბეჭდს განსხვავებული სიმკვეთე აქვს. პირველ ანაბეჭდზე მელანი ჭარბი რაოდენობითაა და გამოსახულება გაიდლაპნა. მეორე ანაბეჭდი უკვე კარგად განირჩევა. მესამე ანაბეჭდი კი მერთალია. ანალოგიური სურათია 56-ე რექტოზეც, ერთი ანაბეჭდი აქაც ძალიან კარგად ჩანს, მეორე კი მკრთალია. ამიტომ თეორიულად არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ხელნაწერზე ბეჭდის გამოსახულება აღმოჩნდა ხელის განაფვის მიზნით.

ლოგიკური მჯელობით, თუ საქმე გაქვს იმ

შემთხვევასთან, რომ მეფე გიორგი ბეჭდის დასმით თავის საკუთრებას დასტურებს, ეს ნიშნავს, რომ ხელნაწერი წარმოადგენდა სამეფო საკუთრებას. შესაბამისად, ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაცული სამეფო ნიგნთსაცავში.

თუ მივიჩნევთ, რომ ბეჭედი ხელნაწერზე ხელის განაფვისმიზნით მოხვდა, ცალსახადიმისმტკიცება, რომ წიგნი მეფის საკუთრებაა, არ შეიძლება, მარგამ ბეჭდის შენახვის წესის გათვალისწინებით ის აუცილებლად სამეფო კარზე უნდა ყოფილიყო დაცული. ეს შეიძლება ყოფილიყო სამეფო სასახლე ან გადასაადგილებელი სამეფო კარავი. ნებისმიერ შემთხვევაში ბეჭედი მეფესთან ერთად უნდა ყოფილიყო. რა დანიშნულებითაც არ უნდა გამოეყენებინა მეფეს ბეჭედი, ხელნაწერი წიგნი აუცილებლად უნდა ყოფილიყო სამეფო კარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბეჭედი ხელნაწერის არშიაზე ვერ მოხვდებოდა. თუ ეს დასკვნა სწორია, აქედან გამომდინარებს კიდევ ერთი დასკვნა, რომ ხელნაწერი წიგნი, ისევე როგორც სამეფო ბეჭედი, ბეჭდის დასმის მომენტში სამეფო კარზე იყო. ეს კი ამტკიცებს, რომ იმ მომენტში წიგნი წარმოადგენდა სამეფო საკუთრებას ნებისმიერ შემთხვევაში, რა დანიშნულებითაც არ უნდა დაესცა მეფეს ბეჭედი ხელნაწერის არშიაზე.

ეს ყველაფერი, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სფრაგისტიკული თვალსაზრისით, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბეჭედი დასმულია 1160-1346 წლებს შორის შუალებში. სხვა დროს ხელნაწერი სამეფო კარზე ვერ მოხვდებოდა.

### კიდევ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ანაბეჭდს?

როგორც უკვე აღვნიშნე, ანაბეჭდი მნიშვნელოვანია, როგორც ქართული სფრაგისტიკის, ისე ზოგადად შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად. განსაკუთრებული მნიშვნელობა მას შეიძლება ჰქონდეს შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესწავლის საქმეში. ეს მნიშვნელობა ჩადებულია იმ გრაფიკულ გამოსახულებასა და კომპოზიციაში, რომელიც ბეჭედზეა წარმოდგენილი.

ბეჭდის შუაგულში გვხვდება წრეში ჩანერილი ტოლმკლავა ჯვარი. ჯვრის მკლავები ბოლოებისკენ თანდათანობით ფართოვდება და მთავრდება წყვილი ბურთულით. ამ გაფართოებულ მკლავებზე დასმულია თითო პატარა ჯვარი, რომელთა მკლავებიც ბოლოსკენ აგრეთვე ფართოვდება. მკლავებს შორის არებზე წარმოდგენილია ტექსტი. კერძოდ, მკლავთა შორის ზედა მარცხენა არეზე იკითხება ორი გრაფემა ჯ-ი, ანუ ჯვარი. ზედა მარჯვენა მკლავთა შორის არეზე გამოსახულება არ ჩანს. მისი ტექსტი არ იკითხება არცერთ ანაბეჭდზე. ქვედა მარცხენა მხარეს მკლავთა შორის არეზე არის



ანალოგიური ტექსტი ჯ-ი ქარაგმის ნიშნითურთ, ანუ ჯვარი. მარჯვენა მხარეს კი არის ქანი და ინი, აგრეთვე დაქარაგმებული, ანუ ქრისტესი. გამოდის, რომ ქვედა მკლავთა შორის არებზე გვაქვს წარწერა ჯვარი ქრისტესი. გამომდინარე იქიდან, რომ სხვა ტექსტი ზედა მარჯვენა მკლავთა შორის არებზე არ შეიძლება ყოფილყო, ჩემი ვარაუდით, ზედა მარჯვენა მკლავთა შორის არებზეც ანალოგიური ტექსტი იქნებოდა ამოტვიფრული. გამოდის, რომ ბეჭდის შუაგულში ჯვრის გარშემო მკლავთა შორის არებზე არის ტექსტი: ჯვარი ქრისტესი.

გამოდის, რომ ჩვენ გვაქვს ხუთჯვრიანი კომპოზიციის თავისებური ვარიანტი, სადაც მკლავთა შორის არებზე ჯვრები კი არ არის გამოსახული, არამედ სიტყვით გამოსახული ჯვრებია დატანილი. ამასთან ოთხივე სიტყვაში აქცენტირებული არის გრაფემები: ჯ და ქანი. ისინი თავისი მოხაზულობით ჯვარს წააგვანან, შესაბამისად, როდესაც ბეჭედს ვიზუალურად დახედავ, პირველი სწორედ ეს გამოსახულებები ჩანს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი ხუთჯვრიანი კომპოზიციის ვარიანტი, რომელიც ჩემი მოძიებულ მასალებში არსად დასტურდება.

**შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ სამეფო ბეჭდის მსგავსად ხუთჯვრიანი კომპოზიცია შუა საუკუნეების საქართველოს დროშაზეც ყოფილიყო გამოსახული?**

ამ საკითხზე მეცნიერებაში დიდი დავაძ. მკვლევრები ორ ნაწილად არიან გაყოფილი. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ შუა საუკუნეების ქართულ დროშაზე წარმოდგენილი იყო ხუთჯვრიანი კომპოზიცია. მეორე ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. მე გამიჭირდება ამ მოსაზრებების მართებულობის შეფასება. ამას ცალკე კვლევა სჭირდება და ამ ეტაპზე ეს ჩემი ინტერესების სფეროს სცილდებოდა. ის ფაქტი, რომ 1160-1346 წლებს შორის პერიოდში საქართველოს სახელმწიფო სამეფო ბეჭედზე გამოსახული იყო ხუთჯვრიანი კომპოზიცია, ამყარებს იმ მკლევართა მოსაზრებას, ვინც ფიქრობს, რომ დროშაზე ხუთჯვრიანი კომპოზიცია უნდა ყოფილიყო.

შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ ჩვენ ამ ბეჭედზე კლასიკური გაგებით ხუთჯვრიანი კომპოზიცია არ გვაქვს და ამიტომ მისი გამოყენება, როგორც პირდაპირი ანალოგიისა, დროშასთან შიმართებაში არ იქნება მართებული. თეორიულად ეს შეიძლება ასეც იყოს და ამიტომაც ჩემს წაშრომს ამ საკითხის გადასაწყვეტად ზედმეტად კატეგორიული მნიშვნელობა არ მივეცი.

თუმცა, ჩემი აზრით, აქ პროცესი უნდა განვითარებულიყო შემდეგი სახით: ეს არის იგივე სიმბოლიკა, რაც შეიძლება დროშაზე ყოფილიყო

ასახული, უბრალოდ იმ განსხვავებით, რომ არ არსებობდა დროშაზე სიტყვებით გამოსახულების გადმოცემის ტრადიცია. ამიტომაც, თუ ამ ტრადიციის შესაბამისად, მკლავთა შორის არებზე ამოიღებ შესაბამის სიტყვებს და იმ ოთხ ჯვარს, რომელიც მკლავებზე განაწილებული, გადაიტან მკლავთა შორის არებზე, მიიღებ ზუსტად იმ კომპოზიციას, რაც დროშაზე გამოსახული.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ამის ზუსტ პარალელად მოყვანა არ შეიძლება, რადგან თვითონ ჯვრის ფორმა, რაც დროშაზე გამოსახული განსხვავებულია. ამიტომაც ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც კატეგორიული არა ვარ ამ დასკვნების გაკეთებისას, გამომდინარეობს იქიდან, რომ მე ვმსჯელობ სფრაგისტიკული ნიმუშიდან გამომდინარე, რომელსაც აქვს თავისი განვითარების ხასიათი, კანონზომიერება და თავისი მოხმარების წესი. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმორებ: ის ფაქტი, რომ 1160-1346 წლებში მეფეთა-მეფე გიორგის სამეფო ბეჭედზე ხუთჯვრიანი კომპოზიცია წარმოდგენილი, ამყარებს აზრს, რომ დროშაზეც ხუთჯვრიანი კომპოზიცია უნდა ყოფილიყო გამოსახული.

ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ გასაგრძელებელია და ვფიქრობ, რომ ეს კვლევა სხვა დამატებით შედეგებამდეც მიგვიყვანს, მაგრამ ამ ეტაპზე სულ ესაა რისი თქმაც ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება.




სურ. 6  
ანაბეჭდის რეკონსტრუქცია

ესაუბრა დავით ბრაგვაძე

## საარქივო მასალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო, სამხედრო და საბაზო ძროშების მესახებ (1918-1921)

## **Archive Materials about State, Military and Custom Flags of Democratic Republic of Georgia (1918-1921)**



(ଜ୍ୟୋତି. ପୃ. 1833, ଅନ୍ତର୍ଗ. 1, ଲାଙ୍ଘ. 425, ପତ୍ର. 49.

14.

საქართველოს მთავრი მიუხედავთ.  
კანონმდებლები  
საქართველოს რესპუბლიკური მთავრობის  
პროექტის შესახვევნ სამართლა.

მიეცეს სახელმწიფოს თანხმობან  
მიქანჩავე იდეოზ ნივთიერების სა-  
ქართველოს რესპიციის პროექტის შედ-  
ვინისთვის განხილული სამი თარ-  
ის 2000 მანერი.

კომისიის  
მ ა გ მ ა დ ი მ ა რ ე

1732 - ს 1/2

1732 - ს 1/2

1732 - ს 1/2

፲፻፭. ፩. 1836, ዓ. 1, በዓ. 311, ዓ. 14.

(ગાંધી. ટ્રા. 1836, અ. 1, લાખ. 212, ગૃ. 7.

ახტა.

3 0 6 0 6 0

საქართველოს რესპუბლიკის ლრობისა.

- I. საქართველოს რესპუბლიკას აქვე თავისი დროშა სამცე-  
როვანი: წითელი /შვინდის ფერის/ მავის და თეთრის  
ფერისა.
2. ლრობას შეადგენს: თეთრი შენი თავში შირთვითა და ზუ-  
მის წვერით, აყამი წითელი /შვინდის ფერისა/ ვავი  
და თეთრი თანახმობი შოთაში ჩემი კუთხეშითგუნან; ვა-  
ვი და თეთრი შოთაში შეადგენს ალამის განის ნახევარს  
და სიკრძის ორ მეხუთელს.

1918 წ. სექტემბრის 10-ს

საქართველოს ეროვნულ სამცოს

თავმცდომარი

B. ჩხერიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმცდომარი

B. გორგაძე

გრაფის 16265.

კოდაქის ფაქტი

Tbilisi R. გორგაძე

ცსა. ფ. 1836, ან. 1, საქ. 212, გვ. 8.

۱۷۰

9

3 5 6 m 6 n

ၬ၁၉၆၂၂၃၀၈ ၅၇၁၂၀၁၁

I. ხაშუაროვების რესპუბლიკის ხამხელობრივი დროშა შეხდგენა ვა  
• ლომიული ღორისი ავორი ადმინისტრაცია, რომელის მუაგრძელი მო-  
თავებებულია ხაშუაროვების რესპუბლიკის დერბი გვირგვინში;  
აღმა მემორანული აქტის მფინდის დეკრიტი არია, გარშემორტ-  
ყმული ვარაბების შესახვა; აღმა აქტის ხამი მფინდის აერი ვა  
დაბი, ვარაბების შეს მემორანული დროშის ბუნი ავინდისჲი-  
რი, მომქვერიულახურიანი, რომელიც ადგენერალ ჩამოშვერი-  
ები არი რემონტის მოწი.

2. ეს კანონი ძალაში მეტებ დგინდან მოუწინდა.

1918 B. 4 2228662-29-6.

ხავერიაველს პარამენტის  
მაგბჰეთი მართვის კონფიდენციალური  
მუნიციპალიტეტი. ჩემი

ხაშუროვის რებაზე დღის მიღწევის  
თავად გენერალი გ. ქ. ქ. ქ. ქ.

Родионов Георгий

போக்குவரதாக வேடு

பெரும்பால் வேறு  
தீவிரமாக விடுவது

35645-~~5~~<sup>10</sup>

სამხედრო ფრომა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ფრომა შესდგამა 33 ღია გამოცხადის ფორმის  
თვეთონი აღმისავარ, რომის მუხა ~~1983 წლის~~ მოთავსებული საქართველოს რესპუ-  
ბლიკის ღმამი ~~1983 წლის~~ მე მოვლენებით აქვს ჭინდის ~~ფერის~~ არია, გარემო-  
რის უზური ~~მუნიციპალიტეტის~~ მიმღებ; ასე აქვს სამი მინდის ~~ფერი~~ კუტები, ~~მემონი-~~  
~~ტებული~~ ~~მუნიციპალიტეტის~~ მიმღებ; ასე აქვს სამი მინდის ~~ფერი~~ კუტები, ~~მემონი-~~  
~~ტებული~~ ~~მუნიციპალიტეტის~~ მიმღებ. ~~მუნიციპალიტეტის~~, ~~მუნიციპალიტეტის~~, ~~მუნიციპალიტეტის~~

2. მ ასახ მუხა მუხა ფრომა შესძლე.

(მუხა აუთ კუტები, მუხა მუხა და მუხა მუხა, მუხა მუხა და მუხა მუხა, მუხა მუხა და მუხა მუხა.)

(ગાંધી. ટ્રિ. 1836, અં. 1, ગાંધી. 188, ગૃ. 5.

કૃતા. જ્ઞ. 1836, અ. 1, સાફ. 212, ગૃ. 1.

## იმპერატორის გაფეთა გვირგვინი

ქართველი მეფეების რეგალიების ისტორია სავსეა დრამატული ფურცლებით. პრაქტიკულად, ყველა ძირითადი სამეფო ინსიგნიები (გვირგვინი და სკიპტრი), სხვადასხვა დროსა და ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო გატანილი. მცირე გამონაკლისის გარდა, მათი ადგილსამყოფები დღემდე უცნობია. მაგალითად, თემურ-ლენგის შემოსევის დროს, 1386 წელს თბილისის აღებასა და მეფე ბაგრატ V-ის დატყვევებასთან ერთად, შეიძლება მისი რეგალიებიც იყო წალებული (ვახშტი). აღნერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში: ქართლის ცხოვრება. ტ.IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩინიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 267, 293; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. 3. თბ., 1982, გვ. 180, 187). რუსეთში სხვადასხვა დროს წალებული იყო შემდეგი სამეფო ინსიგნიები: მეფე დავით VI ნარინის გვირგვინი (Архив Оружейной Палаты, ф.20, дело №20 - Пеереписка и список на выдачу из Оружейной палаты всех грузинских регалий и древностей Грузинской республики (1922-1923 гг., 12 листов (рукопись)), თვით იმერეთის მეფის - არჩილ II-ის მიერ 1699 წელს - გვირგვინი და სკიპტრი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.IV. ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე. თბ., 1973, გვ. 349), ქართლის მეფის - ვახტანგ VI-ის მიერ 1724 წელს - გვირგვინი და სკიპტრი (ისტორიის ნარკვევები. ტ.IV. დას. ნაშრ. გვ. 421), 1882 წელს - ქართლის მეფის - თემურაზ II-ის სკიპტრი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.IV. დას. ნაშრ. გვ. 815; И.Л. Бичикашвили, Н.Л. Беруашвили. О двух фрагментах царского скипетра из Государственного Музея Искусств Грузии. В сб.: Филимоновские чтения, вып. 1. М., 2004, стр. 86-115), 1801 წელს - ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის გვირგვინი და სკიპტრი (А. Натроев. Мцхет и его собор Свэти-Цховели. Тифлис, 1900, стр. 431-432; ი. ბიჭიაშვილი. ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის რეგალიები. უურნ. "ჰეროლდი", 1, თბ., 2012, გვ. 47-52). ირანის შაჰის - აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს სპარსეთში წალებული იქნა მეფე ერეკლე II-ის გვირგვინი და სკიპტრი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.IV. დას. ნაშრ. გვ. 764; ი. ბიჭიაშვილი. ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის რეგალიები. დას. ნაშრ. გვ. 47), ხოლო 1810 წელს, თურქეთში - იმერეთის მეფის - სოლომონ II-ის გვირგვინი და სკიპტრი (ი. ბიჭიაშვილი. ბაგრატიონთა დინასტიის საქართველოს მეფების რეგალიები, 10. წიგნში: ბაგრატიონები - სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003, გვ. 559). საქართველოს მეფეების რეგალიების ისტორიის საკითხის შესწავლისას, ექვთიმე თაყაიშვილის არქივში, რომელიც საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, ნეგატივების აღწერილობა შეგვხვდა, რომელიც ცნობილმა მეცნიერმა იმერეთში თავისი არქეოლოგიური ექსპედიციის დროს, 1920 წელს გააკეთა. ამ აღწერილობის ჩამონათვალში ე. თაყაიშვილი იმერეთის მეფეების გვირგვინს ასახელებს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის ფონდი 334 - გელათი. ფოტოსურათების სია 91 (რუსულ ენაზე); აკადემიონის ექვთიმე თაყაიშვილის არქივი. აღწერილობა. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ე. კელენჯერიძემ. თბ., 1972, გვ. 94), რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო. (სურ. 1) ნამოიჭრა რამდენიმე საკითხი. პირველი - შემორჩა თუ არა ჩვენს დრომდე ეს გვირგვინი და თუ ჩვენამდე მოაღწია სად ინახება. ჩვენ მივმართეთ საარქივო მასალებს და ისტორიულ წყაროებს. პირველივე ნაბიჯებიდან ძიებამ დადებითი შედეგები მოიტანა. როგორც აღმოჩნდა, არსებობს მისი ბევრი აღწერილობა, რომლებიც ჩვენ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგვყავს.



სურ. 1 გვირგვინის ფოტო (შუაში) ე. თაყაიშვილის ხელნაწერით

ყველაზე ადრინდელ წყაროდ უნდა ჩაითვალოს ნიკოფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იველევის ანგარიში, რომელშიც მათ მიერ აღწერილია 1650-1652 წლების რუსეთის ელჩობა იმერეთში. ამ ანგარიშში ისინი საკმაოდ დაწვრილებით აღწერენ იმერეთის მეფის - ალექსანდრე III-ის სამოსა და გვირგვინს. კერძოდ, იმერეთის მეფის გვირგვინზე ისინი აღნიშნავენ შემდეგს: "თავზე ქონგურებიანი გვირგვინი ადგას, უქობო, შვიდ საყრდენიანი, ორმუზდული მარგალიტით შემოყოლებული, შიგადაშიგ უოლოსფერი და ცისფერი იაგუნდის ქვებია ჩასმული, აგრეთვე ზურმუხტისა და ალმასის ჟიუმატითა შემკული. გვირგვინის საყრდენებსა და ოქროს ბალთებზე, ჯვრებია გაკეთებული ორმუზდული მარგალიტით, თითოეულ ჯვარში ოთხ-ოთხი მარგალიტის მარცვალია" (ტოლოჩანოვისა და იევლევის 1650-1652 წელის ელჩობა იმერეთში. გამოსცა მ. პოლიევებოვმა. თბ., 1926, გვ. 64). ამ აღწერილობიდან აშკარად ჩანს, რომ საუბარია არა ლითონის, არამედ ძვირფასი ქვებით და მარგალიტებით მოქარგულ გვირგვინზე, რომლის თავზე შვიდი ჯვარია მოთავსებული.

იმერეთის მეფეთა ინსიგნიები გელათის მონასტრის საგანძურში ინახებოდა, სადაც XV საუკუნის ბოლოდან ტახტზე მეფეთა კურთხევა აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის მიერ სრულდებოდა. ამ კურთხევის წესი აღნერილია XIV საუკუნის წყაროში - “წესი და განგება მეფეთ კურთხევისა” (წესი და განგება მეფეთ კურთხევისა). თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო დ. ფურცელაძემ. თბ., 1996), სადაც ნათქვამია, რომ ტახტზე მეფის კურთხევის დროს წინადღეს “ღამე იგი უძილოდ განათონ ლოცვითა და ვედრებითა ღმრთისა მიმართ თვით მეფედ განმზადებულმან და ყოველთა პალატთა შინა და ყოველმან სავსებამან ეკლესიის ამან” (წესი და განგება მეფეთ კურთხევისა. დას. ნაშრ. გვ.16). მოგვიანებით, იმავე დღეს, წირვის დროს შეიკრიბებიან და სიტყვებით “გუაკურთხენ, წმიდაო და თვითმშეყრობელო მეფეო, მრავალმცა არიან წელნი მეფობისა თქუნისანი!” (წესი და განგება მეფეთ კურთხევისა. დას. ნაშრ. გვ.16).

გელათის მონასტრის საგანძუროს საეკლესიო ნივთებს შორის, რომლებიც XIX საუკუნის 60-იან წლებში ფოტოგრაფმა დ. ერმაკოვმა გადაიღო, დაფიქსირებულია იმერეთის მეფეთა გვირგვინი (სურ.2).



სურ.2 იმერეთის მეფეთა კურთხევის გვირგვინი. დ.ერმაკოვის ფოტოს მიხედვით (1869 წ.)

საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის 489 ფონდში გელათის მონასტრის საგანძუროს 1854 წლის აღნერილობა ინახება, სადაც შემდეგი ცნობაა მოყვანილი: “Царская корона, вышитая из золота и серебра и богата увешана многочисленными мелкими бирюзовыми и яхонтовыми камнями и 6 жемчугами различной величины. На этой короне есть 7 небольших крестов”. ხელმეორედ აღნერილობა, ახლიდან გადაწერილი, შეჯამებული და კომენტირებული, თარიღდება 1876 წლით. მასში ჩვენი გვირგვინი მოყვანილია 2 თავში სათაურად “Вещи не употребляемые при богослужении” (საქართველოს ცენტრალური ისტორიულ არქივი (სცია), ფონდი 489, აღნერა 1, საქმე 33974 - “იმერეთის ეპისკოპოსის მიერ, წარდგენილი გელათის მონასტრის ქონების აღნერა, 15.12.1876 წ.”. “გელათის მონასტრის ქონების აღნერა, შედგენილი 29.07.1854 წ.”. 1878-1879 წლებში გელათის მონასტრის საგანძუროში, კვლავ

ჩატარდა სიძველეების აღნერა (სცია, ფონდი 489, აღნერა 1, საქმე 37434 - “იმერეთისა და სამეგრელოს მონასტრებისა და ეკლესიების ქონების აღნერები. შედგენილია 1878 და 1879 წწ.”, ფ.17). (სურ.3)

ამ გვირგვინს აღნერენ მოგზაურები და მეცნიერები, რომლებიც ამიერკავკასიის სიძველეებს იკვლევენ.

Вещи, неупотребляемые при богослужении.

Патриархиеская сандалия (обувь), воротник употребляемый во время Богослужений, вышитый из золота и богато усыпаный мелкими бирюзовыми и яхонтовыми камнями, и шестью различными жемчугами и серебром висящими по краям.

Царская корона, вышитая из золота и серебра и богата увешана многочисленными жемчугами и кристаллами.

სურ.3 გელათის მონასტრის 1878-1879 წწ. აღწერის ფურცელი. წითელი ფერით გამოყოფილია სიტყვები - “მეგზის გვირგვინი” (Царская корона)

ასე მაგალითად ნ.მურავევი გელათში ყოფნის დროს წერდა: "...Тут же и корона великого Баграта (одеждой მეფე ბაგრატ III. ი.ბ. ბ.ბ.). Она из дорогой парчи, в виде шапки и вся унизана жемчугом; на шести ее зубцах по малому кресту, составленному из перлов и лалов; седьмой крест более других, И едва ли есть, где-либо в мире, другая корона, с умовением ног над царским челом" (Н.Муравьев. Грузия и Армения, ч.III. Спб., 1848, стр.196-198).

აკადემიკოსი მარი ბროსე თავის ერთ-ერთ “რაპპორტი”-ში ამ გვირგვინის შესახებ წერდა: “Саамеф о გვირგვინი ანუ შარავანდი, რომლის დამზადების თარიღი უცნობია. გვირგვინი მთლიანად ამოქარგულია ზურმუხტებით. გვირგვინის თავზე მოყვანილია ჯვარი, შემკული ძვირფასი ქვებით და გარშემო შემორტყმულია კიდევ ექვსი ჯვრით” (M.Brosset. Rapports sur un voyage archeologique dans la Géorgie et dans l’Arménie, execute en 1847-1848. Onzième rapport. St.-Petersbourg, 1851, p.14).

ნ.პოკროვსკი თავის ანგარიშში, რომელიც მან დაწერა გელათის მონასტრის საგანძუროს დათვალიერებისას, V არქეოლოგიური ყრილობის დროს (თბილისი, 1881 წლის შემოდგომა), ასევე გვირგვინს ასახელებს: “В богатой ризнице Гелатского монастыря находятся - корона одного из грузинских царей...” (Н.Покровский. Археологические редкости Гелатского монастыря. Христиансское чтение, 1882, январь-февраль, стр.485). გელათის მონასტრის საგანძუროს 1854-1878/1879 წლების აღნერილობაში მხოლოდ ერთი გვირგვინი იხსენიება, რომელიც ნ.პოკროვსკიმ 1881 წელს ნახა.

მოგზაური და კოლექციონერი გ.გულბეკიანი აღნიშნავდა, რომ “...в Гелати хранятся дорогие, украшенные золотом, серебром и драгоценными

камнями одеяния царей и епископов, царская корона, перстни..." (G.Gulbenkian. La Transcaucasie. Paris, p.63 (თარგმანი ფრანგული ენიდან ბ.ბერუჩაშვილისა)).

იმერეთის მეფეთა გვირგვინის აღწერილობა მოყვანილია ასევე დეკანოზ დავით ლამბაშიძის ნიგბში „გაენათის მონასტერი და ნე. მეფე დავით ალმაშენებლის (ცხოვრება)“. მისთვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო გელათის მონასტრის საგანძუროს 1854, 1876 და 1878/1879 წლების საკულესიო აღწერილობები. ამ ნაშრომის ქვეთავში, რომლის სათაურია - “Вещи, не употребляемые при Богослужении”. ქვემ, მოყვანილია შემდეგი: “Царская корона, вышитая из золота и серебра, украшенная драгоценными камнями. Большую же красоту и блестательность этой короне придают 7 небольших крестов, украшенных разноцветными камнями” (Д.Гамбашидзе. Гаенатский монастырь и жизнеописание благоверного царя Давида III Возобновителя. Квирила, 1909, стр.11).

6.კონდაკოვის და დ.ბაქრაძის ნაშრომს  
“Опись памятников древности в некоторых храмах и  
монастырях Грузии” тავისი აქტუალობა დღესაც  
არ დაუკარგავს, საქართველოს ბეჭრი სიძველების  
მეცნიერული აღწერილობის კუთხით, თუმცა მათ  
“აღწერილობები” ნ.მურავიოვის ორი სხვადასხვა  
აღწერილობა (Н.Муравьев. Грузия и Армения, ч.III.  
Спб., 1848), გვირგვინისა და მაქსიმე II კათალიკოსის  
მიზრისა, ერთი ნივთის აღწერილობად შეერთდა.

თავისთვად, წირვის დროს გვირგვინს ვერ გამოიყენებდნენ მიტრის მაგიერ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართული მონასტრებისა და ეკლესიების საგანძურებოსა და აღნერილობებს, ნ. კონდაკოვი და დ. ბაქრაძე არ იცნობენ და თავის ნამრომში არ იყენებენ. თავიანთ კვლევებში ისინი ძირითადად მარი ბროსესა და სხვა წყაროებს იყენებენ და პირველწყაროებს არ განიხილავენ. როგორც ჩანს, იმ პერიოდში პირველწყაროები მიუწვდომელი იყო, მაგრამ, სწორედ ნ. მურავიოვის ზუსტი აღნერილობა, სადაც ვრცლადაა ჩამოთვლილი ამოქარებული სახარების სცენები და წმინდანების გამოსახულებები, დაგვეხმარა გვირგვინისა და ერმაკოვის მიერ გადალებული ფოტოსურათის იდენტიფიკაციაში. ასევე ეს საეკლესიო აღნერილობები, ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც უცნობი იყო. მაგალითად, გ. ჩუბინაშვილი თავის წიგნში ქართული ჭედური ხელოვნების შესახებ, სადაც ვრცლად მოყვანილია ქართული სიძველეების ისტორიის საკითხები, ამ აღნერილობებზე არაფერს არ ამბობს (გ. ჭუბი-ნაშვილი. გрузинское чеканное искусство. Тб., 1959, стр. 20).

ე.თაყაიშვილი, რომლის წყალობით დაიწყო ეს ძიება, გვაუწყებს, რომ ნეგატივზე გამოსახულია საკურთხო გვირგვინი. მისი ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მისთვის ცნობილი იყო როგორც ნ. მურავიოვის, ასევე კონდაკოვ-ბაქრაძის ატრიბუტირება,

მაგრამ ბოლომდე ეს საკითხი არ შეისწავლა. მნიშვნელოვანია ის, რომ მან ნაიკითხა გვირგვინზე არსებული წარნერები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე.თაყაიშვილის ფონდი 327 - გელათი. ნაქსოვ-ნაკერები და გვირგვინები; ე.თაყაიშვილის ფონდი 334 - გელათი. ფოტოსურათების სია 91 (რუსულ ენაზე); აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი. აღნერილობა. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ე.ელენჯერიძემ. თბ., 1972, გვ. 94, 746).

ზემოაღნიშნული წყაროების ყველა მონაცემი  
შევაჯამეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ საუ-  
ბარია გვირგვინზე, რომელიც კათალიკოსის მიტრის  
სახელით საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების  
მუზეუმის ნაქარგებისა და ქსოვილების განყოფი-  
ლების ფონდში ინახება.

1945 წელს, საფრანგეთიდან ჩამოტანის შემდეგ, სადაც გელათის მონასტრის სხვა განძეულობასთან ერთად იყო წალებული, გვირგვინი მუზეუმში მოთავსდა. შ.ამირანაშვილის მიერ ჩამოტანილი ნივთების აღწერილობაში გვირგვინი მოხსენებულია, როგორც მიტრა. იქ მოყვანილია შემდეგი აღნერილობა: “კათალიკოსის მიტრა, გელათიდან. ოქროქსოვილის დიდი გვირგვინით, შემკული მარგალიტითა და ძვირფასი თვლებით” (შ.ამირანაშვილი. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება. თბ., 1978, გვ.64, 46). ამ ატრიბუციით, რომელზეც გარკვეული გავლენა მოახდინა კონდაკოვ-ბაქრაძის აღწერილობამ, გვირგვინი საქართველოს ხელოვნების საგანძუროს ფონდში შევიდა, სადაც დღემდე ინახება. ნაქარგებისა და ქსოვილების განყოფილების საინვენტარო წიგნის 3938-ე ჩანაწერში იგი აღწერილია შემდეგნაირად: “მიტრა თავისი ყალიბით, ძირი აქვს ოთხეუთხედი, პირი მრგვალი, გარშემო შემოკრულია ექვს ჯვრიანი სხვადასხვა წმიდანების გამოსახულებები, პირზე და ქალას გარშემო აქვს ოქრომკედით, ზევით, ვერცხლმკედით ნაქარგი და მარგალიტებით შემკული, წითელი და ცისფერი თვლებით და ცოტა მსხვილი მარგალიტებით შემკული, სარჩული აქვს წითელი, თეთრი ქობით. ზომა: 28,5X19,5 სმ. საგნის დაცულობა: ქალა ქობისაგან მორღვეულია, ნაქარგობა გადახეხილია, ზოგან ქვებიც აკლია და მარგალიტებიც”. საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის საგანძუროს კურატორის გაგაოშიძის ინფორმაციის თანახმად, გვირგვინის აღმასებით შემკული ჯვარი მათთან ფონდში ინახება. მის მიერ მონადებული წერილობითი ცნობის თანახმად, “ძვირფასი ქვების საინვენტარო წიგნში” აღნიშნულია: “საინვენტარო ნომერია B 981. Кут[аисский] Муз[ей]. Головной покров для духовного высшего сана, с фоном из белых бусинок. ჯვრებზე საუბარი არ არის. XIX ს.”. ჩვენს თხოვნაზე, უშუალოდ გვემუშავა საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის საგანძუროს საინვენტარო

წიგნებთან, უარი მივიღეთ.

გვიჩჩდება შეკითხვა, საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ნაქარგებისა და ქსოვილების განყოფილების ფონდში იმერეთის მეფეთა გვირგვინი ინახება თუ კათალიკოსის მიტრა. ამ შეკითხვაზე რომ გავცეთ პასუხი და დავასკვნათ, რომ ეს არის მეფეთა გვირგვინი, აუცილებელია განვიხილოთ ის ფუნქციონალურ-სიმბოლური კუთხით, რაც სამუალებას მოგვცემს, საბოლოოდ განვსაზღვროთ მისი ადგილი საქართველოს ისტორიაში. აუცილებელია ტიპოლოგიურად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან გვირგვინი და მიტრა.

გვირგვინი - მეფეთა თავსაბურავი და უმაღლესი ხელისუფლების ემბლემა - ღვთიური და მიწიერი. გვირგვინი თავდაპირველად ნარმოადგენდა გვერგვს, რკალს ან რგოლს. უძველეს პერიოდში გვერგვი, რკალი ან რგოლი იყო სიმბოლო პიროვნებისა, რომელიც საზოგადოებაში მაღალ ადგილს იკავებდა და ნარმოადგენდა მეფის გვირგვინის პირველსახეს (Ювелирные изделия. M., 2000, стр.32). იმპერატორ კონსტანტინე I-ის (306-337) მიერ აღმოსავლეთიდან გადმოლებული გვირგვინი თავდაპირველად ნარმოადგენდა სახვევს ქსოვილისაგან, ხოლო შემდეგ - რკალს ლითონისაგან (ფიადემას), რომელიც ცნობილია "სტეფანოსის" სახელით (Н.П.Кондаков. Изображения русской княжеской семьи в миниатюрах XI в. Спб., 1906, стр.60). ბიზანტიის იმპერატორ იუსტინეანე I-ის (527-565) დროიდან დიადემა სტემით შეიცვალა. სტემა ნარმოადგენდა ოქროს რკალს, რომელზეც ჯვარისებრად განლაგებული იყო ორი რკალი, ხოლო მათ თავს ჯვარი ამშვენებდა (Lord Twining. European Regalia. London, 1967, p.7-8). XII საუკუნისათვის გვირგვინმა კონუსებური ფორმა მიიღო, ხოლო მოგვიანებით - ქონგურებიანი.

გვირგვინებს სხვადასხვა მასალებისგან ამზადებდნენ და მათ თავდაპირველად სხვადასხვა ფორმა ჰქონდათ. მაგალითად, ე.წ. "ლომბარდიის რკინის გვირგვინი" (ინახება ქ.მონცის ტაძრის საგანძურში, IX ს.) შემკულია ძვირფასი ქვებით და მინანქრიანი ოქროს ფირფიტებით, რომლებიც შიგნიდან დამაგრებულია რკინის რკალით, რომლის ნარწერა გვაცნობებს, რომ ის დამზადებულია ერთ-ერთი ლურსმანისგან, რომლითაც იესო ქრისტე ჯვარზე იყო გაკრული. "ლომბარდიის რკინის გვირგვინით" იყვნენ კურთხეული იმპერატორები: ფრიდრიხ I ბარბაროსა (1154-1190) და კარლოს V (1516-1556), ხოლო შემდგომ იტალიის მეფეები (1870-1947). ზოგიერთი გვირგვინი ქრისტიანული სიმბოლიკით იყო შემკული. მაგალითად, წმინდა რომის იმპერიის ანუ გერმანიის საიმპერატორო გვირგვინი, ასევე ცნობილი, როგორც ნიუმბერგის გვირგვინი (Reichskrone, ინახება სააბატო რეიხსხაუში, X ს.), შემკული იყო 4 ფირფიტით - იესო ქრისტეს, ბიბლიური მეფე დავითის და წინასწარმეტყველების იეზეკიელისა და ესაიას

გამოსახულებებით (Ф.Уингეйт. Королевские династии. M., 1995, стр.4). ოქროს გვირგვინი, რომელიც უნგრეთის პირველ ქრისტიან მეფეს, სტეფან I-ს (997-1038) რომის პაპმა, სილვესტრ II-მ (999-1004) გამოუგზავნა, შემკული იყო წმინდანების გამოსახულებებით, რომლებიც მინანქარში იყვნენ შესრულებული (J.Deer. Die Heilige Krone Ungarns. Wien, 1966, p.100-102). იმპერატორ ფერდინანდ II-ის (1619-1637) გვირგვინზე 4 მახარობელი იყო გამოსახული, ხოლო იმპერატორ რუდოლფ II-ის (1575-1612) გვირგვინი, რომელიც 1804 წლიდან ცნობილია, როგორც ავსტრიის საიმპერატორო გვირგვინი, პირდაპირ მიტრისებური გვირგვინის (mitre crown) სახელს ატარებდა (Lord Twining. A History of the Crown Jewels of Europe. London, 1960, p.36). მიტრისებური გვირგვინის ფორმა იუველირმა ი.პოზიერმა გამოიყენა, როდესაც 1762 წელს ეკატერინე II - სთვის (1762-1796) საიმპერატორო გვირგვინი დამზადა (Н.Файсон. Величайшие сокровища мира. M., 1996, стр.58-59). (სურ.4)



სურ.4 1. რკინის გვირგვინი, 2. გერმანული გვირგვინი, 3. წეფეფანეს გვირგვინი, 4. მიტრისებური გვირგვინი, 5. ეკატერინე II-ის გვირგვინი

მე-XV ს.-დან მართლმადიდებლურ სამყაროში გავრცელდა მოქარებული გვირგვინები. ზოგიერთი მათგანი დამზადებული იყო ოქროსა და ვერცხლის ძაფებით და ძვირფასი ქვებით იყო შემკული. ასეთი მოქარებული გვირგვინები ჰქონდათ რუსეთის მეფის მიხეილ ფერდორეს ძის (1613-1645) მეუღლეს - დედოფალ ევდოკიას და მეფის ალექსი მიხეილის ძის (1645-1676) მეუღლეს - დედოფალ მარიას. ასევე მოქარებული გვირგვინი ჰქონდა მეფე ივანე ალექსის ძეს (1682-1696) - ე.წ. "ალტაბასური ქუდი" (Брокгауз, Ефрон. Энциклопедический словарь, т.XVI, Спб., 1895, стр.318).

მიტრა, საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, თავდაპირველად ნარმოადგენდა ფართო სახვევს ქსოვილისგან, რომელიც ქრისტიან

ეპისკოპოსთა მიერ გადმოღებული იყო ეპისკოპოსთა მდვდელმთავრის თავისაბურავიდან. ასეთ ფართო სახვევს ქსოვილისაგან ატარებდნენ: იოანე ღვთისმეტყველი, წმ. მარკოზი და იაკობ უმცროსი - იერუსალიმის ეპისკოპოსი. IV ს.-ში იოანე კაბადიკიელმა პირველმა შეამკო მიტრა წმინდანთა გამოსახულებებით. მიტრა იმდენად პოპულარული გახდა, რომ მას ხშირად იყენებდნენ ფიცის დასადებად (Д.Беляев. Ежедневные и воскресные приемы византийский царей и праздничные выходы их в храм св. Софии в IX-Xвв. Спб., 1893, стр.292).

დაახ. XIII ს.-დან ყველა თანამედროვე მიტრის პროტოტიპი ბიზანტიის იმპერატორების გვირგვინი (დიადემა) იყო. პრაქტიკულად ყველა ისტორიკოსი თანხმდება, რომ მიტრასებურ გვირგვინს თავდაპირველად კონსტანტინოპოლის პატრიარქი, შემდეგ არქიეპისკოპოსები და ბოლოს ეპისკოპოსებიც ატარებდნენ.

მიტრის და გვირგვინის გაფორმებაში განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ საერო გვირგვინს ყურებთან ჰქონდათ ჩამოკიდებული მარგალიტებისაგან და ძვირფასი ქვებისაგან შემდგარი ძაფები, რომლებიც “პრეპენდილის” სახელს ატარებდნენ. ქართველი მეფები, როგორც ბიზანტიის იმპერატორები, ატარებდნენ გვირგვინებს პრეპენდილიებით. ამაზე მეტყველებს მათი მრავალრიცხოვანი გამოსახულებები მონეტებზე, მინიატიურებზე, ფრესკებსა და ხატებზეც.

პროფ. ა.დმიტრიევსკის აზრით, აღმოსავლური ეკლესიის იერარქები XVI და ასევე XVII სს.-ში ღვთისმეტყველების დროს მიტრებს არ იყენებდნენ. მკვლევარის ამ მოსაზრებას ამტკიცებს ცნობილი ბერი არსენი სუხანოვი, რომლიც თავის თხზულებებში “Проскинии” და “О чинах греческих вкрапе” აღნიშნავს, რომ “Однако и теперь при соборном служении епископов, митру возлагает на себя только один - старейший из них по служебному положению” (Н.Пальмов. Об омофоре, саккосе и митре. უ. соч. стр.407).

განსაკუთრებულ იშვიათ შემთხვევაში, რომელიც საეკლესიო აუცილებლობით იყო გამოწვეული, პატრიარქის ან კათალიკოსის მიტრიდან, შესაძლებელი იყო დაემზადებინათ ჩვეულებრივი მიტრა. ამ შემთხვევაში მიტრიდან ჯვარს ხსნიდნენ, როგორც პატრიარქის ან კათალიკოსის წოდების აღმნიშვნელ ატრიბუტს. 1811 წელს საქართველოს კათალიკოსი ანგონ II (1788-1811) იძულებით რუსეთში გადასახლეს, სადაც მან თან წაიღო თავისი საპატრიარქო მიტრა. მოგვიანებით მისი მიტრა ეპისკოპოსა ათანასემ, საქართველოში დაბრუნა. 1830 წელს კათალიკოს ანგონ II-ის საპატრიარქო მიტრიდან აღმასებით შემკული ჯვარი მოხსნეს და ჩვეულებრივ მიტრად აქციეს (П.Иоселиани. Описание древностей города Тифлиса. Тбл., 1866, стр.139). ასეთივე საპატრიარქო მიტრა,

როგორიც იყო კათალიკოს ანგონ II-ის მიტრა (სურ.5), თბილისის სიონის საგანძურში ინახებოდა (Т.Ткемаладзе. Тифлисский Сионский кафедральный Собор. Тбл., 1904, стр.52).



სურ.5 აფხაზთა კათალიკოსის მაქსიმე II-ის მიტრა

საქართველოში, მიტრებს მე-XVI ს.-დან ჯვრით ამშვენებდნენ და ეს მხოლოდ კათალიკოსის პრივილეგია იყო (П.Иоселиани. Описание древностей..., უ. соч. стр.140). ამ პერიოდიდან საბოლოოდ დამკვიდრდა კათალიკოსთა საზეიმო სამოსი. ერთ-ერთ ნაშრომში საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ, მოყვანილია ცნობები, თუ რა სამოსს ატარებდა კათალიკოსი. ამ ნაშრომში აღნიშნულია: “Отличительными от прочих Епископов знаками Католикоса по древнему обыкновению были: 1. низанные из жемчуга и других каменьев два Серафима, пришитые на вокрилиях черного клубка; 2. на челе оного крест; 3. мантия бархатная с серебряными источниками; 4. митра с крестом на верху, обложенная по опушке зубчатою короною; 5. в служении на персях две панагии на крест” (П.Иоселиани. Краткая история грузинской церкви. Изд. 2-е. Спб., 1843, стр.152). მკვლევარი ა.ნატროშვილი თავის ნაშრომში აზუსტებს, რომ პატრიარქის მიტრა, რომელსაც აღმასების ჯვარი ამშვენებდა, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით იყო შემკული, გვირგვინის სახელნოდებას ატარებდა (А.Натроев. Мцхет и его собор Святи-Цховели. Тбл., 1900, стр.456). როგორც ირკვევა, მეფის გვირგვინსა და პატრიარქის მიტრას შორის არ არსებობს ტიპოლოგიური განსხვავება. მაგალითად, სალვოთ გერმანიის იმპერიის ელჩი ი.პერნბერგინი აღნიშნავდა, რომ 1575 წელს მან რუსეთის მეფის, ივანე IV მრისხანეს (1533-1584) თავზე ნახა “венец почти такой же, как корона его святейшества папы, хранящийся в Замке Сент-Анджело” (М.Мартынова. Царские венцы первых Романовых. Сб. Искусство Средневековой Руси. Материалы и исследования, XII. М., 1999, стр.299). მეფის გვირგვინი და პატრიარქის მიტრა წარმოადგენდნენ უმაღლესი ხელისუფლების სიმბოლიკის ვიზუალურ იდეას და დაკავშირებულნი იყვნენ ეკლესიასთან მის სხვადასხვა ვარიაციებში.

ლომბარდიის რკინის გვირგვინში და ასევე მანგლისის ეპისკოპოსთა მიტრაში ინახებოდა ლურსმები, რომლითაც იესო ქრისტე ჯვარზე

იყო გაკრული. მანგლისის ეპისკოპოსთა მიტრის ლურსმანი რომის იმპერატორმა კონსტანტინე I -მა, დიდმა (306-337) ქართლის მეფეს, მირიანს საჩუქრად გამოუგზავნა. წარწერის თანახმად, ეს მიტრა დედოფალ რუსუდანის (1223-1245) დროს იყო დამზადებული, ხოლო 1699 წელს იმერეთის მეფე არჩილ II-მ (1661-1699) რუსეთში წაიღო (П.Иоселиани. Краткая история грузинской церкви. ук. соч. стр.147).

ქართველი მეფეების გვირგვინების (X-XVIII) ფორმის საფუძვლები ბიზანტიის იმპერატორების სამეფო გვირგვინში უნდა ვეძიოთ. აკად. ივ.ჯავახიშვილი შავთელის „აბდულმესიანის“ ციტირებისას დავით IV აღმაშენებლის სამეფო სამოსასალწერს. იქისხენიებამეფისერთი გვირგვინი, რომელიც „ვისსონ-მიტრანის“ სახელწოდებით არის მოყვანილი და ოქროსა და მენამული ძაფებითაა შეკერილი (ი.ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV. თბ., 1962, გვ.22,190). ივ.ჯავახიშვილის წიგნის „ტერმინთა საძიებელში“ სიტყვა მიტრა განსაზღვრულია, როგორც „სამეფო თავსარქველი“ (ი.ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის.., დას. ნაშრ. გვ.294). ანალოგიური ცნობები მოყვანილია შ.ამირანაშვილის ხელნაწერ ნაშრომში „ქართული ყოფის და კოსტუმის ისტორია“. ამ ნაშრომში შ.ამირანაშვილი აზუსტებს, რომ ძველ დროს ქართველი მეფეები, კერძოდ, ლაზთა მეფეები გვირგვინის სახით მიტრას იყენებდნენ (შ.ამირანაშვილი. „ქართული ყოფის და კოსტუმის ისტორია“ (ხელნაწერი). საქართველოს შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის მემორიალურ-ხელნაწერთა განყოფილება, შ.ამირანაშვილის ფონდი, აღწერა 1, საქმე 99, ფ.21). ბიზანტიილი მწერლების თხზულებებში საქართველოს შესახებ, მოყვანილია ცნობები ლაზთა მეფეების სამოსისა და გვირგვინის შესახებ, რომელიც აფხაზთა მეფეების მეშვეობით გადავიდა ტაო-კლარჯეთის (ქართველთა მეფეების) მმართველებთან და შემდეგ ერთიანი საქართველოს მეფეებთან.

საქართველოში ამოქარგული გვირგვინები სხვადასხვა სახელს ატარებდნენ: თავსაბურავი, ხოირი (ოქროს ძაფებით შეკერილი). გელათის მონასტრის ფრესკაზე სწორედ „ვისსონ-მიტრანის“ გვირგვინშია მეფე დავით IV აღმაშენებელი გამოსახული. შუა საუკუნეებში, როგორც ჩანს, ამ ტიპის გვირგვინები ქრისტიანულ სამყაროში ძალიან პოპულარული იყო. ამ ვერსიის დასამტკიცებლად შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ „ვისსონ - მიტრანი“ და იმპერატორ ფრიდრიქ II ჰოპენშტაუფენის (1212-1250) მეუღლის - დედოფალ კონსტანტიანს (†1222) გვირგვინი. მისი გვირგვინი ოქროს ძაფებით იყო ამოქარგული, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით იყო შემკული, ხოლო გვირგვინს ჯვარი ამშვენებდა. ასეთივე

ტიპის გვირგვინს სერბეთის მეფე სტეფან უროშ I მილუტინი (1282-1321) ატარებდა. ამ გვირგვინით ის პრიზნენის ნმ. ლვთისმშობლის ტაძარში (XIV ს.) გამოსახული. მისი შვილიშვილი, სერბეთის იმპერატორი სტეფან დუშანი (1331-1355) ასევე ამ ტიპის გვირგვინით არის ლესნოვოს ტაძარში (XIV ს.) გამოსახული. გელათის მონასტრის ფრესკაზე იმერეთის მეფის - ბაგრატ III-ის (1510-1565) თავს მიტრასებური გვირგვინი ამშვენებს (სურ.6).



სურ.6 გვირგვინები: 1. საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებლის, 2. იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის, 3. სალვო რომის დედოფალ კონსტანტიანის, 4. სერბეთის მეფის სტეფან დუშანის, 5. სერბეთის მეფის სტეფან მილუტინის

როგორც წესი, ქართველი მეფეები სხვადასხვა ტიპის გვირგვინებს იყენებდნენ. ამ ფაქტს აკად. ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა და თვლიდა, რომ სამეფო სამოსი „საზეიმო, სადარბაზო და ჩვეულებრივი საშინაო“ იყო (ი.ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის.., დას. ნაშრ. გვ.29).

გვირგვინები, რომელსაც ქართველი მეფეები სხვადასხვა საზეიმო შემთხვევაში - ელჩების მიღების, საეკლესიო და საერო დღესასწაულების, შეილისდაბადებისან ნათლობის დროს იხურავდნენ, ჯვრებით შემკული იყვნენ. ეს ტრადიცია საფუძველს იღებს ბიზანტიის იმპერატორების საზეიმო სამოსიდან. აკად. ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ბიზანტიის კეისარს სადარბაზო სამეფო სამოსელს ვესტიატორები და საჭურისთა უფროსები აცმევდნენ ხოლმე. წესად ჰქონდათ, რომ კეისრის ჩაცმის დროს ამ ვესტიატორებსა და საჭურისთა უფროსებს კეისრის გარშემო ალყა უნდა შემოერტყათ, რადგან ბიზანტიური რწმენით კეისარი სამეფო ნიშნებით არამც და არამც წვეროსანთა თანადასწრებით არ უნდა ყოფილიყო შემოსილი“ (ი.ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის.., დას. ნაშრ. გვ.29).

ამ ტრადიციას ამტკიცებენ ქართველი მეფეების მრავალრიცხოვანი გამოსახულებები, რომლებიც ფრესკულ ნახატებში, მინიატურებში, მონეტებსა

და ხატებზეა აღმოჩნდილი. მაგალითად, დაცით IV აღმაშენებლის (1089-1125) და გიორგი III-ის (1156-1184) მონეტებზე ქართველი მეფები ჯვრიანი სტემით და პრეპენდულიებით არიან გამოსახულნი, რაც ბიზანტიის საიმპერატორო გვირგვინის სრულ იდენტურობას წარმოადგენს. (სურ. 7)



სურ.7 ქართველი მეფების გვირგვინების სქემა:  
1. ვახტანგ I გორგასალი. 2. როსსის მინიატურა,  
2. გიორგი III. ვარძია, 3. გიორგი X. ქ.კასტელი

მიტრასებურ ჯვრიან გვირგვინში, მცხეთის  
საკათედრო ტაძრის ფრესკულ ნახატზე,  
ქართლის მეფე ვახტანგ I გორგასალი (446-  
502) იყო გამოსახული. ეს ფრესკული ნახატი,  
სამწუხაროდ, დღემდე არ შემორჩენილა. XIX  
ს.-ის 20-იანი წლების ბოლოს ამ ფრესკული  
ნახატიდან იტალიელი მხატვრის - პ.როსსის  
მიერ კოპიო იყო შესრულებული აკვარელით,  
რომელიც დღეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-  
პეტერბურგის განყოფილებაში ინახება (P.P.Օբრელი).  
Грузинские рукописи Института Востоковедения АН  
СССР. Вып. I, М.-Л., 1956, стр. 93-94; ი. ბიჭიკაძვილი.  
სვეტიცხოვლის დაკარგული ფრესკები. ჟურნ.  
„ისტორიანი“, 4 (16), თბ., 2012, გვ. 18-24).  
მიტრასებურ ჯვრიან გვირგვინში ქართლის მეფე  
გიორგი X (1600-1606) თეიტინელმა ბერმა -  
ქრ. კასტელმა დახატა. მარგალიტებით შემკულ  
ჯვრიან გვირგვინში საქართველოს მეფე გიორგი  
III ვარძიის გამოქვაბულის ტაძრის ფრესკაზეა  
გამოსახული.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ყოველ-  
თვის, სპეციალურად კონკრეტული საზემო  
შემთხვევისათვის, კერძოდ მეფის კურთხევისათვის,  
გვირგვინს უკვეთავდნენ, რომელიც საეკლესიო  
რიტუალთან იყო დაკავშირებული. მეფის  
საეკლესიო კურთხევა პირველად ბიზანტიაში  
ჩატარდა.

457 ნელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა წმ. ანატოლიმ (449-458) იმპერატორად ლეონ I (457-474) აკურთხა. თავდაპირველად, მეფის კურთხევა ეკლესიის გარეთ სრულდებოდა, ხოლო VII ს.-დან ეკლესიაში იყო გადატანილი და მხოლოდ ერთადერთ საკორონაციო აქტად იქცა. მასთან დაკავშირებულმა ცერემონიალურმა ქმედებებმა, საკულტო მნიშვნელობა მიიღო, რომლებიც საკუნძების მანძილზე უცვლელი დარჩა. კორონაცია ანუ მეფის კურთხევა, რომელიც დაკავშირებული იყო წმინდა მირონცხებასთან,

დველი ბიბლიური მეფეებისაგან იყო გადმოღებული. მეფის მირონცხება ითვლებოდა განსაკუთრებულ საიდუმლოებად, რომლის შესრულებისას მეფე ძალასა და სიბრძნეს ღებულობდა, რათა სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება განეხორციელებინა. მეფის მირონცხების შემდეგ, მართლმადიდებლური ლვისმეტყველების მოძღვრების თანახმად, დაუყოვნებლივ ზიარება სრულდებოდა. ბიზანტიის იმპერატორის - კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913-959) თხზულებაში “ცერემონიების შესახებ” (Constantine Porphyrogenitus. De seremoniis aulae byzantinae, libri II. E rec. Io. Iac. Reiskii. Bonnae, 1829), მოყვანილია მეფის კორონაციის მკაფიო წესი, რომელიც დიდხანს თავისებურ ინსტრუქციას წარმოადგენდა ასეთი ტიპის ცერემონიალური აქტებისა.

ქართველი მეფეების “წესი და განგება მეფეთ კურთხევისა” შედგენილია ბიზანტიური ცერემონიალური აქტის შესაბამისად (წესი და განგება მეფეთ კურთხევისა. თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაუყრითო დ. ფურულაძემ, თბ., 1996).

ვახუშტი ბატონიშვილის ინფორმაციის  
თანახმად, მეფის კურთხევას უძველესი დროიდან  
“ეპისკოპოზი აკურთხევდა მეფესა და დაადგმიდა  
გვირგვინსა, ხოლო დადგინდებისა კათალიკოზისა -  
კათალიკოზი. და უამსა ბაგრატიონთასა ვინათვან  
ლიხთ-იმერთა იყო დადგმა გვირგვინისა: ქართლისა  
და აფხაზთა კათალიკოზნი აკურთხევდენ,  
არამედ გვირგვინსა დაადგმიდა ქუთათელი  
მეფეთა ქუთათისის ტახტისათვის. ხოლო  
შემდგომად განცოფისა იმერეთს - კათალიკოზი  
იმერთა, ქართლს - კათალიკოზი ქართლისა და  
კახეთს - ბოდბელი” (ვახუშტი. აღნერა სამეფოსა  
საქართველოსა. წიგნში: ქართლის ცხოვრება. ტ.IV.  
თბ., 1973, გვ.26).

მე-XVII ს.-ის დასაწყისიდან აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებრი სეფიანური ირანის უზენაესობა აღიარეს და ქართველ მეფებს შაჰი აგვირგვინებდა, ხოლო საშშობლოში დაბრუნების შემდეგ, მათი ხელმეორედ მეფედ კურთხევის ცერემონიალი სრულდებოდა. ასე, მაგალითად, 1606 წელს ირანის შაჰმა აბას I-მა (1587-1629) კახეთის მეფედ თეიმურაზ I აღიარა და საზეიმო ცერემონია თავის ბანაქში, ყარაბაღში ჩატარა. შემდგომშიც შაჰ აბას I-მა ეს ტრადიცია გააგრძელა და საზეიმო ცერემონიალი თავის სასახლეში გადაიტანა (გ. ბერაძე., ლ. სმირნოვა. Материалы по истории ирано-грузинских взаимоотношений в начале XVII века (сведения "Ихия ап-мулук" о Грузии). Тб., 1988, стр. 81). კახეთში დაბრუნებული თეიმურაზ I მეფედ აკურთხეს ბოდბეში, ნმ. ნინოს საფლავთან (Н. Муравьев. Грузия и Армения, ч. I. Спб., 1848, стр. 167). ხელმეორედ, 1625 წელს თეიმურაზ I სვეტიცხოვლის კათედრალურ ტაძარში კათალიკოსმა ზაქარია I - მა ჯორჯაძემ (1623-1630) ქართლ-კახეთის მეფედ აკურთხა (Н. Муравьев. Грузия и Армения, ч. I. Спб.,

1848, стр.183).

მეფედ კურთხევის გვირგვინი დაკავშირებული იყო ხელმწიფის ტახტზე ასვლასთან და შუა საუკუნეების პერიოდში სხვადასხვა ფორმით სრულდებოდა. მეფედ კურთხევის თემა იმდენად პოპულარული იყო, რომ ქრისტიანული სამყაროს ხელოვნებაში გამომუშავდა მისი იკონოგრაფიული ტიპი. მეფის ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობა მრავალრიცხვანი გამოსახულებების სიუჟეტად იქცა. ამ გამოსახულებებში იყსო ქრისტე, ანგელოზი ან წმინდანი მეფის კურთხევის ცერემონიალს ასრულებდა. ეს სცენა სიმბოლიზირებდა მეფის ხელისუფლების ღვთიურ წარმომავლობას (A. გრაბარ. იმპერატორ ვიზანტიურ ისტორია. M., 2002, стр.127).

ჩვენ შემთხვევაში, ყველა ციტირებული მაგალითი დაკავშირებულია საქართველოს მმართველებთან და მათ მეფედ კურთხევასთან. ასე, მაგალითად, ქრისტეფორე კასტელის ნახატში ღვთის მარჯვენას გვირგვინი იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660) თავზე უჭირავს (დონ კრისტოფორე დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ., 1976, გვ.76-77).

მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის კედლებზე სხვადასხვა ფრესკული ნახატებია და მათ შორის მეფედ კურთხევის სცენები. (ი. ბიჭიკაშვილი. სვეტიცხოვლის დაკარგული ფრესკები. უურნ. „ისტორიანი“, 4 (16), თბ., 2012, გვ.22).

გელათის მონასტრის საგანძურში უეჭველად იმერეთის მეფეთა საკორონაციო სამოსი ინახებოდა, რომელიც მოგზაურმა გ. გიულბეკიანმა ნახა საგანძურის დათვალიერების დროს. ვიმედოვნებთ, რომ შესაძლო იქნება დროთა განმავლობაში აღმოჩენილი იყოს იმერეთის მეფეთა საკორონაციო სამოსი. ეს სამოსი ე. თაყაიშვილმა 1920 წელს გადაიღო გელათის მონასტრის საგანძურის დათვალიერების დროს, რომელიც მისი ნეგატივების სიაში დასახელებულია როგორც „Церковное облакение имеретинских царей“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის ფონდი 334 - „Гелати. Древности“. Список негативов, №11575).

დღემდე შემორჩენილი ქართველი მეფების საკორონაციო გამოსახულებებიდან ჩანს, რომ სამეფო კურთხევის გვირგვინები და მღვდელმთავართა მიტრები ერთმანეთს ძალიან წააგავს. დაახლოებით მე-XVI ს.-დან გვირგვინის ახალი ტიპი ჩნდება - საზეიმო თავსაბურავი, რომელიც ოქროს ძაფებით ამოქარგულია და მას უხვად ამშვენებენ ძვირფასი ქვები და მარგალიტები. გვირგვინის თავს ერთი ან რამდენიმე ჯვარი ამშვენებს, რომლებიც სამეფოს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეა ან

მმართველის ამბიციასთან არის დაკავშირებული. ასე, მაგალითად, გვირგვინი სამი ჯვრით - აღნიშნავდა ლეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელიც ვრცელდებოდა რეალურად არსებულ სამსამეფოზე: ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებზე. ქართლის მეფე გიორგი XI და მისი უფროსი ძმა, ჯერ კახეთის, ხოლო შემდეგ იმერეთის მეფე არჩილი, ცდილობდნენ საქართველოს გაერთიანებას. სამი ჯვრის სიმბოლიკა საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთხელ გვხვდება, მაგრამ ცოტა სხვა კონტექსტში. ასე მაგალითად: პორტუგალიელი ბერი, რომელიც შაჲ აბას I-ის კარზე იმყოფებოდა, აღნიშნავდა, რომ 1602 წელს ერევნის ციხის ალყის დროს, რომელიც თურქების ხელში იყო, შაჲს დასახმარებლად ქართლის და კახეთის ლაშქარი მიუვიდა. კახეთის ლაშქარს ჰქონდა დროშა, რომელზეც სამი ჯვარი იყო გამოსახული (ი. ტაბაღუა. ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ. უურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1, თბ., 1974, გვ. 112).

გვირგვინი შვიდი ჯვრით - აღნიშნავდა ლეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელიც მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა. გიორგი III-დან (1156-1184) დაწყებული, შვიდი სამეფოს სახელწოდება, ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში შევიდა. ქართველი მეფეები ამ ტიტულატურით XVII საუკუნის ბოლომდე სარგებლობდნენ. ქართველი მეფეების ტიტულატურა იყო შემდეგი: 1. მეფე აფხაზთა (დასავლეთ საქართველო), 2. მეფე ქართველთა (ტაო-კლარჯეთი და ქართლის ნაწილი), 3. მეფე კახთა (კახეთი), 4. მეფე რანთა (ჰერეთი), 5. მეფე სომეხთა (ლორე-ტაშირი და ქვემო ქართლი), 6. შირვანშა (საქართველოსათვის შირვანის ვასალური ქვეყანა) და 7. შაჲანშა (სომეხი ბაგრატუნების ანისის სამეფო) (ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984, გვ. 50).

ჩვენ მიერ განხილულ ოქროს და ვერცხლის ძაფებით ამოქარგულ გვირგვინს, რომელიც ძვირფასი ქვებით და მარგალიტებით არის შემკული, წმინდანებისა და ევანგელური სცენები ამშვენებს. გვირგვინზე გამოსახულია: ღვთისმშობელი ყმანვილი იესოთი ტახტზე და სავაფი, ნმ. გიორგი, ნმ. ბასილი დიდი, ნმ. ნიკოლოზი, იოანე ნათლისმცემელი, იოანე ოქროპირი, მახარობლები - ნმ. მარკოზი, ნმ. მათე, ნმ. ლუკა, ნმ. იოანე ღვთისმეტყველი და მისი მოწაფე პროქორი. გვირგვინზე ამოქარგულია „საიდუმლო სერობის“ და „ფეხების განბანვის“ სცენების გამოსახულება. „ფეხების განბანვის“ სცენის გამოსახულების შესახებ ა. მურავიოვი აღნიშნავდა, რომ „ეძვა ლი ეს, გде-либо в мире, другая корона, с умовением ног над царским челом“ (Н. მуравьёв. გрузия и армения, ч. III. СПб., 1848, стр. 198). ასევე გვირგვინზე მოყვანილია „ევერისტიის“ სცენა, რომელიც

საღვთო ლიტურგიის პირველსახეს წარმოადგენს. გვირგვინის ქუდის ცას ექვსფრთიანი ხერუვიმები ამშვენებენ.

თავდაპირველად, დ.ერმაკოვის მიერ 1869 წლამდე გადალებულ ფოტოსურათზე, ჩანს, რომ გვირგვინს შვიდი ერთნაირი ჯვარი ამშვენებდა, ხოლო, 1920 წელს ე.თაყაიშვილის მიერ გადალებულ ფოტოსურათზე ჩანს, რომ გვირგვინის ცენტრალური ჯვარი შეიცვალა ალმასებით შემკული ჯვრით. ჯვრების ეს შეცვლა, როგორც ჩანს, XIX ს.-ის ბოლოს მოხდა. როგორც ვხედავთ, გვირგვინზე მოყვანილი ჯვრების რაოდენობა შეესაბამება შვიდ რიცხვს, რომელსაც საკრალური მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ რიცხვი შვიდი ერთიან საქათველოს და მასში შემავალ შვიდ სამეფოს წარმოადგენდა, ხოლო, მეორე მხრივ - თავისებური ალუზია იყო, ღვთის მიერ დადგენილი მიწიერი და ზეციური წესრიგის, ყოფიერების, წმინდა სულის შვიდი ძღვენის, ეკლესიის შვიდ საიდუმლოების და ა.შ. (Дж.Холл. Словарь сюжетов и символов в искусстве. М., 1996, стр.215).

ამრიგად, ერთი მხრივ, ზემოაღნიშნული წყაროებიდან და, მეორე მხრივ, იკონოგრაფიული სიუჟეტების სცენების განხილვიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ განხილული გვირგვინი არის მეფედ კურთხევის გვირგვინი. დღემდე გვირგვინის სრულყოფილი მეცნიერული შესწავლა არავის არ ჩაუტარებია. გვირგვინზე მოყვანილია ცნობები სამონასტრო აღნერებში და გაკვრით იხსენიება რამდენიმე სამეცნიერო გამოკვლევაში, მაგრამ არის კიდევ ერთი მისი ხსენება, რომელზეც ჩვენ უფრო ვრცლად შევჩერდებით.

1920 წლის ივლისში ე.თაყაიშვილი იმყოფებოდა იმერეთში, კერძოდ, გელათის მონასტერში, სადაც თამარ მეფის საფლავის არქეოლოგიურ გამოკვლევას აწარმოებდა. ეს არქეოლოგიური ექსპედიცია ექსკლუზიურ, საიდუმლო ხასიათს ატარებდა. ე.თაყაიშვილის დღიური არასოდეს არ დაბეჭდილა. დღემდე მხოლოდ მისი შავი ჩანაწერებია მოღწეული, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, კ-კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. გელათის მონასტერში საგანძურის დათვალიერების დროს ე.თაყაიშვილმა იმერეთის მეფეთა გვირგვინ წახა. მან ყურადღება მიაქცია ასომთავრულ წარწერებს, რომლებიც გვირგვინის შიდა მხარეზე იყო მოყვანილი - "მოიხსენე უფალო მონა შენი მიტროფანე მღვდელთ-მთავარი, რომლისა არს გვირგვინი ესე და რომელმან შეამკიბინა ესე. და თვისინი და მეგობარნი მისინ; მოიხსენე უფალო მხევალი შენი ხელმწიფის ასული თამარ მონაზონი და მისთანანი" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, კ-კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე.თაყაიშვილის ფონდი 327 - ნაქსოვ-ნაკერნი და გვირგვინები, ფ.8-9, 18 (ხელნაწერი)). პროფ.

ვ.სილოგავას აზრით, მოყვანილი წარწერები ძალიან წიგნიერად და უმნიკვლოდ არის შესრულებული, მაგრამ წარწერების სახე და მანერა მიუთითებს, რომ, ისინი გვირგვინთან შედარებით უფრო გვიანაა შესრულებული. წარწერების ავტორი ძალიან განათლებული პიროვნება იყო, რომელიც კარგად იცნობდა არაუგდრეს XVI და არაუგვიანეს XVII საუკუნეებისა. სამეფო გვირგვინის წარწერაში მიტროპოლიტი მიტროფანე იხსენიება, რომელმაც ის შეამკო და რაღაც დროის განმავლობაში მისი მფლობელი იყო. სამეფო გვირგვინის მეორე წარწერა ჩვენამდე, რაღაც ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, არ შემორჩი. ე.თაყაიშვილის ცნობის თანახმად, ამ მეორე წარწერაში "ხელმწიფის ასული თამარ მონაზონი" იხსენიებოდა და მიუთითებს, რომ გვირგვინი რაღაც დროიც მონაკვეთში რესტავრაციას მოითხოვდა. ეს ხელმწიფის ასული - მონაზონი თამარი, გურიის მთავრის მამა II გურიელის (1600-1625) ასული, იმერეთის მეფის გიორგი III-ის (1605-1639) ვაჟის, ალექსანდრე ბატონიშვილის (შემდგომ მეფე ალექსანდრე III) პირველი მეუღლე და მათი ერთადერთი შვილის - მეფე ბაგრატ IV-ის (1660-1681) დედა იყო. ალექსანდრე ბატონიშვილთან განქორწინების შემდეგ თამარი მამასთან - გურიაში დაბრუნდა. ცნობილია, რომ თამარ ბატონიშვილმა მონაზონბა მიიღო და XVII ს.-ის 40-50-იან წლებში იერუსალიმში იმყოფებოდა. შესაძლოა, რომ იერუსალიმში გამგზავრებამდე ბატონიშვილი თამარი ერთ-ერთ ქალთა მონასტერში ყოფილიყო, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა. XVII ს.-ში რამდენიმე ქალთა მონასტერია ცნობილი (П.Иоселиани. Род князей Чолокаевых и мученик св. Бидзина Чолокаев. Тбл., 1866, стр.25). რაღაც მიზეზის გამო, მიტროპოლიტმა მიტროფანემ თავს ნება მისცა, განეცხადებინა, რომ "რომლისა არს გვირგვინი ესე". ეს წარწერა პოსესისიურ და არა ვოტივურ ხასიათს წარმოადგენს. ვოტივური ნიშნავს მიძღვნილს, შენიშვნას ან ალთქმულს (ლათინურისიტყვიდან- votivus) ხოლო პოსესისიური - ის, რომელიც საკუთრებაში იმყოფება, საკუთარი (ლათინური სიტყვიდან - possessivus).

მიტრა მღვდელმთავრის სამოსის უშუალო ნაწილს წარმოადგენდა და მასზე მოყვანილი ვოტივური წარწერები დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ასე მაგალითად, კათალიკოსის მიტრებზე, რომლებიც განსაკუთრებულ, მნიშვნელოვან მოვლენასთან იყვნენ დაკავშირებულნი, მხოლოდ მათ ჰქონდათ ვოტივური წარწერები გაკეთებული. ერთ-ერთი კათალიკოსის ოქროს მიტრა, რომელიც ცნობილია, როგორც ე.ნ. ბებურიშვილის მიტრა, მე-XVII ს.-ის II ნახევარში იყო დამზადებული. ამ მიტრის შემკვეთი მეფე თეომურაზ I-ის ვაჟის დავით ბატონიშვილის მეუღლე და მეფე ერეკლე I-ის დედა - ელენე ბატონიშვილი

იყო. ამაზე მეტყველებს მიტრის ვოტივური წარწერა (П.Иоселиiani. Описание древностей города Тифлиса. Тбл., 1866, стр.139). დეკანოზი ტ.ტყყმალაძე აღნიშნავდა, რომ თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში კათალიკოსთა მიტრების დიდი რაოდენობა ინახებოდა და მხოლოდ სამს ჰქონდა ვოტივური წარწერები: 1. დედოფალი მართამის შემოწირულ მიტრას, 2. აქეპისკოპოსი ვისარიონის მიტრას და 3. ალავერდის ეპისკოპოსის, ზენონის მიტრას (Т.Ткемаладзе. Тифлисский Сионский кафедральный Собор. Тбл., 1904, стр.57). პ.იოსელიანის ცნობით, ალავერდის ეპისკოპოს ზენონს რუსეთიდან ჩამოტანილი ვერცხლის მიტრა ჰქონდა, რომელიც მან ალავერდის ტაძარს შესწირა. მიტრაზე წარწერა იყო მოყვანილი - "ლმერთო, შეინყალე ზენონ ალავერდელი" (П.Иоселиiani. Описание древностей города Тифлиса. Тбл., 1866, стр.142).

საქართველოს კათალიკოსები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საპატრიარქო მიტრას ატარებდნენ, რომელსაც მხოლოდ ერთი ჯვარი ამშვენებდა. პატრიარქის სამოსი და მიტრა, რომელიც აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსს ეცვა, რუსი ელჩების - სტოლიკ ნიკოფორე ტოლლიჩანოვისა და ალექსი ივლევის მიერ არის აღნერილი. ელჩები აღნიშნავენ, რომ კათალიკოსს რამდენიმე მიტრა ჰქონდა, მაგრამ რატომდაც არსად არა აქვთ მითითებული, რომ მიტრას ჯვარი ამშვენებდა.

ელჩების ცნობების თანახმად, ქართველი მღვდელმთავრები საერთოდ თავსაბურავებს არ ატარებდნენ ან მათ, როგორც წესი, ბერძნული მიტრები - ე.ტ. "კლიბუკ პი-გრეჩესკი" ჰქონდათ.

ამრიგად, მიტროპოლიტი მიტროფანე არ შეიძლება ყოფილიყო მიტრის მფლობელი და მითუმეტეს, მას არ ჰქონდა უფლება პატრიარქის გვირგვინის ტარებისა. მის მიერ გვირგვინზე პოსესიური წარწერის შესრულება რაღაც განსაკუთრებული აუცილებლობით იყო განპირობებული.

რაც შექება იმერეთის მეფეთა გვირგვინს, მასზე ამოქარებულია წმ. გიორგის გამოსახულება, რომელიც მიუთითებს მისი მფლობელის სახელზე, ანუ თავდაპირველად რომელი მეფის კურთხევისათვის იყო დამზადებული. სტილის მიხედვით, იმერეთის მეფეთა გვირგვინი დასავლეთ საქართველოში იყო დამზადებული არა უადრეს მე-XVI ს.-ის შუა ნლებისა. გვირგვინის დაახლოებითი დამზადების დროის, მისი ფორმისა და სიმბოლიკის გათვალისწინებით, აშკარად ჩანს, რომ მიტრასებური გვირგვინი მეფე გიორგისათვის იყო შექმნილი, რომელიც XVI ს.-ის შუა ნლებიდან XVII ს.-ის I მეოთხედამდე ქვეყანას მართავდა. ამ მონაკვეთში დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ცნობილია ორი მეფე - გიორგი II (1565-1585) და გიორგი III (1605-1639) (ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების

გენეალოგია: ტაბულა 7 - იმერეთის მეფეები ბაგრატიონთა დინასტიიდან. წიგნში: ბაგრატიონები - სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003).

ზემოაღნიშნული ყველა ისტორიული წყაროს გათვალისწინებით, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ წინამდებარე გვირგვინი ეკუთვნოდათ იმერეთის მეფეებს: გიორგი III-ს (1605-1639) და მის შვილს ალექსანდრე III-ს (1639-1660), რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ, 1639 წელს ტახტზე აკურთხეს. ბატონიშვილობის დროს ალექსანდრე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში, რომელიც მამამისს, მეფე გიორგი III-სა და სამეგრელოს მთავარს, ლევან II დადიანს (1611-1657) შორის იყო. 1634 წ.-დან - 1636 წ.-მდე, როდესაც ლევან II დადიანს მეფეგიორგი III ტყვეობაში ჰყავდა, ალექსანდრე ფაქტობრივად იმერეთის მმართველი იყო. მამის გათავისუფლებისათვის ალექსანდრე იძულებული გახდა ლევან II დადიანისათვის დიდი საფასური გადაეხადა, მათ შორის იმერეთის სამეფო გვირგვინი. XVII საუკუნის ისტორიკოსის - ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით: "მეფე გიორგი ორს წელიწადს დადიანს ჰყავდა, სახსრად მისცეს მურასა გვირგვინი, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, თვალმარგალიტით მურასა იარალი და ნაპირის ალაგნი ჭილაძენი და მიქელაძენი და რაც ჩხარში ვაჭარი ესახლეს სომხები, რომ დადიანმა რუსის ქალაქი იმაებით ააშენა" (ფარსადან გორგიჯანიძე. საქართველოს ისტორია. ს.კაკაბაძის გამოცემა. თბ., 1925, გვ.33). ამიტომ ჩვენ ვთვლით, რომ ალექსანდრემ მეფედ კურთხევის დროს მამამისის კურთხევის გვირგვინი გამოიყენა.

იმერეთის მეფის - ალექსანდრე III-ის კურთხევის დროს რთული პოლიტიკური ვითარება იყო. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო საგანძური მნიშვნელოვნად იყო დაცლილი და გვირგვინიც არ იყო, მაინც, როგორც ჩანს, ცალკეული რეგალიები გადარჩა. მეფედ კურთხევა შესაბამისი წესით შესრულდა და გამოყენებული იყო სრული სამეფო ორნატი. იმ დროისათვის ალექსანდრე III-ს მხოლოდ მამამისის კურთხევის გვირგვინი ჰქონდა, რომლითაც ის აკურთხეს მეფედ. ასეთი გვირგვინი თვალსაჩინო მტკიცება და მუდმივი შესენება იყო იმერეთის გარშემორტყმული სამყაროსათვის და, რაც მთავარია, თურქეთის სულთნისათვის, რომლის დამკიდებულებაშიც იმყოფებოდა იმერეთი, რომ ამ ქვეყნის მეფეები ქრისტიანები არიან და ცხოვრობენ და მართავენ მართმადიდებული ეკლესის წესებით. საერთოდ შუა საუკუნეების ინსტიტუციებს და კერძოდ წეს-ჩეულებებს, გარკვეული კონსერვატიზმი ახასიათებდა. ცვლილებები ძალიან წელა ჩნდება და ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ სიტუაციებთან, ხშირად ობიექტურ აუცილებლობასთან. ასე მოხდა ალექსანდრე III-ის კურთხევასთან დაკავშირებით.

ტახტზე ასვლის შემდგომ, ალექსანდრე

III ბრძოლას აგრძელებდა სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანთან და მისი გარდაცვალების შემდეგ, მან დაიპრუნა ადრე გაცემული საგანძური და მათ შორის მამის გვირგვინი, რომელიც ჩვენს დრომდე არ შემონახულა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, “და რაც ლევან დადიანს მეფის გიორგის სახსარში უსამართლოთ წაელო, მეფეს გიორგის შვილმან მეფემ ალექსანდრემ სამართლით წამოილო” (ფარსადან გორგიჯანიძე. საქართველოს ისტორია. ს.კაკაბაძის გამოცემა. თბ., 1925, გვ.262). იმ ბრძოლაში, რომელიც 20 წელი გრძელდებოდა, ალექსანდრე III გამარჯვებული გამოვიდა და იმერეთის სამეფოს დასავლეთ საქართველოში პირველობა შეუნარჩუნა. ალექსანდრე III დაქორწინებული იყო კახეთის და ქართლის მეფე თეიმურაზ I-ის (1606-1663) ასულზე - დარეჯანზე და თავის სიმამრს ქართლის მეფე როსტომთან (1633-1658) ბრძოლაში მხარს უჭერდა. ამ ბრძოლაში დამარცხებულმა თეიმურაზ I-მა თავის სიძესთან, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სთან შეაფარა თავი. ალექსანდრე III დარეჯან დედოფალთან ერთადაა გამოსახული გელათის მონასტრის ნარტექსის ფრესკაზე, სადაც, მის თავს ამშვენებს ჩვენ მიერ აღნიშნული გვირგვინი (ი.ბიჭიაშვილი. ილუსტრაციები, V. იმერეთის მეფეები ბაგრატიონთა დინასტიიდან. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მექანიდრეობა. თბ., 2003, გვ.541).

ალექსანდრე III-ის მეფობის დროს, დასავლეთ საქართველოში კათოლიკური რწმენის გასავრცელებლად ჩამოდიოდნენ მისიონერები, რომელთა შორის იმყოფებოდა კრისტოფორო დე კასტელი. მან დაგვიტოვა თავისი ჩანახატების ალბომი, რომელიც დიდ ინტერეს ჩვენთვის წარმოადგენს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხრით, როგორც იმ პერიოდის დამაჯერებელი მოწმობა. კრისტოფორო დე კასტელის მიერ იმდროინდელი მმართველების პორტრეტებს შორის, ასევე მეფე ალექსანდრე III-ის სამი სურათია მოყვანილი (დონ კრისტოფორე დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ., 1976, სურ.7,8,9; Cristoforo Casteli da Palermo alla Georgia. A cura di Salvatore Pedone. Palermo, 1987). ერთ-ერთ მათგანზე იმერეთის მეფეს თავზე ახურავს გვირგვინი. მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულება პირობითია, როგორც გელათის მონასტრის ფრესკაზე და კრისტოფორო დე კასტელის ხახატში, მაინც შეიძლება საკმაოდ ზუსტად განსაზღვრა მისი ფორმისა: სწორი ქუდის ცა რკალით, ქონგურებიანი გვირგვინის სახით. მაშასადამე, წერილობითი წყაროების გარდა, ასევე არსებობს მისი ისტორიული გამოსახულებები (სურ.8).

სამეგრელოს მთავრის - ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, მეფეებმა თეიმურაზ



სურ.8 - იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის გვირგვინის კურთხევა იესო ქრისტეს მიერ. ქ.კასტელი, XVII ს.

I-მა და ალექსანდრე III-მ საქართველოს გაერთიანებისათვის ნაბიჯები გადადგეს. მიუხედავათ იმისა, რომ მეფე ალექსანდრე III-ს პირველი მეუღლისაგან ვაჟი ბაგრატი ჰყავდა, მან მეფე თეიმურაზ I-ის უფროსი შვილიშვილი და თავისი მეორე მეუღლის, დედოფალ დარეჯანის ძმისშვილი, ლუარსაბ ბატონიშვილი იმვილი, რომელიც ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოს ტახტის მემკვიდრე იყო. ამ ქმედებით თეიმურაზ I-ს და ალექსანდრე III-ს მთელი საქართველოს გაერთიანება შეეძლოთ, მაგრამ ლუარსაბ ბატონიშვილი 1659 წლის მაისში მოუღლდნელად გარდაიცვალა. ამიერიდან მეფეებმა მთელი თავისი იმედების განხორციელება, თეიმურაზ I-ის მეორე შვილიშვილზე-ერეკლებატონიშვილზეგადაიტანეს, რომელიც დედასთან, ელენე ბატონიშვილთან ერთად რუსეთში იმყოფებოდა. 1659 წელს მეფე თეიმურაზ I-მა რუსეთის მეფეს, ალექსი მიხეილის ძეს (1645-1676), უფროსი შვილიშვილის, ლუარსაბ ბატონიშვილის გარდაცვალების შესახებ ამცნო, რომელიც ერთიანი სამეფოს ტახტზე უნდა ასულიყო და ირაკლი ბატონიშვილის დაბრუნება საქართველოში მოითხოვა. თეიმურაზ I წერდა, რომ “...намерение свое и Царицы, супруги его, оставить мир, посвятив последние дни свои жизни иноческой, дабы оплакивать свои грехи, в безмолвии уединения монастырского; взяв во уважение, что от рода его никого не осталось, кроме Царевича Николая (Ираклия. - о.д., б.д.), находящегося при дворе российском, отпустить сего последнего в Грузию, дав свое согласие на вступление его на царство” (Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 г. Под ред. М.Броссе. Спб., 1861, стр. LXIV). 1660 წლის მარტში მოსკოვში იმერეთის მეფის - ალექსანდრე III-ის ელჩები ჩამოვიდნენ და რუსეთის მეფეს, ალექსი

მიხეილის ძეს სთხოვდნენ “...отпустить в Грузию царевича Ираклия, так как он стар и после его смерти на иверском и имеретинском престоле некого посадить” (Н.Накашидзе). Грузино-руssкие политические отношения в первой половине XVII века. Тб., 1968, стр.156). 1660 წლის 3 ივნისს ერეკლე ბატონიშვილი დედასთან, ელენე ბატონიშვილთან, ქართველ ელჩებთან და პრისტავ დიმიტრი დოლინსკისთან ერთად მოსკოვიდან საქართველოსაკენ დაიძრა (Переписка на иностранных языках грузинских царей.., ук. соч. стр. LXIV- LXV), მაგრამ 1660 წლის 1 მარტს მოულოდნელად იმერეთის მეფე ალექსანდრე III გარდაიცვალა. მეფე თეიმურაზ I რომელ ვითარებაში აღმოჩნდა. 1661 წელს მეფე თეიმურაზ I, რომელიც სკანდის ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდა, ქართლის მეფე ვახტანგ V-ს (1658-1676) ჩაბარდა და სთხოვა ირანში შაპთანგამგზავრება. ირანში მეფე თეიმურაზ I ასტრაბადის ციხეში იმყოფებოდა, სადაც 1622 წელს მისი მეუღლის, დედოფალ ხორეშანის ძმა - ქართლის მეფე ლუარსაბ II მონამებრივად დაიღუპა, რომელიც ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. 1661 წლის 3 დეკემბერს მეფე თეიმურაზ I-მა ასტრაბადიდან შეძლო წერილის გაგზავნა მოსკოვში, რომელშიც აღნერდა თავის მდგომარეობას ირანელთა ტყვეობაში და თხოვდა რუსეთის მეფეს, ერეკლე ბატონიშვილი საქართველოში გამოეშვა. 1663 წლის ზამთარში მეფე თეიმურაზ I 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. ერთგულმა კახელებმა, რომლებსაც მეფე ვახტანგ V შეუერთდა, ირანის შაპ აბას II-ს (1642-1666) მეფე თეიმურაზ I-ის ნეშტი გამოსთხოვეს და ალავერდის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს (Н.Накашидзе). Грузино-руssкие политические отношения.., ук. соч. стр.189). დასავლეთ საქართველოში შინაომი დაიწყო, რომელიც იმერეთში 1752 წლამდე, სოლომონ I-ის გამეფებამდე გრძელდებოდა.

ამ მოკლე ისტორიული ექსკურსიდან ჩანს, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XVII ს.-ში სტაბილური არ ყოფილა.

ერთიანი საქართველოსთვის ბრძოლაში უმაღლესი ხელისუფლების სიმბოლოების ფლობა აუცილებელი იყო. ჩვენ მიერ განსაზღვრულია, რომ მეფის კურთხევის გვირგვინი იმერეთის მეფის - გიორგისათვის იყო დამზადებული.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების განყოფილების ფონდში შენახული მიტრა არის კურთხევის გვირგვინი, (იგულისხმება ის, რომელსაც მეფედ კურთხევის დროს ხმარობდნენ) გიორგი III-სა და იმავე დროს ალექსანდრე III-ის სამეფო გვირგვინი (სურ.9)

აქვე უნდა გავიხსენოთ ისტორიული მოვლენები, რომლებსაც ადგილი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჰყონდა. რუსეთის იმპერატორის

- ალექსანდრე III-ის (1883 წ.) კურთხევის დროს ჩამოსული მაღალი სტუმრებისათვის, ნარმოდგენილი იყო დაპყრობილი ხალხების სამეფო ინსიგნიები, რათა ნაჩვენები ყოფილიყო თვითმპურობელური ხელისუფლების სიძლიერე. სხვადასხვა გამოტანილ სამეფო რეგალიებს შორის, საქართველოს ნარმოდგენდა მეფე გიორგი XII-ის გვირგვინი (Коронационный сборник, т.І. Спб., 1899, стр.145) და სპეციალურად ამ მიზნისათვის გ.დ.ფილიმონოვის მიერ მონახული (იმდროინდელი იარაღთა პალატის მცველი და ხელისუფლებასთან დაახლოვებულ პირი), თეიმურაზ II-ის კვერთხის ფრაფენტები - სვეტიცხოვლის საგანძურიდან (“И. Бичикашвили, Н.Беручашвили. История и атрибуция двух фрагментов царского скипетра. Государственный Эрмитаж, семинар Ювелирное искусство и материальная культура. Тезисы докладов участников 11 коллоквиума (8-13 апреля 2002 г.). Спб., 2002, стр.11-14.). დღეისათვის ამ კვერთხის ნაწილები ინახება საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის საცავში (И.Бичикашвили, Н.Беручашвили. История и атрибуция двух фрагментов царского скипетра. ук. соч. стр.11-14).

ნინამდებარე გვირგვინი არ იყო შესრულებული ძვირფას ლითონში და ამიტომ საუკუნეების მანძილზე ინტერესს არ იწვევდა. მხოლოდ ამ გარემოებამ გადაარჩინა ის და შემოგვინახა დღევანდელ დღემდე.



სურ.9 - იმერეთის მეფეთა გვირგვინი

ი.ბიჭიკაშვილი  
**I.Bichikashvili**  
ნ.ბერუჩაშვილი  
**N. Beruchashvili**

გვირგვინი

ჩვენს ეპოქაში, მონარქიული სახელმწიფოების გარდა, ისე როგორც საქართველოს შემთხვევაში გვირგვინის გამოყენება სახელმწიფო გერბი, სახელმწიფოს სუვერენიტეტის მიმანიშნებელი. ეპროპის ზოგი რესპუბლიკის გერბი გვირგვინითაა შემკობილი და, როგორც წესი, ეს გვირგვინები ან ახლაც რეალურად არსებობს (მაგ. ჩეხეთი, უნგრეთი), ან აღარ არსებობს, მაგრამ მათი გამოსახულება შემონახულია (მაგ. საქართველო, ბულგარეთი. ბულგარეთის შემთხვევაში ახალი **XX** საუკუნის სამეცნიერო გვირგვინი არსებობს, მაგრამ გადაწყდა, რომ გერბზე შუა საუკუნეების ფრესკის მიხედვით აღდგენილი გვირგვინი გამოსახულიყო).

გვირგვინი, როგორც უზენაესი მმართველის სიმბოლო, უძველესი დროიდან გამოიყენება და მისმა მრავალმა გამოსახულებამ მოაღწია ჩვენს ეპოქამდე. ცნობილი ნარმერის ფილის ერთ მხარეს (ძვ.წ. XXXI საუკუნე) ეგვიპტის ფარაონი ნარმერი



”ନାରମ୍ଭାରିଲୁ ଯଦିଲୁ”  
ଯାରାମଣ୍ଡଳ ନାରମ୍ଭାରି  
ତାତକୀ ଘେରିବାରେ  
ପ୍ରେସ .XXXI ୧.



”ନାମପରିବଳେ ଯଦିଲ୍ଲା”  
ଓରାଣଙ୍ଗ ନାମପରି  
ବେତେଣ୍ଡି ଧ୍ୟାନକବେଳେତ  
୫୩.୬ .XXXI ୬.



ԱԳՐՈԼՐԵԱՆ V ՀԱՇՎԱՆԵՐ ՊՐԵՍԻ ՑՅՈՒԹՅՈՒՆ  
Բ3 Բ 204-180 Բ

ზემო ეგვიპტის ტიარის მსგავსი, ზემოთ შევიწროებული, (ნაგრძელებული მუზარადის მსგავსი) თეთრი ე.წ. ”ჰეჯეთ” გვირგვინითაა გამოსახული, ხოლო მეორე მხარეს - ქვემო ეგვიპტის (თხემის მხარეს ამაღლებული ცილინდრული ფორმის, თხემური ნაწილიდან დიაგრამურად აღმართული, ბოლოსკენ დახვეული წნელით) წითელი ”დეშრეტით”. ნარმერ-

მა ეგვიპტე გააერთიანა და, შესაბამისად, ზემო და ქვემო ეგვიპტის გვირგვინებიც შეაერთა. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული იხმარებოდა საკმაოდ უცნაური ფორმის ეგვიპტური ორმაგი, "სეხემტად" წოდებული, გვირგვინი.

ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების მპრდანებლები მეტწილად ოქროს სალტერბს ხმარობდნენ. აქადის მეფე სარგონ დიდი თმის ძალზე რთულ ვარცხნილობას უბრალო ფორმის სალტეს უხამებდა. ხეთები კი - კონუსისებურ, ტიარისმაგვარ მაღალ ქუდებს. ირანის მეფეები საკმაოდ ეკლეკტიური, ტი-



სარგონ დილი  
ქ3.6 2270 – 2215 ტ.



፲፻፲፭ ዓ.ም-፳፻፲፭

არისმაგვარი გვირგვინებით არიან გამოსახულნი. ტერმინი ”ტიარა” სწორედ ძველი სპარსულიდან მომდინარეობს. ცილინდრის ფორმის, კბილანებიანი ახლო აღმოსავლური გვირგვინის წარმოშობა ბრონეულის ნაყოფს უკავშირდება, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მცენარეთა მეფედ იყო მიჩნეული. ასეთი გვირგვინების არსებობა პირველად ასურეთში დასტურდება. ელინისტური ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში (მაგ. სელევკიდების, პონტოს, მაკედონიის სამეფოები) კვლავ უბრალო სალტერნაციების იყენებდნენ, დიდი არმენიის მეფეები კი - ასურულის მსგავს კბილანებიან (კილინდრულ გვირგვინს.



ଡାକ୍ ବିଭାଗ | ୧୩.୬ ୫୨୨-୪୮୬ ୬.



ଓଡ଼ିଆ ୩୦୨-୩୦୯ || ୩୦୨

მაღალკილანებიანი სალტე უფრო რომს უკავშირდება, სადაც ასეთი კბილანები მზის სხივებთან ასოცირდებოდა. რომის იმპერატორებიც ხშირად მსგავსი მაღალკილანებიანი გვირგვინებით გამოისახებოდნენ და ჩვენც სწორედ ამ ფორმას მივიჩნევთ გვიანდელი ევროპული გვირგვინის ერთ-ერთ მთავარ პროტოტიპად. ჰერალდიკუსები ასეთ გვირგვინს „ძველ გვირგვინს“ უწოდებენ. ძვ. I საუკუნეში კოლხეთის მმართველი არისტარქეს მიერ მოჭრილ დრახმაზეც სწორედ ასეთი გვირგვინია გამოსახული. როგორც ზემოთ აღვხიშნეთ, ტიარა ანუ დახურული სფეროს მსგავსი გვირგვინი ეგვიპტეში, ირანსა და ხეთების სახელმწიფოში გამოიყენებოდა. ბერძნები და რომაელები ასეთი ტიპის ქუდებს ფრიგიულ ქუდებს უწოდებდნენ. მსგავსი ქუდი ეხურა რომის უზენაეს ქურუმ „პონტიფექს მაქსიმუს“ და ითვლება, რომ მოგვიანებით რომის პაპებმა, რომლებმაც უზენაესი ქურუმის რომაული ტიტულიც შეითვისეს, სწორედ ფრიგიული ქუდი აიდეს რომის პაპების ცნობილი სამი გვირგვინით დაგვირგვინებული ტიარის „რეგნუმის“ პროტოტიპად.

ადრეულ შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ რომის იმპერატორები და დასავლეთ ევროპის ბარბაროსული სამეფოების მონარქები ღია სალტის მსგავს გვირგვინს ხმარობდნენ. რომის იმპერატორები თავიდან დიადემებს ატარებდნენ. იუსტინიანეს დროს იგი ეგრეთ წოდებულმა „სტემა“ შეცვალა, რომელიც სავარაუდოა, რომ ყველა შუასაუკუნეების გვირგვინთა პროტოტიპია. იუსტინიანეს სტემა, რომელიც რავენის წმ. ვიტალის ტაძრის მოზაიკაზე გამოსახული, მარგალიტებით მორთულ ოქროს სალტეს წარმოადგენს (იუსტინიანეს მონაცვლე იმპერატორები უფრო მდიდრული გვირგვინებით არიან გამოსხულნი), გვირგვინს წინიდან ჯვარი ადგას, ღანკებზე ძვირფასი ქვებით მორთული ორი საკიდარი ეძვება (ე.ნ. პენდილია ან კატასეისტა). სტემას ქვევიდან ქსოვილი აქვს ამოდებული. სალტეს მინანქრით ამ კობდნენ. იმპერატორის შვილები და უმაღლესი სასულიერო პირები ატარებდნენ გვირგვინს, რომელსაც „სტეფანოს“ (სტემა) ეწოდებოდა. იმპერატორის მეუღლეთა გვირგვინები ყოველთვის იმპერატორისას არ წააგავდა. სან ვიტალეს მოზაიკაზე იუსტინიანეს მეუღლე თეოდორა ფოთლების ფორმით მორთული სალტიანი გვირგვინით არის გამოსახული. უფრო გვიან გაჩენილ დახურულ გვირგვინს ბერძნულად „კამელაუკიონს“ უწოდებდნენ. ქრისტიანულ დასავლეთში სტემაზე მცენარეულ ჭედურ ორნამენტს განალაგებდნენ (იყენებდნენ შროშანის ყვავილის, ხიახურისა და მარწყვის ფოთლების სტილიზებურ გამოსახულებებს). შროშანის მოტივი განასაკუთრებით გავრცელდა ინგლისა და საფრანგეთში, სადაც იგი სამეფო და საუფლისწულო გვირგვინებს ამშვენებდა. შროშანი აგრეთვე ბოჭემიის სამეფო და ტოსკანის სამთავრო გვირგვინებზეცაა გამოსახული. ასეთი ტიპის გვირგვინთა შორის უძველესია „რკინის გვირგვინი“ (მომინანქრებულ და

ძვირფასი თვლებით მორთულ ოქროს გვირგვინს ასე იმის გამო უწოდებენ, რომ ოქროს ფირფიტები რკალად დალუნულ მაცხოვრის სამსჭვალს არტყამს გარს).

საქართველოში სამეფო გვირგვინი ოდითგან-



დარიოს I ან ესპრასას II  
ძვ. ძ. 490 გ.



ტიგრან დიდის  
ტეტრადრამა ძვ. ძ. 95-55 გ.



იმპერატორი ეიონიანე  
91 გ.



არისტარქე კოლების  
მონეტა ძვ. ძ. 52-51 გ.



კალოერონი კიახელა  
თატრადრამა შერინდან  
ძვ. ძ. 160-150 გ.




დინარი ჰელიოსის  
გამოსახულებით რომის  
რესუბლიკა ძვ. ძ. 76 გ.

ვე გამოიყენებოდა. ის გვირგვინი, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელს თუ სელევკ ნიკატორს უნდა ეპოდებინა ფარნავაზ მეფისათვის, სავარაუდო, ელინისტური ტიპის სალტე უნდა ყოფილიყო. შუა საუკუნეების ფრესკებზე ქართველი მონარქები როგორც ღია, ისე დახურული გვირგვინებით გამოისახებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ დავით აღმაშენებლის გვირგვინი ბიზანტიური დახურული ტიპისაა. ფრესკებზე ქართველი მეფები სტემის სახეობის საკიდრებიანი გვირგვინებით არიან გამოსახულნი. მეფები ასევე ხშირად გამოისახებიან ოქროს ფირფიტებისგან შემდგარი გვირგვინებითაც (მაგ. დავით VI რუსუდანის ძე გელათის ფრესკიდან და ლეონ I კახთ მეფე გრემიდან).


საქართველოში შროშანებით მორთული გვირგვინები ყინწვისის XIII საუკუნის ფრესკებზე გვხვდე-



პიზანეთის გვირგვინით მოხდება მარტინი და ფრანსისკისა და ურბანისა გვირგვინითაა გამოსახული.



დედოფლი მართა მარიამ  
პატრიარქო XI ს.




პონსიანეთის მომავალი  
გვირგვინი 1042 წ.

ბა. 1640 წლით დათარიღებულ წალენჯიხის ჭედურ ხატზე ლევან დადიანი კბილანებიანი დახურული გვირგვინით, მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი კი ასევე დახურული შროშანებით დამშვენებული გვირგვინითაა გამოსახული.

დახურული გვირგვინი XI საუკუნისთვის ჩამოყალიბდა. სტემას კამარები დაუმატეს და ქვევიდან ქუდ-სარჩული ამოუდეს. როგორც შუა საუკუნეების ყველა დანარჩენი გვირგვინი, ისიც ბიზანტიური წიაღიდან აღმოცენდა და როგორც საქართველოში, ისე დასავლეთ ევროპაშიც გავრცელდა.

VIII-IX საუკუნის აღმოსავლეთ ფრანკული ფულდას ანალები გვაუწყებენ, რომ კარლ მელოტმა, როდესაც იგი წმინდა რომის იმპერიის იმპერატორი გახდა, საბერძნეთის იმპერატორების მსაგვსი სამოსი და გვირგვინი დაამზადებინა. მეცხრე საუკუნიდან საფრანგეთის დუკებმა და კონტებმაც დაიწყეს უბრალო ოქროს სალტის ტარება, კარლ მელოტმა ეს პრივილეგია მიანიჭა დუკებს, რომლებსაც გვირგვინი მხოლოდ მნიშვნელოვანი ცერემონიების და სახალხო სხდომების დროს უნდა ეტარებინათ. დროთა განმავლობაში გვირგვინების ტარება დიდებულთა ყველა წოდებამ დაიწყო. წოდებრივი გვირგვინების გამოყენება ჰერალდიკაში, XIV—XV საუკუნეებიდან იწყება. მანამდე სხვადასხვა ტიტულებისათვის ერთი და იგივე გვირგვინს



დავით IV აღმაშენებელი სინას  
ხე. გიორგის სატილან 1104-1118 წ.

## ქართული გვირგვინები



დავით და სოლომონ ევფეიები  
(ტინას ხართული ველები) ყინვისი XII ს.



ტვიპი. ეტიორი კვირიე  
ასრული XII ს.



ცალკე. ეტიორი XVII ს.



ცალკე. ეტიორი XVII ს.  
მარტინ დადიანი



ლევან II დადიანი  
კასტელის აღგოში XVII ს.



მიტრა. გალათი XVII ს.

გამოსახავდნენ. არისტოკრატიას უფლება ჰქონდა თავის გერბში ეგრეთნოდებული ძველი სამეფო გვირგვინის (მაღალკბილანებიანი ღია სალტე) გამოსახვისა. ეს ძალზე ძნელს ხდიდა გერბის მფლობელის ტიტულის ამოცნობას და არაერთი გაუგებრობის მიზეზიც იყო. XVII საუკუნეში გაჩნდა წესდება წოდებრივი გვირგვინების ხმარების შესახებ, რამაც ჰერალდიკაში სტაბილურობა შეიტანა და გერბი უფრო ადვილად ამოსაცნობი გახადა.

ჰერალდიკაში, ისევე როგორც სინამდვილეში, გვირგვინთა მრავალი სახეობა არსებობს, ესენია: საიმპერატორო, სამეფო, დიდი მთავრის (Grand Duce, ფრ.; Gros herzog, გერ.; Erzherzog, ავსტრიაში), ერისთავის ანუ დიდი თავადის (Duce, ფრ.; Duke, ინგლ.; Herzog, გერ.), შუა თავადის (Prince, ფრ.; Furst, გერ.), თავადის (Markgraf, გერ.; Marquis, ფრ.; Marquess, ინგ.), ტახტის აზნაურის (Comte, ფრ.; Earl, ინგ.; Graf, გერ.), საეკლესიო აზნაურის (Vidame, Vicomte, ფრ.), შუა აზნაურის (Freiherr, გერ.; Baron ზოგადად ევროპაში), მცირე აზნაურის (Chevalier, ბელგ.; Caballero-პირენებზე), საეკლესიო პირთა. თანაც ყოველ მათგანს ეროვნული თავისებურებები ახასიათებს. მრავალსახეობით გამოიჩევა საქალაქო გვირგვინებიც. გვირგვინის ნანილებია: სალტე, ფოთლები (შრომანის, ნიახურის, მარწყვის ან სამყურასი), კბილანა (ქიმი), ფირფიტები, ჯვარი ან სამეფო სფერო, ოქროს კამარები, ძონეულის (პორფირის) ხავერდის ქუდ-სარჩული. გამონაკლის შემთხვევებში ქუდ-სარჩული სევადი (შავი), ოქროს ან ლაქვარდოვანია (ლურჯი) (ფონ ვინკლერის მიხედვით საქართველოს სამეფო გვირგვინის ქუდ-სარჩული შავი იყო). ჩვეულებრივ, საღტე და კამარები ძვირფასი ქვებითაა შემკული. წოდებრივი, მეტნილად რეალურად არსებული გვირგვინებისგან განსხვავებით, საქალაქო გვირგვინები მხოლოდ გერბებზე გამოისახებოდა.

### საიმპერატორო გვირგვინები

**გერმანიის იმპერატორებისა** - (გამოისახებოდა გერმანიის იმპერიის გერბზე) ვილჰელმ I-ის „მეორე რეიპის“ იმპერატორად კურთხევისთვის შექმნილი გვირგვინი თავისი ფორმით კარლოს დიდის გვირგვინს წააგავს (ახალი გვირგვინის შექმნა განაპირობა იმან, რომ „კარლოსის“ გვირგვინი ავსტრიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, თანაც წმინდა რომის იმპერიის გაუქმების შემდეგ (1806), 1870 წელს გაერთიანებული გერმანიის იმპერია რომსა და სამხრეთ ტერიტორიებს აღარ მოიცავდა და ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში წმინდა რომის იმპერიის ტახტზე მხოლოდ ჰაბსბურგთა ავსტრიული დინასტიის წარმომადგენლები ისხდნენ). სინამდვილეში ამ ახალ გვირგვინზე მუშაობა არ დაუმთავრებიათ და დასრულებული სახით იგი მხოლოდ გერბებზე გამოისახებოდა. გვირგვინი ოქროსია და მოპირკეთებულია ბრილიანტებით. დიდ ფირფიტებზე სამ-სამი ჯვარია გამოსახული, მცირეებზე კი

ერთთავიანი არწივები. დიდი ფირფიტების უკნიდან ამომავალი, ოქროს ოთხი კამარა სამეფო სფეროს ქვეშ ერთდება.

### ადრეული ევროპული გვირგვინები



**კარლოს დიდის გვირგვინი** - (სინამდვილეში ეს გვირგვინი მეათე საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა, გერმანიის მეფისა და წმ. რომის იმპერატორი ოტო I-ისათვის) მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით მორთული გვირგვინი, რვა ოქროს ფირფიტისაგან შედგება. ყოველ ფირფიტას ზედა მხარე მომრგვალებული აქვს. ფრონტალურად განლაგებულ ორ მომცრო ფირფიტას, მარგალიტებითა და საფირონებით გარშემორტყმული, მინანქრის ტექნიკით შესრულებული ფიგურები ამშვენებს. ცენტრალურ ფირფიტას ზემოდან ჯვარი ადგას, რომლის ფუძესაც უერთდება კამარა წარწერით: — “Chuonradius Dei gratia Romanorum imperator augustus”. ამ გვირგვინით იმპერატორად ეკურთხა კონრად II — 1027 წელს და კამარა და წარწერაც მაშინ შეიქმნა. მოძღვენო იმპერატორებიც ამ გვირგვინით ეკურთხებოდნენ, თუმცა შუა-საუკუნეების მინიატურებსა და ხელოვნების სხვა ნიმუშებზეც ვხვდებით იმპერატორთა გვირგვინის განსხვავებულ ვარიანტებს. XVIII ს. გვირგვინს ძონეულის ხავერდის ქუდ-სარჩული ამოაკრეს. გვირგვინი ქ. ნიურნბერგში სული წმინდის ეკლესიაში ინახებოდა. 1796 წლიდან იგი ვენის საიმპერატორო საგანძურშია დაცული.

**ავსტრიის საიმპერატორო** - ეს გვირგვინი 1662 წ. რომის იმპერატორ რუდოლფ II-სათვის შეიქმნა, როგორც ეგრეთ წოდებული “საშინაო” გვირგვინი. 1806 წლიდან კი ახლადშექმნილი ავსტრიის იმპერიის გვირგვინად გვევლინება. სალტეზე ძვირფასი ქვებით მოპირკეთებული რვა სტილიზებული შრომანია. მათ შორის მოთავსებული შუაზე განსილი, მარგალიტებით კიდეებმორთული მიტრა, ბრილიანტებით მორთული კამარით ორადაა გაყოფილი. სფეროს მაგივრად თავზე დაუმუშავებელი

## ევროპული გვირგვინები



ც. ელუარდის გვირგვინი.  
1697 წ.



არსანის იმპერიის გვირგვინი  
1602 წ.



ნიდარლანდების სამეფო გვირგვინი  
1840 წ.



ბავარიის სამეფო გვირგვინი 1807 წ.



რუსეთის იმპერიის გვირგვინი  
1762 წ.



ც. ვაცლავის (ბოჰემიის) გვირგვინი  
1347 წ.

საფირონი ადგას. საფირონზე ჯვარია აღმართული. გვირგვინს ძონეულის ქუდ-სარჩული აქვს ამოდებული.

**საფრანგეთის სამპერატორო გვირგვინი** - ნაპოლეონ I-ისათვის შეიქმნა, იგი წარმოადგენს სალტეს, რომელზეც რვა არნივი და რვა პალმის ტოტია განლაგებული. **ბრაზილიის სამპერატორო** - გვირგვინიც მიტრის ფორმისაა, მისი რვა კამარა სამეფო სფეროს ქვეშ უერთდება ერთმანეთს.

**რუსეთის სამპერატორო გვირგვინები** - რუსეთში პირველი ევროპული ტიპის სამპერატორო გვირგვინი 1724წ. ეკატერინე I-სათვის დაამზადეს. ამ გვირგვინით აკურთხეს პეტრე II. მან გვირგვინის გამყოფი კამარა დიდი ლალით მოართვევინა, ხოლო თავზე ბრილიანტის ჯვარი დაამავრეს. ანა იოანეს ასულის კორონაციისათვის იგივე ტიპის, მაგრამ უფრო დიდი ზომის და მდიდრული გვირგვინი დაამზადეს. მის კამარაზე პეტრე II-ის გვირგვინიდან მოხსნილი ლალი მოათავსეს. ამ გვირგვინს 1856 წლიდან პოლონურს უწოდებდნენ და რუსეთის სახელმწიფო გერბში შეტანილი პოლონეთის სამეფოს გერბის თავზე გამოსახავდნენ. ეკატერინე

II-მ კარის ოქრომჭედელს პოზიეს ახალი გვირგვინი შეუკვეთა, რომლის მოპირკეთებასაც 58 ძალიან დიდი, 4878 პატარა ბრილიანტი, დიდი ლალი და 75 დიდი მარგალიტი დასჭირდა. გვირგვინი წარმოადგენს, უფოთლებო და უკბილანო სალტესთან შედულაბებულ მიტრას, რომელიც ავსტრიულ გვირგვინს წააგავს, მაგრამ შესრულების მანერით და ძვირფასი ქვების რაოდენობით ბევრად უფრო პომპეზურია. პავლე I-ისათვის გვირგვინი გააგანიერეს და 75 მარგალიტი 45 უფრო დიდი ზომის მარგალიტით შეცვალეს. ამ გვირგვინით ეკურთხა ყველა მომდევნო იმპერატორიც. იმპერატორების მეუღლების გვირგვინები ფორმით იმპერატორისას წააგავდა, მათ მცირე სამპერატორო ან გამოსასვლელ გვირგვინებს უწოდებდნენ, ეს გვირგვინი იმპერატორის მეუღლის პირად საკუთრებას წარმოადგენდა, მისი გარდაცვალების შემდეგ იშლებოდა და ქვები ან-დერძის თანახმად ნაწილდებოდა.

**სამეფო გვირგვინები:** ორი ტიპისაა; ღია სამეფო (სალტეზე მოთავსებულია რვა ფოთოლი და რვა მარგალიტი, ფოთლებიდან გამოსული კამარები სამეფო სფეროს ქვეშ უერთდება ერთმანეთს) და



ცხ. ვაცლავის გვირგვინი  
ბოჰემიის სამეფოს გერბი. XIX ს.

დახურული დამეფო ”corona clausa” - ლიას წააგდეს, მაგრამ შიგნიდან ხავერდის ქუდ-სარჩული ამშვენებს.

**უბრალო დახურული** და ლია გვირგვინები, უმნიშვნელო ცვლილებებით, მთელი რიგი ეკროპული სამეფოების გერბებზე გამოიხატებოდა (ეს ძირითადად ეხება ”ახალ სამეფოებს”, რომლებიც ნაპოლეონის ეპოქის ომებს და ოსმალეთისაგან ბალყანეთის გათავისუფლების შემდეგ წარმოიშვა).

**ლია გვირგვინები** - მაგ. ბავარია, ვიურტემბერგი, საბერძნეთი, რუმინეთი, საქსონია, სერბია, ნიდერლანდები. ძველი სამეფოებიდან, უბრალო ლია გვირგვინი გამოისახებოდა: იტალიის, ესპანეთის, პრუსიის, შვედეთ-ნორვეგიის გერბებზე. დახურული გვირგვინები - ბელგია, ბულგარეთი. ძველი სახელმწოდებიდან, უბრალო დახურულ გვირგვინს ვხვდებით: დანიის, პორტუგალიის, ესპანეთის თანამედროვე, ნორვეგიის თანამედროვე, საქართველოს თანამედროვე გერბებში. (საქართველოს გვირგვინი, რუსეთის სამედიცინურო არწივის ფრთაზე გამოსახულ საქართველოს სამეფოს და ტფილისის გუბერნიის გერბებში ასეთივე სახით გვხდება, თუმცა, აღწერის მიხედვით მას შიგნიდან შავი ქუდ სარჩული აქვს ამოდებული).

**ინგლისის (დიდი ბრიტანეთის)** სამეფო - სალტეზე ოთხი შროშანი და ოთხი „თათის“ ფორმის (ბოლნურის მსგავსი ჯვრის სახელმწოდება დასავლეთში) ჯვარი, მათი ფუძიდან ამოზიდული ოთხი კამარა სფეროს ქვეშ უერთდება (კვეთავს) ერთმანეთს. დაბოლოებულია „თათის“ ფორმის ჯვრით. გვირგვინის სალტე ქვემოდან ყარყუმის ბეწვითაა შემოვლებული.

**საფრანგეთის სამეფო** - სალტეზე რვა შროშანია, რომელთაგანაც აღმოცენებული რვა კამარა შროშანის ქვეშ ხვდება ერთმანეთს.

**ბოჰემიის (ჩეხეთის)** - ძვირფასი ქვებით მორ-


თული ოთხი დიდი ფოთოლი ამ გვირგვინს დაუკინარას ქმნის მნახველისათვის. ფოთლებიდან ამოზრდილი ოთხი კამარა ჯვრის ქვეშ ერთდება.

**უნგრეთის ცხ. სტეფანეს** (უნგრეთის პირველი ქრისტიანი მეფე) გვირგვინი განსაკუთრებით გვინდა ალვინიშნოთ. ეს გვირგვინი წარმოიქმნა, მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს, რომის პაპ სილვესტრე II-ის მიერ, მეფე სტეფანესათვის მანამდე ნაბოძები გვირგვინისა (ე.წ. ლათინური გვირგვინი) და 1072 წ. ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VII-ის მიერ (მართა-მარიამ ბაგრატიონის მეუღლე), გეზა II-ისთვის ნაბოძები, ასევე ბიზანტიური ტიპის ლია გვირგვინის (ე.წ. ბერძნული გვირგვინი) შედუღებით. ამ გვირგვინმა თითქმის უცვლელი სახით მოაღწია ჩვენს დრომდე. ”კარლოს დიდის“ და ”რკინის“ გვირგვინებთან ერთად იგი ჩვენამდე მოღწეული უძველესი ევროპული გვირგვინია და თანაც, დავით აღმაშენებლის გვირგვინთან მხატვრული სახითა და ფორმით ისევე, როგორც დროით ყველაზე ახლოს დგას. ერთ-ერთ ფირფიტაზე გამოსახულია მიხეილის და მართა-მარიამის შვილი, იმპერიის ტახტის მემკვიდრე და პორფიროგენეტი (მამის იმპერატორობის დროს დაბადებული უფლისწული) კონსტანტინე. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს რომ გვირგვინის რამდენიმე მომინანქრებული გამოსახულება იგივე კონსტანტინეპოლელი ოსტატების ქმნილება უნდა იყოს, რომლებმაც ხახულის კარედის დამამშვენებელი ზოგი მინანქარი შექმნეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნული გვირგვინი მანმადე ალბათ იმპერატორის მეუღლეს ეკუთვნოდა, ვინაიდან ამავე პერიოდის ბიზანტიურ მონეტებზე და მომინანქრებულ პორტრეტებზე (მაგ. მართა-მარიამი. ხახულის კარედზე მოთავსებულ მომინანქრებულ ფირფიტაზე) დედოფლები მსგავსი გვირგვინებით არიან გამოსახულნი.

### რუსული გვირგვინები:

**მონომახის ქუდი** - გადმოცემის თანახმად, 988 წ. ბიზანტიის იმპერატორებმა ბასილ II-მ და კონსტანტინე IX-მ გაუგზავნეს კიევის დიდ მთავარ ვლადიმირს მისი ხათლობისა და იმპერატორების დაზე ქორწინების აღსანიშნავად. თუმცა როგორც თანამედროვე მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, გვირგვინი XIV საუკუნის ტიპიური შუა აზიური ხელოვნების ნიმუშია. შედგება ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით მორთული რვა ოქროს ფირფიტისაგან, დაბოლოებულია ოთხი ქვით და ჯვრით. თავიდან მარგალიტის საკიდარები ამშვენებდა, მაგრამ შემდეგში სიასამური შემოავლეს. იგი დიდ მთავართა ყოფილი სატახტო ქალაქების გერბებზე გამოისახებოდა და რუსეთის სახელმწიფო გერბში აგვირგვინებდა კიევის, ვლადიმირის და ნოვგოროდის დიდ სამთავროთა გაერთიანებულ გერბს.

**ყაზანის გვირგვინი** - ივანე IV-ის ბრძანებით 1553 წ. შეიქმნა მოსკოვში ყაზანს უკანასკნელი ხა-



ნის ედიგერისათვის, რომელმაც ნათლობისას სიმეონის სახელი მიიღო და ყაზანის მეფის ტიტული ებოძა. გვირგვინი რვა მოსევადებული ფირფიტისაგან შედგება. ფირფიტები ორ მარგალიტს შორის მოთავსებული ტოპაზით დაბოლოებული ნახევარსფეროს ქვეშ უკავშირდებიან ერთმანეთს. ეს გვირგვინი გამოისახებოდა ყაზანის სამეფოს და ქალაქ ყაზანის გერბებზე.

**ასტრახანის გვირგვინი** - როგორც მთავარი სამეფო გვირგვინი, მძიმე მონომახის ქუდის სანაცვლოდ 1627 წ. მიხეილ თევდორეს ძისთვის დაამზადეს. იგი სამი მომინაქრებული და ძვირფასი ქვებით მოპირკეთებული ფირფიტისაგან შედგება. გვირგვინს თავზე ზურმუხტით დაბოლოებული, მეორე უფრო მცირე გვირგვინი ადგას. გამოისახებოდა ასტრახანის სამეფოსა და ქალაქ ასტრახანის გერბებზე. ამ ორ უკანასკნელ გვირგვინს, როგორც გვიანი შუასაუკუნეების რუსული ხელოვნების დიდ ნაწილს აღმოსავლური იერი დაჰკრავს და საერთო ეკლეკტურობა ახასიათებს.

დიდი მთავრებისა და უბრალო სამეფო გვირგვინები თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამიტომაც აუცილებელია გერბის „წაკითხვისას“ იმის ცოდნა, თუ რომელ მონარქს ეკუთვნის ესა თუ ის გერბი.

**ავსტრიის ერცჰერცოგის გვირგვინი** - ყარყუმის ქუდის ძირზე რვა კბილანა და სფეროს ქვეშ ერთმანეთთან შეყრილი კამარები.

გერმანიის მფლობელ მთავართა (ჰერცოგთა), და რუსეთის განათლებულ თავადთა (მათ შორის საქართველოს განათლებულ თავადთა) გვირგვინი — ხავერდისაა და ყარყუმის მაღალი ბენვითაა შემოვლებული. სალტე არ ჩანს. ბენვის უკნიდან ამოზიდული, მარგალიტებით დამშვენებული ოქროს კამარები სფეროს ქვეშ უერთდება ერთმანეთს.

### მთავართა (დუკთა) გვირგვინები:

ინგლისის - სალტეზე რვა ფოთოლია, გვირგვინს ქუდ-სარჩული აქვს ამოდებული.

ნიდერლანდების - სალტეზე ოთხი ფოთოლი და ამდენივე მარგალიტია. გვირგვინს ქუდ-სარჩული აქვს ამოდებული.

საფრანგეთისა და იტალიის - სალტეზე რვა-რვა ფოთოლია მოთავსებული.

**ავსტრიისა და რუსეთის ბრწყინვალე თავადთა გვირგვინი** - სალტეზე ოთხი ფოთოლი და ამდენივე მარგალიტია. სფეროს ქვეშ ოთხი კამარაა. გვირგვინს ქუდ-სარჩული აქვს ამოდებული.

### მარკიზთა გვირგვინები:

**ესპანეთისა და პორტუგალიის** - იგივეა, რაც იტალიის დუკთა.

**საფრანგეთის** - სალტეზე ოთხი ფოთოლი და მათ შორის კბილანებზე, სამ-სამად განლაგებული თორმეტი მარგალიტია.

**ნიდერლანდების** - სალტეზე რვა ფოთოლი.

**იტალიის** - სალტეზე ოთხი ფოთოლი და სამ-სამ მარგალიტიანი ოთხი კბილანა, რომელთა შორის საც პატარა კბილანებია მოთავსებული.

**ინგლისის** - სალტეზე ოთხი ფოთოლი და ოთხი მარგალიტია, გვირგვინს ქუდ-სარჩული აქვს ამოდებული.

### კონტა (გრაფთა, ერლთა) გვირგვინები:

**ინგლისის** - სალტეზე მარგალიტებიანი რვაკბილანაა, გვირგვინს ქუდ-სარჩული აქვს ამოდებული.

**ბელგიის** - 1. სალტეზე მარგალიტებიანი ოვრა-

მეტი კბილანაა, ყოველი მეხუთე კბილანის თავზე კიდევ მარგალიტია. 2. სალტეზე განლაგებულია მარგალიტებით დაბოლოებული, თორმეტი ფირფიტა.

**ახალგერმანული და რუსეთის** - სალტეზე მარგალიტებიანი თექვსმეტი კბილანა.

**იტალიის** - სალტეზე მარგალიტებიანი თექვსმეტი მოკლე კბილანა.

**შვედეთის** - სალტეზე თვრამეტი მარგალიტია, ყოველ მეხუთეზე კიდევ ერთი.

გერმანიის მარკვარაფთა - სალტეზე რვა ფოთოლია, რომელთა შორისაც მარგალიტიანი რვა კბილანაა (ან თექვსმეტი მარგალიტიანი კბილანა) გვირგვინს ქუდ-სარჩული აქვს ამოდებული.

#### ვიკონტების:

**ინგლისის** - სალტეზე თორმეტი მარგალიტია, გვირგვინს ქუდ-სარჩული აქვს ამოდებული.

**საფრანგეთის** - სალტეზე ოთხ-ოთხი დიდი და პატარა, მარგალიტებით დაბოლოებული კბილანაა მოთავსებული.

**პორტუგალიის** - სალტეზე ოთხი მარგალიტიანი და ამდენივე უმარგალიტო კბილანა.

**ნიდერლანდების** - სალტეზე ოთხი ფოთოლი და ამდენივე მარგალიტიანი კბილანაა მოთავსებული.

**იტალიიის** - სალტეზე ოთხ-ოთხი მცირე და დიდი მარგალიტია მოთავსებული.

#### ბარონების:

**გერმანიის ახალი და რუსეთის** - სალტეზე თორმეტი მარგალიტიანი კბილანა.

**პელგიის** - სალტეზე რვა მარგალიტიანი ფირფიტაა.

**ძველი გერმანიის** - სალტეზე თორმეტი მარგალიტი.

**ესპანეთის** - ექვსი ასხმა მარგალიტის მძივით შემოტარებულ სალტეზე, თორმეტი კბილანაა მოთავსებული.

**საფრანგეთისა და რუსეთის** - ექვსი ასხმა მარგალიტის მძივით შემოტარებული სალტეზე.

**პორტუგალიის** - რვა ასხმა მარგალიტის მძი-



ვიკონტის თანამედროვე, რეალურად არსებული  
გვირგვინი (პრინცანითი)

ვით შემოტარებულ სალტეზე ექვსი მარგალიტია მოთავსებული.

**ინგლისის** - სალტეზე ექვსი მარგალიტია და გვირგვინს ქუდ-სარჩული აქვს ამოდებული.

**შვედეთის** - სალტეზე თექვსმეტი მარგალიტია მოთავსებული, ყოველი მეოთხის თავზე კიდევ თოთო.

#### აზნაურთა:

**ჩრდილო-გერმანიისა და რუსეთის** (თეორიულად გამოისახებოდა საქართველოს სამივე ხარისხის აზნაურთა გერბებზე) - ნიდერლანდელი ვიკონტების გვირგვინს წააგავს. სალტეზე ოთხი ფოთოლი და ოთხი მარგალიტიანი კბილანა.

**სამხრეთ-გერმანიისა** - სალტეზე რვა მარგალიტიანი კბილანა.

**ნიდერლანდების** - ოთხი ასხმა მარგალიტის მძივით შემოტარებულ სალტეზე რვა მარგალიტიანი კბილანა.

**პორტუგალიის** - სალტეზე ოთხი ფოთოლი და ოთხი სამ-სამ მარგალიტდასმული კბილანა. კბილანებსა და ფოთლებს შორის მარგალიტიანი რვა მცირე კბილანაა მოთავსებული.


**ესპანეთის** - პორტუგალიურის მსგავსია, მხოლოდ მცირე კბილანები უმარგალიტო.

**შვედეთის** - სალტეზე ოთხი ფოთოლი და ოთხი სამ-სამ მარგალიტიანი კბილანა.

**საფრანგეთის** - ქვებით მორთული სალტე.

**რომის პაპის ტიარა** (რეგნუმ) - წარმოადგენს მიტრის ნაირსახეობას, რომელიც ფოთლებისა და მარგალიტიანი კბილანებისაგან შემდგარი, სამი ერთმანეთის თავზე განლაგებული გვირგვინითაა შემოვლებული. ქვემოდან მას ხავერდის, ჯვრებით დამშვენებული ზონარები აქვს მიმაგრებული. სამი გვირგვინი აღნიშნავს იმას, რომ რომის პაპი არის უზენაესი მასჯული, კანონმდებლი და მთელი კათოლიკური სამყაროს მღვდელმთავრი.

**ქალაქთა გვირგვინები** - საქალაქო გვირგვინის გამოსახვა ჯერ კიდევ ელინიზმის ეპოქაში დაიწყეს. შუა საუკუნეებში წოდებრივი, მეტწილად რეალურად არსებული გვირგვინებისგან განსხვა-



ჰერალდიკურად გამოსახული  
პრინცანილი ვიკონტის გვირგვინი

ვებით, საქალაქო გვირგვინები მხოლოდ გერბებზე გამოისახებოდა.

ქალაქის მნიშვნელობისა და სიდიდის მიხედვით გვირგვინიც სხვადასხვაგვარია. იგი ქალაქის კედლის ქონგურების და გოდოლების საშუალებით გამოისახება. არსებობს, ოქროს, ვერცხლისა და მენამული გვირგვინები.

საქართველოში წოდებრივ გვირგვინებს დიდებული აზნაურებიც ატარებდნენ (ტვიბის მთავარანგელოზის ეკლესიის XIII საუკუნის ფრესკაზე გამოსახულ კვირიკე ასრჯიანს შროშანით მორთული დახურული გვირგვინი ახურავს). როგორც ქართული ფრესკებიდან, ჭედური ხელოვნების ნიმუშებიდან და უცხოური ვიზუალური წყაროებიდან ჩანს, მაღალი რანგის ფეოდალები, მაგალითად გურიელი და დადიანი გვირგვინებს ნამდვილად ფლობდნენ. ფრესკების მეშვეობით ისიც დასტურდება, რომ გვირგვინებს თუ დიადემებს უფრო დაბალი ხარისხის თავადთა მეუღლებიც ატარებდნენ (მაგ. ქტიტორი ცაიშის ლეთისმშობლის ეკლესიის ფრესკიდან ევროპული ტიპის მცენარეული ფოთლების არნამერტით დამშვენებული გვირგვინითაა გამოსახული)

ძალზე საინტერესოა გეორგიევსკის ტრაქტატზე დაკიდებული ბეჭედი ერეკლე II-ის დიდი სახელმწიფო გერბით. აქ გამოსახულ ქართლ-კახეთის საგერბო ფარს სამეფო "ივერიული გვირგვინი" ადგას თავს. მთავარი გერბის გარშემო კი ერეკლეს დაქვემდებარებული თუ საპრეტენზიო ტერიტორიების საგერბო ფარებია გამოსახული, რომლებსაც რუსული სამთავრო გვირგვინებისგან განსხვავებით ტიპიური დასავლეთევროპული სამთავრო გვირგვინები ამშვენებს. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX-ის დასაწყისში ქართული ფეოდალური იერარქიისთვის ჰერალდიკური რანგობრივი გვირგვინების შექმნასაც ეცადნენ. არაგვის ერისთავების გერბი რუსულისგან განსხვავებული გვირგვინითაა შემკობილი. თუმცა ჯერ კიდევ ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიამდელმა ქართულმა ემიგრაციამ რუსეთში, სადაც ქართველი არისტოკრატები რუსულ ყაიდაზე გაწყობილ და რუსული წოდებრივი გვირგვინებით შემკობილ გერბებს ხმარობდნენ და შემდეგ კი საქართველოს ტერიტორიის ანექსიამ განაპირობა ის რომ ქართულ საგვარეულო ჰერალდიკაში რუსული სისტემა დამკვიდრდა. თავად რუსული ჰერალდიკა გერმანულ გვირგვინებს იყენებდა. აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული და რუსული ფეოდალური იერარქია საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. რუსეთში თავადის ანუ "კინაზის" ტიტულს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მხოლოდ რიურიკის და ლიტვის დიდი მთავრის გედიმინის შთამომავლები ფლობდნენ და ეს თავადებიც მხოლოდ ორ, მაღალი რანგის განათლებულ "სვეტლეიში" და უფრო დაბალ ბრნებინვალე "სიატელი" კატეგორიად იყოფოდნენ და ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავებულ ჰერალდიკური გვირგვინებს იყენებდნენ. შეძლები უფრო დაბალი



გიორგი XII-ის "ივერიული გვირგვინი"  
1798 წ.

იერარქიული საფეხური გრაფებს ეკავათ. მათაც როგორც თავადებს ბრნებინვალეს ეპითეტით მიმართავდნენ, მაგრამ გრაფების საგერბო გვირგვინი თავადთა გვირგვინებისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. უფრო ქვემოთ, ძირითადად ბალტიისპირული გერმანული წარმოშობის ბარონები იდგნენ. მათაც გამორჩეული ჰერალდიკური გვირგვინი ეკუთვნოდათ. ბარონს ისევე როგორც აზნაურს კეთილშობილის - "ბლაგაროვნი" ეპითეტით მიმართავდნენ. აზნაურები "დფორიანსტვო" ორ კატეგორიად, ძველ და ახალ აზნაურებად, იყოფოდნენ. ეს განსხვავება გერბში აისახებოდა, მაგრამ არა გვირგვინის მეშვეობით, არამედ იმით, რომ ძველი წარმომავლობის აზნაურებს ფარისმტვირთველთა გამოსახვის უფლება ჰქონდათ. საქართველოს ანექსიის შემდეგ ქართველ არისტოკრატებს რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ძირითადად ბრნებინვალე თავადებისა და ძველი წარმოშობის აზნაურების წოდება მიუსადაგეს.

ახლა კი გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ შეუსაბამისობაზე რაც ასეთმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია.

ქართული ფეოდალური წოდებების იერარქია ერთგვარი არც თავად საქართველოში იყო.

როგორც წათლად ჩანს XVIII-XIX საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროებიდან (მაგ. ვახტაგვარგ VI, იოანე ბატონიშვილი) ქართველი თავადები სამ კატეგორიად, დიდ ანუ პირველი, საშუალო ანუ მეორე და მცირე ანუ მესამე ხარისხის თავადებად იყოფოდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ ხარისხის თავადთა წრეს, როგორც დე-ფაქტო დამოუკიდებელი მმართველები, მთავრები: გურიელი, დადიანი და შარვაშიძე აგვირგვინებდნენ. აზნაურებიც სამ კატეგორიად იყოფოდნენ. გამონაკლის კახეთის სამეფო წარმოადგენდა, სადაც ყველა აზნაური სამეფო ანუ პირველი ხარისხის იყო. ქართლის სამეფო ფოში არსებობდნენ პირველი ხარისხის, სამეფო ანუ გადიდებული (მათ ხშირად ტახტის აზნაურებად მოიხსენიებენ), მეორე ხარისხის (ძირითადათ სათავადო და საეკლესიო აზნაურები) და მესამე ხარისხის ანუ მცირე (ზოგჯერ ცალმოგვადაც მოიხსენიებიან) აზნაურები. ყველაზე რთული წოდებრივი იერარქია

იმერეთის სამეფოში მოქმედებდა. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის გამო მონაპირე ერისთავებმა, გურიელმა და დადიანმა გამთავრება შეძლეს. მოგვიანებით მათ შარვაშიძემაც მიპარა. მთავრის კატეგორიის მიღწევას დადეშქელიანიც ცდილობდა. იმერეთის აზნაურები, ისევე როგორც ქართლში სამ კატეგორიად იყოფოდნენ, იმ განსხვავებით, რომ იმერეთში აზნაურის ვასალი აზნაურებიც არსებობდნენ. რუსებმა ეს იერარქია საკუთარს მიუსადაგეს - გურიელის, დადიანის და შარვაშიძის გარდა, რომელსაც განათლებული თავადების წოდება მიანიჭეს (იგივე კატეგორიაში შეიყვანეს ქართლის, ქართლ-კახეთის და იმერეთის უკანასკნელი მეფეების შთამომავლებიც), ყველა დანარჩენი თავადი ბრწყინვალე თავადთა კატეგორიაში შეიყვანეს, რითაც პირველი ხარისხის თავადი, მაგალითად არაგვის ერისთავი მესამე ხარისხის თავადს გაუტოლეს. სამივე ხარისხის აზნაურები კი ერთ კატეგორიაში მოაციეს და პირველი ხარისხის ანუ გადიდებული აზნაური, რომელიც იერარქიულ კიბეზე პირდაპირ მცირე თავადის ქვემოთ იდგა, თითქმის იგივე პრივილეგიებით სარგებლობდა, თავადებს უნათესავდებოდა, ყველა რანგის თავადს ძმაოთი მიმართავდა, სამეფო დარბაზიბების დროს თავადებთან ერთად იჯდა და დიდებულთა წრეს ეკუთვნოდა, გაუთანაბრეს ცალმოგვი აზნაური, რითაც პირველის დამდაბლებისა და მეორის ამაღლების ხარჯზე მცირე თავადსა და ტახტის აზნაურს შორის დისტანცია გაიზარდა. თუმცა ეს მხოლოდ ჰერალდიკას ეხებოდა და რეალურად ქართველი თავად-აზნაურები ერთმანეთთან დამოკიდებულებაში ისევ ძველებურ ურთიერთობას ინარჩუნებდნენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ქართული წოდებრივი ჰერალდიკური გვირგვინების შექმნა. ჩვენს მიერ შემუშავებული გვირგვინების ნაწილი - სამეფო, გურიელის, დადიანის, შარვაშიძის და ერისთავთა გვირგვინები ფრესკებზე, ჭედური ხელოვნების ნიმუშებზე და სხვა ვიზუალურ წყაროებზე (მაგ. კასტელი) დაყრდნობით შევქმნით. დანარჩენი გვირგვინები კი ევროპული შესატყვისებისა და ჩვენი ფანტაზიის შეჯვარების ნაყოფია. ეს სამუშაო 1997 წელს დავასრულეთ და ამ სისტემას ზოგი ჰერალდიკოსი მხატვარი უკვე იყენებს კიდეც.

**1. ერთიანი საქართველოს მეფის „დავით ალმაშენებლის“ გვირგვინი.** მუს საუკუნეების ბიზანტიური დახურული გვირგვინის ნაირსახეობაა. შედგება ოთხი ზემოთ მომრგვალებული და ოთხი კვადრატული ფორმის მომიხანქრებული და ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს ფირფიტისგან. ცენტრალურ ფირფიტაზე მაცხოვარის მომინანქრებული გამოსახულებაა. მომრგვალებული ფირფიტებიდან ამომავალი, ძვირფასი ქვებით მოჭედილი კამარები ჯვრიანი სფეროს ქვეშ უერთდება ერთმანეთს. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.



საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის  
გვირგვინი. 1683 წ.



კათოლიკოს-პატრიარქის  
გვირგვინი. 1683 წ.

**2. გურიელის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე მარგალიტებით დამბოლოებული, ძვირფასი ქვებით მორთული რვა მაღალი კბილანა განლაგებული. ოთხი კბილანის უკნიდან ამომართული კამარები ჯვრიანი სფეროს ქვეშ ერთდება. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.

**3. დადიანის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე ოთხი ოქროს შროშანი და ოთხი ოქროს დაბალი ქიმია განლაგებული. შროშანების უკნიდან ამომართული, მარგალიტებით შემკობილი კამარები ჯვრიანი სფეროს ქვეშ ერთდება. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.

**4. შარვაშიძის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე მარგალიტებით დამბოლოებული, მარგალიტებით მორთული რვა მაღალი კბილანა განლაგებული. გვერდითი ორი კბილანის უკნიდან ამომართულ მარგალიტებიან კამარას ჯვრიანი სფერო ადგას. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.

**5. ერისთავის და პირველი ხარისხის თავადის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე ოთხი მცირე ოქროს შროშანი და ოთხი, მარგალიტით დაბოლოებული მაღალი ქიმია განლაგებული. გვერდითი ორი კბილანის უკნიდან ამომართულ მარგალიტებიან კამარას ჯვრიანი სფერო ადგას. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.

**6. მეორე ხარისხის თავადის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე რვა ოქროს ნიახურის ფოთოლია განლაგებული. ცენტრალურ ფოთოლის უკნიდან ამომართულ კამარას ჯვრიანი სფერო ადგას. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.

**7. მესამე ხარისხის თავადის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე რვა ოქროს ნიახურის ფოთოლია განლაგებული. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული და ზემოდან ჯვრიანი სფერო ადგას.

**8. გადიდებული ტახტის აზნაურის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე

მარგალიტებით დაბოლოებული თექვსმეტი ვიწრო ქიმია განლაგებული. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული, რომელსაც თავზე ჯვრიანი სფერო ადგას.

**9. მეორე ხარისხის ტახტის აზნაურის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე ოთხი ოქროს ნახურის ფოთოლი და მარგალიტებით დაბოლოებული ოთხი ვიწრო ქიმია განლაგებული. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული, რომელსაც თავზე ჯვრიანი სფერო ადგას.


**10. საეკლესიო აზნაურის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე ოქროს ოთხი ჯვარი და მარგალიტებით დაბოლოებული ოთხი დაბალი ქიმია განლაგებული. გვირგვინს ამო-

დებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.


**11. სათავადო აზნაურის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე განლაგებულია რვა მარგალიტი. სალტე სამი ასხმა მარგალიტის მძივითაა შემოტარებული. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.

**12. მცირე ანუ ცალმოგვი აზნაურის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეზე განლაგებულია ოთხი მარგალიტი. სალტეს ოთხი ასხმა მარგალიტის მძივი აქვს შემოტარებული. გვირგვინს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.

**13. საპატიო მოქალაქის გვირგვინი.** ძვირფასი ქვებით შემკობილ ოქროს სალტეს ამოდებული აქვს მენამული ხავერდის ქუდ-სარჩული.



1. ერთიანი საქართველოს მეფის,  
დავით აღმაშენებლის გვირგვინი



2. გურიელის  
გვირგვინი



3. დაღიანის  
გვირგვინი



4. შარვაშიძის  
გვირგვინი




5. ერისთავის და  
აირველი ხარისხის  
თავაღის გვირგვინი



6. მეორე ხარისხის  
თავაღის გვირგვინი




7. მისამი ხარისხის  
თავაღის გვირგვინი




8. გალილეის  
ტახტის არანაურის  
გვირგვინი




9. მეორე ხარისხის  
ტახტის აზნაურის  
გვირგვინი




10. საეკლესიო  
აზნაურის  
გვირგვინი



11. სამარგალო  
აზნაურის  
გვირგვინი




12. მცირე, ანუ  
ცალმოგვი აზნაურის  
გვირგვინი



13. საპატიო  
მოქალაქის გვირგვინი

ზაქარია კიკნაძე  
Zachary Kiknadze

ანგელინი დელჩერის 1339 წლის პორტოლანი



დატებული კონტროლის გენერაცია. ხუთჯვრისანი დროშები თბილისისა და სოხუმის თავზე

ანჯელინო დუღჩერი XIV საუკუნეში მოღვაწე  
იტალიელ-მალიორკელი კარტოგრაფი იყო. ის ასე-  
ვე ცნობილია, როგორც ანჯელინო დე დალორტო.  
მკვდევრები მიიჩნევენ, რომ სინამდვილეში მას ერ-  
ქვა ანჯელინო დი დუღჩეტო ან ანჯელინო დი დოლ-  
ჩე. ნაწილი ვარაუდობს, რომ მისი ნამდვილი სახელია  
ანჯელი დოლჩე. მისი სახელის ირგვლივ არსებული  
არაერთი ვერსია ხაზს უსვამს დუღჩერის ფიგურის  
მნიშვნელობას შუა საუკუნეების დასავლეთევრო-  
პულ კარტოგრაფიაში.

დულჩერი არაერთი ცნობილი პორტოლანის ავტორია. მათგან გამოარჩევენ სამს, რომლებიც 1325, 1339 და 1340 წლებით თარიღდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია დულჩერის 1339 წლის საზღვაო რუკა, რომელიც პარიზში, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული (B.696).

ეს პორტოლანი არაერთი მნიშვნელოვანი დე-  
ტალით იქცევს ყურადღებას. პირველ რიგში, აღ-  
სანიშნავია მასალა, რომელზეც რუკაა შესრულე-  
ბული. განსხვავებით 1325 წლის ნიმუშისგან, 1339  
წლის პორტოლანი ორ სქელ პერგამენტზეა დახა-  
ტული, რომლებიც ერთმანეთზეა გადაბმული და  
ერთ მთლიან რუკას ქმნის. პორტოლანის პროპორ-  
ციაა 75/102 სმ. ეს რუკა, დუღჩერის სხვა ნამუშევ-  
რების მსგავსად, კარტოგრაფიის მაღიორკული  
სკოლის ნიმუშია. ეს სკოლა ასევე ცნობილია, რო-  
გორმც კატალანური.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროტოლანი 1339 წელსაა შერულებული. დუღჩერმა ის პარმაში შექმნა. რუკა გამორჩეულია იმითაც, რომ მასზე დატანილი მინიჭნებები და გეორგაფიული პუნქტები ლათინურადაა დაწერილი. მას აქვს ისეთი დეტალები, რომლებიც არაა დამახასიათებელი ტრადიციული

გენუისა და ვენეციის პორტოლანებისთვის.

პორტოლანი ასახავს ტერიტორიას ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩრდილოეთ ევროპის მიწებამდე. მისი ძირითადი ნაწილი მოიცავს სხელთაშუაზღვის გარშემო არსებულ ტერიტორიებს. მსგავსი ტენდენცია დამახასიათებელია იმ პერიოდის საზღვაო რუკებისათვის. ამ მხრივ დულჩერის პორტოლანი რუკის შედგენის იმდროინდელ ევროპულ წესებს ემორჩილება. ის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის როგორც სავაჭრო გზებზე, ისე სახელმწიფოებზე, მათ პროვინციებსა და ქალაქებზე.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ პორტოლანზე გვხდება სოხუმი და თბილისი, რომელთა თავზეც ხუთჯვრიანი დროშის კომპოზიციაა გამოსახული. რუკის ხარვეზი ისაა, რომ თბილისი აშკარად არ მდებარეობს იმ ადგილზე, სადაც ის ავტორს აქვს დატანილი, თუმცა მასზე გარკვევით წერია - "Tiflis". თბილისის თავზე გამოსახულია ხუთჯვრიანი დროშის შევეული ვარიანტი. რაც შეეხება სოხუმს, ამ შემთხვევაში დროშის თითქმის  $\frac{2}{3}$  უკავია მწვანე და თეთრი დიაგონალურად დახრილი ზოლების კომპოზიციას,  $\frac{1}{3}$  კი შევეულად განთავსებულ ხუთჯვრიან სიმბოლოს.

იმავე რუკაზე ხუთვერიანი დღოშა პორიზონ-ტალურ მდგომარეობაში განთავსებულია წინა აზი-ის ერთ-ერთი ქალაქის თავზეც. იმის შესახებ, თუ რა ქალაქია ეს, მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ასევე უცნობია, რა კავშირი შეიძლებოდა ჰქონდა წინა აზის დაუდგენელ ქალაქს სოხუმსა და თბილისთან ისეთი, რომ სამივე მათგანზე დულჩერმა ერთი და იგივე სიმბოლო სხვადასხვა პროპორციები-თა და მდგომარეობით გამოსახა.





## სპრაინტენს რეგიონების ახალი სიმბოლიკა

უკრაინის ვერხოვნა რადას (პარლამენტის) მიერ 1997 წელს მიღებულმა კანონმა ადგილობრივ თვითმართველობათა თაობაზე, უფლება მიანიჭა ადგილობრივ ხელისუფლებებს, დაემტკიცებინათ რეგიონების, რაიონების (უბნების), ქალაქებისა და სოფლების გერბები, დროშები და სხვა სიმბოლოება.

ბოლო წლების განმავლობაში ყველა რეგიონმა დაამტკიცა საკუთარი სიმბოლიკა. ამ გერბთა და დროშათა უმრავლესობას გააჩინია ძველი ისტორიული ნიშნები და ფერები (ვოლინი, ივანო-ფრანკოვსკი, ლვოვი და ა.შ.), თუმცა ზოგიერთმა რეგიონმა აირჩია სრულიად ახალი დიზაინი (დონეცკი, ჩერკასი, ხერსონი და სხვა).

უკრაინა დაყოფილია 25 ადმინისტრაციულ ტერიტორიად - 24 რეგიონი (პროვინცია) და ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა. ორ ქალაქს - კიევსა და სევასტოპოლს, აქვს სპეციალური, ეროვნული სტატუსი. რეგიონის საზღვრები არ შეცვლილა 1959 წლის შემდეგ, როდესაც დროჳობიჩის რეგიონი შეუერთდა ლივოვის რეგიონს.

რუსენიული სამეფოს (გალიციან-ვოლიანი-ნური სახელმწიფო) დაშლის შემდეგ, XIV საუკუნის შუაში, უკრაინის მიწები სხვადასხვა მეზობელ-მა ქვეყნებმა გაიყო. ამ პერიოდის განმავლობაში, გამოიყენებოდა ცალკეული ადმინისტრაციული ტერიტორიების გერბები. როდესაც უკრაინა, ასე ვთქვად, შეისრუტა საბჭოთა კავშირმა, მის არცერთ რეგიონს არ ჰქონდა საკუთარი გერბი ან დროშა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლისა და უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო ადმინისტრაციული ტერიტორიების სიმბოლიკური პროცესი.

პირველი რეგიონალური გერბი დამტკიცდა ტრანსკარპატიის (ზაკარპატიის) რეგიონისათვის 1999 წლის დეკემბერში. 1992 წელს იქნა მიღებული ყირიმის სიმბოლიკა, რომელმაც მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. ორივე შემთხვევაში სიმბოლიკა მიიღეს კონკრეტული, ერთობ პოლიტიკური მიზეზით: ადგილობრივი კომუნისტები, რომელზეც გავლენას მოსკოვი ახდენდა, ცდილობდნენ გაედვივებინათ რეგიონალური სეპარატიზმი და ხელი შეექალათ ახალი უკრაინული სახელმწიფოს აღდგენისა და განვითარებისათვის.

1999 წლიდან აქტიურად დაიწყო მრავალი ქალაქის აღდგენა და მათი ძელი სიმბოლიკის გამოყენება. ქ. ჩერნოვცის გერბი კონკრეტულად მიღებული იქნა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ხოლო 1994 წელს, მიღებული იქნა ჩერნოვცის რეგიონის გერბი. გადაწყვეტილებებს გერბების შესახებ იღებდნენ კომპეტენტური ადგილობრივი საბჭოები, თუმცა მაშინდელი, ჯერ ისევ არსებული ყოფილი საბჭოთა კავშირის უკრაინის საბჭოთა რესპუბლი-



## უკრაინის რეგიონების რუპა

კის ან დამოუკიდებელი უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, ეს საკითხი არ იქნა განხილული. რეგიონების, რაიონების, ქალაქებისა და სოფლების თანამედროვე გერბებისა და დროშების შექმნისპროცესი არ აერთხელ წამოჭრილა უკრაინის ჰერალდიკის საზოგადოების მეცნიერთა ყოველწლიურ კონფერენციებზე.


მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული რეგიონალური სიმბოლიკის განვითარებაში 1997 წელს ვერხოვნა რადას მიერ მიღებული კანონით ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ, სა-დაც უკრაინის ჰერალდიკის საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, შეტანილი იქნა ცალკეული მუხლები ადგილობრივი სიმბოლიკის შესახებ. ამ კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, ქალაქებისა და სოფლების, ასევე ადმინისტრაციული ტერიტორიების - რეგიონებისა და რაიონების გერბების, დროშების და სხვა სიმბოლიკის გამოყენება იყო გათვალისწინებული. 26-ე და 43-ე მუხლებში, განსაზღვრული იყო, რომ ეს სიმბოლიკა მიღებული უნდა ყოფილიყო კომპეტენტური ადგილობრივი საბჭოების სხდომებზე. 1997-2003 წლების განმავლობაში ყველა რეგიონალურმა საბჭომ მიიღო საკუთარი გერბი და დროშა. ერთადერთი გამონაკლის გახლდათ ტრანსკარპატიის რეგიონი, რომელმაც საკუთარი დროშა მიიღო 2009 წელს.

දාලුනා තේමිරාද, සිමඩොලියා මිහිලුදෝර ඡ්‍රන්-  
ජුරුසිස ගාම්ප්‍රක්‍රීදෙბිස ග්‍රහිත. ජුම්ප්‍රේස ජේම්ත්‍රේවෝ-  
ඡි යුත්‍රානිනිස තේරාලදියිස සාථිගාදෝරා රහිවෝදා  
දා තේරාජ්‍යිග්‍රූහ දාක්මාරුදා ජ්‍රන්ජුබෝලුපුදා. තේ-  
රාලදියිස සාථිගාදෝරාම ගාස්චා තිබුණාදි රුවුම්ජ්-  
දාපියේ යුත්‍රානිනිස තේරිත්‍රොරිඟ්‍රා දා මුනිසිපා-  
ලුරි ගේරංජ්‍යිබිස දා දර්ම්ප්‍රේජ්‍යිස ප්‍රජාලි සාලාංගමිස  
ඡේජ්‍මනිස තාම්පාතිය. මාත ජ්‍රෝරිස තියු රුවුම්ජ්-  
දාපියේ මිනිස තාම්පාතිය, රෝම යුවෙලා රුග්‍රිනිස දර්ම්පා-  
ශ ඇති තාම්පාතිය, රෝම යුවෙලා රුග්‍රිනිස දර්ම්පා-  
ශ ඇති තාම්පාතිය - 2:3,

ასეთივე სტანდარტი ვრცელდებოდა უკრაინის სახელმწიფო დროშაზე. რამდენმე რეგიონალურმა საბჭომ გაითვალისწინა ეს რჩევა და შეიტანა ცვლილება დროშაში.

2000 წელს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა ჰერალდიკისა და სახელმწიფო ჯილდოების კომისია. მის პასუხისმგებლობაში შედის ახალი გერბების, დროშების, ემბლემების, სხვა სიმბოლიკის (ძირითადად სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო სტრუქტურებისათვის), ასევე სახელმწიფო ჯილდოებისა და ორდენების შექმნა. თუმცადა, კომისიის საქმიანობა ძირითადად ვირტუალურია: არ ტარდება ფორმალური შეხვედრები, ხოლო ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებული მასალა გადაიცემა წევრებს შორის ფოსტის საშუალებით. უმეტეს შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებები მზადდება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ჰერალდიკისა და სახელმწიფო ჯილდოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის არც კანონიერი უფლებამოსილება და არც პროფესიონალური უნარი არ გააჩნიათ. შესაბამისად, ხშირად მათი დასკვნები (განსაკუთრებით ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის საკითხებზე) სრულიად შეუსაბამოა (როგორც ეს ნათელი გახდა მიკოლაევისა და უიტომირის რეგიონების სიმბოლიკით). თუმცადა, რაც შეეხება რეგიონალურ სიმბოლიკას, გერბებისა და დროშების მიღება გახლავთ რეგიონალური საბჭოების ექსკურზიური უფლება, შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილებებს მხოლოდ კონსულტაციური ხასიათი აქვს.

### 1. ტრანსკარპატიის რეგიონი (ადმინისტრაციული ცენტრი - ქ. უჟგოროდი)



**გერბი:** ვერტიკალურად დაყოფილი ლურჯი და ვერცხლისფერი, მარჯვენა მხარეს სამი ოქროსფერი ზოლი, მარცხენა მხარეს ნითელი, ფეხზე დამდგარი დათვი.

გერბი მიიღეს 1990 წლის 18 დეკემბერს.

ეს გახლავთ ტრანსკარპატიის ძველი, 1920 წლის სიმბოლიკის აღდგენილი ვარიანტი, სადაც ლურჯი და ოქროსფერი ხაზს უსვამს უკრაინის ტრადიციას, ხოლო დათვი განასახიერებს ადგილობრივ ფაუნას. ახალი დიზაინი შექმნა მხატვარმა ი. რეიტმა.

**დროშა** (სტანდარტი 2:3) შედგება ორი ჰორიზონტალური ლურჯი და ყვითელი ზოლისაგან, სადაც კანტონზე განთავსებულია გერბის ფარი.

დროშა მიიღეს 2009 წლის 27 თებერვალს.

### 2. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა (ადმინისტრაციული ცენტრი - ქ. სიმფეროპოლი)



**გერბი:** ნითელი, თათანეულ ვერცხლისფერ გრიფონს ხელთ უპყრია ვერცხლისფერი ნიუარალურჯი მარგალიტით. ფარის ზემოთ განთავსებულია ამომავალი ოქროსფერი ნახევარ-მზე. ფარის ქვემოთ მოთავსებულია ორი ვერცხლისფერი (ტექსტი - თეთრი) სვეტი და ლურჯ-თეთრ-წითელი ბათა რუსული დევიზით: „აყვავება ერთობაშია“.

დროშა დაყოფილია სამ ჰორიზონტალურ ზოლად, ზედა ზოლი ლურჯია, ხოლო ქვედა ნითელი, თითოეულის ზომა ნარმოადგენს დროშის სიგანის 1/6-ს, შუა ზოლი კი თეთრია. დროშის პროპორცია გახლავთ 1:2.

გერბი და დროშა მიიღეს 1992 წლის 24 სექტემბერს, როგორც „ყირიმის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკა“.

გერბის ავტორები გახლავთ ჰ. იეფეტოვი და ვ. იაშუპოვი, ხოლო დროშის ავტორები კი - ა. მალჰინი და ვ. ტრუსოვი. ყირიმის სტატუსის დამტკიცების შემდეგ სიმბოლიკა ხელახლა იქნა მიღებული, როგორც „რესპუბლიკის გერბი და დროშა“ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით 1999 წლის 21 აპრილს.

გრიფონის სიმბოლო გადმოტანილი იქნა სევასტიოპოლისა და ქერის გერბებიდან, მარგალიტი განასახიერებს ყირიმის უნიკალურ ბუნებას. დროშაზე ნითელი ზოლი ნიშნავს ყირიმის ნარსულს, თეთრი - ახლანდელს, ხოლო ლურჯი - მომავალს.

### 3. ჩერნოვცის რეგიონი



**გერბი:** ვერტიკალურად გაყოფილია ნითელ და მწვანე ველებად, პირველ ველში მოთავსებულია



ვერცხლისფერი ციხის გალავნის ნახევარი, რომელ-  
საც ზემოთ აქვს 4 ვერცხლისფერი აგური, ხოლო  
ქვემოთ კი ოქროსფერი დაფინის გვირგვინი ლურჯი  
და ყვითელი ლენტით, მეორე ველზე გამოსახულია  
სამი ვერტიკალურად განლაგებული ოქროსფერი  
წიფლის გირჩი. ფარს ზემოთ მოთავსებულია ვერ-  
ცხლისფერი არწივი, ხოლო ქვემოთ კი ოქროსფერი  
წიფლის ტოტები ლურჯი და ყვითელი ლენტით.

დღოშის პროცენტია გახლავთ 2:3 და იგი შედგება ხუთი ჰორიზონტალური ზოლისგან - ლურჯი, ყვითელი, მწვანე, ყვითელი და ლურჯი. ცენტრში გამოსახულია თეთრი არჩივი მწვანე ველზე. თითოეული ყვითელი ზოლის ზომა გახლავთ დღოშის სიგანის 1/30, ხოლო ლურჯი ზოლის ზომა კი 1/10. გერბი მიიღეს 1994 წლის 16 დეკემბერს, ხოლო დღოშა - 2001 წლის 20 დეკემბერს. ორივეს ავტორი გახლავთ ო. კრისტოფერუქი.

გერბზე წარმოდგენილია ქ. ჩერნოვცის გერბის ელემენტები (ქალაქის გალავანი და აგურები). წიფლის ხის გირჩები განასახიერებს ბუკოვინას ტყეს (უკრაინულად, წიფელი არის „ბუკ“, ჩვენ სიტყვა „ბუკოვინა“ შეგვიძლია ასე გადავთარგმნოთ – „წიფლის ტყეების მინა“), ნიადაგის ნაყოფიერებას, გულუხვობისა და ოჯახური ტრადიციების დაცვას. მწვანე ფერი და წილის ტოტები ასოცირდება ამ რეგიონის ბალებთან, ტყეებთან და მიწებთან („მწვანე ბუკოვინა“).

არწივის გამოსახულება ცნობილია იმ ფილი-დან, რომელიც აღმოჩენილი იქნა არქეოლოგიური გათხრებისას დნესტრის მარჯვენა სანაპიროზე. იგი განასახიერებს სილამაზეს, სიმამაცესა და გონიერებას. მწვანე ფერი ნიშნავს კეთილდღეობასა და იმედს. ლურჯი და ყვითელი ზოლები ხაზს უსვამს რეგიონის სახელმწიფო კუთვნილებას, ასევე ლურჯი ფერი განასახიერებს რეგიონის წყალუხვ მდინარებს (ბობოქარი პრუტი და ღრმა დნესტრი), ყვითელი ფერი ნიშნავს ბესარაბიული მხარის ხორბლის ველებს.

#### 4. ვინიცას რეგიონი



**გერბი:** ოთხად გაყოფილია ლურჯ და წითელ ველებად, პირველ და მეოთხე ველზე გამოსახულია ოქროსფერი მზე 16 სხივით, ხოლო მეორე და მესამე ველებზე და ვერცხლისფერი რკინის ჯვარი ლურჯი მცირე ფარით, რომელზეც გამოსახულია ვერცხლისფერი ნახევარმთვარე.



**დოკუმენტი** (სტანდარტი 2:3) ჰორიზონტალურად

გაყოფილია 5 ზოლად - ლურჯი, წითელი, ლურჯი, წითელი და ლურჯი. იგი შედგება გერბის სიმბოლიკისაგან (ყვითელი მზე და თეთრი ჯვარი ვერცხლის-ფერი მცირე ფარით ვერცხლისფერი ნახევარმთვა-რით), რომლებიც გამოსახულია შეუა ლურჯ ველზე. თითოეული ზედა და ქვედა ლურჯი და წითელი ზო-ლების ზომა გახლავთ დროშის სიგანის 1/10. დრო-შის უკანა მხარეს მზის და ჯვრის გამოსახულებები არ არის.

გერბი და დროშა მიიღეს 1997 წლის 18 ივნისს.  
ავტორები გახლავთ ი.ლეპუნი, ჰ.მელნიკი და ი.სავ-  
ჩიუკი.

ისტორიული ტერიტორიების ძველი გერბები-დან აღებული გამოსახულებები - პოდილია (მზე), და ბრატსლავის მიწა (ჯვარი მცირე ფარით) ახალ სტილშია შემუშავებული. დროშაზე წითელი ზოლები ნიშნავს რეგიონის მდინარეებს.

## 5. ვოლინის რეგიონი (ადმინისტრაციული ცენტრი - ქ. ლუკი)




**გერბი:** წითელი ვერცხლისფერი ჯვრით.

**დროშა** მართვულთხელია (2:3), თეთრი ჯვრით  
წითელ ველზე, ოთხკუთხედ წითელ კანტონზე გა-  
მოსახულია თეთრი რკინის ჯვარი .

გერბი და დროშა (სტანდარტი 6:7) მიიღეს 1997 წლის 4 ნოემბერს. უკრაინის პერალდიკის საზოგა-დოების წერილის შემდეგ, დროშის პროპორციები შეიცვალა და გახდა 2:3 2000 წლის 30 მაისის გა-დაწყვეტილებით.

ვერცხლის ჯვარი წითელ ველზე ცნობილია, როგორც ვოლინის მხარის გერბი XV საუკუნის და-საწყისიდან. XVI საუკუნის შუიდან ეს სიმბოლო შე-იცვალა რკინის ჯვრით.

## 6. პოლტავას რეგიონი




**გერბი:** ჰორიზონტალურად გავლებულია ტალღოვანი ვერცხლისფერი და ლურჯი ზოლი; ზედა ნანილი გაყოფილია სამად, პირველი გახლავთ ლურჯი რკინის ოქროსფერი ჯვრით, მეორე ოქროსფერი წითელი ნალით, მესამე წითელი, ამობრუნებული ოქროსფერი მშვილდისრით, რომელიც მოქცეულია ორ ექვსქიმიან ვერცხლისფერ ვარსკვლავს შორის; ქვედა სამნაწილიანი ველი ამობრუნებულია, მეოთხე ნანილი წითელია ოქროსფერი ქალაქის გალავნით ორ -ორ ექვსქიმიან ვერცხლისფერ ვარსკვლავს შორის, მეხუთე ოქროსფერია წითელი გულით, ხოლო მეექვს ნანილი ლურჯია ოქროსფერი ძნით. ფარის ზემოთ მოთავსებულია კედლის გვირგვინი ხუთი კოშკით. ფარის გარშემოკრული აქვს ძახველის ხის ორი ტოტი და ლურჯი და ყვითელი ბაფთა.

**დროშის** პროპორცია 2:3 და მასზე გამოსახულია ყვითელი რკინის ჯვარი ლურჯი ველის ცენტრში. ჯვრის ზომა გახლავთ დროშის სიგანის ნახევარი (ნახ.13).

გერბი მიიღეს 1998 წლის 30 იანვარს (ავტორი - ი. შირა), ხოლო დროშა - 2000 წლის 10 თებერვალს (უკრაინის ჰერალდიკის საზოგადოების შემოთავაზებით).

ლურჯი დროშა ყვითელი ჯვრით ცნობილია, როგორც ჰოლტავას კაზაკთა რეგიონის დროშა XVIII საუკუნის დასაწყისიდან. რეგიონის გერბი მოიცავს გამოსახულებებს სხვადასხვა მუნიციპალური ემბლემებიდან.

## 7. ლუგანსკის რეგიონი



**გერბი:** გაყოფილია ჰორიზონტალურად, ზედა ნანილი გაყოფილია ვერტიკალურად მწვანე და წითელ ველებად, რომლის მარჯვენა მხარესაც გამოსახულია ოქროსფერი ცხენი; ქვედა ნანილი გაყოფილია სამად, მესამე ველი წითელია, მეოთხე მწვანე-ოქროსფერი ზაზუნით, მეხუთე ლურჯია, რომელზეც გამოსახულია ქვემოდან ამომავალი ოქროსფერი მზე; ოქროსფერ მცირე ფარზე გამოსახულია შავი კვადრატი წითელი ალით, რომელიც მოთავსებულია ორ შავ უროს შორის. ფარის გარს აკრავს ორი თავთავი, მუხის ტოტები და ლურჯი და ყვითელი ბაფთა უკრაინული დევიზით: „ლუგანსკის რეგიონი“.


**დროშა** ლურჯია (სტანდარტი 2:3), რომლის კანტონზეც გამოსახულია გერბის ფარი. ფარის გარშემო მოთავსებულია 17 ოქროსფერი და 14 თეთრი

ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

გერბი მიიღეს 1998 წლის 15 მაისს (ა. ზაკორეცკის დიზაინით), ხოლო დროშა - 1998 წლის 4 სექტემბერს (ავტორი - ლ. უდანოვი).

შავი კვადრატი და ორი ურო განასახიერებს ქვანახშირის ნარმოებას. ამომავალი მზე ნიშნავს, რომ ლუგანსკის რეგიონი გახლავთ უკრაინის ალმოსავლეთ სასაზღვრო რეგიონი. რეგიონის გერბი მოიცავს გამოსახულებებს (ცხენი და ზაზუნა) ორი მუნიციპალური ემბლემიდან. 17 ოქროსფერი და 14 ვერცხლისფერი ვარსკვლავი დროშაზე ნიშნავს 17 ტერიტორიულ მხარეს და 14 ადმინისტრაციულ ქალაქებს.

## 8. კიროვოგრადის რეგიონი



**გერბი:** წითელი, ტრამალის (სკვითური) ოქროსფერი არნივი. ფარის ზემოთ მოთავსებულია ლურჯი ალამი ოქროსფერი სამკბილით. ფარის გარს აკრავს ალტავის ტოტების დევიზით ტოტები, თავთავები და მუხის ფოთლები, ხოლო ქვედა ლურჯი ლენტზე განთავსებულია უკრაინული დევიზი: „გულუხვი ხალხის მიმართ“.

**დროშა** დაყოფილია ორ თანაბარ ვერტიკალურ ნანილად - მენამულ და მწვანე ველებად. მენამული ველი არის დროშის ტარის მხარეს და მასზე მოთავსებულია ყვითელი არნივი. დროშის პროპორციაა 2:3.

გერბი და დროშა მიიღეს 1998 წლის 29 ივნისს, ხოლო 1998 წლის 23 დეკემბერს მიიღეს ცვლილება არნივის გამოსახულებაში. სიმბოლიკის ავტორები გახლავთ ვ. კრივენკო და პ. შლიახოვი.

ოქროსფერი ტრამალის არნივი აღებულია სკვითური ორნამენტებიდან, რომლებიც აღმოაჩინს არქეოლოგიური გათხრების დროს კიროვოგრადის რეგიონის ტერიტორიაზე და იგი განასახიერებს ეროვნულ თვითმყოფადობას, რაც თაობიდან თაობას გადაცემოდა და შთამომავლების სულიერ აღორძინებას. ლურჯი ალამი სამკბილათი გამოხატავს რეგიონის უკრაინისადმი კუთვნილებას. ოქროსფერი ხორბლის თავთავი განასახიერებს სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების სიმდიდრეს, ოქროსფერი მუხის ფოთლები - ძალაუფლებასა და გამძლეობას. ლურჯი, ყვითელი და წითელი (დროშაზე მენამული) ფერები ხაზს უსგამს ამ რეგიონის ძველ კაზაკურ ტრადიციასა და უკრაინის ტრამალების სიმდიდრეებს.

## 9. კიევის რეგიონი



**გერბი:** ლურჯი, ქვედა ნაწილი მწვანე ოქროსფერი, ბუნებრივი ფერის (ტექსტში - ყვითელი) ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგის გამოსახულებით, რომელსაც ხელთ უპყრია მახვილი, ქვედა ნაწილში გამოსახულია ბუნებრივი ფერის გველეშაპი (ტექსტში - ყვავისფერი). ფარის ზემოთ მოთავსებულია უფლისნულის ოქროსფერი დიადემა. ფარი გარშე-მორტყმულია თავთავებითა და ორი მუხის ტოტით - მწვანე თლილებით.

**დროშა** (სტანდარტი 2:3) შედგება სამი თანა-  
ბარი ვერტიკალური ზოლისაგან - ლურჯი, ყვითე-  
ლი და ლურჯი. შუა ზოლზე ცენტრში გამოსახულია  
წმინდა გიორგი და გველიშვილი.

გერბი და დროშა მიიღეს 1999 წლის 2 ოქტომბერ-ვალს.

წმინდა გიორგის კიევის რეგიონის სიმბოლოდ  
არჩევა, სავარაუდოდ, დაკავშირებულია XVI საუკუ-  
ნის წყაროებში ნახსენებ მსგავს გერბთან, თუმცა ეს  
გამოსახულებები მცდარია, რადგან ისინი უარყო-  
ფილია მაშინდელ სხვა ისტორიულ წყაროებში.

#### 10. ხარკოვის რეგიონი



**გერბი:** მწვანე, კვერთხითა და ოქროსფერი დოვლათის რქით დიაგონალზე. ფარის ზემოთ გან-  
თავსებულია ვერცხლისფერი კბილანის ნახევარი,  
ვერცხლისფერი ლია წიგნი ატომის სიმბოლოთი და  
ოთხი ოქროსფერი თავთავი. ფარს გარს აკრავს მუ-  
ხის აღთლების ჯირჯვინი და ოურჯი ლენტი.

დოკუმენტის გვერდზე და დანართში დანართში და მასზე გა-  
მოსახულია მთლიანი გერბი მეწამული ველის ცენ-  
ტრში (სტანდარტი 2:3).

გერბი და დროშა მიიღეს 1999 წლის 11 მაისს.  
თოვლათის რქა და მერკურის კვერთხი განთავ-

სებტემბრი იყო ქ. ხარკოვისა და ხარკოვის გუბერნიის გერბებზე XVIII საუკუნის ბოლოდან. ამჟამად ასევე განთავსებულია ქალაქის გერბზე. ეს სიმბოლიკა განასახიერებს ვაჭრობასა და დოვლათს. ამ გერბების ახალი დიზაინი შექმნა ს. შაპოშნიკოვმა.

## 11. დონეცკის რეგიონი



**გერბი:** ოქროსფერი, ქვედა ნაწილი შავია და გამოსახულია ლურჯი პალმა. ფარის ზემოთ მოთავსებულია სტილიზებული ოქროსფერი გვირგვინი (წაბლის ფოთლებით). ფარს გარს აკრავს ორი მუხის მწვანე ტოტი და ქვემოთ განთავსებულია ძონისფერი ლენტი რუსული დევიზით: „შესაძლებლობა საქმით მტკიცდება“.

დღოშა შედგება ორი თანაბარი ჰორიზონტა-ლური ზოლისაგან - ლურჯი და შავი. ლურჯ ველზე გამოსახულია ყვითელი (ოქროსფერი) ამომავალი ნახევარ-მზე 12 სხივით, ხოლო შავ ველზე გამოსახულია ხუთი ყვითელი (ოქროსფერი) მზის ანარეკა. ოროშის პროცენტია 2:3.

დროშა და გერბი მიიღეს 1999 წელის 17 აგვისტოს. გერბის დიზაინი შეიმუშავა კომპანია „კარდინალმა“. დროშის ავტორი გახსოვთ ნ. შერბავი.

1896 წელს მჭედელმა ოლეკსი მერცალოვგა გამოჭედა პალმა რელსის ნაჭრისაგან. „მერცალოვის პალმა“ განასახიერებს ამ რეგიონის უდიდეს ეკონომიკურ პოტენციალს, შავი ფერი ნიშნავს ქვანახშირს, ოქროსფერი (ყვითელი დროშაზე) განასახიერებს უკრაინის ტრამალებს.

## 12. ჩერვასის რეგიონი



**გერბი:** ლურჯი, მზის დისკო სამი ოქროსფერი ხორბლის თავთავით. გერბი ჩასმულია დეკორატიულ ჩარჩოში. ფარის ზემოთ მოთავსებულია მედალიონი პოეტ ტარას შევჩინკოს პორტრეტით.

**დოკუმენტის პროპორციაა 2:3, მასზე გამოსახულია**

მთლიანი გერბი ლურჯი ველის ცენტრში.

გერბი და დროშა (ავტორები - ი. და მ. ტელი- შენკოვები) მიიღეს 2000 წლის 4 ივლისს.

მზე და ხორბლის თავთავები განასახიერებენ ჩერკასის რეგიონის სიმბიდრესა და სასოფლო-სა- მეურნეო დანიშნულებას, ლურჯი ფერი ნიშნავს მდინარე დნიპროს.

### 13. ჩერნიგოვის რეგიონი




**გერბი:** ვერცხლისფერი, შავი ორთავიანი არ- წივით ოქროსფერი აღჭურვილობით, წითელი ენითა და ფეხებით, ოქროსფერი ლია გვირგვინით, მკერდ- ზე გამოსახული აქვს ლურჯი მცირე ფარი ოქროს- ფერი კანტით, ხოლო მასზე გამოსახულია სამეფო ოქროსფერი ხელოთვა (სამკბილა).

**დროშა** (სტანდარტი 2:3) შედგება სამი პორიზონ- ტალური ზოლისაგან - მწვანე, თეთრი და მწვანე. ყო- ველი მწვანე ზოლის ზომა გახლავთ დროშის სიგანის 2/5. დროშას აქვს თეთრი ოთხეუთხედი კანტი, რო- მელზეც გამოსახულია შავი ორთავიანი გვირგვინო- სანი არწივი, რომელსაც მკერდზე ფარი აქვს გამოსა- ხული: ლურჯი, ოქროსფერი კანტითა და ოქროსფერი სამკბილით.

დროშა და გერბი მიიღეს 2000 წლის 11 ივლისს. ავტორები გახლავთ: ი. სიტი, ა. გრეჩილო და ვ. პავ- ლენკო.

ორთავიანი არწივი იყო ჩერნიგოვ-სივერიის მხარის სიმბოლო XVII საუკუნის პირველ ნახევარ- ში. ჩერნიჰევის საგრაფოს დამარსებლის, პრინც მსტისლავ ვოლოდიმიროვიჩის ოქროს ხელოთვა ცნობილია 1024 წლის შემდეგ. ორი მწვანე ზოლი დროშაზე ნიშნავს რეგიონის ორ ძირითად გეოგრა- ფიულ ზონას - პოლისიას და ტყიან ტრამალს, ხოლო თეთრი ზოლი განასახიერებს მდინარე დესნას, რო- მელიც მათ ჰქონდა.

### 14. სუმის რეგიონი



**გერბი:** ლურჯი, მარჯვენა მხარეს გამოსახუ- ლია ოქროსფერი მოხრილი თავთავი, მარცხენა მხა- რეს კი - ოქროსფერი დაკვირტული ჯვარი, ხოლო ზემოთ გამოსახულია ოქროსფერი ჩაფეზუტი.

**დროშა** მართკუთხედია (2:3) და წარმოადგენს ლურჯ ველს, რომლის ცენტრშიც გამოსახულია გერბი.

გერბი და დროშა მიიღეს 2000 წლის 12 ივლისს. ავტორი გახლავთ ი. შელკოვნიკოვი. ჩაფეზუტი ნიშ- ნავს ამ რეგიონის ისტორიულ განვითარებას კიევის სამთავროს დროიდან (XI-XII სს). მოხრილი თავთა- ვი, ლათინური „C“ ასოს ფორმით, მოიცავს 25 მარ- ცვალს, რაც განასახიერებს სასოფლო-სამეურნეო მიმართულებასა და რეგიონის 25 საგანს. ჯვარი გა- ნასახიერებს სასულიერო ცხოვრებას.

### 15. ლვოვის რეგიონი



**გერბი:** ლურჯი, ოქროსფერი ყალყზე დამდგა- რი, გვირგვინოსანი ლომის გამოსახულებით, რომე- ლიც ადის ოქროსფერ კლდეზე. ფარი ჩასულია დე- კორატიულ ჩარჩოში. ფარს ზემოთ განთავსებულია სტილიზებული ოქროსფერი სამკბილა .

**დროშის** პროპორციებია 2:3, იგი წარმოადგენს ლურჯ ველს, რომლის ცენტრშიც მოთავსებულია გერბის ძირითადი გამოსახულება (ყვითელ გვირგ- ვინიანი ლომი).

გერბი და დროშა მიიღეს 2001 წლის 27 თებერ- ვალს. კლდეზე ამავალი ლომი გახლავთ რუთენი- ანული სამეფოს სიმბოლო XIV საუკუნის პირველი ნახევრიდან. XV-XVIII საუკუნეებში ეს სიმბოლო გამოიყენებოდა რუთენიანული ვოევოდებისა და ლვოვის მხარის გერბად. 1848 წლიდან იგი მიიჩნეო- და უკრაინის ეროვნულ სიმბოლოდ გალიჩინაში (გა- ლიცია ანუ დასავლეთ უკრაინა).

### 16. ივანო-ფრანკისკის რეგიონი



**გერბი:** ვერცხლისფერი, შავი ჭკა ოქროსფერი გვირგვინით.

**დროშა** (სტანდარტი 2:3) შედგება ხუთი ვერტიკალური ზოლისაგან - ნითელი, შავი, ოთრი, ლურჯი და ყვითელი. თეთრ ოთხუთხედ ველზე ცენტრში გამოსახულია შავი ჭკა აწეული ფრთებითა და ყვითელი გვირგვინით. დანარჩენი ოთხი ზოლი ერთი ზომისაა, თითოეულის ზომა გახლავთ დროშის სიგანის 1/12.

გერბი და დროშა (ავტორი: ა. გრეჩილო) მიიღეს 2001 წლის 26 ივნისს.

ჭკა გახლავთ ისტორიული გალიჩის მხარის ძველი სიმბოლო XV საუკუნეში (და სავარაუდოდ XIII საუკუნიდან). დროშას აქვს პატრიოტული (შავი და ნითელი) და ეროვნული (ლურჯი და ყვითელი) ფერები და ხაზს უსვამს რეგიონის როლს უკრაინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში: „ბრძოლიდან დამოუკიდებლობამდე!“

## 17. ზაპორიჟიას რეგიონი



**გერბი:** წითელი (ტექსტში მენამული), კაზაკი მუშკეტითა და ოქროსფერი ხმლით. ფარი დასმულია გურზე (უკრაინელი სამხედრო მეთაურის კვერთხი), პერნაჩე, ბუნჩუკზე (ძალაუფლების ატრიბუტები) და ორ ოქროსფერ ლიტავრაზე (დაირა), რომელებიც ერთმანეთთან გადაბმულია ლურჯი ბაფთით, რომელსაც უკრაინულად აწერია: „ზაპორიჟიას რეგიონი“.

**დროშაზე** ცენტრში გამოსახულია მთლიანი გერბი მენამულ ველზე. დროშის სტანდარტია 2:3.

გერბი და დროშა მიიღეს 2001 წლის 27 ივნისს. ავტორი გახლავთ ვ. პილიპენკო.

კაზაკი მუშკეტითა და ხმლით წარმოადგენს ზაპორიჟიელ კაზაკთა ისტორიულ გერბს, რომელიც ცნობილია XVI საუკუნიდან.

## 18. მიკოლაივის რეგიონი



**გერბი:** ლურჯი, რომელზეც გამოსახულია ეპისკოპოსის ორი ოქროსფერი კვერთხი დიაგონალზე და ოქროსფერი მიტრა; ქვედა ნაწილი ტალღოვანია და ვერცხლისფერი, მასზე გამოსახულია ამფორა მარცხენა დიაგონალზე. ფარი მოთავსებულია დეკორატიულ ჩარჩოში. ფარს ზემოთ გამოსახულია სტილიზებული ოქროსფერი თავთავების გვირგვინი.

**დროშა** დაყოფილია სამ ჰორიზონტალურ ზოლად, ზედა თეთრი ზოლის ზომა გახლავთ დროშის სიგანის ½, ცენტრალური ზოლი ყვითელია, ხოლო ქვედა ლურჯი ტალღოვანი ზოლი კი ლურჯი, თითოეული ზოლის ზომა გახლავთ დროშის სიგანის ¼. დროშის შუა ნაწილზე გამოსახულია ოქროსფერი მიტრა ორ ოქროსფერ გადაკვეთილ კვერთხზე თეთრ და ყვითელ ფონზე. დროშის პროპორცია 2:3.

გერბი და დროშა მიიღეს 2001 წლის 27 ივნისს. ავტორები ი. და ია. ბულავიცკები.

მიტრა და ორი კვერთხი აღებულია ქ. მიკოლაი-ევის გერბიდან და განასახიერებს რეგიონის მფარველს - წმინდა ნიკოლაუსს. ამფორა განასახიერებს შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს ანტიკურ ქალაქ-სახელმწიფოებს.

## 19. ხერსონის რეგიონი



**გერბი:** ლურჯი, მასზე გამოსახული ოქროსფერი ლუზით, ორი ხორბლის თავთავითა და ფარგლით; ზედა ნაწილზე გამოსახულია ქალაქის ოქროსფერი გალავანი. ფარს ზემოთ მოთავსებულია სტილიზებული ოქროსფერი გვირგვინი. ფარი ჩასმულია ორი ტოტისგან შემდგარ ჩარჩოში, რომელებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ლურჯი და ყვითელი ბაფთით, რომელსაც უკრაინულად აწერია: „ხერსონის რეგიონი“.

**დროშის** პროპორცია 2:3. იგი შედგება სამი თანაბარი ჰორიზონტალური ზოლისაგან: ლურჯი, თეთრი და ლურჯი, ხოლო დროშის ტარის მხარეს გამოსახულია ფარი.

გერბი და დროშა მიიღეს 2001 წლის 25 ოქტომბერს. ავტორები გახლავთ ს. საზანოვი და ი. შეპელევი.

ლუზი რეგიონის პორტების სიმბოლოა. თავთავები ნიშნავს სოფლის მეურნეობას, ხოლო ფარგალი - მეცნიერებას.

## 20. რივნეს რეგიონი




**გერბი:** მნვანე, მასზე გამოსახული ვერცხლის-ფერი ღია ნიგნით, რომელსაც აქვს ოქროსფერი ყდა, მარჯვენა ფლანგზე გამოსახულია ვერცხლისფერი ამობრუნებული ხმალი ოქროსფერი სახელურით, ხოლო მარცხენა ფლანგზე კი ვერცხლისფერი ბუმბული; ზედა წითელ ველზე გამოსახულია ვერცხლისფერი რკინის ჯვარი. ფარი ჩასმულია დეკორატიულ ჩარჩოში. ფარს ზემოთ მოთავსებულია ოქროსფერი სტილი-ზებული სამკბილა.

**დოკუმენტის შედეგება** სამი ვერტიკალური ზოლისა-  
გან: ყვითელი, ღია ლურჯი და ყვითელი; დოკუმენტის  
ცენტრში, ღია ლურჯ ველზე გამოსახულია მთლი-  
ანი გერბი.

გერბი და დროშა (პროპორციით 11:16) მიღეს 2001 წლის 4 ოქტომბერს. ავტორი გახლავთ ი. ტერლეცკა. უკრაინის ჰერალდიკის საზოგადოების წერილის მიღების შემდეგ, დროშის პროპორციები შეიცვალა და გახდა 2:3 2002 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით.

ნიგნ განასახიერებს ძველ ისტორიულ ძეგლს - გოსტელს პერესოპნიციადან, ხმალი - დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ბუმბული - დამწერლობის განვითარებას. ჯვარი განასახიერებს ისტორიულ ვოლინთან კუთვნილებას, ხოლო მწვანე ფერი - პლისის ბუნებრივ მხარეს.


ეს სიმბოლოები შეიცვალა 2005 წლის 9 აგვისტოს.



**ახალი გერბი:** წითელი, მასზე გამოსახული ვერცხლისფერი რკინის ჯვრით. ფარი მოთავსებულია დეკორატიულ ჩარჩოში.

**ახალი დროშა** (სტანდარტი 2:3) გაყოფილია ხუთ ჰორიზონტალურ ზოლად: თეთრი, ყვითელი, ლურჯი, ყვითელი და წითელი (პროპორციები 3:2:2:2:3), რომლის ცენტრშიც გამოსახულია მთლიანი გერბი.

## 21. ტერნოპილის რეგიონი




**გერბი:** ღურჯი, მასზე გამოსახულია ოქროს-ფერი ხმალი და ოქროსფერი გასაღები, ერთი საგანი მეორეზეა დადებული გადაკვეთილად; გერბის ზე-და ოქროსფერ ნაწილში გამოსახულია სამი ვერცხ-ლისფერი კოშკი. ფარს ზემოთ მოთავსებულია სტი-ლიზებული ოქროსფერი სამკბილა. ფარი დასმულია ხორბლის შეკვრაზე და დეკორატიულ ტოტებზე, რომელთაც აერთიანებთ მეწამული ბათთა.

**დროშა** წარმოადგენს ჰერალდიკურ აღამს, რომლის პროპორცია 2:3. იგი გაყოფილია ორ ზოლად, ზედა ყვითელი ზოლის ზომა გახლავთ დროშის სიგანის 1/3, ხოლო ქვედა ზოლი არის ლურჯი. ზედა ზოლზე გამოსახულია სამი თეთრი კოშკი. ქვედა ზოლზე ცენტრში გამოსახულია ჯვრის სებრ გადაკვითოლი ყვითელი ხმალი და გასაღები .


გერბი და დროშა მიიღეს 2001 წლის 21 დეკემბერს. ახალი სიმბოლიკის ავტორია დ. ჩეპილო. კოშკები განასახიერებს სამ ისტორიულ მხარეს - გალიჩინას, პოდილიასა და ვოლინს - რომელთაგანაც გამომდინარეობს დღევანდელი რეგიონი. გასაღები და ხმალი წარმოადგენს რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობის სიმბოლოს.

უკრაინის ჰერალდიკის საზოგადოებისაგან მიღებული წერილის შემდეგ, სიმბოლიკის საბოლოო დიზაინი შეიცვალა 2003 წლის 18 ნოემბრის განკარგულებით. ამჟამად ფარსა და დროშას აქვს სრულიად ლურჯი ველი, ხოლო კოშკები გამოსახულია თეთრ და ყვითელ ფერებში (ვერცხლისფერ და ოქროსფერში).



## 22. በቃይሱስ የገዢበዕና

**გერბი:** ლურჯი, მასზე გამოსახული ვერცხლისფერი ღუზით; წითელი საზღვრის შიგნით გამოსახულია ექვსი ოქროსფერი ღუზა, ხოლო ზემოთ





სამი ოქროსფერი თავთავი; ქვემოთ გამოსახულია ოქროსფერი ყურძნის მტევანი. ფარს ქვემოთ გამოსახულია თავთავებისა და ვაზისაგან შეკრული გვირგვინი.

**დოკუმენტის შედგება** სამი ვერტიკალური ზოლისა-  
გან: ყვითელი, ლურჯი და თეთრი. დოკუმენტის ცენტრ-  
ში, ლურჯ ზოლზე გამოსახულია გერბის ფარი.

გერბი და დროშა (სტანდარტი 3:5) მიიღეს 2002 წლის 21 თებერვალს. ავტორები გახლავთ: პ. ბონ-დარენკო, მ. მურმანოვი, ჰ. ფაიერი და ლ. ბრუკი. უკრაინის ჰერალდიკის საზოგადოებისაგან მიღებული ნერილის შემდეგ დროშის პროპორციები შეიცვალა 2:3-ზე.

ვერცხლისფერი ღუზა ალებულია ქ. ოდესის ძველი გერბიდან. შვიდი ღუზა განასახიერებს ოდესის რეგიონის შვიდ პორტს. თავთავები ნიშნავს სოფლის მეურნეობას, ხოლო ყურძნის მტევანი - მელვინეობასა და მევნეობას.

### 23. ხმელნიკის რეგიონი





**გერბი:** ვერტიკალურად ლურჯი და ნითელი (ტექსტში - მენამული), გამოსახულია ფიგურული ოქროსფერი მზე, ქვემოთ გამოსახულია ორი ოქროსფერი მოხრილი თავთავი. ფარი ჩასმულია დეკორატიულ ჩარჩოში.

**დორშა** (სტანდარტი 2:3) შედგება ორი თანაბარი ვერტიკალური ზოლისაგან: ღურჯი და მენამული. დორშის კონტრში გამოსახულია გერბის ფარი.

გერბი და დროშა მიიღეს 2002 წლის 21 მარტს.  
ავტორი გახლავთ მ. მასტიკაშვილი.

ლურჯი ველი და მზე ნიშნავს პოდილიას ისტო-  
რიულ მხარეს, ხოლო წითელი (ტექსტში მენამული)  
ველი - ვოლინის მხარეს. თავთავები განასახიერებს  
რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალს. ორ  
ოქროს თავთავეს აქვთ ასო „X“-ს ფორმა.

#### 24. დნეპროპეტროვსკის რეგიონი



**გერბი:** დღაგონალზე ლურჯ-ვერხლისფერი და ოქროსფერ-ლურჯი ტალღოვანი სარტყელი, ერთ ველზე გამოსახულია 9 რვაქიმიანი ოქროსფერი ვარსკვლავი ოთხ, სამ და ორად. მეორე ველზე გამოსახულია კაზაკი მუშკეტითა და ოქროსფერი სმლით. ფარი ჩასმულია დეკორატიულ ჩარჩოში. ფარს ზემოთ მოთავსებულია გვირგვინი და მანტიია (ჩაფეხუტის გარეშე!), ხოლო ლურჯ ორნამენტულ მკირე დარზე გამოსახულია ოქროსფერი სამკბილა.

**დოოშა** ნარმოადგენს ჰერალდიკურ აღამს, რომლის პროპორცია 2:3 და გაყოფილია დიაგონალზე ლურჯ და თეთრ ველებად, რომლებზეც გამოსახულია თნაბეჭრობულიროვს კის რეგიონის გრძელი.

გერბი და დროშა მიიღეს 2002 წლის 19 მარტს. ავტორები გახლავთ ო. პოტაპი და ო. რუდინკო.

კაზაკი მუშკეტითა და ხმლით არის ზაპორიჟი-  
ელი კაზაკების ისტორიული გერბი. 9 ვარსკვლავი  
დაკავშირებულია კაზაკთა ტრადიციულ სიმბოლი-  
კასთან და ადმინისტრაციული ცენტრის ძველ მუ-  
ნიკიპალურ გერბთან.

## 25. ရွှေပို့စီမံချက်



2002 წელს რეგიონის საბჭომ ჩაატარა კონკურსი სიმბოლიკის საუკეთესო პროექტის გამოსავლენად. გერბი და დროშა მიიღეს 2002 წლის 31 ოქტომბერს.

**გერბი:** ჰორიზონტალურად გადაკვეთილი გერცხლისფერ და ლურჯ ველებად, მცირე ფარზე გამოსახულია ვერცხლისფერი სამკოშკიანი ქალაქის გალავნი, რომელსაც გარს არტყია ორი ოქროსფერი თავთავი და სვის გირჩი მწვანე ფოთლებით. მცირე ფარს ზემოთ მოთავსებულია ლურჯი სელის ყვავილი.



**დოკუმენტი** - სამი პორიზონტალური ზოლი ლურჯ, მწვანე და ყვითელ ფერებში. ზოლების პროპორ-

ციები 3:2:3. გერბზე წარმოდგენილია ქ. უიტომირის გერბის ელემენტი (ქალაქის გალავანი). სელი და სვია რეგიონის ძირითადი კულტურებია.

**დროშაზე** ლურჯი ზოლი განასახიერებს მოწმენდილ ცას, ხოლო გაყვავებული სელი და მწვანე ფერი განასახიერებს ტყეებს და სვის მინდვრებს, ყვითელი კი განასახიერებს ხორბლის ველებს.

გერბის გაკრიტიკების შემდეგ, რეგიონის საპატიო ახალი სიმბოლიკა შეუკვეთა კიევში.

**გერბი:** წითელი, გადაკვეთილი ვიწრო, ოქროს-ფერი ჯვრით, პირველ მეოთხედზე გამოსახულია ვერცხლისფერი მთავარანგელოზი მიხეილი გაშ-



ლილი ფრთხით, მეორე მეოთხედზე ვერცხლის-ფერი, ყალყზე შემდგარი ცხენი ლურჯი ელემენტებით, მხედარი სრულად შეიარაღებულია, მარჯვენა ხელში უპყრია ხმალი, ხოლო მარცხენაში კი ძმის-ფერი ფარი, სვეტები ვერცხლისფერია, მესამე მეოთხედზე გამოსახულია ვერცხლისფერი რკინის ჯვარი, მეოთხეზე კი ოქროსფერი ფიგურული მზე. მცირე ლურჯ ფარზე გამოსახულია ვერცხლისფერი სამკოშკანი ქალაქის გალავანი. ფარს გარს აკრავს ხორბლის თავთავების გვირგვინი, სელის ყვავილი და სვის გირჩი. ფარს ზემოთ მოთავსებულია სტილიზებული კედლის ვერცხლისფერი გვირგვინი ოქროსფერი თავთავებით (!). **დროშის** პროპორციაა 2:3, მასზე გამოსახულია წვრილი ყვითელი ჯვარი წითელ ველზე, დროშის ცენტრში მოთავსებულია მცირე ლურჯი ფარი, რომელზეც გამოსახულია ვერცხლისფერი სამკოშკანი ქალაქის გალავანი.

ახალი გერბი და დროშა მიიღეს 2003 წლის 31 იანვარს. ავტორი გახლავთ ო. რუდენკო.

გერბი მოიცავს ქ. უიტომირის გერბის ემბლემას და ოთხ სიმბოლოს, რომლებიც უნდა ნიშნავდეს ისტორიულ ტერიტორიებს: კიევის რეგიონს, პოლისიას, ვოლინსა და პოდილიას.

„პოპონიას“ (ყალყზე შემდგარი ვერცხლისფე-

რი ცხენი ლურჯი ელემენტებით, მხედარი სრულად შეიარაღებულია, უპყრია ხმალი მარჯვენა ხელში) სიმბოლოს დიზაინი პლაგიატი გახლდათ ლიტვის სახელმწიფო გერბიდან, რომლის ავტორია ა. კაზ-დაილისი! უკრაინის ჰერალდიკის საზოგადოებისა-გან მიღებული წერილის შემდეგ გერბის დიზაინი შეიცვალა.

### დასკვნა:

მასალა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები: მხოლოდ 5 რეგიონს აქვს სრულიად ახალი გერბი ისტორიული მხარისა თუ ქალაქის ძველი სიმბოლიკის გამოუყენებლად. 6 რეგიონს აქვს მიღებული საკუთარი გერბები მხოლოდ ფარზე, მაშინ, როდესაც სხვა რეგიონები იყენებენ დამხმარე ელემენტებს.

რეგიონალური დროშების დიზაინზე არის შეძეგვი ელემენტები: 10 რეგიონს აქვს მათი გერბის (ფარზე) გამოსახულება დატანილი დროშაზე:

4-ს (ზაპოროჟია, ხარკოვი, სუმი, ჩერკასი) - გერბი ერთფერიან დროშაზე;

1-ს (ლუანსკი) - გერბი და დამატებითი ელემენტები ერთფერიან დროშაზე;

5 -ს (ოდესა, რივნე, ხმელნიცკი, ხერსონი, ტრანსკარპატია) - გერბი ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ზოლზე ფონად;

13-ს რეგიონს აქვს აღებული ცალკეული ფიგურები საკუთარი გერბებიდან:

2 -ს (დნეპროპეტროვსკი, ტერნოპილი) - იმეორებენ საკუთარ ჰერალდიკურ გამოსახულებებს, მაგრამ ფარის გარეშე (ჰერალდიკური დროშა);


5 -ს (ვილინი, ივანო-ფრანკოვსკი, კიროვოგრადი, კიევი, ჩერნიგოვი) - იმეორებენ საკუთარ ჰერალდიკურ გამოსახულებებს დამატებითი ფერის ზოლებითა თუ ელემენტებით;

6 -ს (ვინიცა, უიტომირი, ლვოვი, მიკოლაევი, პოლტავა, ჩერნივცი) - აქვთ ცალკეული გამოსახულება გერბიდან.

2 რეგიონისათვის (ყირიმი და დონეცკი), დროშა დაკავშირებულია მათ გერბთან მხოლოდ ფერებით.

რეგიონალური სიმბოლიკის განვითარების დეცენტრალიზებულმა პროცესმა უარყოფითი შედეგი გამოიღო ხარისხსა და გამოსახულებაზე. მაგალითად: ტერნოპილის რეგიონის გერბზე არის მინიშნება ფერთა არასათანადო ნორმებზე (ოქროსფერი ველი ვერცხლისფერი გამოსახულებებით); უიტომირისა და დნეპროპეტროვსკის რეგიონების გერბებზე გარე ელემენტები ბუნდოვანია. კონკრეტულ შემთხვევებში რომ ჩატარებულიყო სათანადო კონკურსი ან განხორციელებულიყო სიმბოლიკის განვითარება უკრაინის ჰერალდიკის საზოგადოების პროფესიონალური კონტროლით, შესაძლებელი იქნებოდა საინტერესო სიმბოლიკის შექმნა.

ანდრეი გრეგორ  
Andriy Greczko



## იაპონური ჰერალდიკის მოკლე მიმოხილვა

იაპონური ჰერალდიკა ადრე შუასაუკუნეებიდან იღებს სათავეს და უკვე მე-12 საუკუნისთვის მეტ-ნაკლებად მწყობრი სახით ჩამოყალიბდა. მისი მიზნებიც ისეთივე იყო, როგორიც ევროპული ჰერალდიკის: საზოგადოების ფენებს შორის განსხვავების დაფიქსირება, პრაქტიკული გამოყენება საომარ კამპანიებში, გარჩევითობის უზრუნველყოფა და ჰერალდიკური ნიშანი, როგორც თვითიდენტიფიკატორი, რომლის სათავეც, სავარაუდოდ, ზოგ შემთხვევაში თემურ წყობილებამდეც მიდის.

იაპონურ ჰერალდიკაში გამოყენებულ ნიშნებს, სიმბოლოებს ენოდება კამონი ან უბრალოდ მონი.

არსებობდა მონის ტარების წესები, რომლებიც მე-18 საუკუნის ბოლოს უკვე მკაცრად იყო განსაზღვრული.

ძირითადი წესი შემდეგი იყო: მონის დატანა ხდებოდა მფლობელის სამოსზე - მკერდის ორივე მხარეს, სახელოებსა და ზურგზე. არსებობდა ასევე შეზღუდვებიც: იკრძალებოდა მონით დამშვენებული კიმონოს ჩაცმა საქორნინო და დასაფლავების ცერემონიებზე, ასევე სეპუკუს რიტუალის დროს.

მე-18 საუკუნის ბოლოდან, განსაკუთრებით კი, ე.ნ. მეიდის ხანის დადგომის შემდეგ, 1868 წლიდან კამონის მფლობელები აღარ არიან მხოლოდ პრივილეგირებული გვარები საკუთარი გერბები გაიჩინეს ახალნარმოქმნილი ბურჟუაზიული კლასის წამყვანმა გვარებმა და მნიშვნელოვანმა საზოგადო მოღვაწეებმაც, რომლებიც არ მიეკუთვნებოდნენ კეთილშობილთა ფენას.

ერთი შეხედვით, ევროპული გერბები უფრო მხატვრულად გამოიყერება, ვიდრე იაპონური მონი - მკაცრად სტილიზებული, ესთეტიკურად დახვეწილი, ხშირად მონოქრომული ნიშანი. აღნიშნული ფაქტი სცილდება მხოლოდ მარტივ შედარებითობას. მნიშვნელოვანი და საინტერესოა, თუ რა გზა განვლო მონის სტილიზაციის დღეს

არსებულმა სახემ და რა ესთეტიკურ-ფილოსოფიურ პრინციპებს ეყრდნობოდა ეს პროცესი.

საგვარეულო გერბი წარმოადგენდა გაბატონებული ფენის, სამურაების უმნიშვნელოვანეს ატრიბუტსა და სიამაყის საგანს.

მონი გადაეცემოდა პიროვნებას სახელთან ერთად, მემკვიდრეობით. მონების სიუჟეტი ხშირად ხდებოდა ციური სხეულები, ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები, საკულტო ნივთები, გეომეტრიული ფიგურები.

**არსებობს მონების ქვეი ძირითადი**

**თემატური ჯგუფი:** მცენარეები (ყვავილები, ხეები, ფოთლები, ნაყოფები, ხილი, ბოსტნეული და ბალახები), ცხოველები და მწერები (გარეული ბატები, წეროები, იხვები, ყვავი, მერცხალი, მტრედი, პეპლები, ნემსიყლაპია, ცხენი, ირმები, კიბორჩხალა, კატა, კურდლელი, კუ), ბუნების მოვლენები და ლანდმაფტი (მთები, მდინარე, ტალღები, ნიშანდობლივი ქვები, ქვიშის დიუნები, ელგა, მზე და მთვარე), ადამიანის დამზადებული საგნები (120 დასახელება), აბსტრაქტული ფიგურები და იეროგლიფები.

**ყველაზე ხშირად გამოყენებული სიუჟეტები:**

**მიცუბოსი** - სამი ვარსკვლავი, საბრძოლო სულის სამბოლო (ორიონის თანავარსკვლავედი).

**სიტიო** - შვიდი ვარსკვლავი, დაკავშირებულია ბოდხისატვა მიოკენთან.

**კუიო** - ცხრა ვარსკვლავი, აღნიშნავს წარმატებას, ასევე ბუდიზმიდან - ცხრა ბუდა, მიწიერ საქმეთა მფარველი.

**ცუკი** - მთვარე, სავსე მთვარე, ნახევარ მთვარე, მიღეული მთვარე და ნისლმობურული მთვარე, როგორც რელიგიური სიმბოლოები.

**ცუკიბოსი** - მთვარე და ვარსკვლავები, ბოდხისატვა მიოკენის სახე, ღმერთების თაყვანისცემა.

**იამა** - მთა, თაყვანისცემის ობიექტები.

**ნამი** - ტალღები, გამარჯვებისა და საბრძოლო სულის სიმბოლო.

**იუკი** - თოვლის ფიფქი, უნაკლო სილამაზე, კარგი მოსავალი.

**კუმო** - ლრუბელი, კეთილის მაუწყებელი ნიშანი.

**ომოდაკა** - ჭაობის ბრტყელფოთოლა, საბრძოლო სულის სიმბოლო, გამოიყენებოდა ჯერ კიდევ ჰეიანის ეპოქაში, მისი ფოთლებით რთავდნენ აბჯარს. მე-16 საუკუნიდან მორი მონოტარის საგვარეულო მონი გახდა.

**ჰიიასი** - მზის სხივები. იმპერატორის მონი, როგორც მზის - ამატერასუს ნიშანი.

**კიკუ** - ქრიზანთემა, დღეგრძელების სიმბოლო. 16-ფურცლიანი ქრიზანთემა მე-12 საუკუნიდან საიმპერატორო სახლის მონია, სახლის სხვა წევრები ატარებდნენ 14-ფურცლიანი ქრიზანთემას გამოსახულებას.

**კირი** - პავლონია, წარმატების სიმბოლო. კამაკურას პერიოდიდან მეორე საიმპერატორო ნიშანია, ასევე, იმპერატორის გადაწყვეტილებით, ასიკაგას გვარის მონიცა.

**აო** - ჩინური ბალბა, ღმერთების პატივისცემის ნიშანი.

**ფუძი** - გლიცინია, მე-10 საუკუნიდან ფუძივარას გვარის 7 შტოს 97 განშტოების მონი სხვადასხვა მოდიფიკაციით.

**რინდო, სასარინდო** - ასისთავა, ფართოდ გამოიყენებოდა მინამოტოს კლანის განშტოებებში.

**კიკიო** - ზარა ყვავილი, დილის ვარდი.

**უმე** - იაპონური ქლიავი, სიმტკიცის სიმბოლო, ზამთრის გამძლეობა.

**კატაბამი** - ხის მჟაუნა, მოსავლიანობის სიმბოლო.

**ტატიბანა** - მანდარინი.

**მაცუ** - ფიჭვი, შინგოიზმში გაღმერთებულია.

**კასივა** - დაკბილულფოთლოვანი მუხა, ღმერთების შესანირავი შინგოიზმში.

**სასა** - ბამბუკი, სისუფთავის, კეთილშობილების სიმბოლო, ერთ-ერთი უძველესი იაპონურ ჰერალდიკაში. მე-13 საუკუნიდან კასიუძის კლანის გერბი, მოგვიანებით სუგიას კლანის მონი, რომელმაც იგი დატეს კლანს გადასცა.

**სუგი** - კრიპტომერია, შინგოიზმში გაღმერთებულია.

**ბოტანი** - პიონი, ჯანმრთელობის სიმბოლო.

**მიოგა** - იაპონური იმბირი, წარმატების სიმბოლო.

**ტომოე** - „მძიმე“, უძველესი ორნამენტი, მოდის ინი-იანიდან. იაპონიაში აღნიშნავს წყალს - ცეცხლისგან დაცვას, ასევე კამაკურას პერიოდიდან ხდება ომის ღმერთის ჰატიმანის სიმბოლო.

**მოკუმ** - ნესვი.

**ჰანაბისი** - დეკორატიული ეშოლცია.

**კიკკო** - კუს ბაკანი.

**კარა-ჰანა** - მითიური ყვავილი.

**საკურა** - ალუბალი, მე-10 საუკუნიდან იაპონიის სიმბოლო.

**ცუტა** - სურო.

**კარი** - გარეული ბატი, მოქნილობის სიმბოლო.

**ცურუ** - გარეული წერო, დიდხანს სიცოცხლის სიმბოლო.

**ჰატო** - მტრედი, გამარჯვების სიმბოლო.

**ტაკა-ნო-ჰა** - მიმინოს ბუბული, ნადირობის ოსტატობის სიმბოლო.

## მონი როგორც საგვარეულო გერბი

**მონი** - საგვარეულო სახლის, საგვარეულოს გერბია. როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად მონის ტარების უფლება მხოლოდ კეთილშობილ გვარებს ჰქონდათ. მონი გამოისახებოდა მხოლოდ დროშებსა და შტანდარტებზე.



მოგვიანებით იწყება მათი გამოსახვა აბჯარსა და სამოსზე. სამოსს გერბებით ეწოდებოდა მონცუკი.



ასევე შედარებით გვიანი მოვლენაა მონის დატანა სხვადასხვა ნივთებზე, როგორც მონის მფლობელის საკუთრების ხაზგასმა: თეფშებზე, ბოკლებზე, კარვებზე, სახურავის კრამიტებზე, ღამის სანათურებზე, იარაღზე, ცხენის მოსართავებზე და ა.შ.



გვარის, ფეოდალური სახლის დაბალი რანგის ვასალისთვის (მათ არ გააჩნდათ საკუთარი მონის ტარების უფლება) სავალდებულო იყო სუზერენის მონის გამოსახვა.

XIV - XVI საუკუნეებში მსხვილი კლანები ნელ-ნელა იყოფოდა მრავალ წვრილ შტოდ, რიგი კლანებისა ერთდებოდა და, შესაბამისად, გერბებიც იცვლებოდა, შერწყმის შემთხვევაში ხდებოდა რთული გერბების ჩამოყალიბება. იყო შემთხვევები, როცა დიდი გვარის გერბი მოიცავდა ათამდე სხვადასხვა მონის.

საგვარეულო სიმბოლიკის გამოყენების პირველი მკაფიო ნიმუშები ჩნდება პეიანის ეპოქიდან (794-1185).

წერილობითი წყაროები საგვარეულო გერბების, მონების ილუსტრაციებით (ცნობილია მურომატის შიოგუნატის დროიდან (1333-1568). მე-16 საუკუნის დასაწყისისთვის უკვე აღწერილია 250-მდე მონის მფლობელი საგვარეულო.

ტოკუგავას შიოგუნატის პერიოდში (1603-1868) მოხდა არსებული მონების/გერბების ფიქსირება, დაიწყო მთელი იაპონიის პერალდიკური გამოსახულებების პერიოდული გამოცემა (ბუკანი)

განახლებების შეტანით. ამ პერიოდიდან სულ უფრო ხშირად გამოიყენება წრე შიგ ჩახატული გერბით. ედოს პერიოდიდან კი გერბების შავ-თეთრი კატალოგის გამოცემა რეგულარული ხდება. დღეისათვის ძირითადი ისტორიული 250 მონის გარდა აღირიცხება დაახლოებით 4-5 ათასი საგერბე გამოსახულება - მონი.




### ზოგიერთი გავრცელებული მონის ისტორია და მნიშვნელობა

**ქრიზანთემა** - იაპ. „კიკუ“. მისიალმნიშვნელიიეროგლიფითვე წერენ მზესაც, მას განსაკუთრებული ადგილი უკავია. გამოიყენება როგორც საიმპერატორო ნიშანი, ჯერ კიდევ იმპერატორ გოტობას მმართველობის დროიდან (1183-1198) - კამაკურას ხანა.


1871 წელს, მეიძის ხანაში გამოიცა ბრძანება, რომ 16-ფურცლიანი ქრიზანთემის გამოსახულების ტარების უფლება აქვს მხოლოდ იმპერატორის შტოს - 菊花紋章 (კიკუკამონსიო/კიკუამონსიო) - „გერბი, ქრიზანთემის ყვავილის სახით“ - გამოიყენებოდა როგორც სახელმწიფო გერბი. დღეს კი გამოიყენება დიპლომატიურ კორპუსში და პასპორტებზე.

ლეგენდის თანახმად, მზის ყვავილისგან წარმოიშვა იაპონელი ხალხი. იგი განასახიერებს ბედნიერებასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს და ითვლება, რომ ცვარი ქრიზანთემის ყვავილიდან

სიცოცხლეს ახანგრძლივებს.



**იაპონური ზამბახი - იაპ. კაკიცუბატა (Iridaceae).** ერთ-ერთი უძველესი მონია. ატარებს რამდენიმე საგვარეულო სხვადასხვა სახით. იზრდება ტენიან, დაჭაობებულ ადგილებში და მდინარეების პირას. გვხვდება მუქი ლურჯიდან, მოწითალო იისფერი ტონალობის ყვავილებით.



**სამი ვარსკვლავი - ვატანაბე (Watanabe, 渡辺).** ამ მონის ძირები ჩინეთიდან მოდის. ის მორის (毛利氏) კლანის სიმბოლოა.



მონის წარმოშობას იაპონური თქმულება უკავშირებს ლეგენდარული მებორნეების -ვატარიძეს (სიტყვიდან „ვატარე“) ისტორიას და თითქოს აღნიშნავენ ბორანზე დადებულ სამ ბრინჯის ფუთას. დღეს ამ გერბს ასევე ატარებს გვარი ვატანაბე. მათი გერბი ცნობილია, როგორც „ვატანაბეს ვარსკვლავი“. ვატანაბეს

გვარის წარმომადგენელია ლეგენდარული ოთხი სამურაიდან ერთ-ერთი - ვატანაბე-ნო ცუნა (Watanabe no Tsuna, 渡辺纲, 953-1025), ასევე ლეგენდარული მინამოტო რაიკოს (944-1021) თანამებრძოლი.

**ბამბუკი -** ეს მონი ბევრი სხვადასხვა სახითაა ცნობილი (იაპონიაში 150 სახეობის ბამბუკია). განასახიერებს სულიერ სიმტკიცეს, ბედნიერებას, სულიერ სისუფთავეს, მშვიდობასა და მრავალურამიერობას.


ახალი წლის დადგომისას ფიჭვისა და ბამბუკის ტოტების წნულებით რთავენ სახლის შესასვლელს.



**ჩინური ვარდი - (Hibiscus)** გამოიყენება რამდენიმე გვარის გერბში. აღნიშნავს ნატიფ სილამაზეს, სულიერ სიმტკიცეს, სიუხვესა და სიცოცხლის სიყვარულს.




**ხურმა - კაკი (kaki, 柿) -** ითვლება ლმერთების საკვებად, ეძახიან აგრეთვე „მზის ნაყოფს“. აღნიშნავს გამარჯვებას.



**ტორი** - ესაა სიმბოლური ჭიშკარი-ქანდარა. აღმართება შინტოისტური ტაძრებისა და სალოცავების წინ. მისი განიგი ძელები აღნიშნავს ქანდარას, მამლის დასაჯდომს - იაპონიის სიმბოლოს. ლეგენდის მიხედვით, ღმერთმა იამატომ მტრებზე გამარჯვების აღსანიშნავად ტაძარში მამლის ნიშანი დაკიდა.

ესაა იაპონიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სიმბოლო და მრავალი გვარის მონშია ასახული როგორც ცალკე, ისე სხვა სიმბოლოებთან ერთად. ხშირად სასულიერო პირების გერბებშიც გვხვდება.



**სამი წვეთი** - ტომოე (巴), მოიხსენიებენ რამდენიმე სხვადასხვა სახელით - მძიმე, წრეები წყალზე, ლოკოკინას ნიჟარა, ასევე ერთ-ერთი

ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა.

ტომოე იაპონიაში შემოსულია ჩინეთიდან. იგივეა, რაც ჩინური - ინ-იანი, კორეული - სემ ტაეგეუკი, ტიბეტური - განკუილი.

იაპონურ ჰერალდიკაში აღნიშნავს წყალს (მორევს) და ცეცხლისგან დაცვას. როგორც გერბი, გამოიყენება ჰერიანის ერიდან. განსაკუთრებით გავრცელდა კამაკურას ერაში. მოგვიანებით ხდება ომის ღმერთის - ჰატიმანის სიმბოლო. პოპულარული იყო სამურაებში.



ბუდისტურ-შინტოისტური წარმოდგენებით ნიშნავს გარდაქმნას, კოსმოსურ ძალთა ცირკულაციას.


რიუკიუს სამეფოს გერბი გამოისახებოდა დროშაზეც, კუნძულ ოკინავაზე დღესაც ხშირად შეხვდებით მის გამოსახულებას.



რიუკიუს სამეფოს გერბი

**საკე** - იაპონური სასმელი. საკეს ბოთლმა დიდი ხანია ასახვა პპოვა საგვარეულო გერბებში.

საკეს ბოთლი აღიქმება, როგორც ღმერთების ძღვენი. ითვლება, რომ ამ მონის ჰატონის დადებითი აურა აქვს.



**პავლონია** - იაპ. კირი (Paulonia imperialis). ფართოდ გამოიყენება იაპონურ პერალდიკაში. კამაკურას პერიოდის ბოლოდან საიმპერატორო სახლის მონია, რანგით მე-2, ქრიზანთემის შემდეგ.

იმპერატორ გოდაიგოს მმართველობისას მისი ტარების უფლება მიენიჭა ასიკაგას კლანს.

გადმოცემით, კირის ხის ტოტებში იჯდა მითოლოგიური ფრინველი ჰოო (ჩინ. პინ) და მბრძანებელს უმღეროდა.



პავლონია მინამოტოს (源) გვარის საგვარეულო გერბსაც წარმოადგენს, რადგან მათი კლანი საიმპერატორო გვარის გვერდითი შტოდანაა წამოსული.




იაპონიის მინისტრთა კაბინეტი და პრემიერ მინისტრი ოფიციალურად ხმარობს პავლონიის გამოსახულებას, მათ შორის ბეჭედზეც. პავლონია ასევე დაიტანებოდა საიმპერატორო გვარიის იარაღზე და მისი გამოსახულებით დაწესებულია უმაღლესი რანგის ჯილდოები.



**ნემსიყლაპია** - კაცუმუში (katsumushi), გამოხატავდა ვაჟკაცობას, სიმამაცეს და ძალას. ხშირად გამოსახავდნენ აბჯარზე, როგორც ბრძოლაში წარმატების საწინდარს. ასევე გამოსახავდნენ ისრებსა და ჩაფხუტებზე.



**მთვარე** - იაპ. ცუკი (მთვარის ღმერთი - cukuiomi, Tsukuyomi-no-Mikoto - 月読), იაპონურ ჰერალდიკაში ფართოდ გავრცელებული სიმბოლოა. იაპონელებისთვის იმდენად მნიშვნელოვანია მთვარის კულტი, რომ მის ცალკეულ ფაზებსაც კი სხვადასხვა სახელი ჰქვია.




**გლიცინია** - იაპ. ფუძი - 藤 (Wistéria), გავრცელების მიხედვით სიმბოლოთა ათეულში შედის. განასახიერებს სილამაზესა და ელეგანტურობას. ამ სიმბოლოს ჰერალდიკური პოპულარულობა პირდაპირაა დაკავშირებული ფუძივარას (藤原氏), იაპონიის რეგენტების უმსხვილესი ფეოდალური გვარის ისტორიასთან.



**სვასტიკა** - უძველესი სიმბოლო, დაკავშირებულია მზესთან და უძრავი ცენტრის მიმართ ბრუნვასაც აღნიშნავს. სავარაუდოდ,


იაპონიაში ჩინეთიდან მოხვდა. ჩანერა ხდება შემდეგი იეროგლიფით - 丸 და ენოდება მანჯი (Manji). ბუდისტურ ტაძრებში იგი, როგორც წესი, დეკორის მთავარი ელემენტია. არის ქალაქ ჰიროსაკის ემბლემა და უამრავი მოდიფიკაცია აქვს.

როგორც გერბი, გამოიყენება შემდეგი გვარების ჰერალდიკაში - ცუგურა, ჰატისუკა, ჰასეკურა და სხვა.



**ნიუარა** - ჰორაგაი, იაპონური ჰერალდიკის ჩვეული სიმბოლო. გამოიყენება სხვადასხვა მოლუსკების გამოსახულება, მაგ.: ავაბი, კაი და ა.შ.

მონი მოლუსკის გამოსახულებით გვხვდება როგორც წრეში ჩასმული, ასევე წრის გარეშეც. ითვლება, რომ აღნიშნავენ ჰარმონიასა და ერთგულებას.




### პოლოთქმა

აღნიშნული სტატია წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი და მეტად საინტერესო იაპონური ჰერალდიკის მოკლე მიმოხილვას. აღსანიშნავია, რომ იგი რადიკალურად განსხვავდება, ჩვენთვის კარგად ცნობილი, ევროპული ჰერალდიკური სამყაროსაგან თავისი არაორდინალური ხედვითა და სრულიად განსხვავებული ესთეტიკური კატეგორიებით.

ესაა მოკრძალებული მცდელობა, ქართველ მკითხველს ზოგადად მაინც გავაცნოთ აღნიშნული მდიდარი მასალა.

შემდეგ ნომერში შევეცდებით მოგაწოდოთ ინფორმაცია იაპონური ისტორიული, სამხედრო საველე ინსიგნიებისა და განმასხვავებელი ნიშნების შესახებ.

მირიან კიკნაძე  
Mirian Kiknadze





## ჩერევზთა ეროვნული ღრმაშის ისტორია

ჰერალდიკის განვითარებას კავკასიაში საფუძველი უძველეს ხანაში ჩაიყარა, თუმცა დახვეწილი სახე მხოლოდ ბოლო 3 საუკუნის განმავლობაში მიიღო. ამ სტატიაში შევეხებით კონკრეტულად ჩერქეზ ხალხს და მათ ეროვნულ სიმბოლიკას, რომელიც ადილეს რესპუბლიკის დროშაზეა გამოსახული.

მოგეხსენებათ, ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის. ამ ტერიტორიაზე რამდენიმე გამორჩეული და ადგილობრივი ერი ცხოვრობს. მათ რიცხვს ჩერქეზებიც განეკუთვნებიან. მათი თვითსახელწოდებაა - ადილე და ისინი ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ადილეს რესპუბლიკაში სახლობენ. ისინი ისტორიულად ქართველების მეზობელი ხალხი იყო და, მეცნიერების ვარაუდით, ყობანური კულტურა გარკვეულ მსგავსებებს ავლენს კოლხურ კულტურასთან. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყობანელები ან უკვე ადილეური, ადგილობრივი მოსახლეობის წინაპრები იყვნენ და საკმაოდ ახლო კონტაქტები ჰქონდათ ქართველებთან (კოლხებთან). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საუკუნეთა განმავლობაში ადილელებს ჰქონდათ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, მაგრამ მუდმივად განიცდიდნენ დამპყრობლების ზეწოლას და ამიტომ ძლიერი და ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ვერ მოახერხეს. მრავლად სახლდებოდნენ საქართველოშიც. შუა საუკუნეებში ჰქონდათ სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობები, ძირითადად დას. საქართველოსთან. მე-16 საუკუნეში მთლიანად კავკასია ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში მოექცა, ერთმანეთს ოსმალეთის და ირანის იმპერიები ეცილებოდნენ ამ მიწას, რაც ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში ოსმალეთის გაბატონებით დასრულდა და მე-18 საუკუნემდე აქტიურად ავრცელებდნენ ისლამს თუ თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს. მე-18 საუკუნიდან უკვე რუსეთი აქტიურდება ჩრდ. კავკასიაში და განდევნის ოსმა-

ლებს. ბუნებრივია, ამ ბრძოლების და ცვლილებების მთელ დარტყმას ჩრდ. კავკასიელი ხალხი იღებდა. 1860-1864 წლები რუსული საარქივო მასალებიდან ცნობილია, როგორც კავკასიური ომების დამაგვირგვინებელი ფაზა, როდესაც ჩერქეზულ ეთნოსს დიდი დარტყმა მიაყენეს და ძირდველი საცხოვრისიდან გადაასახლეს, ნაწილი კი დახოცეს. ეს ფაქტი გენოციდად მოიხსენიება თავად ჩერქეზების მიერ და ოფიციალურად იქნა აღიარებული საქართველოს სახელმწიფოს მიერ, როგორც ვანდალური და უმოწყალო საქციელი ჩერქეზი ერის წინააღმდეგ.

ახლა უშუალოდ ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს, ჩერქეზულ დროშას, მასზე დატანილ სიმბოლიკას და მის წარმოშობას შევეხებით. ეს დროშა ჩერქეზი ერის ერთიანობის სიმბოლოდაა შექმნილი და დამოუკიდებელი ჩერქეზეთის იდეის მატარებელია. ის მწვანე ფერისაა, მასზე გამოსახულია თორმეტი ოქროსფერი ვარსკვლავი, რომლებიც ჩერქეზების სხვადასხვა ტომებს აღნიშნავენ და სამი ისარი - ეს სამი უძველესი ჩერქეზული თავადური შტოა. ის, რომ სამი ისარი გადაჯვარედინებულია, მათ ერთიანობაზე მიუთითებს, ხოლო დროშის მწვანე ფერი ისლამის რელიგიის აღნიშვნელია. მუსლიმური რელიგიის მიხედვით, სამი ისარი მჭედლობის ღმერთთან, ტლეპშთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს დროშა და მასზე დატანილი სიმბოლიკა ყველა ადილეს გამაერთიანებელია.

ისტორიკოსი რ. ტრახო თავის წიგნში „ჩერქეზები“, რომელიც 1956-ის მიუნხენში გამოცემული, აღნიშნავს, რომ 1934 წელს, როდესაც ჩერქეზები „თავისუფალ დიდებულ კრებას“ ემორჩილებოდნენ, მათი ქვეყანა 12 ნაწილად იქნა დაყოფილი. ამავდროულად, მათ ისმაილ ზეუშის თაოსნობით ელჩობა გაგზავნეს თურქეთში, საფრანგეთსა და ინგლისში და საყოველთაო მობილიზაცია გამოაწხადეს. მათი ერთიანობის სიმბოლოდ ჩერქეზთა

### დროშაა დასახელებული.

ამ დროშას მოიხსენიებს ასევე ინგლისელი მოგზაური ედმუნდ სპენსერი თავის მოგონებებში, რომელსაც „ჩერქეზთში მოგზაურობა“ ეწოდება. იგი მხატვრულად აღნერს, თუ როგორ შეეგება ათასობით ჩერქეზი მხედარი მათი წინამძლოლის - ხერსის სულტუნ-ოლდუს თაოსნობით, რომელმაც ჩერქეზთა გამართიანებელი დროშა გაშალა, რამაც საოცარი შეძახილები და აღმაფრენა გამოიწვია იქ შეკრებილ ლაშქარში.

მსგავსი მოგონებები განპირობებულია იმით, რომ სწორედ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება რუსეთის გაბატონების ხანა ჩერქეზთა მონებზე. მას შემდეგ, რაც რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ ადრეანობოლისის ზავით თურქეთმა სცნო რუსეთის ძალაუფლების გავრცელება ამ ტერიტორიებზე, ჩერქეზთში კი ამან დიდი უკამაყოფილება გამოიწვია, ისინი გრძნობდნენ მოსალოდნელ საფრთხეს, რაც მათ ქრისტიანული რუსეთის იმპერიისგან ელოდათ.


ზავის შემდეგ ჩერქეზთა უფლისწულმა გამოითხოვა მისი ასლი, შეისწავლა და შემდგომ უხუ-




დევიდ ურდჰართი

ცესთა საბჭოს გააცნო. ადილის ხეობაში გამართულ კრებაზე მრავალი მოსაზრება გამოითქვა იმის თაობაზე, რომ ზავის ზოგიერთი პირობა არ იყო სანდო. უხუცესთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაეგზავნათ თურქეთში წარმომადგენლობა უფლისწულზანის მეთაურობით, რათა დაეზუსტებინათ სამო-

მავლო ქმედებები და ჩერქეზთა მოსალოდნელი ბედი ზავის პირობების მიხედვით. უფლისწული ხვდებოდა, რომ ეს ქმედება უშედეგო იქნებოდა, თუმცა მაინც გადაწყვეტილი პქონდა, ეს ვიზიტი თურქეთში, სულთან-მაჰმუდთან შესახვედრად გამოყენებინა და მისთვის ჩერქეზთში პაზიცია და განწყობა აეხსნა. ამავდროულად, ამვიზიტის შესახებ რუსულმა მხარემაც შეიტყო და შეუთვალა თურქულ მხარეს, რომ დელეგაცია დროებით დაეპატიმრებინათ, რათა რუსეთს ჩერქეზთში წესრიგი დაემყარებინა ზავის თანახმად. მოვლენები კი შემდეგნაირად განვითარდა: უფლისწული საფერბი მარტო აღმოჩნდა გაგზავნილი სტამბულს, მაშინ, როდესაც მისი ორი თანმხლები პირი სამშობლოში დაბრუნდა ადრიანოპოლის ზავის თურქული ასლით; ისინი კარგად გაეცნენ ამჯერად თურქული ზავის პირობებს და ომისთვის დაინყეს მზადება. უფლისწული საფერბი ზანი მარტო ცდილობდა თავისი ერის ინტერესები დაეცვა უცხომინაზე. იგი შეხვდა დევიდ ურქპართს, ბრიტანული წარმომადგენლობის მდივანს სტამბულში, რომელიც მას დიდი ხანია იცნობდა, ჩერქეზულადაც თავისუფლად საუბრობდა. ზანმა ჰკითხა დევიდს ბრიტანული მხარის შუამდგომლობის შესახებ ამ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც პასუხად მიიღო, რომ ბრიტანული და ფრანგული მხარები ერთობ აღმფოთებული იყვნენ ჩერქეზთში მიმდინარე მოვლენებით და ძალიან ანუხებდათ ჩერქეზთა საკითხი, რომლის გამწვავებაც რუსეთის ამბიციებმა და თურქეთზე თავდასხმამ გამოიწვია. მან უთხრა, რომ ბრიტანული მხარისათვის ცნობილი იყო რუსეთის ნამდვილი მიზანი - ბოსფორის სრუტის დაუფლება და ბრიტანეთი ყველანაირად შეეცდებოდა, ხელი შეემალა რუსეთისათვის. ურქპართი ტყვია-წამალს, შეიარაღებას და აღჭურვილობას დაბრიდა საფერბი ზანს. უფლისწულმა ჰკითხა, თუ რით უნდა გადაეხადა ჩერქეზ ხალხს ამის საფასური, რაზეც პასუხად მიიღო, რომ ეს ხორბლის, თაფლის, სიმინდის, საქონლის და სხვა პროდუქტის სახით შეიძლებოდა მომხდარიყო, ასევე, ბრიტანელი მეცნიერები მოახდენდნენ ბუნებრივი რესურსების შესწავლას და შეთვისებას ჩერქეზთა მინებზე. ზანმა უთხრა, რომ ჩერქეზთი აუცილებლად აანაზღაურებენ ამ სახით განეული დახმარების საფასურს, ოლონდ ბრიტანეთს პოლიტიკური დახმარება და მხარდაჭერა უნდა გამოეხატა ჩერქეზთა მიმართ. ურქპართი ამას შეპირდა და ურჩია, რომ ერთიანობა ეძება ჩერქეზ ხალხში. ასევე მიუჩინა მრჩეველი მსგავს საკითხებში: დავიდ ლონგვორსი და ჯეიმს ბელი, იმ პირობით, რომ ჩერქეზთში ჩასვლისას უფლისწულ ზანს ისინი საცხოვრებლით უნდა უზრუნველეყო, თუმცა ამგვარი ზეპირი შეთანხმების ნდობა რამდენად შეიძლებოდა? თანაც უფლისწული ზანი მხოლოდ ნანილი ჩერქეზთში სახელით საუბრობდა, მაფსულები და ნათუხაელები მისი ძალაუფლების ქვეშ არ იყვნენ. შაფსულებთან გამართული ყრილობის დროს მრავალი ეჭვი გამოიკვეთა



ჩერქეზითის რუპა რუსეთის იმპერიასთან ომის პერიოდი - 1840 წელი




ვერცხლული ტილო. ჩერქეზი მეომრები  
დროშით კავკასიონის მთებში

ბრიტანული მხარის დაპირებებთან დაკავშირებით. გაჩნდა ის აზრიც, რომ ჩერქეზთა მიწა-წყალი ბრიტანელებს თავიანთ კოლონიად სურდათ გადაექციათ. უფლისნული საფერბის მამამ მშვიდობა გაყიდა, ხოლო საფერბი - მთლიანი ჩერქეზთა დამპაჩის ტყვია-წამლის და იარაღის საფასურადო. ეს ყველა-ფერი კი სისხლისღვრის მეტს არაფერს მოიტანდა და ისევ ჩერქეზთა სისხლი უნდა დაღვრილიყო. აი, ასეთი აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა უფლისნულის გარიგებას ბრიტანელებთან.

ამასობაში ზანმა სტამბულში რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის ნინააღმდეგ დიდი დემონსტრაცია გაამართვინა ერთ-ერთ იმამს, სადაც იგი მსვლელობისას წაიქცა და დაშავდა. იგი საავადმყოფში გადაიყვანეს. მას ხმირად სტუმრობდა მოჰამედ სელხური, ადგილობრივი წარჩინებული, რომელსაც ზანმა საიდუმლო გაუმინდა. უფლისნულს საავადმყოფში ყოფნისას დაეხატა ფურცელზე თორმეტი ვარსკვლავი და სამი გადაჯვარედინებული ისარი. მან უთხრა მოჰამედს, რომ ეს ვარსკვლავები ოქროს-ფერი უნდა ყოფილიყო და ჩერქეზულ ტომებს გამოსახავდა, ხოლო ისრები იმის მანიშნებელი იყო, რომ ჩერქეზები ერთად დაიცავდნენ თავს მტრის თავდასხმის შემთხვევაში. მან განუცხადა მეგობარს, რომ ამ სიმბოლოებით შეიქმნებოდა ერთიანი ჩერქეზეთის დროშა და გაიგზავნებოდა სამშობლოში.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამ თორმეტ ვარსკვლავთაგან არცერთი არ იყო გამორჩეული, რაც თანაბარ უფლებებს ანიჭებდა შაფსულებს და ნათუხალებს სხვა ტომებთან მიმართებაში. საფერბის თქმით, მხოლოდ ასეთი ერთიანობით თუ მიაღწივდნენ ჩერქეზები გამარჯვებას. დროშის დამზადების შემდგომ უფლისნულმა იგი წარუდგინა ნურ მოჰამედ ჰაგურს და უთხრა, რომ უფლისნულმა ზანმა პირადად სთხოვა გადაეცა ეს დროშა მისთვის, რაც შემდგომში მათი გამაერთიანებელი სიმბოლო უნდა გამხდარიყო. ნურ მოჰამედ ჰაგურმა ის მთელ იქ შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა და პირველად ააფრიალა მწვანე ნაჭერზე მოქარგული თორმეტი ოქროსფერი ვარსკვლავი და სამი გადაჯვარედინებული ისარი ჩერქეზთა მიწაზე. უფლისნულის საჩუქარი და ერთიანობის სიმბოლო ჩერქეზმა ხალხმა სიხარულით მიიღო და მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ისტორიაში.

გიორგი გურჯაძე  
Giorgi Gurjidze



## როგორ ხვდებოდნენ აღიღეში შავენალების დროშას 1926 წელს

13 იანვარს ჩრდილოეთ კავკასიის სამ რესპუბლიკაში - ადიღეში, ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში და კიდევ იმ 52 ქვეყანაში, სადაც ჩერქეზული დიასპორა ცხოვრობს, ალინიშვილი ჩერქეზული დროშის დღე.

ჩერქეზული დროშა ერთადერთია ეროვნულ დროშათაგან ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც სახელმწიფო დროშა გახდა.

ადიღეს ავტონომიური ოლქის კრასნოდარის მხარის შემადგენლობიდან გამოსვლისა და ადიღეს რესპუბლიკის ფედერაციის დამოუკიდებელ სუბიექტად გამოცხადების შემდეგ, 1992 წლის მარტში, ეს დროშა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სახელმწიფო დროშად დამტკიცდა.

ცოტამ თუ იცის, რომ 1926 წელს ადიღე ზეიმით ხვდებოდა დროშას — ეს იყო შაფსულების დროშა (ჩერქეზების სუბ-ეთნიკური ჯგუფი), რომელიც ნაალაფარი იყო 1864 წელს აბის ციხესიმაგრისათვის გამართული ბრძოლის შემდეგ და ინახებოდა თბილისის მუზეუმში.

ა. უანეს აღნერით დროშა წარმოადგენდა ყავისფერ ნაჭერს ორი მელავით და ნახატებით, სადაც ყავისფერი აღნიშნავდა მთის ფერს, წითელი მაუდის ზოლი, რომელიც გადაკვეთს დროშის ტანს, მზის სიმბოლოა, დროშის მწვანე მკლავები კი — მშობლიური ტყეები, მინდვრებისა და შაფსულების

ტანსაცმლის ფერია.

დროშის მელავები წვერთან წვრილი ნახატებით ბოლოვდება. უანეს აზრით, თითოეული მათგანი ტომების გამარჯვებებისა და დამარცხებების შესახებ ინფორმაციის მატარებელია.

1922 წლის ივლისში, ადიღეს ავტონომიური ოლქის წარმოშობის შემდეგ, მოხუცმა შაფსულებმა თხოვნით მიმართეს ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, შიხანჩერ ხაქურატეს, რათა მოეძებნათ და დაეპრუნებინათ მათთვის წინაპართა დროშა.

1926 წელს დროშა თბილისის მუზეუმიდან საზეიმოდ დაბრუნდა ადიღეში.

ამ მიზნით სამდლიანი გრანდიოზული ზეიმი გაიმართა ადიღეს რაიონულ ცენტრებში და ადიღეს აულებში: აფიფისიფში, პანეხესში, ხაშთუყში და ფსეითუყში.

ადიღეს ეროვნული არქივის დოკუმენტებით ირკვევა, რომ ეროვნული დროშის დღედ 13 იანვარი დადგინდა ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოს წევრებისა და ადიღე-ჩერქეზეთისავტონომიური ოლქის ტახტამუკაისკის რაიონის შაფსულური აულების საზოგადოების 1926 წლის გაერთიანებულ სხდომაზე. იმავე სხდომაზე დაადგინეს იმ პირთა სია, რომელთაც უნდა ჩამოეტანათ დროშა თბილისიდან, ესენი იყვნენ:

ვინმე ახევაყი, ხაგურ ისხაკი და ბჟასო დავლეთი.

ასევე გადაწყვიტეს, რომ დროშის შესახვედრად კრასნოდარში გაეგზავნათ ყველა მსურველი მხედარი შაფსული საზოგადოებიდან, რომლებიც გამოაცილებდნენ დროშას სოფლის საბჭომდე.

საინტერესოა დროშის ჩამოტანის ერთ-ერთი მონაწილის, ბჟასო დავლეთის მოგონებები:

“თბილისში ძალიან თბილად დაგვხვდნენ, ძალიან ბევრი საინტერესო შეხვედრა იყო კეთილშობილ ხალხთან, მეცნიერებთან. შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფებს გზაში სამი დღე და ღამე არ გვეძინა.

კრასნოდარში სალამოს ჩავედით და აქაც არანაკლები საზეიმო შეხვედრა გველოდა. ჩვენს შესახვედრად ჩამოვიდნენ ადილეს თითქმის ყველა საბჭოს წარმომადგენლები. ყველას უნდოდა დროშის ნახვა, მაგრამ შიხანჩერ უმაროვიჩმა ყველა დაამშვიდა. ჩვენ გავშალეთ დროშა და 200-ზე მეტი მხედრის თანხლებით ჩავიტანეთ შაფსულების რელიგია ოლქის აღმასრულებელ კომიტეტში და ჩავაბარეთ შესანახად.

სალამოს, როდესაც დაღლილები, მაგრამ ბედნიერები შევიკრიბეთ შიხანჩერ უმაროვიჩთან, იგი მოგვიყვა, თუ რა სამუშაოები ჩაატარეს, რათა ლირსეულად წარედგინათ ხალხისთვის დროშა.

გაშლილ მინდორზე, აულის შესასვლელთან ურიცხვი ხალხი შეიკრიბა. ყველა სულმოუთემელად ელოდა ჩვენს დაბრუნებას. გამოიყვანეს ცხენები, გაშალეს დროშა და გასწიეს მინდვრისკენ, სადაც ათასობით ადამიანი გველოდებოდ. ასი ნაბიჯიც არ გვქონდა გავლილი, რომ თუხთუხმა ხელი გადაიჭრა და თავისი სისხლი დროშას მიაპკურა - ეს იყო ტრადიცია.

როდესაც მინდორს მიეუახლოვდით, სისხლი წვეთავდა არა მარტო იდაყვიდან, არამედ დროშის ტარიდან...

როდესაც ზეიმი დასრულდა, დროშა თუხთუხის სახლში დარჩა კიდევ რამდენიმე დღე. შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, გადაეცათ ის ადილეს მუზეუმისთვის, რომელსაც მაშინ იპრაგიმ ნაურზოვი ხელმძღვანელობდა.”

1936 წელს, როდესაც ადილეს დედაქალაქი მაიკოპში გადაიტანეს, დროშაც იქ წაიღეს. 50-იან წლებში მუზეუმის თანამშრომელმა ლ. ი. ლებედენკომ დროშა განადგურებას გადაარჩინა, თავის სახლში გადამალა და 10 წელზე მეტ ხანს ინახავდა, ბოლოს კი ოლქის მუზეუმს გადასცა.

ამჟამად დროშა ადილეს ეროვნული მუზეუმის საცავებში ინახება.

### ადილეს ნაციონალურ არქივში დაცული დოკუმენტი (ქვეყნდება პირველად)

“საბჭოს წევრებისა და ადილე-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის, ტახტამუკაისკის რაიონის, შაფსულური თემის ყველა აულის მოქალაქეთა

1926 წლის 10 იანვრის გაერთიანებული სხდომის

### ოქმი

სხდომას ესწრებოდა 206 მოქალაქე და ადილეს მუზეუმის წარმომადგენლები.

განხილული იქნა საკითხი:

ძველი შაფსულური დროშის ჩამოტანა ქალაქ კრასნოდარიდან აულ აფიშისიპში და დახვედრის სადღესასწაულო ღონისძიებების ჩატარების შესახებ. (მომხსენებლები - აჩაოს მუზეუმის წარმომადგენელი ამს. აჩმიზ მ. და სხაკუმიდ ს.)

დაადგინეს:

ყველმხრივ განვიხილეთ საკითხი და მივიღეთ მხედველობაში, რომ შაფსული მოსახლეობისთვის ძვირფასია წინაპართა სსოვნა, რომელთაც გააჩნდათ საკუთარი დროშა 1864 წელს და რომელიც სამთავრობო ჯარებმა აპის ციხესიმაგრესთან ბრძოლის დროს ჩამოართვეს და რადგან ჩვენ კვლავ მოგვეცა მისი ხილვის საშუალება,

ვადგენთ:

აღნიშნული მოვლენის პატივის მიგების მიზნით, დაწესდეს სადღესასწაულოდ 1926 წლის 13 იანვარი აულ აფიშისიპში.

ყველა ვალდებულია დახვდეს დროშას და წარმომადგენლებს.

მისასალმებელი სიტყვებით უნდა გამოვიდნენ ახევაყი, ხაგურ ისხაკი და ბჟასო დავლეთი, რომელთაც უნდა გამოთქვან სამადლობელი საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი ხლმძღვანელების მიმართ.

დროშის დასახვედრად კრასნოდარში გაიგზავნოს ყველა მსურველი მხედარი შაფსულური თემიდან, რომელთაც უნდა მოაცილონ დროშა სოფლსაბჭომდე.

დროშის ჩამოტანის ყველა ხარჯი დაეკისროს სოფლსაბჭოს ფონდს.”

ნაიმა ნეფლიაშვილი

Naima Nefliashava

გამოყენებული წყარო:

1. <http://www.kavkaz-uzel.ru/blogs/1927/posts/14528>

## ინგუშეთის პერალდიკური ატრიბუტიები



ინგუშეთის ადმინისტრაციული რუკა

წინამდებარე სტატია კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ხალხის - ინგუშების (დალღავ//დლილვი) ეროვნულ ატრიბუტიკას შეეხება. ინგუშები ვაინახური ერთობის ნაწილს შეადგენენ. მათ გარდა ამ ერთობაში იგულისხმებიან ჩეჩენები, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები წოვა-თუშები და ქისტები.

მართალია, ინგუშეთი (რესპუბლიკა დალღაზჩე) დღეს სუვერენულ სახელმწიფოს არ წარმოადგენს, მაგრამ ჰერალდიკური მეცნიერებისათვის ალბათ უინტერესო არ იქნება სახელისუფლებო რეგალიურების ფლობისა და მათი ეროვნული სიმბოლოებით მარკირების მაგალითი სწორედ მაშინ, როდესაც ხალხს პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ გააჩნია (სტატია ეხმიანება ინგუშეთის //დალღაზჩე რესპუბლიკის 20 წლის იუბილეს – 1992 წ. 4 ივნისი).

არასუვერენულ რესპუბლიკაში მოქალაქეების - „ნაციონალების“ (ეროვნულ-პატრიოტული საზოგადოება) სოციალიზაცია ხდება სწორედ ნაციონალური ატრიბუტიკის ტრადიციულ ლირებულებებთან შერწყმის გზით. როგორც ეროვნული იდენტობის მკვლევრები აღნიშნავენ, ასეთი სიმბოლოები პერმანენტულად თან სდევენ და შეახსენებენ მოქალაქეებს მათ საერთო მემკვიდრეობას, კულტურულ ნათესაობას, „აღვივებენ და ამძაფრებენ მათ გრძნობებს საერთო იდენტობისა და საერთო კუთვნილების გათავისებით“ (ე.დ. სმითი, ნაციონალური იდენტობა, თბ., 2008, გვ. 21). თავად საზოგადოება-საც (მითუმეტეს თავისუფლებისმოყვარე კავკასიის მთიელებს) ძლიერ გამძაფრებული აქვს სულიერი მოთხოვნილება, რომ ეროვნული ატრიბუტების

გამუდმებული წარმოჩენა ხდებოდეს. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ეთნიკური ინგუშების საზოგადოებრივ განწყობებზე დაკვირვება. ინტერნეტ-სოციალურ-მედიასა თუ ცალკეულ ინგუშთა პიროვნულ ქმედებაში სწორედ ეს იკვეთება: შესამჩნევად გამძაფრებული ეთნიკური სენტრიმენტები, ეროვნული სიამაყე და მუდმივი ხაზგასმა ექსკლუზიურად „ჩეევ“-ზე, ყველაფერი ეს ინვევს საესებით ლოგიურ ინტერესს, ჩავულრმავდეთ საკითხს.

კვლევისათვის განსაკუთრებით კარგ მასალას იძლევა სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ ფორუმებზე დაკვირვება (<http://ingushetiyaru.org/>; <https://www.facebook.com/groups/308103762570106/>; <https://www.facebook.com/groups/galgaichege/>; <http://www.euingush.com/index.php?do=forum&action=main>; <http://angusht.com/index.php...>). თუ შევუფარდებთ აქ მიღებულ შთაბეჭდილებას ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების „პატრიოტულ აურას“ (<http://www.ingushetia.ru/>; <http://www.pravitelstvori.ru/>; <http://www.parlamenttri.ru/>; <http://ingush.tv/> <http://www.postpredstvo.ru/>; <http://06region.ru/>...), დავინახავთ დიდ განსხვავებას: დღეს რუსეთის ფედერაციაში შემავალ ინგუშეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური გარანტიებით არავინ არ ინახავს (მეურვეობს) ერის კულტურულ მონაპოვარს. ამიტომაც, ნაციონალურ სიმბოლოებზე აქცენტები თავად საზოგადოების მხრიდან დაისმის. მიზანია – მკაფიოდ გაესვას ხაზი კულტურულ ინდივიდუალობას, თვითმყოფად მემკვიდრეობას. ეს თითქოს გარანტია, რომ არ დაიკარგოს და არ განიბნეს ინგუშური გენი.

ნაციონალური ვინაობის უმთავრესი ვიზუალუ-

რი ნიშანი ეროვნული დროშა და გერბია. ვიტყოდი, ეს არის კიდეც უპირველესი ემბლემა ინგუშურ-პატრიოტულ საზოგადოებაში, მაგრამ, სამეცნიერო თვალსაზრისით, ინგუშური ჰერალდიკის გაანალიზება არც კომპლექსურია და არც აქტუალური. ამ შემთხვევაში ჩვენი მცირე ნარკვევი მიზნად ისახავს განვსაზღვროთ: გამოსახავს თუ არა ინგუშეთის რესპუბლიკის გერბი არსებით ეროვნულ ელემენტებს, ტრადიციულ ნიშნებს? შესრულებულია თუ არა იგი ინგუში ხალხის ცხოვრების, ისტორიისა და ტრადიციის გათვალისწინებით? შეეფერება თუ არა თავის დანიშნულებას? დაცულია თუ არა ე.წ. „ლერალდიკური წესი“ და სტილი?

სანამ დღეს მოქმედი გერბის ბლასონს გავაკეთებდეთ, საჭიროა მოკლე ისტორიული ექსკურსი - ინგუშური ჰერალდიკის მიმოხილვა ისტორიულ ჭრილში.

განსახილველი საზოგადოება სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკური ჩარჩოს ფარგლებში არსებობდა. მონარქიული ან რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი მმართველობის ტრადიცია მათ არ ჰქონიათ. შუა საუკუნეებში ინგუშეთი (დურძუკეთის ნაწილი) საქართველოს შემადგენლობაში იყო, XIX-XX სს-ში რუსეთის პოსტ-ფორდალურ, შემდეგ სოციალისტურ-იმპერიალისტურ სივრცეში ვითარდებოდა, დღეს კი რფ-ს სამხრეთ ფედერალურ ოლქში შედის. ჩვენ გვსურს თვალი მივადევნოთ იმ ჰერალდიკურ სახესხვაობებს, რაც პოლიტიკური ჩარჩოს ცვლილებას მოჰყვებოდა ხოლმე.

დავინცოთ დაკვირვება ჯერ ცარისტული რუსეთის იმპერიის გერბებზე. 1672 წელს შეიქმნა პირველი რუსული გერბი. ინგუშეთის და, საერთოდ, კავკასიის დაპყრობის (მეერთების) შემდეგ მან რამდენჯერმე განიცადა რედაქტირება: 1801, 1832, 1856, 1882 და 1883 წლებში (<http://www.heraldicum.ru/russia/index.htm>), მაგრამ არცერთ შემთხვევაში კავკასიასთან დაკავშირებული ნაციონალური, პოლიტიკური, ისტორიული, რელიგიური თუ სხვა ეთნოგრაფიული ატრიბუტი გამოყენებული არ ყოილა. 1919 წლის სექტემბრიდან ინგუშეთი შევიდა ჩრდილოკავკასიური ემირატის შემადგენლობაში, რომელიც წარმოადგენდა თეოკრატიულ მონარქიას, მაგრამ ეს მონარქია ძალიან დღემოკლე აღმოჩნდა, 1920 წლის მარტში ბოლშევიკებმა შეძლეს მისი ლიკვიდაცია, ხელისუფლების მეთაურმა მუფთის წოდება მიიღო და მალევე გარდაიცვალა. ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ემირატმა მოასწრო მიეღო საკუთარი ფულის ერთეული - საკრედიტო ბილეთები, რომელზეც გამოსახა საკუთარი გერბი და დროშა. გერბის ცენტრალური ატრიბუტებია: საბრძოლო იარაღები - თოვი და ხმალი, მათ ზემოთ ხელისუფლების რეგალია - გვირგვინი, მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე ერთმანეთის საპირნონედ გამოსახულია ჯიპადის ბანერი (მნვანე ფერისა) და გადაშლილი წიგნი (ყურანი), გერბის ქვედა მხარეს - ნახევარმთვარე და 3 ვარსკვლავი (წყარო: <http://www.heraldicum.ru/russia/index.htm>).



ჩრდილოკავკასიური ემირატის გერბი

[www.heraldicum.ru/russia/index.htm](http://www.heraldicum.ru/russia/index.htm)

როგორც ვხედავთ, ემირატის ჰერალდიკური ატრიტუტია უკვე გამოხატავს ჩრდილოკავკასიელთა რელიგიურ და იდეოლოგიურ თავისებურებებს: მწვანე ფერი, იარაღი და რელიგიური არბიტრი მშვენივრად წარმოგვიჩენს ისლამისტური თეოკრატიული სახელმწიფო წარმონაქმნის იდეოლოგიას. ცხადია ეს ემბლემა კანონიკურ გერბად ვერ იქნება მიჩნეული, თუმცა ემირატის პოლიტიკური ხელისუფლება აღიარებულ იქნა საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის მიერ.

საინტერესოა, როგორია ამის შემდეგ ინგუშეთის პოლიტიკური ჩარჩო? 1924 წლის 7 ივნისს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებულებით შეიქმნა ინგუშეთის ავტონომიური ოლქი, 1934 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით კი იგი შეუერთდა ჩეჩენეთის ავტონომიურ ოლქს, რომელიც 1936 წელს გადაკეთდა ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ-დ. ამ სუბიექტისთვის 1937 წლის 22 ივნისს მიღებულ იქნა კონსტიტუცია და გერბიც, რომელიც იმეორებდა PCFCP-ს ვერსიას, მხოლოდ წარწერები შესრულებული იყო ეროვნულ ენებზეც.

1944 წელს, როგორც ცნობილია, გააუქმდა ეს პოლიტიკური სუბიექტი და ვაინახები გადასახლეს სამშობლოდან, მათი რეაბილიტაცია მხოლოდ 1957 წელს მოხდა.

მას შემდეგ ჩრდილოკავკასიისთვის ოფიციალურ რეგალიას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის გერბი.

1990 წლის ნოემბერში ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ-ს უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ. 1991 წლის 15 მაისს ჩიასსრ გადაკეთდა ჩეჩენეთ-ინგუშეთის რესპუბლიკად, მაგრამ 8 ივნისს ჩეჩენმა ერმა დამოუკიდებლად ჩამოაყალიბა პოლიტიკური ერთეული, რომელზეც გამოსახა საკუთარი გერბი და დროშა. გერბის ცენტრალური ატრიბუტებია: საბრძოლო იარაღები - თოვი და ხმალი, მათ ზემოთ ხელისუფლების რეგალია - გვირგვინი, მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე ერთმანეთის საპირნონედ გამოსახულია ჯიპადის ბანერი (მნვანე ფერისა) და გადაშლილი წიგნი (ყურანი), გერბის ქვედა მხარეს - ნახევარმთვარე და 3 ვარსკვლავი (წყარო: <http://www.heraldicum.ru/russia/index.htm>).

ში. 1993 წლის 3 დეკემბერს, პირველი პრეზიდენტის - რუსლან აუშევის ბრძანებულებით, პოლიტიკურ სუბიექტს ეწოდა „ინგუშეთის რესპუბლიკა“, 1994 წლის 27 თებერვალს კი მიღებულ იქნა მისი კონსტიტუცია. სახელმწიფო სიმბოლიკის შემუშავება დაიწყო ამავე წლის იანვარში. ინგუშეთის რესპუბლიკის გერბი დაფიქსირდა და დაკანონდა არსებული პოლიტიკური მმართველობის, ხელისუფლების მიერ (სახალხო კრება - ინგუშეთის რესპუბლიკის პარლამენტი), მის შესახებ კანონი მიიღეს 1994 წლის



ჩეჩენი-ინგუშეთის ასსრ-ს დროშა. 1937 წლი

26 აგვისტოს (N 2-PK3) და მას იმავე დღეს მოაწერა ხელი პრეზიდენტმა რ. აუშევმა. როგორც ეს კანონი აცხადებს, ეროვნული გერბი, როგორც ოფიციალური სიმბოლო ინგუშეთის რესპუბლიკისა, ასახავს ერის მარადიულ სურვილს თავისუფლებისა და სამართლიანობის მიმართ.

2001 წლის 15 თებერვალს ინგუშეთის რესპუბლიკის პარლამენტმა კვლავ მიიღო კონსტიტუციური კანონი გერბთან დაკავშირებით, გერბი უცვლელი დარჩა, მცირე კორექტურა იქნა შეტანილი მხოლოდ აღნერილობაში (Пчелов Е.В. Герб и Флаг Республики Ингушетия // Журнал Гербовед, №26. С. 113-116; <http://www.heraldicum.ru/russia/index.htm>; <http://www.parlementri.ru/documentation/5822/>).

ინგუშეთის რესპუბლიკის გერბის ავტორია მხატვარი რუსლან ალიმოვიჩ ელდიევი.

არნივი ამ გერბის უმთავრესი ატრიბუტია, კოშკი კი - ნაციონალური ვინაობის სპეციფიკური ნიშანი.

### გერბის ბლასონი (ნაკითხვა): სიმბოლიკის, ემბლემატიკისა და ჰერალდიკურ ფერთა აზრობრივი მნიშვნელობა

ინგუშეთის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი წარმოადგენს წრეს, რომლის ცენტრშიც მოთავსებულია არნივი, როგორც კეთილშობილებისა და სიმამაცის, სიბრძნისა და ერთგულების სიმბოლო. ეს ფრინველი მსოფლიოს სახელმწიფოთა ¼-ის ჰერალდიკაში დომინირებს და თითქმის ყველასთვის სახელმწიფოებრივი სიძლიერის და ეროვნული რჩეულობის სიმბოლოა. მრავალი მუსლიმური ქვეყნის სიმბოლიკაში არნივის გამოტანა განპირობებულია ძლევამოსილ არაბულ სახალიფოსთან კავშირის ხაზგასასმელადაც.

სამეფო ფრინველად მიჩნეული „არნივი“ ქარ-

თულ ენაში ხურიტულ-ურარტულიდან ნასესხებად ითვლება (ქართული შესატყვისი - ორბი) (უურნ. ჰეროლდი, №1, 2012, გვ. 43). ინგუშურ ენაში მას ჰქვია „ერზი“. საინტერესოა, რომ საქართველოში არსად გვხვდება დასახლებული ბუნქტი თუ ადგილი (ნებისმიერი ტოპონიმი) „არნივეთი“, ინგუშეთში კი „ერზი“-ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ადგილია (Ингушский Государственный ансамбль „Эрзи“// Орел).

ჩვენ გვაინტრესებს, რატომ იქნა დაშვებული ინგუშეთის გერბის მთავარ ატრიბუტად არნივი// ერზი? საერთოდ, არნივი უზენაესობის, სიძლიერისა და სამეფო ბრძყინვალების სიმბოლოა. Aquila chrysaetus ანუ „მთის არნივი“ ყველაზე წარჩინებულად ითვლება. ჯერ კიდევ ძ. წ. II ასწლეულში დამკვიდრდა იგი სამეფო არსებად (წყარო: ხეთური რელიეფები), ელინისტურ სამყაროში ზევსის, რომის იმპერიის დროს კი უზენაესობის სიმბოლოდ იქცა. სივრციზლისა და ძალის ამ ემბლემას ქრისტიანულ სიმბოლიკაში წმინდა იოანე მახარობელი შეესაბა-



ინგუშეთის გერბი

მება. არნივს სხვადასხვა მდგომარეობით გამოსახავენ თავიანთ სახელმწიფო რეგალიებზე რომის მემკვიდრე იმპერიები და თანამედროვე სახელმწიფოები: პოლონეთი, ავსტრია, გერმანია, აშშ, მექსიკა, ჩეხეთი, სერბეთი, ჩერნოვორია, რუსეთი, სომხეთი და ალბანეთი (ფართოდ ფრთებგაშლილი, გვირგვინიანი, ერთავიანი, ორთავიანი). რუსეთის არნივის ისტორია მაშინ იწყება, როდესაც მოსკოვის დიდმა მთავარმა ივანე III-მ თავი ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრედ გამოაცხადა (1472 წ.) და კეისრის ტიტულიც მიითვისა („ცარ“). შედეგად მოსკოვის სამთავროს გერბი ბიზანტიური ორთავიანი არნივით შეიცვალა. ეს ევროპის ქვეყნებმა „ტიტულის უსირცხვილო უზურპაციად“ აღიქვეს. სპეციალისტთა აზრით, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ფერებს იმეორებს და ჰერალდიკის ტერიტორიულ კანონებს უგულებელყოფს თანამედროვე რუსეთის გერბიც, შექმნილი 1990-იან წლებში (ზაქარია კიკნაძე, უურნ. ჰეროლდი, №1, 2012, გვ. 43; 45). არნივი საქართველოს მეფის გერბზეც გვხვდება (ვახტანგ მე-6), საკათედრო ტაძრის ფასადზეც, სიგელზეც, მოგვიანებით თავადთა გერბებზეც, რომელიც ასევე ბიზანტიური სახისაა, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორისგან 1181



### არქიტექტურული კომპლექსი ერზი. ინგუშეთი XV-XVII საუკუნეები

წელს ნაბოძები კეისრის ტიტულის საფუძველზე საქართველოს მეფეს „ცარად“ რუსეთის იმპერიაც კი აღიარებდა. საქართველოს შემთხვევაში ეს ჰერალდიკურ უზურპაციად არ ითვლება.

როგორც ვხედავთ, არნივის თემა მსოფლიო ჰერალდიკაში ფართოდ განსჯადი პრობლემაა. აქ მისი დეტალურად განხილვა შორს წავიყვანს. ამჯერად ჩვენთვის ამ პოლემიკაში ჩართვა არცაა აუცილებელი. შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ ინგუშური ჰერალდიკის ამგვარად ფორმირება გულისხმობს კავშირს საქართველოს (ისტორიულად) და რუსეთის (ამჟამად) სახელმწიფოებთან, ერთ პოლიტიკურ ჩარჩოში თანაცხოვრების მომენტს, თუმცა უდავოა, რომ „მთის არნივი“ ინგუშეთისათვის ნაციონალურ ატრიბუტსაც წარმოადგენს ისევე, როგორც ჩეჩენეთისათვის (ნოხჩიჩი) - მგელი, ამიტომ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინგუში ხალხის ეროვნული კოლორიტი, მათივე თქმით, „Этот тотем - тотем строительства, серьезных планов и проектов, объединения людей. ‘Царь птиц’; известен как символ безграничной власти и обороноспособности“ (<http://06region.ru/forum/svobodnyetemy/11393-simvol-orla>). საინტერესოა, რომ არნივი ინგუშეთში გვხვდება არა მარტო სახელმწიფო, არამედ საქალაქო და რაიონულ გერბებზეც, ანუ მრავალგან გამეორებადი ატრიბუტია.

მაგალითად, ჯეირახის რაიონის მუნიციპალიტეტის გერბზე, რომელიც მიღებული და დამტკიცებულია 2010 წელს, გვხვდება არნივი გაშლილი ფრთებით, როგორც სულიერი სიძლიერისა და სამართლიანობის სიმბოლო <http://www.heraldicum.ru/russia/subjects/towns/jeirah.htm>

ამჟამინდელი დედაქალაქის - მაგასის დროშაც, რომელიც შეიქმნა 2008 წელს ქალაქ მაგასის გერბის საფუძველზე, გამოსახავს ფრთებგაშლილ ოქროსფერ არნივს წითელ ფონზე (გამბედაობის, სიხარულის, გამარჯვების ფერი), იგი განასახიერებს ძალას, სიდიადეს, სტუმართმოყვარეობასა და აღმატებულ მისწრაფებებს, ინგუშეთის დედაქა-

ლაქის განახლების, აღორძინების და, ამასთან ერთად, ჩრდილოკავკასიის ერთ-ერთი დიდებული ძეველი ქალაქ მაგასის აღდგენის იდეას. ოქროსფერში წარმოდგენილი არნივი ძლევამოსილების, განგრძობადობის, სიმდიდრის, სიდიადის, კანონიერების, სიწმინდისა და მაღალი სულიერების ნიშანია [http://ru.wikipedia.org/wiki/Флаг\\_Марача](http://ru.wikipedia.org/wiki/Флаг_Марача); <http://www.calend.ru/travel/6369>

ინგუშეთის რესპუბლიკის პირველი დედაქალაქის - ნაზრანის გერბი ასეთია: მწვანე ფონზე გამოხატულ ვერცხლისფერ არნივს გულზე წითელი მზის ნიშანი აქვს (საათის ისრის სანინაალმდევოდ მიმართული). ვერცხლისფერი ჰერალდიკაში აღნიშნავს: რწმენას, სიწმინდეს, გულწრფელობას, გახსნილობას და უდანაშაულობას. გერბის ავტორია ინგუში მხატვარი ზელიმ-ხან ესმურზიევი. <http://www.heraldicum.ru/russia/subjects/towns/nazran.htm>

**პირველხარისხოვანი ჰერალდიკური ფიგურა ინგუშურ გერბზე** – გერბის ცენტრში ვერტიკალურ ღერძად აღმართულია საბრძოლო კოშკი (В10в – ბოევა ბაშня). **В10в** ინგუშებისათვის არის არა მარტო ეროვნული არქიტექტურის მთავარი სიმბოლო, არამედ, ისტორიული მეხსიერებისა და ასოციაციების საცავი ნაგებობაც, ადგილი, სადაც წინაპრები ცხოვრობდნენ, ლოცულობდნენ და იძრძოდნენ. ყოველივე ამის გამო იგი საკალურ მნიშვნელობას იძენს, სათაყვანო და აღმატებოვანებელი ადგილია, სადაც სხვა (უცხო, მტერი, გარეშე) ვერც მოილხენს და ვერც იხეირებს.

ჩვენთვის საინტერესოა თავად ფაქტი, რომ ეროვნულ გერბში „პირველისტყვად“ გამოიტანება ექსკლუზიურად ეროვნული სიმბოლო, რათა ინდივიდუალობა გამოხატოს, ანუ ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მოხდეს.

კიდევ ერთი ეროვნული ატრიბუტი, რომელიც ინგუშეთის გერბზეა დატანილი, გახლავთ სქემატური გამოსახულება მთისა **მაათ-ლიამ** – ყველაზე მაღალი მთა ინგუშეთში (2993 მ. ზღვის დონიდან),

ერთ-ერთი ყველაზე ღამაზი და წმინდა ადგილი. იგი ძალიან ძველია - საუკუნეების მანძილზე სა-თაყვანო და ცნობილი. მეორე კი ყაზბეგის მთაა („მყინვარწვერი“, ინგუშურად **Баш-Лоам**), ეს მთაც საკრალიზებულია ინგუშთა წარმოდგენაში და მრავალი ლეგენდა თუ თქმულება უკავშირდება (<http://simvolika.rsl.ru/index.php?doc=99>). მაშასადამე, კიდევ ერთ ეროვნულ ატრიბუტს გაესმევა ხაზი.


კოშკისა და მთების თავზე მოთავსებულია ზენიტში მყოფი მზე, რომლიდანაც გადმოედინება 7 სხივი. ქვედა მხარეს, პატარა წრეშიც ასევე მზის ნიშანია, ნითელი (სილარის მარტივი სიმბოლი) - ეროვნული დროშის მთავარი ატრიბუტი ამასთანავე. იგი სიმბოლურად



ნაზრანის გერბი



ჩაგასის გერბი



ჯეირახის გერბი



ჩაგასის დროშა

გამოხატავს მზისა და დედამინის მარადიულ ბრუნვას, ყველაფრის ურთიერთკავშირსა და უსასრულობას. თალოვანი სხივები მზისა მიმართულია საათის ისრის საწინააღმდეგოდ.

გერბის დიდ და მცირე წრეს შორის მოთავსებულია ნარწერა: ზევით – **Республика Ингушетия**, ქვემოთ – **Платанай Мокх**. ის, რომ ეროვნულ ენაზე რესპუბლიკის სახელწოდება გერბის ქვედა მხარესაა აღბეჭდილი (როგორც თარგმანი რუსულ, დომიმანტენაზე შესრულებული ნარწერისა), ნათლად გამოხატავს ეროვნული და სახელმწიფო ხელისუფლების ძალაუფლების იურიდიულობას – დღეს ინგუშების ისტორიული ტერიტორია არ ნარმოადგენს მათ მიერვე კონტროლირებად ტერიტორიას. გერბზე თავჩენილი ეს არასუვერენული სტატუსი ლოგიკურ შესაბამისობაშია პრაქტიკულ სიტუაციასთან: ინგუშეთის ეთნოლინგვისტურ სიტუაციაში რუსული ენა ინარჩუნებს

დომინანტურ პოზიციას, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში დღეს ინგუშური მეორე სახელმწიფო ენაა (Г1алг1ай მოთ) და გამოიყენება განათლების, მედიის, ხელოვნების სფეროში. სკოლებსა და უნივერსიტეტებში ინგუშურ ენას ისე მეურვეობები, როგორც უცხო ენას. ყველა დისციპლინის შესწავლა, მათ შორის, ინგუშური ენისა და ლიტერატურის, წარმოებს რუსულ ენაზე. მართალია, ინგუშურ ენასა და ლიტერატურას სკოლებში ეთმობა რამდენიმე სასწავლო საათი, მაგრამ – როგორც სასწავლო პროგრამის არასავალდებულო კურსს. დღეს ინგუშეთში მშობლიურ ენას (დალდად მუოთ) უკვე შეზღუდულად იყენებენ საკომუნიკაციოდ (Николс Дж. Состояние ингушского языка, первый кавказский независимый журнал „Дош“ („слово“). 2007. 2(16). <http://doshdu.ru/>), თუმცა 2003 წლის 10 სექტემბერს დანესდა ინგუშური ენის დღე.

როგორც ვხედავთ, ინგუშური ჰერალდიკის ხელოვნებაში ნამყვანი მომენტი ყოველთვის ეროვნული არ არის! ეროვნულის დომინირება ნარჩუნდება მხოლოდ სიმბოლოების დონეზე და დამატებითი იდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს.

რაც შეეხება ფერებს, გერბი გადაწყვეტილია ხუთ ფერში: თეთრი, მწვანე (ჰერალდიკის ენაზე - ზურმუხტი), წითელი (მენამული), ლურჯი (ლაუგარდი) და ოქროსფერი ყვითელი (კეთილშობილი ლითონი). თეთრი ასოცირდება აზრისა და მოქმედების სინმინდესთან, რაც ინგუში ხალხის მორალური მახასიათებელია, ლურჯი ცის, სამყაროს აღმინიშვნელი ფერია, მწვანე განასახიერებს ინგუშეთის მიწისა და ბუნების ნაყოფერებას და, ამასთან ერთად, ისლამის სიმბოლოა (სხვა კონფესიური სიმბოლო ინგუშეთის გერბს არ გააჩნია), წითელი ხაზს უსვამს ინგუში ერის მრავალსაკუნოვან ბრძოლას გადარჩინისათვის; ყვითელი კი მზის ფერია, ყველაფრისათვის სიცოცხლის მიმნიჭებელი.

ეროვნული გერბის ეს ფერადი ვერსია გამოიყენება რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონების, ბრძანებულებების, განკარგულებების ოფიციალურ ბლანკებზე, რომელსაც გასცემს რესპუბლიკის მეთაური (პრეზიდენტი), პარლამენტი და სამთავრობო უწყებები. ფერადთან ერთად, გამოიყენება ერ-



ინგუშური საპრამოლო კოშკი - B108

თფეროვანი - მონიქრომული ვერსიაც ([http://www.protown.ru/russia/obl/articles/articles\\_205.html](http://www.protown.ru/russia/obl/articles/articles_205.html); <http://www.ingushetia.ru/about/simvol.shtml>).

დასასრულს, გვინდა ჩრდილეთ კავკასიის სხვა ხალხების ეროვნული ჰერალდიკაც მოვიხმოთ, რათა მოვახდინოთ ინგუშეთის გერბის ეროვნულობის შე-



ინგუშეთის უმაღლესი მთა ვალი

Maat-Loam

ფასება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების საპირნონედ (<http://simvolika.rsl.ru/index.php?f=43>). ადილეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და დალესტნის (რუსეთის ფედერაციის დანარჩენი სუბიექტები) ეროვნული გერბიც გარკვეული ინარჩუნებენ ტრადიციულ, ექსკლუზიურ ელემენტებს. ადილეს შემთხვევაში ეროვნული სახელწოდება იერარქიულ ფაქტორსაც კი გამორიცხავს და პირველ ადგილას გაცხადებულია ეროვნული სტატუსი, ნართების ეპოსის გმირი კი მისი ცენტრალური ფიგურაა. ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ეროვნული დროშებიცა და გერბებიც ცენტრალურ ფიგურად უნიკალური ქონების ნიშანს - იალბუზის (Эльбрусი) მთას გვიჩვენებს, ალანიის გერბი - ინდოევროპელი ნინაპრების ემბლემას, დაღესტნისა - ნაკლებადაა


მარკირებული ექსკლუზიურად ეროვნული ატრიბუტებით. რაც შეეხება ჩეჩინეთის რესპუბლიკას (ნამყვანი პოზიცია უკავია ეროვნულ ატრიბუტებს): ნაციონალური ორნამენტი, ისტორიული ვაინაზური კოშკი და ნავთობის ანძა - ეროვნული სიამაყის ნიშანი.

შედარებით კონტექსტში განხილვის შემდეგაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად არსებული სიტუაციისა, ინგუშეთის რესპუბლიკის გერბი მაინც საკმაოდ ნათლად იგრძნობა ეროვნული ერთობის უნიკალობის ვიზუალიზაცია, ნაციონალური ერთიანობის და მრავალსაუკუნოვანი კულტურის გამოკვეთის ცდა. საზოგადოება, რომელსაც წინამდებარე სტატია შეეხება, ვითარდება სპეციფიკურ პირობებში, არ აქვს სუვერენული ტერიტორიული სახელმწიფოს ფორმა, იგი ინკორპორირებულია რუსეთის ფედერაციაში არასრული ფედერალური თვითგამგებლობის სახით. საკუთარი სახელმწიფოს არქონის პირობებში ძნელია დგომა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. როგორც ეროვნული გერბიც აჩვენებს, ინგუშ ერს აქვს კულტურული განკერძოებულობის რესურსი, სრული თვითგამოხატვისა და ავტონომიურობის სურვილი, მაგრამ უფლება არა! მათ გააჩნიათ უნიკალური სიბოლოები, რომლებიც ავტონომიურობის იდეალის ვიზუ-



მყინვარებელი - ხედი ინგუშეთის მხრიდან  
Баш-Лоам

ალურ გამოვლინებას წარმოადგენს: ნაციონალური გერბი, დროშა, ჰიმნი.





ინგუშეთის დროშა

მარიამ ბეჟიტაშვილი  
Mariam Bezhitashvili

## პახეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკა

### ახმეტის მუნიციპალიტეტის გერბი



### ახმეტის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის მენამულ ველზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გამოსახულია ორთითასებრი ვერცხლის ქობაშემოვლებული ლაუგარდის ჯვარი, რომელიც ტეხილად არის გადაკვეთილი და იყოფა მენამულ და ლაუგარდოვან ველებად. მენამულ ველზე მოთავსებულია სამი ვერცხლის ციხე-კოშეი. გულის ფარის თავი წარმოადგენს ლაუგარდოვან ველს. გერბის ფარის I ნაწილში მენამულ ველზე მოთავსებულია ირიბად გადაჯვარედინებული ოქროს მახვილი და შურდული; II ნაწილი - მენამულ ველზე ოქროს ვერძი; III ნაწილი - მენამულ ველზე ყურძნის ოქროს მტევანი ორი ოქროს ფოთლით. გერბის ფარის ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია გერბის დევიზი “ახმეტა”.

**დამტკიცებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №49 დადგენილებით, 30.11.2011 წ.**


### გურჯაანის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი ტეხილად არის გადაკვეთილი და იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილს უჭირავს ფარის 2/3, მეორე ნაწილს 1/3. I ნაწილი – ვერცხლის ველზე მოთავსებულია ორგუმბათიანი შავიონტურებიანი მენამული ტაძარი. II ნაწილი – ლაუგარდის ველზე ორი ვერცხლის ჯვარი გერბის ფარის ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი, ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაუგარდი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩანერილია გერბის დევიზი – “გურჯაანი”.

### გურჯაანის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა გაყიდვილია ჰორიზონტალურად ორ ნაწილად – ლაუგარდის და თეთრ ველებად. ლაუგარდის ველს უჭირავს დროშის 2/3, რომლის მარჯვენა ზედა კუთხეში გამოსახულია ვერცხლის ორი ჯვარი. მეორე ნაწილს უჭირავს დროშის 1/3 და ნარმოადგენს თეთრ ველს. დროშის პროპორციაა 2:3.

**დამტკიცებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №11 დადგენილებით, 30.04.2010 წ.**




## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაკვეთილ-გადაკვეთილია და იყოფა ოთხ ნაწილად.  
 I — ლურჯ ველზე ოქროს მთაზე მდგარი ოქროს აღჭურვილი ციხე-  
 სიმაგრეა ორი კოშკით, რომელთა შორის გალავანზე აღმართულია  
 ვერცხლის ხორუგვი, რომელზეც გამოსახულია მეფეთა მარის წითელი  
 ხელრთვა. ციხე-სიმაგრის სარკმელები და ნახევრად ლია კარიბჭის  
 ველი მენამულია. II — მენამული ველის ზედა ნანილში მოთავსებულია  
 ოქროს თასი, მის ქვემოთ ვერცხლის წყარო, დაბლა ოქროს მთა. III —  
 მენამულ ველზე ოქროს ხორბლის ძნა. IV — ვერცხლის ველზე კამეჩის  
 შავი თავი. გერბის ფარი ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის  
 გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის  
 ფორმის) ნახევრად ლია ჭიშკრით. ფარი ქვემოთ მოთავსებულია  
 გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის  
 ველზე შავით ჩანერილია გერბის დევიზი — “დედოფლისწყარო”.



## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ვერტიკალურადაა გაყოფილი ორ ნაწილად —  
 ლურჯ და მენამულ ველებად. დროშის ცენტრში გამოსახულია  
 ჰერალდიკური ფარი — ვერცხლის ველზე მეფე თამარის  
 მენამული ხელრთვა (ფარის დაშორება ზედა და ქვედა კიდეებთან  
 წარმოადგენს დროშის სიმაღლის 1/5). დროშის პროპორციაა 2:3.



**დამტკიცებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს №7 დადგენილებით, 29.04.2011წ.**

## თელავის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გადაკვეთილია და ზემოთ გაკვეთილი.  
 I ნაწილი — ლაუგარდოვან ველზე შვიდი ოქროს ბორცვი  
 (მთა) 4/3. ზედა ოთხ ბორცვზე ოქროს 4 ციხე-კოშკია  
 მოთავსებული; მათ ზემოთ კი ოქროს ხუთქიმიანი გვირგვინი.  
 II ნაწილი — მენამულ (წითელ) ველზე ვერცხლის ფრთოსანი  
 ცხენი. III ნაწილი — ვერცხლის ველზე ვერტიკალურად  
 ზურმუხტის (მწვანე) ყურძნის ორი მტევანი, მათ შორის  
 ზურმუხტის (მწვანე) ვაზის ორი ფოთოლი. გერბის ფარი  
 ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი —  
 სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის)  
 ნახევრად ლია ჭიშკრით. ფარი ქვემოთ მოთავსებულია გერბის  
 დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის  
 ველზე შავით ჩანერილია გერბის დევიზი — “თელავი”.



## თელავის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის ველი გაყოფილია ჰორიზონტალურად  
 ორ ნაწილად — მენამულ (წითელ) და ლაუგარდოვან  
 (ლურჯ) ველებად. დროშის ცენტრში გამოსახულია  
 ვერცხლის ფრთოსანი ცხენი. დროშის პროპორციაა 2:3.

**დამტკიცებულია თელავის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს №19 დადგენილებით, 26.07.2010 წ.**



### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი ქონგურისებურადაა გაკვეთილი და იყოფა ორ ნაწილად. გერბის ფარის I ნაწილში ვერცხლის ველზე მენამულით მოთავსებულია მეფე თამარის ხელრთვა. II ნაწილში – მწვანე ველზე ვერცხლის ირემი, რომელსაც მარჯვენა ფეხი შემართული აქვს. I ნაწილს უჭირავს ფარის 2/3, II ნაწილს – 1/3. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი — სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მწვანე ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი “ლაგოდეხი”.



### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ჰორიზონტურადაა გაყოფილი ორ ნაწილად. I ნაწილში თეთრ ველზე წითლით მოთავსებულია მეფე თამარის ხელრთვა. II ნაწილი წარმოადგენს მწვანე ველს. I ნაწილს უჭირავს 2/3, II ნაწილს – 1/3. დროშის პროპორცია 2:3.

**დამტკიცებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №30 დადგენილებით, 30.10.2009 წ.**

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაკვეთილია და ორ ნაწილადაა გაყოფილი. I ნაწილი – ძონის ველზე ოქროს სახელოიანი ოქროს ხელის მტევანი, რომელსაც შვიდი ოქროს სხივით გასხივოსნებული იქროს ქვა უჭირავს. ოქროს ხელის მტევნის ზემოთ და ქვემოთ მოთავსებულია ექვს-ექვსი (3/3 და 3/3-ზე) ოქროს ჯვარი. II ნაწილი — მენამულ ველზე ოქროს სარზე შემოხვეული, ფესვებიანი ოქროს ვაზი, სამი ფოთლით და სამი მტევნით. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი – “საგარეჯო”.

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ვერტიკალურადაა გაყოფილი ძონისა და მენამულ ველებად. ძონის ველს უჭირავს დროშის 1/3. მასზე გამოსახულია ოქროს სახელოიანი ოქროს ხელის მტევანი, რომელსაც ოქროს გასხივოსნებული ქვა უჭირავს. ოქროს ხელის მტევნის ზემოთ და ქვემოთ მოთავსებულია ექვს-ექვსი (3/3 და 3/3-ზე) ოქროს ჯვარი. დროშის პროპორცია 2:3.

**დამტკიცებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №8 დადგენილებით, 27.05.2011 წ.**



## სიღნალის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გაკვეთილ-გადაკვეთილია და იყოფა 4 ნაწილად. I ნაწილი – ლურჯი ველი გაკვეთილია და იყოფა 2 ნაწილად – ლურჯ და ვერცხლის ველებად; ლურჯ ველს უჭირავს 2/3. მასზე მოთავსებულია წმინდა ნინოს ოქროს ჯვარი. წმინდა ნინოს ჯვარს შემოხვეული აქვს ოქროს ვაზი სამი ოქროს ფოთლითა და სამი ოქროს მტევნით. ვერცხლის ველს რომელსაც უჭირავს 1/3, კვეთს სამი შემცირებული და ტალღისებური ლურჯი სარტყელი. II ნაწილიმენამულ ველზე ოქროს ფრთოსანი ცხენი. III ნაწილი – მერამულ ველზე ოქროს ქვევრი (ჭური). IV ნაწილი – ლურჯ ველს კვეთს ერთკოშკიანი ციხე-სიმაგრის მსგავსი ოქროს სარტყელი, რომლის ზემოთ მოთავსებულია ოქროს გასაღები. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია “სიღნალი”.



## სიღნალის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშა ვერტიკალურად, თანაბარ ნაწილებად არის გაყოფილი ლურჯ და მენამულ ველებად. ლურჯ ველზე გამოსახულია წმინდა ნინოს ოქროს ჯვარი. დროშის პროპორცია 2:3.




**დამტკიცებულია სიღნალის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №11 დადგენილებით, 29.04.2011 წ.**



## ყვარლის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი შუაზე ტეხილადაა გადაკვეთილი, ხოლო ზედა ნაწილი გაკვეთილია და იყოფა ორ ველად. I ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე ვერცხლის ორკოშკიანი გალავანი ღია კარიბჭით. კოშკებს შორის მოთავსებულია ოქროს გვირგვინი, ხოლო კარიბჭის ქვემოთ ოქროს ვაზი. II ნაწილი - ვერცხლის ველზე მენამული ჯვარი. III ნაწილი – მერამულ ველზე ვერცხლის ფრთოსანი ცხენი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კატარაქტიანი კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მენამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩანერილია დევიზი “ყვარელი”.



## ყვარლის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის ქსოვილი ჰორიზონტალურად არის გაყოფილი ორ თანაბარ ნაწილად – მენამულ და მწვანე ველებად, რომელთა შორის მარცხნიდან შეჭრილია თეთრი ფერის ტოლგვერდა სამკუთხედი, რომლის ცენტრში გამოსახულია მენამული ჯვარი. დროშის პროპორცია 2:3.

**დამტკიცებულია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №21 დადგენილებით, 09.08.2012 წ.**


## ამერიკის კონფედერაციული შტატების სახელმწიფო დროშა

ამერიკის შეერთებული შტატების XIX საუკუნის ისტორიაში უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია სამოქალაქო ომის ეპოქა (1861-1865). ამ მოვლენიდან უკვე თითქმის 150 წელი გავიდა, მაგრამ როდესაც საუბარი ჩამოვარდება ეროვნული ისტორიის შესახებ ეს საკითხი დღესაც ყველაზე მეტად პოპულარულია ამერიკელთა შორის. ომის თემაზე ამერიკულ ისტორიოგრაფიაში ასეულობით ათასი წიგნი დაიწერა, ხოლო გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა პრაქტიკულად თვლას აღარ ექვემდებარება. სამოქალაქო ომის მასშტაბები: დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა, ბრძოლების შედეგად გამოწვეული ნგრევა და, რაც მთავარია, საკუთრივ მოის ზეგავლენა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაზე თანადროული პერიოდის რეალობიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს. ასეთ შემთხვევაში ნათლად გამოჩნდება, რომ ამ ომს აშშ-ს ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია და მას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს.

XIX საუკუნის შუა პერიოდისთვის ამერიკა საკმაოდ მრავალფეროვანი ქვეყანა იყო, სადაც არაერთი წინააღმდეგობრიობა არსებობდა: აშშ იყო ერთრდოულად თავისუფლებისმოყვარე და მონათმფლობელური სახელმწიფო, მზარდ ინდუსტრიულ-კომერციული, ხალხმრავალ ქალაქებთან ერთად ქვეყნის უდიდესი ნაწილი, დასავლეთით მოკლებული იყო ყოველგვარ მატერიალურ-ტექნიკურ პროგრესს და იქ ინდიელთა ტომები ჯერ კიდევ ცხოვრეობდნენ საუკუნოვანი თვითმყოფადი ცხოვრებით.

1850-იანი წლები აშშ-ში შესაძლებელია შეფასდეს როგორც პოლიტიკური დეკადანის ეპოქა. სწორედ ამ პერიოდში გამწვავდა მონათმფლობელობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, რომლებმაც ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. სახელმწიფო ლიდერებს არ შესწევდათ ძალა, რომ არსებული პრობლემები დაეძლიათ. რეგიონალური ეკონომიკური განსხვავება ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატებს შორის პოლიტიკური კრიზისის მთავარი განმაპირობებელი იყო. სულ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა სამხრეთელთა ცხოვრების წესის თავისებურებებისა და ფასეულობების მკვეთრი განსხვავებულობა ჩრდილოეთის შტატების მცხოვრებთაგან. 50-იან წლებში ამ განსხვავებულობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და მხარეთა შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო.

სამოქალაქო ომის ისტორიული წანამდლვრებისა და კონფლიქტის ევოლუციის განხილვა შორის წაგიყვანს, ამიტომაც ზოგადად აღვნიშნავთ, რომ მთავარი მიზეზი ამ დაპირისპირებისა იყო კონფლიქტი ორ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას შორის. ერთ მხარეს წარმოადგენდა კაპიტალისტური, მრეწველობასა და ინდუსტრიის განვითარების შემთხვევაში დაიწერა, ხოლო მომავალი კონფლიქტი დაიწყო.



გენერალი ლი კონფედერაციის სახელმწიფო დროშის ფონზე


რებაზე ორიენტირებული, ჩრდილოეთის შტატები მეორე მხარეს კი აგრარულ-მონათმფლობელური სამხრეთის შტატები. ეს ორი რადიკალურად განსხვავებული სისტემა ერთი სახელმწიფოს სივრცეში თანაარსებობდა, თუმცა დადგა დრო, როდესაც სტატუს-ქვო უნდა დარღვეულიყო. 1860 წელს აშშ-ს პრეზიდენტად არჩეულ იქნა რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი აბრამ ლინკოლნი. გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ქვეყნის დასავლეთის ტერიტორიებზე მონათმფლობელობის გავრცელებას არ დაუშვებდნენ. საკუთრივ ლინკოლნი კი ჯერ კიდევ 1854 წელს აღნიშნავდა, რომ მონაბა ბოროტება იყო. მისი აზრით, ნაციონალური კანონმდებლობის მოდერნიზაციისა და ფორმირებისას აუცილებლად უნდა ჩადებულიყო ისეთი მექანიზმები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით შეზღუდავდნენ მონაბას და გარკვეული პერიოდის შემდეგ საბოლოოდ აკრძალავდნენ მას. ლინკოლნის გაპრეზიდენტიებამ სამხრეთელებს რადიკალური ნაბიჯებისკენ უბიძგა. ფედერალური ხელისუფლებიდან მომავალი საფრთხის გამო დაიწყო სეცესია — სამხრეთის მონათმფლობელური შტატები ეტაპობრივად გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შატატების შემადგენლობიდან. 1860-1861 წლების პერიოდში კავშირი დატოვა 11 შტატმა (სამხრეთ კაროლინა, მისისიპი, ფლორიდა, ალაბამა, ჯორჯია, ლუიზიანა, ტეხასი, ვირჯინია, არკანზასი, ტენესი, ჩრდილოეთინა). გამოყოფილმა შტატებმა შექმნეს ახალი პოლიტიკური ერთეული-ამერიკის კონფედერაციული შტატები (კონფედერაცია). ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გასამყრებლად სამხრეთელებმა მიიღეს კონსტიტუცია და საკუთარ პრეზიდენტად აირჩიეს ჯეფერსონ დევისი, ყოფილი სენატორი მისისიპის შტატიდან. პრეზიდენტმა ლინკოლნმა სამხრეთის შტატების გამოყოფა და კონფედერაციის შექმ-

ნა კანონის მიხედვით ბათილად გამოაცხადა. 1861 წლის 12 აპრილ სამსრუტელებმა ცეცხლი გაუხსნეს ფედერალურ ძალებს ფორტ სამტერში და აიძულეს ჩრდილოელები უკან დაეხიათ. ეს ომის დასაწყისი იყო. საპასუხოდ ლინკოლნმა კონფედერატები მეამ-ბოხეებად გამოაცხადა და სამსრუტის წინააღმდეგ სამხედრო მობილიზაცია დაიწყო.

სამოქალაქო ომის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე საინტერსო ფაქტია ის, რომ ფედერალური ძალების საგრძნობი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, კონფედერაციის სამხედრო ფორმირებებმა შეძლეს 4 ნილის განმავლობაში დაცვათ საკუთარი სახელმწიფო, თუმცა ისტორიკოსთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამხედრო იმთავითვე განწირული იყო დამარცხებისთვის, რადგან ასეთი იყო თავად ისტორიის ვერდიქტი. ომის პერიოდში ჩრდილოეთის მთავარი მიზანი იყო კავშირის აღდევნი და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება, ხოლო სამხედრო ძალების-ვაშინგტონის მიერ კონფედერაციის დამოუკიდებლობის აღიარება და სუვერენიტეტის შენარჩუნება.

ახლადჩამოყალიბებულმა ამერიკის კონფედერაციულმა შტატებმა სამხედრო კუთხით წარმატებით დაიწყეს საკუთარი საზღვრებისა და სუვერენიტეტის დაცვა. 1861-1863 წლებში სამხრეთელთა არმიამ არაერთ გამარჯვებას მიაღწია და თითქოს ჩრდილოელთა დამარცხების პერსპექტივაც გამოიკვეთა. კონფედერაციის დამოუკიდებლობის გაფორმება მხოლოდ ბრძოლის ველზე არ იყო საკმარისი და სამხრეთელთა კონგრესის მიერ გამოცემული ერთ-ერთი პირველი აქტი შეეხებოდა სახლემნიფო დროშისა და გერბის პროექტზე მომუშავე კომიტეტის შექმნას. ორიგინალური ჰერალდიკური ატრიბუტიკის შემუშავების მთავარი მიზანი იყო გაემყარებინათ კონფედერაციის სუვერენიტეტი, ნებისმიერი დამოუკიდებელი სახლმწიფოს მსგავსად, კონფედერაციაც საჭიროებდა უმთავრეს სახელმწიფო სიმბოლოს-დროშას. სახელმწიფო დროშის შემუშავების პროცესი საკიაოდ საინტერესოდ წარიმართა და სამოქალაქო ომის პერიოდში კონფედერაციამ რამდენიმე სახელმწიფო დროშა გამოიცვალა.


ამერიკის კონფედერაციული შტატების სახელმწიფო დროშა ვექსილოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხია. დღესდღობით საზოგადოებაში გავრცელებულია ძალიან ბევრი არასწორი შეხედულება კონფედერაციის სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით. მთავარი კითხვა კი შემდეგია: და მაინც, რომელი იყო სამხრეთელთა ოფიციალური დროშა? ეს კითხვა აქტიურ დისკუსიებს იწვევს და საკითხის ირგვლივ პოლემიკაც ხშირია. თემის სირთულესა და აზრთა სხვადასხვაობას რამდენიმე გარემოება განაპირობებს: 1. სამოქალაქო მის დროს ოფიციალური დროშა რამდენჯერმე შეიცვალა. 2. ბრძოლის ველზე გამოტანილი სამხრეთელთა სამხედრო ფორმირებების საბრძოლო



## კონფედერაციის სამხედრო ფორმირებების „საპრეზიდო დროშა“

დროშა მოგვიანო პერიოდში შეცდომით იქნა მიჩნეული სახელმწიფო დროშად.

ყველაზე ხშირად ამერიკის კონფედერაციული  
შტატების სახელმწიფო დროშად შეცდომით მიიჩი-  
ნევენ კონფედერაციის სამხედრო ფორმირებების  
ე.წ. საბრძოლო დროშას. დღეს ეს დროშა ყველაზე  
მეტად ასოცირდება სამოქალაქო ომის ეპოქასთან  
და სამხრეთის კონფედერაციასთან. მეორენაირად  
ამ დროშას “მეამბოხეთა” დროშასაც უწოდებენ. ამ  
დროშის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო აშშ-ში XX  
საუკუნის 40-50-იან წლებში სამოქალაქო უფლებე-  
ბისთვის დაწყებულმა საზოგადოებრივმა მოძრაო-  
ბამ. სამხრეთ შტატებში ამ მოძრაობის მონაწილე-  
ებმა საკუთარ სიმბოლოდ აირჩიეს სწორედ ზემოთ  
გამოსახული დროშა და ფართო საზოგადოებაში  
გავრცელდა შეხედულება, რომ სწორედ ეს იყო კონ-  
ფედერაციის ოფიციალური სახლემნიფრ დროშა  
1861-1865 წლებში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აქ  
რამდენიმე შეცდომაა დაშვებული. პირველ რიგში,  
აღსანიშნავია, რომ ეს დროშა არასდროს ყოფილა




სამოქალაქო ომის პერიოდში მთავრობის მიერ  
დაგთვიცებული სამხედრო დროშა

ამერიკის კონფედერაციული შტატების სახელმწიფო დროშა. მისი სახელწოდება არ იყო “ვარსკვლავები და ზოლები” “Stars and Bars”. ეს დროშა სამოქალაქო ომის პერიოდში განკუთვნილი იყო მხოლოდ სამხედრო ფორმირებებისთვის. ამდენად, ეს დროშა არ იყო გამოფენილი ქუჩებში და არ ფრიალებდა სახელმწიფო შენობების თავზე. ამ დროშით მოქმედებდნენ მხოლოდ სამხრეთელი სამხედროები. გარდა ამისა, შეცდომა დაშვებულია დროშის გეომეტრიულ ფორმასთან დაკავშირებითაც. სამოქალაქო ომის პერიოდში მთავრობის მიერ დამტკიცებული სამხედრო დროშა ძირითადად მზადდებოდა მხოლოდ კათორაზის თორმის მოყვანილობით. აღ

ნიშნული დროშის მართულების ფორმის ვერსია დამზადებულ იქნა შეზღუდული რაოდენობით და მხოლოდ კონფედერაციის ფლოტისთვის. მხოლოდ 1864 წლის დროშათა სტანდარტზეც შედეგადაც ამ დროშის მართულების ფორმის ვარიანტი შემოღებულ იქნა სახმელეთო ჯარებისთვისაც. კერძოდ, გენერალ ჯოზეფ ჯონსტონის ინიციატივით ტენესის დრაგუნთა 1-ლი პოლკის დროშად დამტკიცებულ იქნა მართულების ფორმის კონფედერაციის სამხედრო ფორმირებების დროშა. ამდენად, კონფედერაციის ფლოტისთვისა და ტენესის დრაგუნთა 1-ლი პოლკისთვის განკუთვნილი მართულების ფორმის საბრძოლო დროშა XX საუკუნეში მიჩნეულ იქნა, როგორც მთლიანად კონფედერაციის სახელმწიფო დროშა, რაც რასაკვირველია არ შეესაბამება ისტორიულ რეალობას, თუმცა ეს დროშა დღესაც იმდენად პოპულარულია საზოგადოებაში, რომ მას ბევრი კვლავინდებურად მიიჩნევს ამერიკის კონფედერაციული შტატების სახელმწიფო დროშად. ისიც საინტერესოა, რომ კონფედერაციის სამხედრო ფორმირებების დროშას შეცდომით უწოდებენ. „ვარსკვლავები და ზოლები“ „Stars and Bars“. რეალურად კი ეს სახელმწიფება ჰქონდა კონფედერაციის პირველ ოფიციალურ სახელმწიფო დროშას, რომელსაც ქვემოთ შევხებით.


ამერიკის კონფედერაციული შტატების სახელმწიფო დროშად შეცდომით მიიჩნევენ ასევე მუქი ლურჯი ფერის მართულება ფორმის დროშას ცენტრში მოთავსებული თეთრი ხუთქიმიანი ვარსკვლავით. ეს დროშა სამხედრო ფორმირებების მიერ გამოიყენებოდა 1861 წლის განმავლობაში. სწორედ ეს დროშა ფრიალებდა კონფედერაციის პირველი აღმოჩენის დროშას, რომელსაც ქვემოთ შევხებით.



სამხედრო ფორმირებების დროშა  
1861 წლის განავლობაში

დერატების არტილერიის თავზე ფორტ სამტერზე შეტევის განხორციელებისას. სამოქალაქო ომის ადრეულ ეტაპზე ეს დროშა კონფედერაციულ შტატებში გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა. კავშირიდან გამოყოფის შემდეგ სამხრეთის ბევრმა შტატმა თავის ახალ დროშაზე ლურჯ ფონზე გამოხატული თეთრი ვარსკვლავის კომპოზიცია გამოიყენა. ძირითადად კი ომის პერიოდში მუქი ლურჯი ფერის მართულება ფორმის დროშის კლასიკურ ვარიანტს გამოიყენებდნენ ტესასსა და მისისიპიში. ამგვარად, ეს დროშაც არ წარმოადგენდა კონფედერაციული შტატების სახელმწიფო დროშას.


ამერიკის კონფედერაციული შტატების პირველი სახელმწიფო დროშის ოფიციალური ვარიანტი მომზადდა 1861 წელს. სწორედ მას ეწოდა „ვარსკვლავები და ზოლები“ /„Stars and Bars“/. იგი გახდა პირველი ნაციონალური დროშა. ეს დროშა გამოიყენებოდა 1861 წლის 4 მარტიდან 1863 წლის 1 მაისამდე. დროშის ავტორთან დაკავშირებით ორი სხვადასხვა მოსაზრებაა გავრცელებული. მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დროშის ავტორია იმუამად ალაბამაში მცხოვრები პრუსიელი მხატვარი ნიკოლა



ასერიას კონფედერაციული შტატების პირველი სახელმწიფო დროშის ოფიციალური ვარიანტი  
(Stars and Bars) 1861 წელი

მარშალი (1829-1917). ამ ვერსიის თანახმად მან დროშის სამი ესკიზი წარმოადგინა, რომელთაგანაც დამტკიცდა „ვარსკვლავებად და ზოლებად“ წოდებული ვარიანტი. მასვე მიენერება კონფედერაციის არმიის პირველი ოფიციალური რუხი ფერის უნიფორმის დიზაინის შექმნა. მარშალის დროშას საფუძვლად დაედო ავსტრიის სახელმწიფო დროშისა და აშშ-ს დროშის ელემენტები. სხვა თვალსაზრისით კი დროშის ავტორად მიჩნეულია კონგრესის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომიტეტი, რომელსაც სახელმწიფო დროშის პროექტი უნდა წარმოედგინა. მეორე ვერსიის მიხედვით, პირველ სახელმწიფო დროშის შექმნისას გათვალისწინებულ იქნა კონგრესის სურვილი, რომ ახალი დროშა ამერიკის შეერთებული შტატების დროშას დაფუძნებულიყო. ამ ნაბიჯით ხელისუფლებას სურდა ეჩვენებინა, რომ კონფედერაცია ერთგული და გამგრძელებელი იყო იმ პრინციპებისა, რომელიც შეერთებული შტატების დამფუძნებელმა მამებმა ჩამოაყალიბეს დამიუკიდებლობის დეკლარაციასა და კონსტიტუციაში.


კონგრესის მიერ დამტკიცებული პირველი ნაციონალური დროშა საზომოდ აღიმართა მონტგომერიში კაპიტოლიუმის შენობის თავზე 1861 წლის 4 მარტს. დროშის ამ ვარიანტში გარკვეული ცვლილებებით გამეორდა შეერთებული შტატების დროშაზე არსებული კომპოზიცია და შესაბამისი ფერები: ლურჯი კვადრატი, თეთრი ვარსკვლავები, ნითელი და თეთრი ზოლები. კონფედერაციის მართულება ფორმის დროშის კუთხეში ლურჯი კვადრატი მდებარეობდა, მის ფონზე კი წრიულად 7 თეთრი ვარსკვლავი იყო გამოსახული. ვარსკვლავების რაოდენობა განასახიერებდა იმუამად კონფედერაციის შემადგენლობაში შემავალი შტატების რაოდე-



ამერიკის კონფედერაციული შტატების დროშა  
1861 წლის 21 მაისიდან

ნობას: სამხრეთ კაროლინა, მისისიპი, ფლორიდა, ალაბამა, ჯორჯია, ლუიზიანა, ტეხასი. დროშის დანარჩენ ნაწილს კი სამი ვერტიკალური ზოლი ავსებდა, ორი წითელი და მათ შორის არსებული თეთრი. პირველი ნაციონალური დროშის შვიდვარსკვლავიანი ვარიანტი ძალაში იყო ორ თვეზე მეტ ხანს. სულ მალე კონფედერაციას ვირჯინია და არკანზასი შეუერთდნენ და შესაბამისად 1861 წლის 21 მაისიდან სახლმწიფო დროშაზე ვარსკვლავების რაოდენობა 9-მდე გაიზარდა. პლოიტიკური რუკა მალე კვლავ შეიცვალა და სამხრეთელებს შეუერთდა ჩრდილოეთ კაროლინა და ტენესი განახლებულ სახლმწიფო დროშაზე კი 2 ივლისიდან 28 ნოემბრამდე უკვე 11 ვარსკვლავი იყო გამოსახული (სურ.6). პირველმა ნაციონალურმა დროშამ საბოლოო სახე მიიღო 1861 წლის 28 ნოემბრიდან. კონფედერაციას კენტუკი და მისური შეუერთდნენ და დროშაზე 13 ვარსკვლავი დაფიქსირდა. დროშის ეს ვარიანტი 1863 წლის 1 მაისამდე მოქმედებდა. პირველი ნაციონალური დროშის აღმართვა გათვალისწინებული იყო როგორც სახლმწიფო შენობების თავზე, ასევე ბრძოლის ველზეც.

კონფედერაციის სახელმწიფო დროშის შემდგომი ცვლილება სამხედრო მიზეზით იყო ნაკარნახევი. ამჯერად დროშა მთლიანად შეიცვალა და სრულიად ახალი სახე მიიღო. საქმე ის არის, რომ




ამერიკის კონფედერაციული შტატების დროშა  
1861 წლის 28 ნოემბრიდან

მდგომარეობაში მყოფი დროშა ამერიკის შეერთებულ შტატების დროშის შთაბეჭდილებას ტოვებდა. დროშის მსგავსებიდან გამომდინარე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი ვირჯინიაში ქალაქ მანასასთანა გამართულ ბრძოლაში. უქარო ამინდის გამო კონფედერატების ტარზე უმოძრაოდ ჩამოკიდებულმა დროშამ ორივე მხარის ჯარისკაცები შეცდომაში შეიყვანა და მსხვერპლიც გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ კონფედერატებმა შეძლეს ფედერალური ძალების დამარცხება გენერალმა პიერ ბორეგარმა გამოთქვა წინადადება, რომ ბრძოლის ველზე მსგავსი დროშა აღარ გამოეტანათ. გარდა ამისა, ამ დროისთვის კონფედერატების სხვადასხვა ფორმირებებს განსხვავებული საველე დროშები ჰქონდათ ბრძოლის ველზე, სამხრეთელთა დაზვერვისთვის და ტაქტიკური გადაადგილებებისთვის ესეც არასელსაყრელი იყო. ამიტომ გენერალმა დაუინებით მოითხოვა, რომ კონფედერაციის ჯარებისთვის საერთო დიზაინისა და გამოსახულების მქონე დროშა შეემუშავებინათ, მისივე ინიციატივით წამოიწია საკითხი ნაციონალური დროშის ცვლილებასთან დაკავშირებით. ეფექტი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ორივე დროშა შეიცვლებოდა-სახლმწიფოც და სამხედრო-საველეც. ნებისმიერი ერთის უცვლელად დატოვების შემთხვევაში არმია ვერ იქნებოდა დაზღვეული დროშის გაურჩევლობით გამოწვეული ფატალური შეცდომებისგან. თუმცა ნაციონალური დროშა 1863 წლამდე მაინც უცვლელი დარჩა.

საველე-სამხედრო დროშისადმი წამოყენებული მთავარი მოთხოვნა იყო ის, რომ იგი არ უნდა დამსგავსებოდა არცერთი შტატისა თუ ფედერალების დროშას, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში, იქნებოდა ეს ნისლი, ქარბუქი თუ უქარო ამინდი, უნდა ყოფილიყო თვალშისაცემი შორ მანძილზე და ადგილად გასარჩევი. ასე დაიბადა კონფედერაციის სამხედრო ფორმირებების საბრძოლო დროშა.

ახალი საბრძოლო და ნაციონალური დროშებს გადაუდებელ საჭიროებაში დაწმუნებულმა გენერალმა ბორეგარმა შესაბამისი წერილი მიწერა კონფედერაციის კონგრესის სამხედრო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელს უილიამ მაილს. გენერალი ითხოვდა, რომ სასწრაფოდ შემუშავებულიყო სამხედრეთის ოფიციალური დროშა. თუმცა ბორეგარმა უარი მიიღო. მაშინ გენერალი მთლიანად გადაერთო საბრძოლო დროშის შექმნის საკითხზე და ამ მიმარ-



ამერიკის კონფედერაციული შატეტების დროშა  
1861 წლის 2 ივლისიდან 28 ნოემბრიამდე

სამხრეთის ტერიტორიებზე შემოჭრილ ფედერალურ ძალებთან ბრძოლისას მონინააღმდეგეთა ბანაკებში აღმართული სახელმწიფო დროშები ძალიან მსგავსი იყო და შეცდომაში შეყვავდა სარდლობა. უქარო ამინდებში კონფედერატების დროშა არ ფრიალებდა და ტარზე უმოძრაოდ იყო ჩამოკიდებული. შორი დისტანციებიდან მნახველისთვის ასეთ

თულებით დაიწყო მუშაობა. მან სთხოვა ლუიზიანელ ოფიციელს, რომ მათ ერთობლივად წარმოედგინათ ახალი საველე დროშის ესკიზები. ეს საქმე მაღლე დაიძრა და უმაღლეს მთავარსარდლობას მცირე ხანში დროშის უამრავი ესკიზი წარუდგინეს. ყველა ნამუშევარში დომინირებდა სხვადასხვა ფორმის ჯვრისა და ვარსკვლავების კომბინაცია, ფერებიც უმრავლეს შემთხვევაში იყო ნითელი, თეთრი და ლურჯი. ხანგრძლივი განხილვების შემდეგ 1861 წლის სექტემბერში გენერალი ბორეგარი გენერალ ჯოზეფ ჯონსტონთან ერთად ვირჯინიაში, ქ. ფეირფაქში სასამართლოს შენობაში შევდებენ გენერალ უილიამ კაბელს, რათა საბრძოლო დროშის საბოლოო დიზაინი და კომპოზიცია შეემუშავებინათ. ჯონსტონმა წარმოადგინა ელიფსის ფორმის დროშის ესკიზი, ნითელი ველითა და ლურჯი ფერის ჩმ. ანდრია მოციქულის დიაგონალური ჯვრით და მასზე განთავსებული თეთრი ვარსკვლავებით, რომლებიც შტატებს განასახიერებდნენ. თავისმხრივ ბორეგარმა კონგრესმენ მაილს დროშის მისეული ესკიზი წარუდგინა. გენერლის მიერ შემუშავებულ ვარიანტში დროშის ფორმა უნდა ყოფილიყო მართ-



მონიკაალედებე მზარეთა დროშები  
სამორალადო როის პირობები

კუთხა ან კვადრატული, ველი - ლურჯი, ხოლო ჯვარი - წითელი, ზედ გამოსახული ოქროსფერი ვარსკვლავებით, რომლებიც შტატების სიმბოლოს წარმოადგენდნენ. როგორც ირკვევა, ბორეგარი დროშის ესკიზე ლათინური ან ბერძნული ჯვარის განთავსებას უჭერდა მხარს. კონგრესმენმა მაილსმა ესკიზში წარმოადგენილი ფერთა კომბინაცია ჰქონდა და განვითარდა ანდრია მოციქულის X-ის მაგვარი ლურჯი ჯვარი თეთრი ფერის ვარსკვლავებით. ბორეგარი არ შეენინაალდება კონგრესმენის კორექტივებს, რადგან მაილსი ჰქონდივის სფეროში განსწავლულობით იყო ცნობილი. გენერალმა კორექტირებული ესკიზი თავის კოლეგებს წარუდგინა. არჩევანი უნდა გაკეთებულიყო ჯონსტონის ელიფსოიდურ ვარიანტსა და მაილს-ბორეგარის ვერსიას შორის. გენერალმა კაბელმა გააანალიზა ორივე ესკიზი და განაცხადა, რომ მაილს-ბორეგარის ვარიანტის მიხედვით დროშის დამზადება გაცილებით მარტივი და ჩქარი იქნებოდა, ამასთან ელიფსოიდურ ფორმით დროშის შექმნა ნაჭრის დამატებით ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. კაბელმა დროშისთვის მიზანშეწონილად მიიჩნია მართკუთხედის ან კვადრატის

ფორმის მოყვანილობა. ჯონსტონიც დაეთანხმა მაილს-ბორეგარის ვარიანტს. მისივე რჩევით დროშისთვის კვადრატის ფორმის მინიჭება გადაწყდა. დროშა ორიგინალური, კარგად გასარჩევი და ლამაზი გამოვიდა. ბორეგარმა და სხვა ოფიციელებმა მიმართეს კონგრესს, რომ ეს დროშა კონფედერაციის სახელმწიფო დროშად დაემტკიცებინათ. მთავრობამ უარი განაცხადა მათ წინადაღებაზე და ნაციონალურ დროშად კვლავ “ვარსკვლავები და ზოლები” რჩებოდა. 1861 წლის ოქტომბერში ომის დეპარტამენტმა დაამტკიცა ახალი საბრძოლო დროშის გამოყენების უფლება პოტომაკის არმიის მიერ, რომელსაც შემდგომ ჩრდ. ვირჯინიის არმია ენოდა და რომელსაც 1862 წლის 1 ივნისიდან კონფედერაციის ლეგენდარული მხედართმთავარი რობერტ ედვარდ ლი ხელმძღვანელობდა. ლიმ ლირსეულად გადაიბარა ახალი საბრძოლო დროშა და არაერთ ბრძოლაში დაამარცხა ფედერალური ძალები. ლის დამსახურებით კონფედერატების ახალი საბრძოლო დროშა ჩრდილოელთა დამარცხების სიმბოლოდ იქცა. საერთოდ გენერალი ლი აშშ-ს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და კოლორიტული პიროვნებაა. თავისი ნიჭიერებითა და პიროვნული თვისებებით იგი მსოფლიო დონის მოღვაწეა. ამერიკულ საზოგადოებაში მისდამი გამოჩენილი პატივისცემა და სიყვარული გაოცებას იწვევს. იგი უყვარდათ მის ჯარისკაცებს, მას უდიდეს პატივს სცემდნენ სამხრეთელი ოფიციელი და გენერლები, ლისადმი დიდი პატივისცემა ჰქონდათ მის მტრებსაც-ჩრდილოელთა სარდლობას. ლის ყოფილი მონები თუ მსახურები საკუთარ მებატონეს უდიდესი მოკრძალებით და მონატრებით იხსენებდნენ. იმ დროს, როდესაც გენერალთან ერთად ცხოვრობდნენ. თავისი მრნამსით ლი მონატმფლობელობის მონინაალმდევე იყო. სამიქეალეკო ომის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე, 1862 წელს, მან მის საკუთარებაში არსებული მონები გაათავისუფლა. ლი იყო ღრმადმორნებულება და ღვთისმოსავი პიროვნება, მის პირად ნაწერებში გასაოცარი რჩება აშკარავდება. სამოქალაქო ომის პერიოდში იგი ძალიან ხშირად და ბევრს ლოცულობდა როგორც თავისი ოჯახის წევრებისთვის და ჯარისკაცებისთვის, ასევე მონინაალმდევეთა ბანაკის სამხედროთათივის. მთელი მისი ცხოვრება გამსჭვალული იყო სურვილით, რომ სახარებისეული სწავლებით აღესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები.

ომის დეპარტმენტმა ბრძანების დონეზე არ დაავალდებულა კონფედერაციის სხვადასხვა ფორმირებები, რომ მათ მაილს-ბორეგარის დროშა გამოეყენებინათ, თუმცა ეს დროშა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მალევე მოიპოვა ბოპულარობა და სამხრეთის ფორმირებების დიდი ნაწილი სწორედ ამ დროშის გამოყენებით მოქმედებდა. სულ მალე ეს დროშა კონფედერაციის ყველაზე პოპულარულ და ცნობად სიმბოლოდ გადაიქცა. სამხედრო ფორმირებების მიხედვით (კავალერია, დრაგუნები, არტილერია)

საბრძოლო დროშა სხვადასხვა ზომის იკერებოდა. მიუხედავად ამ დროშის პოპულარობისა, მთელი რიგი სამხედრო ნაწილები საკუთარი ორიგინალური საბრძოლო დროშებით მოქმედებდნენ. ცალკეული შტატების სამხედრო ნაწილებს კი თავისი დამატებითი შტრიხები შექვენდათ მაილს-ბორეგარის დროშის კლასიკურ დიზაინში: ანერდნენ ფორმირების სახელს, ნომერს, გამოვლივ ბრძოლებს. ასეთნაირად გაფორმებული დროშა დამატებით სტიმულს მატებდა ჯარისკაცებს და მათ განვლილ ბატალიებში მიღწეულ ნარმატებებს ახსენებდა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩრდ. კაროლინის დრაგუნთა 28-ე პოლკის საბრძოლო დროშა.

1863 წელს სამხრეთის პრესასა და კონგრესის წარმომადგენელთა რიგებში კვლავ გააქტიურდა მსჯელობა სახლემნიფო დროშის შეცვლასთან დაკავშირებით. ნაწილი მოქალაქეების მიიჩნევდა, რომ იმ ფონზე, როდესაც კონფედერატები მარცხდებოდნენ და ეკონომიკური კოლაფსიც არ იყო შორს, კონგრესი ტყუილად კარგავდა დროს დროშის ფერებისა და კომბოზიციაზე ფიქრით. მიუხედავად ამისა, დროშის შეცვლის საკითხი მაინც დადგა დღის წერიგში. ეს განაპირობა ორმა ფაქტორმა: 1. ბრძოლის ველზე არსებულ ნაციონალურ დროშას შედცომაში შეყავდა სამხრეთელები, 2. სულ უფრო მეტი მოქალაქე ითხოვდა არსებული დროშის შეცვლას, რადგან ეს უკანასკნელი ძალიან ჰგავდა მათი მტრის, ჩრდილოელთა სახელმწიფო დროშას. პრესაშ საკმა-




ჩრდილოელთა კაროლინის დრაგუნთა 28-ე პოლკის საბრძოლო დროშა

ოდ დიდი ყურადღება დაუთმო დროშის საკითხს და მოვლენათა მიმდინარეობას საზოგადოებაც აქტიურად ადევნებდა თვალს. სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოსაზრებები, რომ ახალი დროშის მოგონება არ იყო საჭირო, რადგან მაილს-ბორეგარის საბრძოლო დროშა თავისუფლად შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო დროშა.

1863 წლის 1 მაისს კონგრესმა თვიციალურად დაამტკიცა რიგით მეორე ნაციონალური დროშა. მართალია, მაილს-ბორეგარის დროშა თავისთავად არ იქნადამტკიცებული კონფედერაციის სახელმწიფო დროშად, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ბორეგარმა გარკვეულნილად მაინც მიაღწია თავის ძველ მიზანს. ახალი დროშა იყო მართკუთხედის ფორმის, მისი სიგრძე ორჯერ აღემატებოდა სიგანეს. დროშის ველი იყო მთლიანად თეთრი, ხოლო მის ზედა

კუთხეში, ტარის მხრიდან მოთავსებულ იქნა მაილს-ბორეგარის დროშის ზომაში შემცირებული ვარიანტი. ეს დროშა ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგა გენერალ თომას ჯეესონის დაკრძალვაზე. ახალი სახელმწიფო დროშა გენერლის სასახლეზე იყო გადაფარებული. ამ მოვლენის შემდეგ მეორე ნაციონალურ დროშას აფრაოფიციალურად “ჯეესონის დროშასაც” უწოდებდნენ. ლის შემდეგ ჯეესონი იყო კონფედერაციის ყველაზე ცნობილი სამხედრო მოღვაწე. ახალ დროშაზე თეთრი ველის არსებობის მიზანშეწონობას განსაკუთრებით უჭერდა მხარს კონგრესის სამხედრო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი უილიამ მაილსი. იგი ასაბუთებდა, რომ სამხედრო დროშა თავისი ფერთა პალიტრით მისაღები იყო, ხოლო ნაციონალური დროშა მაქსიმალურად მარტივი და სადა უნდა ყოფილიყო. თეთრი ველი შესანიშნავად ასრულებდა ამ ფუნქციას. ახალი სახელმწიფო დროშისადმი კრიტიკა მაღევე დაიწყო. სამხედრო კუთხით ამ დროშასაც შეეძლო პრობლემები შეექმნა სამხრეთელთათვის. უქარო ამინდებში ტარზე უმოძრაოდ ჩამოკიდებული დროშის ძირითადად მხოლოდ თეთრი ველი მოჩანდა და მნახველს ეს დროშა კაპიტულაციის ნიშნად შეეძლო მიეღო. გარდა ამისა, ნაწილი მიიჩნევდა, რომ ახალი დროშა მაგიდის დიდ გადასაფარებელს უფრო წააგავდა ვიდრე სახელმწიფო დროშას. და ბოლოს, უკამაყოფილონი იყვნენ ფლოტის ნარმომადგენლებიც: კონფედერაციის თბომავალი გემების საკვამური-



1863 წლის 1 მაისს დამტკიცებული სახელმწიფო დროშა


დან გამოსული კვამლი ძალიან ადვილად აჭუჭყიანებდა თეთრი ველის მქონე დროშას. კიდევ ერთი უკამაყოფილება შეეხებოდა დროშის ზომებს. მისი სიგრძე ორჯერ აღემატებოდა სიგანეს. ასეთი პროპორციების გამო დროშა სწორად არ ფრიალებდა.

1864 წლის შემოდგომაზე კონფედერაციის რიგით მესამე სახელმწიფო დროშის შექმნაზე დაიწყო მუშაობა. ამჯერად ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა მაიორი არტიურ როჯერსი. დროშის ესკიზები განსახილველად მან გადაუგზვნა ფლოტისა და არმიის ოფიცერებს და, პირველ რიგში, რობერტ ედვარდ ლის. როჯერსმა ახალი დროშის შექმნისას მხოლოდ მცირე მოდერნიზაცია გაუკეთა არსებულ მეორე სახელმწიფო დროშას. თეთრი ველის ფართობის შესამცირებლად დროშის ბოლოს მან წითელი პერპენდიკლუარული ზოლი დაამატა. მანვე ფრიალის-

თვის საჭირო შეფარდებამდე დაიყვანა დროშის სიგრძე და სიგანე. 1865 წლის 4 მარტს კონგრესმა რიგით მესამე სახელმწიფო დროშა დაამტკიცა. როგორც შემდგომ აღმოჩნდება, ეს დროშა იქნება ამერიკის კონფედერაციული შტატების უკანასკნელი სახელმწიფო დროშა. მისი დამტკიცებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ აპომატოქსთან სამხრეთის არმიის მთავარსარდალი გენერალი ლი დანებდა ფედერალურ ჯარებს, რაც კონფედერაციის კაპიტულაციას ნიშნავდა. თუმცა ლის დანებების მიუხედავად სამხრეთელთა გარკვეული ფორმირებები მაინც განაგრძობდნენ ნინააღმდეგობის განევას. ცხადია, მათი ბრძოლა უპერსპექტივო იყო და სამხრეთს არსებული გამოუყვალი მდგომარეობიდან ვედარ გამოიყვანდა. საინტერესოა, რომ 1865 წლის 12-13 მაისს, სამოქალაქო ომის უკანასკნელ ბრძოლაში, ტეხასში, რიო გრანდეს ნაპირებთან, ე.წ. პალმიტოს რანჩის ბრძოლაში კონფედერატებმა გამარჯვებას მიაღწიეს. თუმცა აპომატოქსთან განვითარებულმა მოვლენებმა ეს გამარჯვება მთლიანად დაჩრდილა. სმოქალაქო ომში დამარცხების შემდეგ სამხრეთელთა დამოუკიდებლობის უმთავრესი სიმბოლო-დროშა გაუქმდა.

მესამე ნაციონალური დროშა თავისი მცირე ხნის არსებობის მანძილზე ვერ გავრცელდა.

ამგვარად, ამერიკის კონფედერაციული შტატების ისტორიაში სხვადასხვა ეტაპზე არსებულ სახელმწიფო თუ საბრძოლო დროშათა შორის ყველა-



1865 წლის 4 მარტს დამტკიცებული  
სახელმისამართო დროშა

ზე პოპულარული გამოდგა მაილს-ბორეგარის საბრძოლო დროშა. ომისშემდგომი პერიოდის სამხრეთელებისთვის იგი ყველაზე მეტად ასოცირდებოდა კონფედერაციის სუვერენიტეტთან და მის სამხედრო ძლიერებასთან. ეს დროშა გახდა სამხრეთის უნივერსალური სიმბოლო. ამავე დროშას ჩრდილოები მეამბოხეთა და მონათმფლობელთა მთავარ სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ქვეყნის ორ ნაწილად დაყოფის პერიოდში სწორედ მაილს-ბორეგარის საბრძოლო დროშა გახდა ჩრდილოელთა მიერ გამოყენებული აშშ-ს დროშის ყველაზე დიდი მეტოქე.

აქვე შეგვიძლია შევეხოთ სამხრეთელთა სამხედრო დროშაზე არსებულ სიმბოლოთა და ფერთა მნიშვნელობასაც. როგორც უკვე ვიცით, პირველი ნაციონალური დროშის კომპოზიცია დიდწილად იმეორებდა აშშ-ს დროშას. შესაბამისად ამ დროშის ჰერალდიკური კომპოზიცია და ფერები იმავე სიმ-

ბოლური დატვირთვის მატარებელნი იყვნენ, რასაც განასახიერებდა აშშ-ს დროშა. მაილს-ბორეგარის დროშასთან დაკავშირებით კი სხვა სიტუაციაა. ეს დროშა ორიგინალურია, მისი მიზანი იყო სწორედ ის, რომ ფედერალური დროშის მსგავსებისგან განთავისუფლებულიყო. კონფედერატების საბრძოლო დროშის მთავარი კომპოზიციური ელემენტია დროშის კვადრატში დიაგონალურად ჩასმული ანდრია მოციქულის (X-ის მაგვარი) ჯვარი. ხშირად ამ ჯვარს სამხრეთულ ჯვარსაც უწოდებენ. ამ კუთხით კონფედერატების დროშა იმეორებს შოტლანდიის დროშის ძირითად კომპოზიციურ დეტალს - დროშის ლურჯ ველზე დიაგონალურად მოთავსებული ანდრია მოციქულის ჯვარი. სამხრეთ კოლონიების თეთრკანიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ შორტლანდიური და შოტლანდიურ-ირლანდიური ნარმომავლობის იყო და მათთვის ახლობელი იყო ანდრია მოციქული, რომელიც შოტლანდიის მფარველად მიიჩნევა. ტრადიციის მიხედვით, ანდრია მოციქულმა ბრიტანეთში კელტ ტომთა შორის იქადაგა ქრისტიანობა. მისიონერული მოღვაწეობის დროს მოციქული მაკედონიაში წარმართებმა აცევს X-ის მაგვარ ჯვარზე. აღნიშვნის ღირსია ის ფატი, რომ ამერიკის კონფედერაციული შტატები იყო ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო დასავლეთ ნახევარსფეროში, რომელმაც სახელმწიფო დროშაზე (მეორე და მესამე ნაციონალურ დროშეზე) ღიად დააფიქსირა ქრისტიანული სიმბოლიკა.

კონფედერაციის საბრძოლო დროშამ უცვლელად გაიმეორა შეერთებული შტატების დროშის სამფერვოვანი პალიტრა - წითელი, თეთრი, ლურჯი.

კონფედერატების საბრძოლო დროშაზე თეთრი ფერი გამოხატავდა სამხრეთელ ხალხს და მათ წმინდა, სპეტაკ მიზნებს. ლურჯი ფერი სიმბოლურად განასახიერებდა ბრძოლის ველსა და ჯარისკაცთა შეტაკებას. ყველაზე მნიშვნელოვანი ფერი იყო წითელი, მას დროშის ველის დიდი ნაწილი ეჭირა. ეს ფერი სიმბოლურად წარმოანდგენდა კონფედერატი ჯარისკაცების მიერ ბრძოლის ველზე დაღვრილ სისხლს, ომში გამოჩენილ სიმამაცესა და ჟინს.

კონფედერაციის სახელმწიფო თუ სამხედრო დროშებთაში დაკავშირებით აუცილებელია ვიცოდეთ, რომ არცერთი ამ დროშათაგანი არ იყო აღმართული აფრიკიდან ამერიკის ნაპირებთან მოსულ მონათმფლობელურ გემებზე. სამოქალაქო ომის პერიოდში სამხრეთელთა გემები საოკეანო მონათვაჭრობაში არ მონაწილეობდნენ.

მაილს-ბორეგარის საბრძოლო დროშა იმდენად შეეზარდა აშშ-ს ისტორიას, რომ სწორედ იგი ასოცირდება ყველაზე მეტად კონფედერაციის დამოუკიდებელობის გარდასულ ეპოქასთან.

მიხეილ ბარნოვი  
**Mikheil Barnovi**

## საქართველოს დემოკრატიული რესაულიკის პრეზიდენტი

წინამდებარე სტატიით “ჰეროლდი” აგრძელებს წერილების ციკლს თემაზე “ქართული ბონისტიკური ძეგლები”.

წინა სტატიაში აღვნიშნეთ, რომ ამიერკავკასიის ფინანსური ერთობის დროებითი შენარჩუნება 1918 წლის მაისიდან 1919 წლის ივლისამდე აუცილებლობამ განაპირობა. ამეირკავკასიის კომისარიატის ბონს ერთგვარი გარდამავალი ფუნქცია უნდა შეესრულებინა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ეროვნული ვალუტის შემოღებამდე.

მიუხედავად იმ გარკვეული სარგებლობისა, რასაც ამიერკავკასიის ფინანსური ერთიანობის შენარჩუნება იძლეოდა, აღნიშნული მდგრამარება აშკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას ფინანსურ სფეროში და, ამდენად, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ამის გამო, ქართული ფულის თუნდაც ბონის სახით გამოშვების მომხრეთა რიცხვი თანადათან იზრდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაში.

აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევისა და მთავრობის შემადგენლობის შეცვლის შემდეგ.

თვალსაჩინო ეკონომისტის – კონსტანტინე კანდელაკის (1883-1958) ფინანსთან და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტზე დანიშვნამ დადებითი როლი შეასრულა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებელი ფინანსური სისტემის შექმნისკენ სწრაფვის დაჩქარებაში.


1919 წლის 11 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი “საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემისა”. იმავე წელს გამოვიდა შემდეგი ნომინალის მქონდე ბონის კუპიურები: 50 კაპეიკიანი, აგრეთვე, 1, 3, 5, 10, 50, 100, და 500 მანეთიანები, რასაც 1920 წელს დაემატა 1000 მანეთიანები, ხოლო 1921 წელს – 5000 მანეთიანები, რომელთა ავტორებიც არიან მხატვრები: ი. შარლემანი, ჰ. პრინცესკი და დ. შევარდნაძე.

ბონებზე სამენოვანი (ქართული, რუსული და ფრანგული) წარწერებია. ასევე მთავრობის თავმჯდომარის - ნოე უორდანისა და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის - კონსტანტინე კანდელაკის ფაქსიმილები ქართულ ენაზე.

ბონები გაფორმებულია მაღალ მხატვრულ დონეზე და გამოირჩევა ეროვნული ხასიათით. ზოგიერთ მათგანზე - 5, 10, 50 და 100 მანეთიან კუპიურებზე - გაფორმების თვალსაზრისით საგრძნობია ამეირკავკასიის კომისარიატის ანალოგიური ნომინალის მქონე ბონების ერთგვარი ზეგავლენა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ზემოხსენებული 10 ნომინალის ძირითადი ფერი და ზომა (მილიმეტრებში) ასეთი იყო:

50 კაპეიკი – ცისფერი ჩალისფერზე - 57/39



1 მანეთი – ყავისფერი ვარდისფერზე - 77/53



3 მანეთი – შავი მწვანეზე – 89/60

10 მანეთი – მუქი შინდისფერი და ყავისფერი  
ვარდისფერზე – 120/77



5 მანეთი – ყავისფერი და მუქი მწვანე ნარი-  
ნჯისფერზე – 115/74

50 მანეთი – იისფერი და ლია მწვანე ნაცრის-  
ფერზე – 134/88



100 მანეთი – მწვანე და ვარდისფერი – 156/101



1000 მანეთი – მუქი ყავისფერი და ნარინჯისფერი ცისფერზე – 163/102




500 მანეთი – შავი, ცისფერი და ვარდისფერი ჩალისფერზე – 163/102



5000 მანეთი – მუქი ლურჯი და ვარდისფერი ნაცრისფერზე – 175/105



განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 500-მანეთიანი ბონის კუპიურა. მის ავერსზე აღბეჭდილია შუა საუკუნეების არქიტექტურული სტილით ნაგები პომპეული თაღი, რომლის ქვეშ მდგარ და ჩუქურთმებით დამშვენებულ საკარცხულში ამაყად დაბრძანებულა პირმშვენიერი ახალგაზრდა მანდილოსანი. მისგან მარჯვნივ არის ოვალური ფარის, ხოლო მარცხნივ – საბრძოლო შუბის გამოსახულება.



მანდილოსნის მსგავსი გამოსახულება იმავე პერიოდში გამოშვებული ქართული საფოსტო მარკების ზოგიერთ სერიაზეც გვხვდება. მკვლევარ პა-ატა ნაცვლიშვილის დაკვირვებით, „საფიქრებელია, რომ ეს ქალი საქართველოს სიმბოლოდ ჰქონდა წარმოდგენილი მარკების მხატვარს, დაახლოებით ისეთ სიმბოლოდ, როგორც ცნობილი მარინა - საფრანგეთის მარკებზე“.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე 5000-მანეთიანი ბონის კუპიურაც. მის ავერსზე აღბეჭდილია თბითალოვან ჩარჩოში ჩახატული საქართველოს მთავრობის სასახლე, რომლის ფლაგშტოკზეც იმდროინდელი სახელმწიფო სამფეროვანი დროშა ფრიალებას.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები დაბეჭდილია ამერიკავასიის კომისარიატის ბონების მსგავს, არაჭირნიშნიან ქალალდზე. გამონაკლისად შეიძლება ჩაითალოს 500-მანეთიანი ბონის ნაწილი, რომელზეც ფრიად საინტერესო ფორმის ჭვირნიშნები გვხვდება. ეს ჭვირნიშნი წარმოადგენს ოთხთალოვან ჩარჩოში ჩასმული სამი ქართული ასოს – ს.დ.რ.-ს (იშიფრება როგორც: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) ერთმანეთში მხატვრულად ჩაგვირისტებულ კომბინაციას. ამ ტიპის ჭვირნიშნებით მოფენილია ბონის მთელი ფართობი.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 1921 წლის თებერვალში, თბილისის დატოვებისას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თან წაიღო ხსენებული ჭვირნიშნიანი ქალალდის მთელი მარაგი.

სწორედ ამან განაპირობა, რომ იმავე 25 თებერვალს თბილისში შემოჭრილი და დამკვიდრებული საოცეპაციო რეჟიმი, რომელსაც ოფიციალურად ეწოდებოდა: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლება და, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში განაგრძობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონების გამოშვებას, იძულებული იყო, რომ ფულის ნიშნები არაჭირნიშნიან ქალალდზე ებეჭდა.

1919 წლის 11 ივლისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე თბილისში განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონების ხუთი ემისია.

მართალი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იმდროინდელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის - კონსტანტინე კანდელაკის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ: „საქართველოს ქალალდის ფულს, როცა დამოუკიდებელი საქართველო საბჭოთა ჯარების მსხვერპლი გახდა, გამოკეთების მეტი ნიშნები ეტყობოდა, ვინემ იმ ფულის ნიშნებს, რომლებითაც ნლების განმავლობაში სარგებლობდა ბევრი სხვა სახელმწიფო“.

ნიკო ჯავახიშვილი  
Niko Javakhishvili

## მსოფლიო პრენდების ლოგოთის ევოლუცია

### პეპსი Pepsi

კომპანია პეპსის პირველი ლოგო 1898 წელს გამოჩნდა. ეს იყო ნითელი, ჩახლართული ასოებით დაწერილი სასმელის სახელი Pepsi-Cola. სასმელმა იმთავითვე მოიპოვა პოპულარობა, რამაც მომავალში მისი რებრენდგინა და ლოგოს დახვეწის




აუცილებლობაც გააჩინა. 1905 წელს მნარმოებლებმა კომპანიის ლოგოზე წარწერა Pepsi-Cola გაამსვენილეს, რათა ის უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო. ამავე დროს, მოხდა ერთი უმნიშვნელო ცვლილება, სიტყვებს შორის დეფისი ორწერილმა ჩაანაცვლა. უკვე 1906 წელს კი ლოგოზე ერთგავარი დევიზიც დაამატეს. 1906-1940 წლებში კომპანიის ლოგო პროდუქტის სახელწოდებისა და დევიზის ერთობლიობას წარმოადგენდა: Drink Pepsi-Cola (დალი პეპსი-კოლა). 1940 წელს ლოგოს სიტყვა Drink მოაშორეს. 1950 წელს პროდუქტის ლოგო კიდევ უფრო დაიხვენა, როდესაც წარწერამ Pepsi-Cola ბოთლის ფერად სახურავზე გადაინაცვლა. 1962 წელს პროდუქტის სახელწოდებიდან სიტყვა Cola ამოიღეს და ბოთლის ფერად თავსახურზე მხოლოდ PEPSI დარჩა. ამის შემდეგ ლოგო კიდევ რამდენჯერმა შეიცვალა, თუმცა მისი ძირითადი იდეა უცვლელი რჩებოდა. ყველაზე თვალშისაცემი ცვლილება ლოგომ 2008 წელს განიცადა, როდესაც მას PEPSI მოაშორეს და მხოლოდ სამფეროვანი (წითელი, თეთრი, ლუჯრი) რგოლი დარჩა. თანამედროვე მსოფლიოში სასმელის პოპულარობა და სამფეროვანი ბურთის ცნობადობა იმდენად დიდია, რომ დღეისათვის რაიმე ზედმეტ განმარტებას აღარ საჭიროებს.

### კოკა-კოლა COCA-COLA

კოკა-კოლას პირველი ლოგო მომხმარებელმა 1886 წელს იხილა. ეს იყო თეთრ ფონზე ინგლისური შავი მთავრული ასოებით დაწერილი COCA-

COLA. 1900-იანი წლების დასაწყისშივე სასმელის ბოთლებზე იგივე წარწერა ყველასათვის ცნობილი ხელწერით შესრულებული გამოჩნდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კოკა-კოლას ლოგოს 125 წლიანი ევოლუციის მანძილზე ფორმა და შინაარსი მნიშვნელოვნად არ შეუცვლია და XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ისეთია, როგორსაც ჩვენ ყველა ვიცნობთ. პირველი თვალშისაცემი ცვლილება ლოგომ 50-იანი წლების დასაწყისში განიცადა, როცა შავი წარწერა თეთრ ფონზე შეიცვალა თეთრი წარწერით წითელ ფონზე. 60-იან წლებში ლოგოზე გაჩნდა წარწერა Enjoy (ისიამოვნე). ასევე COCA-COLA-ს ქვეშ Trade Mark ® (სავაჭრო ნიშანი). 1985 წელს კომპანიის ახალი პროდუქტი გამოჩნდა, რომლის ლოგოსაც წითლად დაწერილი წარწერა COKE წარმოადგენდა. 80-იანი წლებში ბოლოს კი ის COCA-COLA-ს ქვეშ ეწერა. 90-იან წლებში გამოჩნდა ახალი ლოგო. ეს იყო წითელ წრეში ჩახატული სასმელის ბოთლი ცნობილი წარწერით. წითელ წრეში კი გაზის ბუშტუკები ჩაანდა. XXI საუკუნის დასაწყისში ლოგომ კვლავ მინიმალისტური სახე მიიღო და თეთრს ფონზე დაწერილი COCA-COLA გახდა, იმ განსხვავებით, რომ ქვეშ სიტყვა Classic ჰქონდა მიწერილი. დღეისთვის მოქმედი ლოგო 2009 წლიდან გამოჩნდა. მასში განსხვავება ისაა, რომ წარწერა გაკეთებულია თეთრ ფონზე წითელი ფერით.



### ნაიკი Nike

სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მნარმოებელი კომპანია ნაიკი 1971 წელს დაარსდა. მისი ლოგო, მეტსახელად „სუში“ (Swoosh) იმავე წელს იხილა ფართო საზოგადოებამ. მისი ავტორი ქეროლინ დევიდსონი იყო, რომელიც კომპანიის დამფუძნებელმა ფილ ნაითმა პორტლენდის უნივერსიტეტში გაიცნო. ნაითმა დევიდსონს ლოგოს დიზაინში 35 დოლარი გადაუხადა. მას არასოდეს

მოსწონდა „სცუში”, მაგრამ აღნიშნავდა, რომ სწორედ ის იყო კომპანიისთვის წარმატების მომტანი. 1971 წლიდან დღემდე ნაიკის ლოგომ უმნიშვნელო ცვლილება რამდენჯერმა განიცადა და დღეისათვის მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობი; სავაჭრო ნიშავს წარმოადგენს.



### ქენონი Canon


საყოველთაოდ ცნობილი და ბევრისთვის საყვარელი კომპანია ქენონის დებიუტი 1934 წელს შედგა. თუმცა მაშინ მისი სახელი იყო „კვანონი“. კომპანიის სახელი ბუდისტური რელიგიის წყალობის ქალღმერთის პატივსაცემად შეარჩიეს. ამ ქალღმერთს ბევრი ხელი ქონდა, რომელითაც ადამიანთა სურვილებს აკმაყოფილებდა. პირველი ლოგოს მთავარი ფიგურა სწორედ ქალღმერთი კვანონი იყო, რომლის ზემოთაც იყო ინგლისურენოვანი წარწერა Camera, ხოლო ქვემოთ კომპანიის სახელი Kwanon. ეს ლოგო 1934 წელსვე შეიცვალა და მხოლოდ წარწერა Kwanon დატოვეს. თუმცა მომდევნო წელს კომპანიის სახელიც შეიცვალა, რამაც ლოგოს ცვლილებაც გამოიწვია. წარწერა Kwanon შეიცვალა და ახალ ლოგოთაც მინიმალისტური სამარკა ნიშნის აღმნიშვნელი წარწერა Canon იქცა. ამ ლოგოს მნიშვნელოვანი ცვლილება აღარ განუცდია.



### ჟელი SHELL

საინტერესო ისტორია აქვს ნავთობის კომპანია შელის ლოგოს. ის 1900-ანი წლების დასაწყისშივე გამოჩნდა და იყო ჩვეულებრივი ნიუარა (თავად სიტყვა SHELL ქართულად სწორედ ნიუარას ნიშნავს). არსებობს ვერსაა, რომ კომპანიის სახელწოდებისა და ლოგოს შერჩევაზე დიდი გავლენია იქონია შოტლანდიური წარმოშობის ბიზნესმერნა მისტერ გრეჰემმა, რომელსაც მარკუს სამუელის (შელის დამფუძნებელი) ნავთობი ინდოეთში შეკენდა. ამ ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ გრეჰემის საგვარეულო გერბზე ნიუარა იყო გამოსახული. თავდაპირველად შელის ლოგო იყო რეალისტურ სტილში დახატული შავთეთრი ნიუარა. მოგვიანებით ლოგოს გამომსახველობითი მხარე დაიხვენა. 1948 წლიდან კი მასში ორი ფერი, წითელი და ყვითელი შემოვიდა. თითქმის საბოლოო სახე ლოგომ 1971 წელს მიიღო. 1995 წელს წითელი

ფერი იღება გააღიავეს. საბოლოოდ კი ლოგოს წარწერა "SHELL" მოაშორება. საყურადღებოა, რომ კომპანიის დასახელება ასევე არ იყო დატანილი თავდაპირველ, შავ-თეთრ ლოგოებზე. 1971 წელს შექმნილი ლოგოს ავტორი რეიმონდ ლევია, რომელსაც ამ დარგში მოღვაწე კიდევ ორი კომპანიის, ბრიტონული იუმისა (British Petroleum - BP) და ექსონის (Exxon) ლოგოები აქვს შექმილი.



### ნოკია Nokia

1865 წელს ინჟინერმა ფრედრიკ იდესტამმა მდინარე ტამერკოსკის ნაპირას, ქალაქ ტამპერეში ხის მერქნის გადამამუშავებელი საწარმო გახსნა. სამი წლის შემდეგ კიდევ ერთი საწარმო გაიხსნა მდინარე ნოკიანვირტაზე. სწორედ ამ მდინარის წყალობით მიიღო კომპანიამ საქვეყნოდ ცნობილი სახელი. კომპანიის პირველ ლოგოზე თევზი იყო გამოსახული. ეს იყო მდინარე ნოკიანვირტას ორაგული, რაც საწარმოს ადგილმდებარეობას უსვამდა ხაზს. 1898 წელს ედუარდ პოლონმა რეზინის ნაწარმის გადამამუშავებელი ქარხანა ააშენა. ეს საწარმო მაღლე ნოკიას შეერწყა და კომპანიამ უამრავი პროდუქტის წარმოება დაწყო. იქმნებოდა ველოსიპედისა თუ მანქანის საბურავები, რეზინის ბოტები, სატელეკომუნიკაცი კაბელები, ალუმინის ნაწარმი და ა.შ. კომპანიის საქმიანობის გაფართოებას ლოგოს ცვლილებაც მოჰყვა, თუმცა ის წინამორბედზე გაცილებით უპრეტენზით იყო. დროთა განმავლობაში კომპანიას სხვა საწარმოებიც უერთდებოდა. 1965 წელს გაერთიანებულმა სუბიექტებმა ოფიციალურად შექმნეს კორპორაცია ნოკია. იმავე წელს გაჩნდა ახალი ლოგო. შავ წრეში ჩახატულ შავ ნახევარრკალზე თეთრად გაკეთებული წარწერა Nokia. შემდეგ ეს წარწერა წრიდანაც ამოვარდა და ფერიც შეიცვალა. ლურჯ ფერში გადაწყვეტილი ლათინური მთავრული ასოები კომუნიკაციების ერთ-ერთი



უმსხვილესი კომპანიის ადვილად ამოსაცნობ ნიშნად იქცა. 1998 წლიდან ნოკიას ლოგოს დაემატა წარჩერა Connecting People, რაც მისი დღევანდელი საქმიანობის არსს კარგად გადმოსცემს.

### ფაირფოქსი Firefox

2002 წელს ინტერნეტბაზარზე ახალი ბრაუზერი გამოჩნდა. მისი სახელი იყო ფენიქსი (Phoenix), რომელიც ასევე ცნობილი იყო როგორც ცეცხლოვანი ჩიტი (Firebird). ამ პროდუქტის ლოგოზე სწორედ ცეცხლის აღში გახვეული ფენიქსი იყო გამოსახული, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი განახლებისა და აღორძინების სიმბოლოა, თუმცა 2003 წელს მას სახელი გადაერქვა და Firefox, ანუ “ცეცხლოვანი მელა” დაერქვა. სახელის ცვლილებას მოყვა ლოგოს ცვილილებას. დედამინაზე შემოხვეული “ცეცხლოვანი მელა” მსოფლიოში ცნობილ სიმბოლო იქცა. პროდუქტის ახალი ვერსიის გამოსვლასთან ერთად ლოგომაც ოდნავ იცვალა სახე, თუმცა 2003 წლის შემდგომ მასში სერიოზული ცვლილებები არ შესულა.

### აუდი Audi

საინტერესო ისტორია აქვს საავტომობილო კონცერნ აუდის ლოგოს. ყველასათვის ცნობილი სიმბოლო, ოთხი გადაბმული რეოლი 1932 წელს, ოთხი კომპანიის გაერთიერების შედეგად შეიქმნა. საქმე იმაშია, რომ აუდის კორპორაციამ კიდევ სამი მნარმარებელი: Horch, DKW და Wanderer შეიერთა. ამ გაერთიანების ათსანიშნავად, ოთხივე კომპანიის მაშინდელი ლოგოები წრეებში მოათავსეს და ეს წრეები ერთმანეთზე გადააქცია. ცოტა ხანში ოთხივე სუბიექტის ძველი ლოგოები გაქრა და დარჩა მხოლოდ ოთხი ერთმანეთზე გადაჯაჭვული რეოლი. აუდის ლოგო ბევრს აგონებდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ემბლემას. მართლაც მსგავსება თვალშისაცემი იყო. თუ ლოიმპიური მოძრაობის ხუთი გადაჯაჭვული რეოლი ხუთი კონცინენტის გაერთიანებაზე მიანიშნებდა, აუდის ლოგოზე გამოსახული ოთხი რეოლი ოთხი კონცერნის გაერთიანების სიმბოლო იყო. 1995 წელს საერთაშორისო არბიტრაჟში, რომე-



ლიც სამარკო ნიშნებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აუდის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და საავტო-

მობილო გიგანტს იდეის ქურდობაში დასდო ბრალი. სანგრძლივი დავის შემდეგ, 2009 წელს კომპანიის საუკუნოვან იუბილეზე აუდის მესვეურებმა მცირედ კორექტირებული ლოგო წარმოადგინეს. ახალ ვარიანტში რეოლების გადაბმის პრინციპი შეიცვალა, რითაც ის თითქოს აღარ წარმოადგინებოდა მოძრაობის სიმბოლოს. ამის შემდეგ საარბიტრაჟო დავაც შეწყდა. აუდის ახალი ლოგოს ავტორი არაბული წარმოშობის დიზაინერი რაიან აბდულაპია.

### BMW

მსოფლიოში ცნობილი და უამრავი ადამიანისთვის სათავანებელია კომპანია BMW და მის მექინიზმებული ავტომობილები, თუმცა თავისი ისტორიის დასანყისში მან სახელი თვითმფრინავების ძრავის წარმოებით გაითქვა. **Bayerische Motoren Werke**, ესაა სახელი, რომელითაც იწყება კომპანიის ისტორია, რაც ქართულად მიახლოებით ითარგმნება, როგორც “ბავარიაული ძრავების წარმოება”. შემდგომში ყველასთვის ცნობილი აბრევიატურა, სწორედ ამ სამი გერმანული სიტყვის პირველი ასოებია. რაც შეეხება კომპანიის ლოგოს, მასზე გავლენა ორმა ფაქტორმა მოახდინა. პირველი იყო ადგილი სადაც მისი ისტორია იწყება. ბავარიაში დაფუძნებულმა კომპანიამ ლოგოს მოტივად ბავარიის დროშა და მასზე გამოსახლი თეთრი და ცისფერი, ირიბად დახრილი რომბები აიღო. მე-



ორე კომპანიის თავდაპირველი საქმიანობის სფეროა. თეთრისა და ცისფერის წრიული მონაცემები ასოციაციურად თვითმფრინავის მბრუნავ პროპელერს განასახიერებს.

**BMW** – პირველი ლოგო 1917 წლის 10 დეკემბერს გატარდა რეგისტრიაციაში და მიენიჭა ნომერი 221388. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე რამდენიმე კოსმეტიკური ცვლილება განიცადა, თუმცა ძირითადი მახასიათებლები არასოდეს შეცვლილა.

დავით ბრაგვაძე  
Davit Bragvadze

**საქართველოს ორგანული კანონი  
საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ**

**მუხლი 1**

- ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად ადგენს საქართველოს სახელმწიფო დროშს, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, აღნერილობას, მისი გამოყენებისა და დაცვის წესს.
- ამ კანონით დადგენილი საქართველოს სახელმწიფო დროშა არის საქართველოს სახელმწიფო დროშის ერთადერთი ვარიანტი. აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო დროშად სხვა დროშის გამოყენება.
- საქართველოს სახელმწიფო დროშის ორიგინალი ინახება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილ ადგილას.

**მუხლი 2**

- საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, რომელის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა ნითელი ფერის დიდი ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის, ბოლოურ-კაცური ჯვარი.
- საქართველოს სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომები და ზუსტი გამოსახულება დგინდება. საქართველოს სახელმწიფო დროშის ზომების შეცვლა შესაძლებელია პრეზიდენტის იმავე ბრძანებულებით განსაზღვრული შესაბამისი პროპორციების დაცვით.
- საქართველოს სახელმწიფო დროშის დაზიადების წესი და პირობები დგინდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

**მუხლი 3**

- საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება:
  - საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე;
  - საქართველოს პარლამენტის შენობაზე;
  - საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების შენობაზე;
  - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაზე;
  - საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობაზე;
  - საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაზე;
  - საქართველოს კონტროლის პალატის შენობაზე;
  - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შენობაზე;
  - საქართველოს გენერალური პროკურატურის შენობაზე;
  - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაზე;
  - სხვა ადმინისტრაციული ორგანოების შენობებზე;
  - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც ტარდება ამ ორგანოთა სესიები - სესიების მთელ პერიოდში;
  - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების, სანარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენობებზე;
  - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც ტარდება ამ ორგანოთა სხდომები - სხდომების მთელ პერიოდში;
  - საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საელჩოებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობებზე;
  - საზღვაო გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა მინერის ადგილი საქართველოს ტერიტორია.
- საქართველოს სახელმწიფო დროშა გამოიინება:
  - სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც ემსახურება საზღვარგარეთ არსებულ საქართველოს წარმომადგენლობებს;
  - საქართველოში მიმდინარე ოფიციალურ საერთაშორისო ღონისძიებებზე;
  - საზღვაო და შიდა მიმოსვლის გემებსა და მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომლებზედაც ოფიციალური პირების სახით იმყოფებიან საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან სხვა პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენენ საქართველოს სახელმწიფოს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და კონსულები.
- ამ მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები განსაზღვრავენ თავიანთ დაწესებულებებში საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენებისა და დაცვის სხვა შემთხვევებს.



## მუხლი 4

1. საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო დროშა უნდა იყოს მასზე დიდი ზომის და აღმართული უფრო მაღლა.

2. საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად სხვა ქვეყნის დროშის აღმართვის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო დროშა არ უნდა იყოს მასზე მცირე ზომის.

## მუხლი 5

1. საქართველოს სახელმწიფო დროშის დაცვას უზრუნველყოფები შესაბამისი სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

2. აკრძალულია დაზიანებული, გაუფერულებული ან სხვაგვარად შელახული საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენება.

3. საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების დადგენილი წესის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 6

ამ კანონის მიღების დღე ცხადდება საქართველოს სახელმწიფო დროშის დღედ.

## მუხლი 7

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1990 წლის 14 ნოემბრის საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ” და 1990 წლის 28 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”.

2. ამ კანონით გათვალისწინებულმა შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა ერთი კვირის ვადაში უზრუნველყონ თავის ადგილსამყოფელზე ამ კანონით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვა.

## მუხლი 8


ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტის

მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბურჯანაძე

თბილისი,  
2004 წლის 14 იანვარი.  
3233-რს



## საქართველოს სასაზღვრო ძალების სიმბოლიკა


გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირებასთან ერთად მისი სათანადო მხედრული სიმბოლიკით აღჭურვის საკითხიც დადგა, რაც მეტნაკლები სისრულით გადაიჭრა კიდეც. ამავე პერიოდშივე განხორციელდა საქართველოს სასაზღვრო ძალების აღჭურვა შესაბამისი სიმბოლიკით, რომლის ნაწილსაც აქ წარმოგიდგინთ გაცნობის მიზნით (დამტკიცებულია 1999 წელს).




საქართველოს  
სასაზღვრო ძალების  
სეფე დროშა და  
სამკლაური




საქართველოს  
სასაზღვრო ძალების  
სანაპირო დაცვის  
დროშა და სამკლაური



საქართველოს  
სასაზღვრო საჰაერო  
ძალების დროშა  
და სამკლაური



საქართველოს  
სასაზღვრო ძალების  
მოტომექანიზირებული  
რაზმის დროშა და  
სამკლაური



საქართველოს სასაზღვრო ძალების სარდლის შტანდარტი

# Summaries in English

## The Symbols of Abkhazia (The Draft Symbols of the Autonomous Republic of Abkhazia)

Mamuka Gongadze

The project for the development of the regional symbols in Georgia raised the question of creation of the Flag and the Coat of Arms of the Autonomous Republic of Abkhazia. The article reviews in details the history of the coats of arms and the flags related to territory of Abkhazia. The article considers the heraldic heritage of Prince Vakhushti Bagrationi (1696-1758), the maps by the Western European cartographers, Soviet heraldic symbols and the current flag and the coat of arms of today's occupied territory.

After summarizing and analyzing the above-mentioned, the article provides a draft flag and coat of arms of the Autonomous Republic of Abkhazia, which is based on the historical heritage and the state symbols of Georgia. The project considers to a maximum extent the current heraldic heritage for the territory of Abkhazia. As a result, this proposal is likely to be acceptable for Georgians, as well as for Abkhazians.

## One of the Earliest Portraits of Sivmon I with the Earliest Known Coats of Arms of Georgia Alexander Boshishvili

The Article is about the portrait of the King of Kartli (eastern Georgia) Sivmon I, engraved by the Italian artist Giovanni Orlando (late XVI to early XVII century). Orlando has created portraits of a number of famous European State figures, including the Pope.

His portrait of the Georgian King is of utmost interest for us, because it contains the Coat of Arms depicting an elephant with a fortress, which the author suggests belonged to the Georgian King. The author proposes that this is the oldest surviving depiction of the Coat of Arms related to Georgia.

## Issue of the State Flag of Georgia

Tornike Asatiani

The Article is dedicated to one of the most contentious and urgent issues of modern Georgia: the state flag of Georgia. There are two positions amongst society and within scientific circles as well: (1) one group states that the current Flag is in complete correspondence with the historical past of Georgia, and our state has the right to use it as the main attribute; and (2) the second group considers that this flag is not of Georgian origin, and they propose replacing it.

The Article covers the important issues related to the state flag. It discusses Georgian and foreign written, cartographic and numismatic sources, and samples of surviving Georgian flags. There is the supposition on this basis that the five-cross flag might not be the royal flag of Georgia during the reign of King Vakhtang I Gorgasali and King David IV the Builder, but the similar charge was familiar in medieval Georgia. At the same time, depiction of this symbol on Western European portolans and above the Georgian cities since the XIII century provides historical grounds for Georgia to use the above-mentioned symbol as the State Flag.

## Oldest Georgian Royal Seal

T.Jojuia

In this interview, Georgian historian and specialist of sphragistics Temo Jojuia tells about the "Gareji document" from 1160 from the Georgian manuscript collection of the Austrian National Library. After the analysis of the stamp on the pages 56 and 105 of the document, Mr. Jojuia concludes that this is the royal seal of King George. This suggestion is confirmed with inscription on the stamp, "Servant of our lord, King of kings George." The seal depicts five crosses with a larger central cross and inscription "Cross of Christ." Mr. Jojuia suggests that among the symbols attributed to the state, the five-cross composition is one of the oldest.

## Crown of Kings of Imereti

I.Bichikashvili and N. Beruchashvili

This article covers the history of the royal crowns of Imereti (Kingdom in western Georgia). Authors start with analysis of some documents related to the crown, including the description of the Imeretian royal crown by renowned scholar E. Takaishvili, description of the crown of king of Imereti Alexander III by Russian ambassadors N. Tolochanovs and A. Ivlevs from the 1650s', and the description from 1854 of the crown from Gelati Monastery treasury. King Alexander is also depicted wearing this crown by his contemporary Italian missionary Don Christoforo de Castelli. In conclusion, the authors conclude that the misnamed "Mitre of a Bishop" from the Art museum

of Georgia's Embroidery Department is actually the royal coronation crown of the Imeretian King George III (1603-1639) and his son King Alexander III (1639-1660).

### Crown

**Zachary Kiknadze**

The origin of the crown lies in the ancient past. Prototypes of European crowns emerged in the Near East and the Hellenistic world.

This article covers the history of western royal crowns and coronets of nobility, including the similarities and differences among the crowns and coronets of different European countries. The use of heraldic crowns and coronets and their traditional depiction in heraldry is also reviewed.

As for Georgia, the use of uniquely Georgian heraldic coronets, which in any case was not very developed, was interrupted by the XIX century annexation of the Georgian kingdoms and dukedoms by the Russian empire. Consequently, Georgian nobles started using Russian heraldic coronets in their coats of arms. (Russian coronets are copied from German Heraldry.)

In light of the above-mentioned, the author proposed a uniquely Georgian system of heraldic crowns and coronets in 1997. Some of them (royal, sovereign and non-sovereign dukes) are based on historical depiction of crowns. Others are a mix of existing heraldic tradition and the author's fantasy.

1.Crown of King of Kings (mepet mepe) of Georgia (David IV The builder Crown); 2.Crown of sovereign Duke (mtavari) of Guria (Gurieli); 3.Crown of sovereign Duke (mtavari) of Samegrelo (Dadiani); 4.Crown of sovereign Duke (mtavari) of Abkhazia (Sharvashidze); 5.Coronet of non-sovereign Duke (eristavi) and non-sovereign Prince of high status (pirveli harishis tavadi); 6.Coronet of non-sovereign Prince of middle status (meore harishis tavadi); 7.Coronet of non-sovereign Prince of lesser status (mesame harishis tavadi); 8.Coronet of Great Baron (pirveli harishis aznauri); 9.Coronet of Baron (meore harishis aznauri); 10.Coronet of ecclesiastical Baron (saeklesio aznauri); 11.Coronet of Chevalier vassal of a Prince (satavado aznauri); 12.Coronet of baronial vassal Chevalier (aznauris aznauri) existed only in western Georgian kingdom and dukedoms; 13. Coronet of Honorary Citizen;

### The Portolan of 1339 by Angelino Dulcert

The Portolan by Angelino Dulcert, drawn in 1339 in Parma, which is kept in the National Library of France, is one of the outstanding pieces of Mallorca School of Cartography. It is interesting due to a number of details, but it is particularly interesting for us, as it contains the composition of five cross flags on the top of two Georgian cities: Sokhumi and Tbilisi.

### New Symbols of the regions of Ukraine

**Andriy Greczylo**

Ukraine a large state in Europe, containing 24 provinces and the Autonomous Republic of Crimea. The article provides a detailed description of the history of the regional symbols of Ukraine. The article outlines the challenges and trends, which attended the adoption of the regional symbols of Ukraine. The Article summarizes the general picture of the main characterization of the regional symbols and also the factors influencing them.

### Short summary of Japanese Mon system

**M. Kiknadze**

This article covers the history of Japanese Symbols, which bear similarity to European heraldry. Kamon or Mon system was already firmly established around the 18th century. The author tells the story of development and of the use of the Mon symbols by Japanese aristocracy. The author talks about groups of manmade and natural objects usually depicted for a Mon and tells the story of some of the most widely used ones.

### History of Circassian National flag

**Giorgi Gurjidze**

The population of the Caucasus region is multi-cultured and ancient. There are many ethnic groups living in the depths of mountain gorges and villages. They speak ancient Caucasian languages and follow traditions which are not known to the world until now. Circassians are one of these native nations, with their own history and culture. The last two centuries were the most difficult time for this nation, as they were fighting to keep their national identity, language, land and life. They tried this with united resources and strength of all Circassian people, and this movement started with the creation of a symbol of the unity, their national flag. It is a green flag with twelve golden stars and three arrows on it. This symbols are connected with the Circassian prince Saferbi Zan, twelve Circassian tribes and represent freedom and peaceful life. The history of the creation of this flag is kept in British and Russian sources.

## How Adyghea was celebrating the return of Shapsugh flag in 1926

Naima Neftiasheva

In the three republics of North Caucasus, Adyghea, Kabardino-Balkaria and Karachai-Cherkessia and countries where the Circassian diaspora exists, on January 13, the Day of the Circassian Flag is celebrated. Among the North Caucasian republics, Adygea is the only one where this historical flag is readopted. In 1992, Adyghea seceded from Krasnodar region and became a direct subject of the Russian Federation. By a decree of the Supreme Council of Adyghea, the historic green flag with twelve golden stars and three golden arrows was adopted by this new republic. It is also interesting that in the year of 1926, Adyghea was celebrating the return of another historic Sapsugh (ethnic subgroup of Circassians) flag from Tbilisi. In 1864, during the Caucasian war, this flag was taken as a war trophy by Russians and kept at the Tbilisi State Museum. Today the Shapsugh flag is at the National Museum of Adyghea.

Article is employing the letter of an eyewitness of this event.

## The Heraldic Attributes of Ingushetia

Mariam Bezhitashvili

This article is about the national attributes of Ingush - one of the ancient peoples of Caucasus. It is interesting how the government official signs are marked with national symbols when the people do not have the political independence. (The article marks the 20-th anniversary of the Ingushetia Republic).

Observations of the public attitudes of ethnic Ingush people (based on internet and social media) demonstrate that the promotion of national attributes is done constantly. The goal is to clearly underscore the cultural individuality and original heritage. The author analyzes the Ingush heraldry in a historical context and describes modern Ingushetia's coat of arms. Exclusively national symbols are in the foreground for self-identification. The author makes a comparison with heraldry of other peoples of the North Caucasus to assess the Ingush coat of arms in the present socio-political context. The coat of arms of Republic Ingushetia (without sovereignty) is a clear visualization of the uniqueness of its national unity. It seems it is a resource for cultural accomplishment, a strong desire of self-expression and autonomy.

## National Flags of the Confederate States of America

Mikheil Barnovi

The Confederate States of America (CSA) was a government set up from 1861 to 1865 by eleven Southern slave states that had declared their secession from the United States. During the period of independence, CSA made military attempts to protect its Sovereignty. In order to underline the appearance of a new state, the Southern government decided to adopt new national flag that would differ from the one that was used by the Union.

So, in this article we have brief discussion of the history of the national flags of the Confederacy through 1861-65. There were only three flag designs adopted that served as the official national flags of the CSA and used during its existence from 1861 to 1865. Historians stated that no other symbols in American life are the subject of more attention than traditional Southern flags. They have become political tools used by many organizations whose philosophies are diametrically opposed.

Beside the popularity of this theme, it has become a controversial and divisive topic today. There are many misunderstandings about national and battle flags of Confederacy. There are various flags and various questions: which is the official national flag of the CSA?

In this article step-by-step we scrutinize the history of the adoption of national flags, their features and period of existence. Also we cover the history of Southern battle flags and show the reasons of misunderstandings when people talk about national and battle flags.

The best-known of all Confederate flags is a battle flag- a rectangular variant of the square Confederate Army battle flag, and very often exactly this flag is erroneously confused with the national flag of the Confederacy. The battle flag features the cross of St. Andrew (the apostle was martyred by being crucified on an X-shaped cross), and is commonly called the "Southern Cross." The Confederate battle flag that most people are familiar with was not a nationally recognized national flag.

## Notes of the Democratic Republic of Georgia

Niko Javakhishvili

This Article is the second part of the cycle "Georgian Notaphily". This time we speak about the banknotes of the Democratic Republic of Georgia (1918-21). The Article provides the detailed examination of each denomination, the design, colors, charges and proportions thereof. It provides the information about the history of their creation and the authors. Also outlined are the measures that the authority of Georgia undertook in this direction. Attention is attached to the significance and the role of the notes of the Democratic Republic of Georgia.